


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

13 ივლისი 2012 №14(170)

გიორგი გოგოლაშვილი იოსებ წუმბურიძეზე  
ბორის პასტერნაკი და ოლგა ივინსკაია  
რაზე საუბრობენ ბრძენკაცები  
ძველი თბილისის კოლორიტი  
ნატალია ქადაგიძის ლექსები  
ბაბუა საბავშვო ოცნებიდან  
ინტერვიუ ია ხობუასთან  
რეპორტაჟი იტალიიდან  
საფეხურები ღვთისაკენ  
გია კობახიძის ლირიკა  
ბაჰა ტაჭირის ნიშნობა  
კობა ცხაკაიას პიესა



## შინაარსი

<b>ვერონიკის გზავნა</b>	2	<b>ნუნუ გელაძე რეპორტაჟი იტალიიდან</b>
<b>ლიბერატორული სსოვრება</b>	5	<b>გვანცა შუბითიძე ჩვენი გადაარჩენის გასაღები</b> (შეხვედრა ერეკლე სალღიანთან)
<b>სად წაიყვან სადაურსა</b>	6	<b>ინა არჩუაშვილი ნიგნი ძველ და „ნამგებინა“ თემაზე</b> (კატია ვოლტერსის „იერიქონის ვარდი“)
<b>მესარს-ჩინებრევი</b>	9	<b>ია ხობუა „მომთინება, მომთინება, მომთინება!..“</b> (მომზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
<b>ღრამატურგია</b>	10	<b>კობა ცხაკაია 3=2+1</b>
<b>პოეზია</b>	20	<b>გია კობახიძე ხადავენი გულაგი და არა თვალები</b>
	23	<b>ნატალია ქადაგიძე წვეთში ზღვა არ ჩანს</b>
<b>აირველი შთაბეჭდილება</b>	26	<b>გივი ალხაიშვილი ფიქრის სარკმელი</b>
<b>ელვარა და ლომფარი</b>	27	<b>ზაზა აბზიანიძე სანთელი ენთო...</b> (ბორის პასტერნაკი და ოლგა ივინსკაია)
<b>პოეზის ერთი ლექსი</b>	31	<b>ბორის პასტერნაკი ზამთრის ღამე</b>
<b>რეპორტაჟი</b>	32	<b>მარინე რევიშვილი რაზე საუბრობენ ბრძანებები</b> (პლუტარქოსის „მორალიების“ წარდგინება)
<b>ახალი წიგნები</b>	37	<b>მარინე ტურავა ძველი თბილისის კოლორიტი</b> (ჯემალ ფოცხვერიას „ჩემი ცხოვრების აღმართი“)
<b>ლიბერატორული სსოვრება</b>	39	<b>თამარ ღონღაძე წარმოსახვის ფორმირება</b> (ირაკლი ლომოურის მოთხრობების კრებულის „ავტონეკროლოგი“ წარდგინება)
<b>კრიტიკა</b>	41	<b>როსტომ ჩხეიძე საფეხურები ღვთისმშობელს</b> (შეხვედრა ელიზბარ ჯავახიშვილის მონოგრაფიასთან „ფუთუვეთი — სულიერ-რანდული ძმობა“)
<b>ისტორიის თეორი ლექსები</b>	46	<b>გივი გამრეკელი ბორღიდან უზღვდიდამდე განა დიდი გზაა?!</b>
<b>ახალგაზრდავო. ან კი თქვენი</b>	49	<b>ნინო ოთარაშვილი, ეკატერინე ლობჯანიძე, გვანცა დემეტრაშვილი</b> <b>მეგი მაჭარაშვილი, ნინო ანდიაშვილი ჩემი გმირი გინოდა</b>
<b>გაქვეყნებული წიგნი</b>	52	<b>ნინო ჩხიკვიშვილი ასეთი ვარსკვლავს ქებლს უნდა ვუდგამდეთ!..</b> (ლია ელიავა)
<b>უსწოვლთა თვალით</b>	53	<b>მარიანა სავკა ბურამ პეტრიაშვილი — ბაბუა საბავშვო ოცნებებიდან</b>
	54	<b>მარიანა მიჩევა ბავშვობის ოცნების აღსრულება</b>
<b>უსწორი ნოველა</b>	54	<b>ბაჰა ტაჰირი ნიშნობა</b>
<b>ფიქრი და განსჯა</b>	61	<b>გიორგი გოგოლაშვილი მინანქრები</b> <b>იოსებ ჭუმბურიძის „ჩანაწერები“</b>
<b>მოზაიკა</b>	63	<b>ჩვენი კოლა</b>

**ორკვირეული ჟურნალი**

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96\_20\_62

რეკლამა – (995 93) 65\_93\_68

გავრცელება – (995 77) 11\_24\_30

ფაქსი: (995 322) 96\_20\_62

E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ნიგნის დრო

ირაკლი შუბაშვილის კომპიუტერული გრაფიკა



ჩვენი თანამემამულე, ქალბატონი ნუნუ გელაძე ამჟამად იტალიაში, მილანთან ახლოს ცხოვრობს და სამშობლოს მსახურების საუცხოო მაგალითს აძლევს მილიონზე მეტ ქართველ ემიგრანტს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში რომ მიმოფანტულან.

ჟურნალი „ა ორიენტე“ — „აღმოსავლეთის კენ“, რომელიც სულ ახლახან მილანში, ქართულ და იტალიურ ენებზე დაისტამბა, ქალბატონ ნუნუ გელაძის მოღვაწეობის კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. შესანიშნავ ქართველ მკვლევართან, ნინო ყაუხჩიშვილთან ერთად, ნუნუ გელაძის მიერ დაარსებული საზოგადოება „სამშობლო — გულით სატარებელი“ მრავალი ეროვნული საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელია. საზოგადოებას მხარში უდგას იტალიაში მცხოვრები კიდევ ერთი ღირსეული ქართველი, ქალბატონი ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელი ორსინი, ასევე ქალბატონები: მანანა ტოფაძე, ქეთევან თურმანიძე და მაია სიხარულიძე. საზოგადოებასთან აქტიურად თანამშრომლობენ ნინო ყაუხჩიშვილის მეგობრები და ახლობლები, ახალგაზრდები, რომლებიც, სხვადასხვა წლებში, მიზეზთა და მიზეზთა გამო, უცხოეთში მოხვდნენ.

ჩვენი რედაქციის სახელით, მადლობას მოვახსენებთ თითოეულს იმ უანგარო ღვაწლისთვის, რაც საქართველოსა და ქართული კულტურის პროპაგანდას ემსახურება და გთავაზობთ ნუნუ გელაძის რეპორტაჟს იტალიიდან, რომელიც ჟურნალის, „ა ორიენტეს“ პრეზენტაციას, ჩვენი ქვეყნით იტალიელთა მიერ გულწრფელ დაინტერესებას, აღფრთოვანებასა და მოწინებებს ადასტურებს. „ა ორიენტეს“ გამოცემით მართლაც რომ ძალზე მნიშვნელოვან წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი იდეათა გაცვლის, კავკასიის პატარა ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციის მსოფლიოს ისტორიულ-კულტურულ რუკაზე ღირსეულად წარმოჩენის თვალსაზრისით. მრავალ საგულისხმო მოგონებასა თუ ამბავთან ერთად, ქალბატონი ნუნუ გელაძე ჟურნალის პრეზენტაციაზე მიწვეული საზოგადოების უაღრესად თბილ და ემოციურ განწყობას გვაზიარებს.

ნუნუ გელაძე

რეპორტაჟი იტალიიდან

ღვანლმოსილი ქართველი ემიგრანტის ნინო ყაუხჩიშვილის თაოსნობით მილანში დაფუძნებული ქართულ-იტალიური საზოგადოება „სამშობლო — გულით სატარებელი“ უკვე შვიდი წელია მოქმედებს. საზოგადოება წარმატებით უწევს ქართულ კულტურას პოპულარიზაციას იტალიაში — ატარებს პოეზიის, ხალხური მუსიკისა და ცეკვის საღამოებს, სამეცნიერო კონფერენციებს, აწყობს კინოჩვენებებსა და შეხვედრებს ცნობილ ქართველ და იტალიელ მოღვაწეებთან.

ქართველ მკითხველს ეს მწირი ინფორმაცია, ცხადია, ვერ შეუქმნის სრულ წარმოდგენას იმ ორმოცდარვა ღონისძიების შესახებ, დღემდე იტალიის მრავალ ქალაქში რომ გამართა საზოგადოებამ.

3 ივნისს, მილანში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საღამოზე გავიხსენეთ ჩვენი საზოგადოების დამფუძნებელი, ქალბატონი ნინო ყაუხჩიშვილი.

ქალბატონი ნინო ორჯერ გავიცანი, თითქმის ოცი წლის შუალედით. ერთხელ თბილისში, ქართული კულტურის სიმპოზიუმზე, იტალიური ენის შესწავლა ის-ის იყო დაწყებული მქონდა და იტალიაში ქართველი ემიგრანტის გაცნობა, ადვილი წარმოსადგენია, ჩემთვის რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა. მეორედ ამ ათიოდე წლის წინათ, უკვე თვითონაც ემიგრანტს, ორტა სან ულიოს საერთაშორისო ფესტივალზე ქართული პოეზიის წარდგენის შემდგომ მომიახლოვდა ხანდაზმული ქალბატონი და მითხრა: „თქვენ იცნობთ ნინა ყაუხჩიშვილს? ის ჩემი მეგობარია“. მეორე დღესვე შეუტყვია (ცხადია, არ ვახსოვდი) ჩემი მისამართი და მეუღლესთან ერთად შინ სადილად მიმინვია.

პირველივე სტუმრობისას და მერეც არაერთგზის გავხდით მისი ნამდვილქართული მასპინძლობის მოწმე; მუდამ მოცუბდა ქალბატონი ნინოს გულხელგამლილობა, თამებლობა და თვითირონია, მისი უზმაურო და უანგარო რუდუნება სამშობლოსთვის და, რაც მთავარია, უსაზღვრო ენერჯია. გაცნობისთანავე შევუდექით ქართველების შემოკრებას, არქეოლოგიც გავხდით, იცინოდა. მართლაც „აღმოსავლიანი“ იტალიაში ბევრი მასავით გულანთებული, უანგარო

ქართველი და დავაფუძნეთ საზოგადოება. ნინო ყაუხჩიშვილი დროშასავით მიგვიძღოდა ქალაქიდან ქალაქში; სადაც უნდა ჩავსულიყავით, ყველგან იცნობდნენ, ყველგან პატივით ხვდებოდნენ. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ იგი იყო ქართველობის, საქართველოს ნამდვილი სიმბოლო მთელ იტალიაში და საერთოდ ევროპაში; 90 წლისა გამოესალმა წუთისოფელს. სიცოცხლის ბოლომდე დღეში სამ წერილს მწერდა, მისხნიდა, რა უნდა მეკეთებინა, ვისთვის მიმემართა, რა გეგმები დამესახა. თვითონ ხომ უამრავი გააკეთა მშობელი ქვეყნისთვის. იმედი მაქვს, დადგება დღე, როცა ქართველი საზოგადოებრიობა სათანადო პატივს მიაგებს ამ დიდებული ქალბატონის ხსოვნას, ღირსეულად დააფასებს მის ღვაწლსა და ამავს.

„სამშობლო — გულით სატარებელმა“

ჩვენი დიდი დედისადმი (ასე შევარქვით მას იმთავითვე) უდიდესი მადლიერებითა და მოწინებით გამოსცა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ჟურნალი, რომელიც მილანის საგამომცემლო სახლმა „ა ორიენტემ“ დასტამბა; უღრმესი მადლობა გამომცემლებს — ნინო ყაუხჩიშვილის ძველ მეგობრებს: ანა შონსტაინსა და ნიკო ყაუხჩიშვილის შვილებს; დიდი მადლობა ჩვენ საელჩოებს, ღირსეულ ქართველ და იტალიელ ავტორებსა და მთარგმნელებს თანადგომისთვის, უანგარობისთვის, იმ ერთობლივი ძალისხმევისთვის, რითაც ერთგულად ვაგრძელებთ ნინო ყაუხჩიშვილის მიერ ჯერ კიდევ როდის დაწყებულ საქმეს.

მილანში ჩატარდა ჟურნალის პრეზენტაცია, სადაც საღამოს წამყვანმა, ბერნის უნივერსიტეტის დოცენტმა მანანა ტოფაძემ მოკლედ მიმოიხილა რედაქციის მიერ გაწეული სამუშაო და სიტყვა დაუთმო ფრანგული ლიტერა-



ტურის პროფესორს, საფრანგეთის რესპუბლიკის ორდენის — „აკადემიური პალმის“ კავალერს, ყაუხჩიშვილთა რძალს ფრანჩესკა მელცი-ყაუხჩიშვილს:

„თვითმფრინავით სულ რამდენიმე საათის სავალი გვაშორებს აზიისა და ევროპის გასაყართან მდებარე საქართველოს, მაგრამ ვინ მოთვლის, რამდენი წელი და რა ძალისხმევა დასჭირდა ჩვენ ოჯახს იტალიელთა დასარწმუნებლად, რომ საქართველო უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, ენითა და ლიტერატურით, საკუთარი ორიგინალური ანბანით, და რომ ამ მხრივ რუსეთთან მას არაფერი აკავშირებს!...“

...და მხოლოდ მას შემდეგ, რაც კლასიკური განათლების მქონეთ არგონავტებსა და მედეას გავახსენებდით, ბერძენ და ლათინ მწერლებს დავიმონებდით, კავკასიის მწვერვალზე მიჯაჭვულ პრომეთეს შევახსენებდით, მხოლოდ მაშინ, ერთგვარი გაკვირვებით იწყებდნენ ამ დიდი ცივილიზაციის მზიის ფერთა შეკონინებას, ერთმანეთთან დაკავშირებას და სხვათაგან განცალკევებას.“

სალამოზე ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ უაღრესად საყურადღებო ინიციატივაა ჟურნალ „აორიენტეს“ ერთი მთლიანი ნომრის მიძღვნა საქართველოსადმი, და რაც ყველაზე ნიშანდობლივია — მისი ქართულ და იტალიურ ენებზე დასტამბვა. ჩემი მხრივ დავძენდი, რომ მართლაც პატივსა და მადლობას იმსახურებს ყველა ის თვალსაჩინო ქართველი და იტალიელი სწავლული, ვისი სტატიებიც ამ ნომერს ამშვენებს.

ჟურნალი ეძღვნება ნინო ყაუხჩიშვილის ხსოვნას, პიროვნებისა, რომელიც საკუთარი ოჯახის ბედუკუღმართობამ 1940 წელს იტალიაში ჩამოიყვანა და აქ დამკვიდრდა. მთელი თავისი სიცოცხლე, როგორც მკვლევარმა და პროფესორმა, მან რუსულ ლიტერატურას მიუძღვნა, მაგრამ გულით მუდამ სამშობლოს — საქართველოს ატარებდა, მისთვის იღვწოდა, რაზეც თავის გულთბილ მოგონებაში მართებულად მიანიშნებს საქართველოს ელჩი წმიდა საყდართან, ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელი ორსინი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ წმიდა საყდრისა და საქართველოს სამეფოს დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველი — ბ. ლომაჯისტროსა და გ. შურლიას — ფუნდამენტური ნაშრომი ჟურნალს დოკუმენტური მასალით ავსებს, ამდიდრებს და გამორჩეულ მიმზიდველობას ანიჭებს.

საქართველოს შორეულ წარსულს ვეცნობით ლ. გორდეზიანის შესანიშნავი სამეცნიერო ნაშრომით „კოლხეთი უძველეს ტექსტებში“, მ. ტოფაძის საინტერესო ნარკვევით ქართული ენის შესახებ და ა. მგელაძის სტატიით კავკასიის პრეისტორიულ წარსულზე. უაღრესად დიდ ინტერესს

ინვესს თ. გრძელიძის მოკლე ისტორიული მონახაზი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სათავეებისა და მის მიერ განვლილი რთული გზის შესახებ რუსეთის გამუდმებული მცდელობის ფონზე, დაემორჩილებინა საქართველო და მასთან ერთად გაუუქმებინა ეკლესიის ავტოკეფალია, რაც მოახერხა კიდეც და რისი აღდგენაც მხოლოდ 1991 წელს გახდა შესაძლებელი უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ღვაწლითა და დამსახურებით.

ლ. ანდრონიკაშვილის ნაშრომი მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის უმდიდრეს ქართულ არქიტექტურაზე. ავტორი საინტერესოდ გადმოსცემს ქრისტიანობის გავრცელებისთანავე, IV საუკუნიდან საქართველოში

დანეხულ ეკლესიათა აღმშენებლობის ისტორიას და დეტალურად აღწერს, უმთავრესად ქვით ნაგები ეკლესიების არქიტექტურულ თავისებურებებს.

მაგრამ საქართველო პოეზიის, სიმღერის, სუფრის რიტუალების, ღვინისა და სტუმარ-მასპინძლობის უძველესი ტრადიციების ქვეყანაცაა. ამ თემაზე ჟურნალში წარმოდგენილი თითოეული სტატია კეთილი მასპინძლივით მიგვიძღვება ჩვენი ქვეყნის გულისკენ, იქ, სადაც ისტორიული და კულტურული ტრადიციები არ მოშლილა და სწორედ მუსიკის, პოეზიის, მეგობრობისა და სისხლით ნათესაობის კულტის წყალობით ჯერ ისევ ცოცხლობს. მაგრამ რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ყოველივე ფართოდ უღებს კარს არამარტო უმდიდრეს წარსულს — აწმყოსაც, რომელიც გვიხმობს და მოგვიწოდებს, უფრო ღრმად გავიცნოთ, შევიყვაროთ და დავაფასოთ ის.

დამსწრე საზოგადოების საერთო აზრითა და განწყობით, ჟურნალის კითხვისას გეუფლება განცდა, რომ მართლაც გულით სატარებელია საქართველო, ასე მრავალფეროვნად, ასე წარმატებულად, და რაც მთავარია, პირველად იტალიაში რომ წარმოაჩენს „აორიენტე“ — ჭეშმარიტად ფასდაუდებელი გამოცემა.

ქართველების სიძემ, პოეტმა ეჯიდიო ფუსკომ ჟურნალის ნაკითხვის შემდგომ აღძრული ფიქრები ამგვარად გაუზიარა საზოგადოებას:

„ამ ჟურნალის დოკუმენტური მოთხრობის — რომლის ავტორია მწერალი თამაზ ნატროშვილი — გმირი, ჩემი დიდი წინაპარი ქართველთა სიძე და ქომაგი პიეტრო დელა ვალე ამბობდა: „არ ვიცი, ესოდენ რატომ მიყვარს ეს ქვეყანა, შესაძლოა იმიტომ, რომ იბერიული სისხლი მირევია და მათი წარმოშობისა ვარ“.

მე ნეაპოლელი ვარ და წვეთი სისხლი ჩემში არ არის არაიტალიური, მაგრამ ზუსტად ვიცი, რატომ მიყვარს ქარ-



ნინო ყაუხჩიშვილი ოჯახთან ერთად

თველები, მეტიც, მიმაჩნია, რომ დღეს ბებერმა ევროპამ თვალი და გულსისყური უნდა მიაპყროს ამ ულამაზეს ერსა და ქვეყანას, ხშირად მოიაროს მისი სანახები, ხშირად წარმოთქვას მათთან ერთად ლოცვასავით სადღეგრძელოები, რათა მათმა შემხედვარე ადამიანმა აღიდგინოს დაკარგული ღირებულებანი.

ჟურნალი, ფაქტობრივად, საქართველოს წარსულს ასახავს. ამგვარი ისტორიის მქონე ერს სულიერი ღირებულებანიც გამორჩეული აქვს. ჩემ გაცვებას სწორედ საუკუნეებგამოვლილი დახვეწილი ტრადიციები ინვესტ, რითაც ბევრი ცივილიზებული ერი ვერ დაიკვეხნის. უპირველესად ოჯახის კულტს მინდა შევეხო, რაც ჩვენს ქვეყანაში უკვე ნახევარი საუკუნეა კეთილდღეობრივმა ყოფამ მტერივით გააჩანავა. საქართველოში ერთ მთლიან ოჯახად მოიაზრებიან დებიც, ძმებიც, მათი შვილებიც, შვილიშვილებიც, სიძეებიც და მათებური ურთიერთგატანა და სოლიდარობა კოსმიურ საზღვრებს სცილდება. სწორედ ოჯახური ტრადიციიდან გამომდინარეობს (რადგან ოჯახშივე იღებენ ამის მაგალითს) მეგობრობის ქართული ფენომენი. გამოვტყდები და ვიტყვი, ვერც ამაში შევედრებით ქართველებს. არ შემიძლია არ გამოვხატო ჩემი მოკრძალებული თავყვანისცემა სტუმარ-მასპინძლობის იმ გამორჩეული ადათისადმი, რასაც ასე მოხდენილად, ლაკონიურად აღწერს ჟურნალის ნარკვევი. შემთხვევით არ უთქვამს ქართველ კაცს – სტუმარი ღვთისააო, და მართებულადაც. როგორი ოჯახური, ფიზიკური, სულიერი თუ სოციალური მდგომარეობაც უნდა ჰქონდეს ქართველს, სტუმრის დანახვაზე, შინ სულ რომ არაფერი ებადოს, უმალ გააჩენს, სიუხვითაც გაგაოცებს, სილაღითაც და ისე ღირსეულად მიგიღებს, თავადაც უდიდესი ღირსებით შეგამკობს. აქვე დავძენ, რომ ქართული სუფრის რიტუალიც ეროვნული კულტურის უდიდესი მონაპოვარია, სადაც სრულყოფილად წარმოჩნდება უზადო ქართული სამზარეულო, ქართველი ქალის დახვეწილობა და გემოვნება (ქართველი ქალი საერთოდ ცალკე საუბრის თემაა), ქართველი კაცის განათლება და არტისტიზმი.

ჩვენ, ევროპელები ხშირად ვიყენებთ გამოთქმას – ბებერი ევროპა, რაც ჭეშმარიტების გარკვეულ მარცვალს და, ამასთან, ერთგვარ პრეტენზიასაც შეიცავს, რადგან არცთუ უმართებულად მიგვაჩნია, რომ უძველესი კულტურის მატარებელი ვართ და მსოფლიო ცივილიზაცია ჩვენი წვლილის გარეშე ვერ მოიაზრება. ვინც ამ ჟურნალს წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ უსაქართველოდ ვერც თვით ევროპა მოიაზრება”.

საინტერესოა იტალიური ენისა და ლიტერატურის პროფესორის, მარიენცა კორაჩის შეფასებანი:

„ჟურნალ „ა ორიენტის“ გადაფურცვლისთანავე ყურადღებას იპყრობს კულტურული საზოგადოების „სამშობლო — გულით სატარებელი“ დამფუძნებლის ნინო ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა ანონიმი ავტორის სიყვარულით ნაქარგი სტრიქონები. და საერთოდ, მთელი ეს ორენოვანი ჟურნალი, არამხოლოდ შინაარსობრივი და თემატური შედგენილობით, – ლექსებით, მოთხრობებით, ესეებით, ილუსტრაციებით, – არამედ ესთეტიკური თვალსაზრისითაც ერთ მთლიან უნატიფეს ნაქარგულობად აღიქმება, ვინაიდან ქართული ანბანით განწყობილი ერთმანეთში გვირგვინებით ჩანსული სიტყვები მოცეკ-

ვავე ნაქარგებს, ლამის აჟღერებულ მუსიკალურ ნოტებს გაგონებს, იმთავითვე რომ ჰარმონიასა და შინაარსის სრულყოფილებას გპირდება.

ჟურნალში წარმოჩენილ არგუმენტთა ჟანრობრივი მრავალფეროვნება ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ქართულ კულტურაზე, ქვეყანაზე, რომლის ერთგულ შვილებსა და მის იტალიელ დამფასებლებს სიყვარულით უღვანიათ, დაუნერიათ, უთარგმნიათ, ხოლო საზოგადოების პრეზიდენტს ნუნუ გელაძეს რუდუნებით, გემოვნებით შეურჩევია სახელოვანი ავტორები, ძალზე საინტერესო ტექსტები, რომლებიც ასეთივე სიყვარულით აუკინძავთ გამომცემლებს.

ვფურცლავ ჟურნალს და შთაბეჭდილება მექმნება, რომ ძვირფასეულობით სავსე ზარდახმას ვხსნი; აი, თვალისმომჭრელი სამკაულებიც: მუსიკა, პოეზია, ენა ქართული, ხელოვნება, ტრადიციები, ისტორია, არქიტექტურა, არქეოლოგია, ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობისა თუ დიდებულ მოგზაურთა ამბები, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც მთლიანობაში საქართველოს სულიერ პეიზაჟს ქმნის, ძალზე რომ ჩამოჰგავს ამ ქვეყნისავე მდიდარ ბუნებას, სადაც თავი მოუყრიათ სპეტაკ მთებს, მოჩითულ ველებს და მუქლურჯად განოლილ ულამაზეს ზღვას.

გადუჭარბებლად ვიტყვი, ჟურნალ „ა ორიენტის“ ქართულმა ნომერმა აღმომაჩენინა, რომ ქალბატონი საქართველო, ეს დახვეწილი გრან დამა და წარჩინებული მანდილოსანი საკუთარ თავში უდიდესი ცხოველმყოფელი ენერჯის მატარებელია, რაც არათუ არ გააქრობს, ნისლებსა და ღრუბლებში დროებით დაფარულს, მომავლის ცაზე მისტერიული ვარსკვლავით გააბრწყინებს და ისეთ ნეპასა და ღირსებას გამოავლენინებს, მთელი კაცობრიობისთვის სანიმუშო რომ იქნება”.

იტალიური ენისა და ლიტერატურის პროფესორი ფრანკა მერკალი ამგვარად აფასებს გამოცემას:

„ჟურნალი უნოდო გემოვნებით აკინძულ ამ შესანიშნავ ორენოვან კრებულს, „სამშობლო – გულით სატარებელი“ რომ ნაუნერიათ გამოცემლებს, ნამდვილად დაამცრობდა მის ღირსებას, ვინაიდან ეს არის ვრცელი, დოკუმენტებით გაჯერებული, ღრმა და ამომწურავი ისტორიული ექსკურსი იმ მართლაც მრავალი ასპექტით გამორჩეულ ქვეყანაზე, რომლის ხილვის ბედნიერებაც შარშან ქართული საზოგადოების მიერ ორგანიზებული ვიზიტისას მსვდა წილად. და აი, ახლა — ჟურნალის გადაფურცვლისას — ჩემ თვალწინ ისევ ცოცხლდება ნანახი, უფრო ვულრმავდები ჩემ ცოდნას ამ პატარა და ლამაზ ქვეყანაზე, ღირსეულად რომ განვლო ისტორიული ბედუკუღმართობანი, შეინარჩუნა ორიგინალური კულტურა, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, თვალწარმტაცი ბუნება, ეკლესიები, მონასტრები, ანტიკური ხანის ნაგებობანი თუ უნატიფესი ფოლკლორული მუსიკა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ამ კრებულში წარმოდგენილი მრავალსაუკუნოვანი და უადრესად გამორჩეული, ვიტყოდი, ყველასგან განსხვავებული ქართული კულტურის ამსახველი პოეზია, მუსიკა, არქიტექტურა, ტრადიციები და ყოფა-ცხოვრება, დახვეწილი გრაფიკული ილუსტრაციები, უთუოდ მიიპყრობს იტალიელი მკითხველის ყურადღებას, გაუღვივებს ინტერესს, ახლოს გაეცნოს ამ უზარმაზარ კულტურული მემკვიდრეობის მქონე „პატარა“ ერს.

ვსარგებლობ შემთხვევით და გულითადად მივესალმები ქვეყანას, რომელიც გულში სამუდამოდ ჩამრჩა: სალამი, ჩემო ძვირფასო მეგობარო საქართველო, საოცრებათა ქვეყანავ!

აი, რას ამბობს ლუკა სპეროტო, პროფესიით ეკონომისტი:

„ჟურნალი „ა ორიენტე“, რომელიც ახლახან კიდევ ერთხელ გულმოდგინედ გადავიკითხე, ჩემთვის ნამდვილ აღმოჩენად იქცა. შემთხვევით არ მითქვამს, ხელახლა გადავიკითხე-მეთქი, რადგანაც პირველად ის იმ ბავშვის ცნობისმოყვარეობით ავიღე ხელში, რაღაც ახლის, უცნობის აღმოჩენის ნადილით, თრთოლვით რომ ელის სალამოს, რათა ბებოს უჩვეულო ზღაპარი მოისმინოს. ჟურნალის მეორედ წაკითხვისას მართლაც გავიზარდე, მართლაც ავმალდი, შევიგრძენი და, მეტიც, შევიყვარე ის დიდებული ზღაპრული სამყარო, რომელსაც საქართველო ჰქვია. საამური საკითხავია და ამავდროულად ძალზე ღრმა და ყოვლისმომცველი პირველივე ვრცელი ნარკვევი, რომელიც ასახავს ისტორიას, გეოგრაფიას, ხალხურ მუსიკას, ენას, კულტურას, წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს და უყურადღებოდ არ ტოვებს რელიგიას, რომელმაც, აშკარაა, გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ ერის ცხოვრებაში. ყოველი გვერდი გაჯერებულია საინტერესო ამბით, მაგრამ უმთავრესი, რაც თვალშისაცემია, ყოველ შემთხვევაში მე ასე მომეჩვენა, ქართველთა უსაზღვრო სიყვარულია საკუთარი კულტურისადმი, მშობელი ხალხისადმი, ჯანსაღი და ჭეშმარიტი ფასეულობებისადმი, როგორცაა ქრისტიანობა, თავისუფლებისკენ სწრაფვა, სიბრძნე და თავმდაბლობა.

ჟურნალს აშკარად ატყვია გამომცემელთა გამოცდილი ხელი და ავტორთა უდავო ღირსება. თუნდაც მარტო ლექსები რად ღირს, საოცარი სიმძაფრით რომ გადმოსცემენ ქართველი კაცის სიყვარულს მოყვასისადმი, მშობელი მიწისა და მშობლიური ენისადმი, ოპტიმისტური განწყობით რომ გმუხტავენ გულისშემშუსვრელ მელანქოლიასთან ერთად.


არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ამ ჟურნალის ბედნიერ მკითხველს შეუძლია სულ რამდენიმე საათში თვალი გადაავლოს მასში აღწერილ საქართველოს მომავადობებელ, მისტიკურ პეიზაჟებს, ჩაუღრმავდეს ქვეყნის უაღრესად საინტერესო ისტორიას, ნათელი ნარმოდგენა შეექმნას მის მართლაც გამორჩეულ კულტურაზე. და რაც ყველაზე შთამბეჭდავი აღმოჩნდა პირადად ჩემთვის, გაიცნობს ქართველი კაცის ბუნებას, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას, დედისა და საზოგადოდ ქალისადმი უაღრესად მოკრძალებულ დამოკიდებულებას და საერთოდ, ბევრ ისეთ ჯანსაღ და ღირებულ ფასეულობას, რაც, სამწუხაროდ, იტალიაში სრულიად მივიწყებულია. ღრმად ვარ დარწმუნებული, ამ ერისგან დასავლურ სამყაროს ბევრი რამ ესწავლება. მეტიც, ქართველი ხალხის სულიერებასთან მიახლოება მას ნამალივით სჭირდება, რათა ხელახლა აღმოაჩინოს ის ფასეულობანი, რომელიც კაპიტალიზმმა და მომხმარებლობამ ჩვენში მთლიანად ალგავა პირისაგან მიწისა.

დღემდე ერთ-ორ ქართველს ვიცნობდი და მათდამი სიმპათია ამ ჟურნალის წაკითხვის შემდეგ უდიდეს პატივისცემაში გადამეზარდა; დიდი სურვილი გამიჩნდა, უფრო ღრმად შევისწავლო ამ უდავოდ განსაკუთრებული ხალხის ისტორია და კულტურა. დაბოლოს, კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა ჩემ ქართველ მეგობრებს, საზოგადოების თავმჯდომარეს ნუნუ გელაძეს, რომ მაზიარეს ამ მართლაცდა ზღაპრულ სამყაროს, საქართველო რომ ჰქვია“.

იტალიელი მკითხველის ამგვარი გულთბილი შეფასებანი დაიმსახურა ჟურნალმა „ა ორიენტე“, რომელიც რუდუნებით, სამშობლოს სიყვარულით, ქართული ისტორიისა და კულტურისადმი მონივნებისა და დაფასების ნიშნად გამოსცა ჩვენმა საზოგადოებამ, რომლის თითოეული წევრი მუდამ გულთ ატარებს კავკასიის მთებზე შეფენილ, ლეგენდარულ ქვეყანას, საქართველო რომ ჰქვია.

## ჩვენი ბადარჩენის ბასალეპი

14 ივნისს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეროვნული საზოგადოების ინიციატივით გაიმართა **ერეკლე სალლიანის** პოეზიის სალამო, რომლის ორგანიზატორი იყო **ლაშა ჟვანია**.



ერეკლე სალლიანი

სალამო გახსნა ანსამბლმა „საგალობელმა“ სიმღერით „მრავალჟამიერი“.

სიტყვით გამოვიდა ქართული უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**, რომელმაც ისაუბრა ბატონი ერეკლეს პიროვნებაზე და მის ღვანლზე. თქვა, ეს სალამო გამორჩეულია იმიტომ, რომ თვითონ ბატონი ერეკლეა გამორჩეული.

ბატონი ერეკლეს ლექსები წაკითხეს ამავე უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ახალგაზრდა პოეტებმა: **თემურ ქორიძემ, ნიკოლოზ კოპალიანმა, ხათუნა შოშიშვილმა...**

კიდევ რამდენიმე სიმღერა შეასრულა ანსამბლმა „საგალობელმა“.

შესრულდა ერეკლე სალლიანის ლექსებზე შექმნილი სიმღერებიც.

შემდეგ თვითონ სტუმარი გამოვიდა სიტყვით, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და წაკითხა ლექსები.

სალამოზე მყოფთ შესაძლებლობა ჰქონდათ, შეეძინათ ერეკლე სალლიანის წიგნი **„რაშოუდა“**.

ერეკლე სალლიანის პოეზია ღრმა ეროვნული სულისკვეთების გამომხატველია — იგი უშბასავით ფაქიზი და სუფთაა, მთის წყაროსავით ანკარა და სულიერებით გაჟღენთილი. რაც დრო გადის, ჭეშმარიტ მკითხველს სულ უფრო მეტი ინტერესი ეძალება ასეთი შემოქმედების მიმართ, განსაკუთრებულ გლობალიზაციისა და საერთო მასკულტურის (თუ უკულტურობის) ხანაში, როცა სუროგატებს ძალით გვატენიან ცხვირში. ესაა ერთგვარი პროტესტიც ყოველივე ხელოვნურის და არაბუნებრივის, უნიჭოების მოძალების წინააღმდეგ.

სასიხარულოა, რომ მოთხოვნილება ჭეშმარიტ ქართულ შემოქმედებაზე ქვეყანაში დღითიდღე იზრდება და ამაშია ჩვენი გადარჩენის გასაღები.

**გვანცა შუაბითია**

ინა არჩუაშვილი

# ნიგნი ძველ და „ნამგებიან“ თემაზე

(კატია ვოლტარისის „იერიქონის ვარდი“)

ჯერ პოლონეთში ჩაფრინდება, მეორე სამშობლოს მოინახულებს, მომდევნო დღეს კი უკვე საქართველოში იქნება. დრო საგანგებოდ ისე შეარჩია, რომ თავისი ნიგნის პრეზენტაციის შემდეგ თბილისის ნიგნის საერთაშორისო ფესტივალსაც წვევდა. ყველა ქართული ნიგნის ყიდვა და წაკითხვა უნდა, რომელიც მის არყოფნაში დაინერა და დაიბეჭდა.

საუბარზე ძლივს დავიყოლიე — მირჩევნია ნიგნმა ილაპარაკოს ჩემს მაგივრად, მე კი ჩუმად ვიყო. ეტყობა დაგავინწყდა, ქართველი მკითხველი ზედმეტად ცნობისმოყვარე რომ არის და ნიგნთან ერთად ავტორის გაცნობაც რომ არანაკლებ აინტერესებს-მეთქი, დავამუნათე. კარგი, კარგიო, მითხრა და მოულოდნელად ვისლავა შიმბორსკაზე დაიწყო ლაპარაკი: 90-იან წლებში ვარშავაში მის შემოქმედებით საღამოზე ვიყავი და მეხსიერებაში სამუდამოდ ჩამრჩა მისი ერთი ლექსიდან ასეთი სტრიქონი: „სიჩუმე, ამ სიტყვას ნარმოთქვამ თუ არა, შენ მას არღვევ.“ მიუხედავად ჩანაფიქრს, მაგრამ არ შევიმჩნიე და მონაყოლით ბავშვურად აღტაცებულმა, ახლა მეორე თანამედროვე პოლონელ კლასიკოსზე ვკითხე, ცოცხალი ჩესლავ მილოშიც გინახავს-მეთქი. მინახავს, პოლონეთში ცხოვრებისას მის ერთ ლექსიას დავესწარი და უზარმაზარი შთაბეჭდილებით წამოვედი იქიდანო. კიდევ კარგა ხანს ვილაპარაკეთ „სასვენი ნიშანივით მოდიდან გამოსულ“ და „სინდისის პოეტად“ შერაცხულ, სამწუხაროდ, უკვე გარდაცვლილ ორ ნობელიანტზე. მერე კი ბუნებრივად მოვიდა საკუთარ თავზე „რაცეების“ თქმის განწყობა და სურვილი.

გასახსენებელი და მოსაყოლი საკმარისზე მეტი აქვს. განვლილი მათემატიკოსის, ბენუა მანდელბროდტის გამონათქვამს იშველიებს: „ჩემი ცხოვრება სხვადასხვა შემთხვევების სერიას ჰგავდა, ახლა კი, როდესაც უკან ვიყურები, ამ შემთხვევებისგან აწყობილ მთლიან ორნამენტს ვხედავ“.

ვეროპის არაერთ ქვეყანაში უცხოვრია ხანგრძლივი თუ მცირე ხნით. როგორც თვითონ ამბობს, ოცი წელი გრძელდებოდა მისი ოდისეა, ბოლოს კი გერმანიის ერთ პატარა, მყუდრო ქალაქში დაიდო ბინა. იქ შექმნა ოჯახი, იპოვა სიმშვიდე საკუთარი სათქმელისთვის თავმოსაყრელად და იქ დაინერა მისი პირველი რომანიც. მაგრამ შემთხვევითი სულაც არ არის ის ფაქტი, რომ სწორედ სამშობლოში, ქართულ „სინოტივეში“ და არა სხვა რომელიმე ქვეყანაში „გაიშლება“ პირველად მისი „იერიქონის ვარდი“, რომელიც გამოცემლობა „საუნჯემ“ გამოსცა და, რომელსაც სულ მალე იხილავს ქართველი მკითხვე-



ლი (ინგლისურ ენაზეც უახლოეს ხანში გამოვა რომანი ოდნავ განსხვავებული ვერსიით). გაიცანით, ის კატია ვოლტარისა (სახელი და გვარი ნუ დაგაბნევთ), კიდევ ერთი ნიჭიერი, უცხოეთში მცხოვრები ქართველი მწერალი ქალი.

## სავარძელში მჯდომი მოგზაური

ყველაზე ადრეული სურათი, რომელიც მეხსიერებაში მომეპოვება, ნიგნების კარადაა. განსაკუთრებით ენციკლოპედიების მძიმე ფოლიანტები მიზიდავდნენ. კითხვა ოთხი წლისამ ვისწავლე და მას შემდეგ მოთხოვნილებად გადამიქცა. ვკითხულობდი ყველაფერს — განურჩევლად და გაუთავებლად. გადავშლიდი ნიგნს და გავუჩინარდებოდი შიგნით აღწერილ სამყაროში. ჩემს თავს „სავარძელში მჯდომ მოგზაურს“

ვუნოდებდი. რამდენი ქვეყანა მინახავს, რამდენი ადამიანის ბედი გამიზიარებია, რამდენი სიმწრისა თუ ბედნიერებისგან მოგვრილი ცრემლი დამიღვრია...

ჩემი და ჩემი თაობის ადამიანების მისწრაფება კითხვისადმი არ არის გასაკვირი. ნიგნი ჩვენი ერთადერთი ფანჯარა იყო, საიდანაც დანარჩენი მსოფლიოს დანახვა შეგვეძლო. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ახერხებდნენ რკინის ფარდის იქით გაღწევას. თუმცა „დადგენილ“ მცირე დროში, ორ-სამ დღეში, თუნდაც ერთ კვირასა თუ ათ დღეში, შეუძლებელი იყო სტაინბეკის ამერიკისა და ლეონარდ ფრანკის შვეიცარიის, დორის ლესინგის ლონდონისა და ჯეიმზ ჯოისის დუბლინის დანახვა.

## სახლი

შუა საუკუნეებში დაარსებულ წყნარ და მომზივლელ საუნივერსიტეტო ქალაქში ვცხოვრობ, სადაც

მხოლოდ ცოდნა და განათლება ფასობს. აქაურთა მწეხრობა, მუსიკოსთა და მოაზროვნეთა სამოთხეა, ამიტომაც ბევრ ცნობილ ხელოვანს შეხვედებით მდინარის პირას ძელსკამზე ჩამომჯდარს ან ქალაქის ცენტრში აღმართულ გოთურ ტაძარში საორღანო კონცერტის დაწყების მოლოდინში ფიქრში გართულს. ჩემს თანამოქალაქეებზე გარეგნული ბრწყინვალეობით შთაბეჭდილებას ვერ მოახდენ. აქ ადამიანს სისადავის, ნიგნიერების, აზროვნებისა და სულიერი სიმდიდრის მიხედვით აფასებენ. უყვართ კამათი, კონსტრუქციული დისკუსია. რადგან მეც მსგავსი პრინციპებით აღზრდილი დავადექი ცხოვრების გზას, მრავალწლიანი მოგზაურობის შემდეგ სწორედ ამ ქალაქში ვიპოვე ჩემი ადგილი. თუმცა დიდი ქალაქების კაკაფონიას მიჩვეულს თავდაპირველად მეუცხოვა აქ გამეფებული სიჩუმე და სიმშვიდე, ცოტა შეგუებაც გამიჭირდა, მაგრამ ახლა ველარ წარმომიდგენია სხვაგან ცხოვრება.

## ვარდების სიყვარული და მედეას გენი

ჩემს სახლს მოზრდილი ბალი აკრავს გარშემო, სადაც დიდი ბრიტანეთიდან ჩამოტანილი და ჩემი ხელით დარგული უამრავი სხვადასხვა ჯიშისა და ფერის ვარდი ხარობს. თუნდაც მხოლოდ მათ გამო სულმოუთქმელად ველი ხოლმე გაზაფხულის დადგომას.

ვარდების მოვლა ჩემი რომანის გმირისგან განსხვავებით, მართლაც დევიდ ოსტინმა, ცნობილმა ინგლისელმა მეზღვემ მასწავლა. მის მიერ აღდგენილი და გაკეთილშობილებული ძველი ინგლისური ვარდის ჯიშების დიდი თავყვანისმცემელი ვარ. შეიძლება იმითომაც, რომ ისინი ქართულ ვარდს მაგონებენ – ხშირფურცლიანს, სურნელოვანს, ბუნებრივს – მაისის ვარდს რომ ეძახიან ჩვენში.

ვცდილობ, ვარდების წარმავალი სილამაზე ყოველ წელიწადს ხელახლა აღვებჭლო ფირზე. მათი სურნელისა და გემოს შესანარჩუნებლად კი სხვადასხვაგვარი საშუალება მომეპოვება: გაზაფხულობით და ზაფხულობით ხშირად მწახავთ ადრეიან დილით ბაღში — ვარდის ფურცლით სავსე კალათით ხელში ან ვარდის სურნელით ერთიანად გაჟღენთილ სამზარეულოში, სადაც ხის გრძელტარბანი კოვზით ქურაზე შემოდგმულ სპილენძის ქვაბებს დავტრიალებ. თან ვლიინებ და მელნიმება, რადგან ასეთ დროს მედეას გენს ვგრძნობ ჩემში. საკუჭნაოში ყოველთვის მაქვს ვარდისგან დამზადებული არომატული სასმელები და მურაბები, რომლებითაც ზამთარში მეგობრებს ჩაისთან ერთად ვუმასპინძლებ.

**ჩაის სმა როგორც რიტუალი**

ჩაის ტრფიალი ვარ. ჩაის სმა ჩემთან იდუმალი კულტის თავყვანისცემას ჰგავს. ის უბრალოდ პროცესი კი არ არის, ერთგვარი ცერემონიაა, ნამდვილი ბრიტანული ცერემონია (იაპონურში არ აგერიოთ). ჩემთან ვერასოდეს ნახავთ დაფასოებულ ან მზა ჩაის. მე მას ყოველთვის საპეციალურ მაღაზიებში ვყიდულობ, სადაც ხშირად „პერსონალურ ნარევეს“ ვამზადებინებ. ჩაის მაგიდაზე აუცილებლად უნდა იდგას ვარდის წყალში ჩაძირული შაქარყინული, რომელიც განსაკუთრებით ნორჩ, ტონუსის ასამაღლებელ „დარჯელინგს“ უხდება, ან სულაც ზაფრანით შეზავებული – ცვილონურ ჯიშებს განსაკუთრებულ არომატს რომ ანიჭებს. ჩაის კარგი ფაიფურის ჭურჭელი სჭირდება. თხელი ფაიფური გასაოცრად დიდხანს ინახავს ტემპერატურასა და არომატს. ფინჯანში ჯერ უსათუოდ შაქარყინულის პატარა ნატეხებს ვათავსებ და მხოლოდ ამის შემდეგ ვასხამ ცხელ ნაყენს. ბროლივით აწკრილდება ხოლმე ამ დროს შაქარყინული, თითქოს სუფრასთან თავმოყრილთ ნიშანს აძლევს, დროა მიირთვათო. მსუბუქ, ციტრუსებისა და ბერგამოტის ყვავილით გაჟღენთილ „ერლ გრეისა“ და „ლედი გრეის“ აუცილებლად ტრადიციული ინგლისური ლიმონის ნამცხვარი უნდა უმშვენებდეს მხარს, მუქ, თეინით მდიდარ, საუზმისათვის განკუთვნილ ნაყენს კი — თბილი ფუნთუშა, ათქვეფილი ნალებითა და ჯემით.

**მეგობრები და წიგნის დაბადება**

წიგნის დაბადებას, ისევე როგორც უამრავ სხვა სიკეთეს ჩემი მრავალფეროვანი ცხოვრების გზაზე, ჩემს ძვირფას მეგობრებს ვუმაბლი. ზოგი შთაგონების წყაროდ მექცა, ზოგი ერთგულ მკითხველად და გულწრფელ მრჩეველად, რამდენიმე, ყველაზე „უმეგობრესი“ კი შეუბრალებელ კრიტიკოსად. მათი თანადგომის წყალობით კიდევ ერთი, ძალიან თამამი ნაბიჯი გადავდგი და მივიღე ის, რაც ნებისმიერი ავტორისთვის ძალიან ძვირფასია — გამოცდილება.

„იერიქონის ვარდის“ წერა ინგლისურად და ძალიან გაუბედავად დავინწყე. გამოქვეყნება აზრადაც არ მომსვლია. რომანის გმირებიც რაღაც თავისთავად, ძალდაუტანებლად, ერთი-



მეორის მიყოლებით შემოვიდნენ სცენაზე და ჩემდა გასაოცრად საკუთარი ცხოვრებით დაინწყეს ცხოვრება. ძალიან გამიტაცა ამ პროცესმა. ნაწარმოებმა მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სახე რომ მიიღო, რამდენიმე ინგლისელი ლიტერატორ მეგობარს წავაკითხე. მომიწონეს, წამახალისეს. მერე ქართველი მეგობრის თხოვნით რომანის ქართულად თარგმნას შევუდექი. თარგმნისას ტექსტი თითქოს თვითნებურად დამისხლტა ხელიდან, ქართულმა ენამ თავისებურად მოდრიკა, განტვირთა, ფრაზები და დიალოგები უფრო ლაკონიური, ზუსტი გახადა. თარგმნას რომ მოვრჩი, შევნიშნე, რომ რომანის ქართული ვერსია ინგლისურისგან შინაარსითაც და მოცულობითაც საკმაოდ განსხვავდებოდა. სწორედ ამიტომ, ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, მისთვის თარგმანი არ მენოდებინა და დამოუკიდებელ რომანად მექცია.

**ელექტრონული წიგნი**

დღემდე ვაღმერთებ ლიტერატურას და თავი უმდიდრეს ადამიანად მიმაჩნია, რადგან შემიძლია კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები ორიგინალში წავიკითხო.

მიუხედავად ჩემი კონსერვატიულობისა, ელექტრონული წიგნი „ქინდლე“, ჩემდა გასაოცრად, ძალიან შემეყვარდა. მე ვაფასებ მის არაერთ დადებით და პრაქტიკულ მხარეს. თუნდაც იმას, რომ შეგიძლია ყველგან თან ატარო სამი ათასი წიგნისგან შემდგარი ბიბლიოთეკა, ელვის უსწრაფესად შეიძინო წიგნი ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ ენაზე და მაშინვე შეუდეგე მის კითხვას. მაგრამ ტრადიციულ წიგნს მაინც არაფერი შეედრება — მის სუნს, ყდას, ფურცლების შრიალს. ოთახი წიგნების კარადის გარეშე ყოველთვის ცარიელის შთაბეჭდილებას ტოვებს. როცა ვინმესთან სტუმრად ვარ, ერთადერთი, რაც მაინტერესებს, წიგნების კარადაა. ვფიქრობ, ის ზედმიწევნითი სიზუსტით გინახიათ მის მფლობელს: მასპინძლის ასაკზეც მეტყველებს, ხასიათზეც, ინტერესების სფეროზეც და ნამდვილ, არა მხოლოდ დიპლომებით დადასტურებულ განათლებასა და გემოვნებაზეც.

**მთი მწერალზე**

მწერალი ყოველთვის არამინიერი არსება მეგონა. იმის წარმოდგენაც კი არ შემეძლო, რომ ის, უბრალო მოკვდავებზე აღმატებული ბრძენი, რომელიც ყოველთვის სხვაზე გაცილებით მეტს ხედავს და გრძნობს, და მერე ამ დანახულს ჩვეულებრივ ადამიანებს უმურველად უზიარებს, რათა ისინი უფრო უკეთესი, უფრო ზნეობრივი გახადოს, შეიძლებოდა ვიდაცის ძმა, და, მეუღლე, დედა ან მამა ყოფილიყო.

**სიყვარული — ძველი და „ნამგებიანი“ თემა**

ავტორზე ყველაზე სრულყოფილად და დამაჯერებლად მისივე ნაწარმოებები ლაპარაკობენ. ავტორისეული მსოფლმხედველობა, მისი გემოვნება, ხმამაღლა გამოთქმული და ფარული სურვილები, ისეთებიც კი, რომლებსაც ჯერ კიდევ მის ქვეცნობიერებაში უღვეთ ბინა და მათი არსებობის შესახებ თვით ავტორმაც კი არაფერი იცის, თუნდაც უმნიშვნელო სახით, თითოეულ გმირშია. ცხადია, ამ მხრივ არც მე და ჩემი პერსონაჟები ვართ გამონაკლისები. ჩემი რომანი კი ადამიანური ბუნების პატარა ანატომიაა, იმაზე დაფიქრების მცდელობა, თუ სად და როგორ დაექებენ ადამიანები ბედნიერებას, პოულობენ თუ არა



მას და შეუძლიათ თუ არა ნაპოვნის შენარჩუნება. ამ ძიებას ფონად სიყვარული უდევს — ოცდამეერთე საუკუნის რომანისთვის საკმაოდ მოძველებული და, შეიძლება ითქვას, „წამგებიანი“ თემა, მაგრამ, ჩემი აზრით, არც ერთი და არც მეორე ფაქტი მას მოსაწყენსა და ტრივიალურს არ ხდის. ნამდვილი სიყვარული დღესაც არსებობს და დიდ ბედნიერებასთან ერთად ის დიდი განსაცდელიცაა. ადამიანი კი თავის ჭეშმარიტ სახეს ყველაზე უკეთ სწორედ განსაცდელის დროს ავლენს.

კულინარია

აღბათ ჩემი ცნობისმოყვარე ბუნების ბრალია, რომ უკვე არსებული დოკუმენტითა და ტრაფარეტებით არასოდეს არაფერს მივდგომივარ. სადაც უნდა წავსულიყავი, ყოველთვის ცვდილობდი, ცალკეულ ადამიანზე, ქალაქზე, ქვეყანასა თუ მოვლენაზე მხოლოდ ჩემივე განცდებისა და აღქმის შედეგად ჩამოყალიბებული შეხედულება მქონოდა. სწორედ ამიტომ ჩემი შინაგანი სამყარო სხვადასხვა ქვეყნების, კულტურების, ენებისა და წეს-ჩვეულებების ნაკუნებისაგან შეკერილ ჭრელ საბანს მაგონებს. ასეთივეა ჩემი სამზარეულოც, სადაც უდიდესი სიამოვნებით ვტრიალებ და თანაბარი ხალისით ვამზადებ ქართულ, პოლონურ, გერმანულ, ესპანურ, ინდურ და ფრანგულ კერძებს. სამზარეულოში, თუ საქმე ჩაის სუფრას არ ეხება, თამამად ვლატობ ჩემს ანგლოფილობას. იმ ქვეყნებიდან, სადაც მიცხოვრია ან მიმოგზაურია, ინგლისი ჯერჯერობით ერთადერთია, რომელმაც ჩემზე „კულინარიული შთაბეჭდილება“ ვერ მოახდინა.

გამოვლება

რა თქმა უნდა, როგორც ყველა ქალს, მეც მაქვს ჩემი საყვარელი სუნამო — „White Rose“ ჰქვია. ინგლისურია, ძალიან დახვეწილი, თეთრი ვარდის, იისა და ზამბახის სურნელით გაჯერებული. სამკაულს, შეიძლება ითქვას, უფრო ძველმოდურს ვატარებ, მიუხედავად იმისა, რომ სხვებზე თანამედროვეც მომიწონს. საერთოდ, ყველაფერი ძველებური უფრო მსიბღავს: ნივთები, ავეჯი, სახლები, ქუჩები, ქალაქები... მეტი სითბო და სილამაზე აქვთ.

ენები

ყველა ენა, რომელიც ვიცი, თანაბრად მიყვარს. მათგან ყველაზე პრაქტიკულად გერმანულ ენას მივიჩნევ. ძალიან მდიდარი, საოცრად ზუსტი ენაა. აღბათ ამიტომაც ეძახიან

მას ფილოსოფიისა და მათემატიკის ენას. გერმანული ერთადერთია ჩემთვის ცნობილ ენათაგან, სადაც ქოლგის გაშლას საგანგებოდ მისთვის განკუთვნილი ზმნა აქვს. ინგლისური უფრო გრძობების ენაა, ლიტერატურის, სიმღერის ენა, რბილი, მელოდიური, მდიდარი ლექსიკური მარაგით, „გრძელი სიტყვის მოკლედ სათქმელად“ გამოსადეგი. სლავური ენები მათი კეთილზმოვანების გამო მომწონს — არაჩვეულებრივი ჟღერადობა აქვთ, დანახულის ვერბალურად უზუსტესად გადმოცემის უნარი (სლავური ენით შეგიძლია სურათები ხატო) და ქართულთან მიახლოებული ემოციური დატვირთვა.

მუსიკა

მუსიკას როცა ვახსენებ, ყოველთვის კლასიკური მუსიკას ვგულისხმობ. მე ის უფრო ზრდასრულ ასაკში შევიყვარე, როცა იძულების „გემო“ აღარ დაჰკრავდა. მუსიკალური სკოლის შემდეგ კარგა ხანს ახლოს არ გავკარებივარ ინსტრუმენტს. შემსრულებლის „დამარხვამ“ ჩემში მსმენელი შვა და ამ პასიურმა როლმა უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. განსაკუთრებით საფორტეპიანო, კამერული და სიმფონიური მუსიკა მიტაცებს. ჩემს სახლში გამუდმებით ჟღერს როგორც უცხოური, ისე ქართული — ფოლკლორიც და კლასიკური მუსიკაც. სწორედ ამის გამოა, რომ „იერიქონის ვარდშიც“ ხშირად ისმის ბახი, ბუქსტუბუდე, ელგარი ან რომელიმე დახვეწილი კონტრატენორი... ახალ რომანშიც, რომელზეც ჯერჯერობით ვმუშაობ, ბევრი მუსიკაა. შეიძლება ითქვას, რომ მუსიკა იქ ერთ-ერთი „მთავარი პერსონაჟია“.

**P.S.** მე და კატამ მის თბილისში ჩამოსვლამდე და წიგნის გამოცემამდე ცოტა ხნით ადრე, ონლაინრეჟიმში ვისაუბრეთ. სწორედ ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე წერილისთვის პატარა ბოლოსიტყვაობის დართვა: პრეზენტაციამ მშვენივრად ჩაიარა. „წიგნის ფესტივალზეც“ საკმაო ინტერესი გამოიწვია რომანმა. ერთი ქალბატონი, რომელსაც წინა დღით წიგნი უყვია, მთელი ღამის უძინარი და კითხვისგან თვალბანაითიღებული (აღბათ, ნამტირალევიც), თურმე უთენია მისულა „საუზჯის“ სტენდთან და ხალხს „იერიქონის ვარდის“ შექმნას და წაკითხვას ურჩევდა. ეს ამბავი თავად გამომცემლობის თანამშრომლებმა ახარეს კატიას. ესეც „ავტორის მაგივრად წიგნი მიერ ნათქვამი“ პირველი სიტყვებია. უკეთესს დებიუტანტი მწერალი ვერც ინატრებდა. კატია კი... ის უკვე კარგა ხანია ბედნიერი გაფრინდა თავის პატარა, მომხიბვლელ ქალაქში, სადაც საყვარელი ოჯახი და გერმანულ ენაზე დაწყებული ახალი რომანი ელოდა.

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში ჟურნალთან არსებული ახალგაზრდა ჟურნალისტების სახელოსნომ თაობების შეხვედრა მოაწყო. შეხვედრა ცოცხალი დიალოგის ფორმით წარიმართა, საუბრის თემა იყო ქალი.

ლონისძიება სახელოსნოს ხელმძღვანელმა, მანანა არველაძემ გახსნა და თანადგომისათვის ჟურნალ რედაქტორს, როსტომ ჩხეიძეს, სტუდია WI (World and lamage) –ს მესვეურებს: დავით კვაჭაძესა და მანანა გორგოძე-კვაჭაძეს მადლობა გადაუხადა.

სახელოსნოს შეგირდებმა სტუმრებს ღამაში წარმოადგინა შესთავაზეს. კომპოზიციაში ყველა მათგანი იყო ჩართული: გურამ კვიციანი, ლევან მანჯგალაძე, გიორგი გასვიანი, გიორგი ბინჩიაური, ზუკა ცუხიშვილი, ლევან გალდავაძე, თაზო ტყემელაშვილი, ლიკა ჩილოჩავა, ანო ზურაშვილი, ანუკა ლაცაბიძე, მარიამ შარიფაშვილი, თათული ხაბეიშვილი, გვანცა ლაზარაშვილი, ანი ლებანიძე, ანა ჟორდანია, დიტო ხუფენია. ღონისძიების რეჟისორობის სურვილი თამარ გორგოძეს თვითონ გამოუთქვამს.

ახალგაზრდებმა საღამოზე საკუთარი სიმღერები, ლექსები გახანინეს, რითაც საგანგებოდ მოწვეული სტუმრების: ჯანსუღ ჩარკვიანი, გიზო ჟორდანია, ცისვერი ტრიო, ბესო ჩუბინიძე, ვია ჭირაქაძე, დავით კვაჭაძე, შოთა გორგოძე, მანანა გორგოძე-კვაჭაძე, ნუკრი მანჯგალაძე, გიორგი ნიკოლაძე, გიორგი მოსიაშვილი აღტაცება გამოიწვიეს. უფროსი თაობის საპატიო წარმომადგენლებთან დიალოგი საინტერესოდ წარიმართა. წინასწარ მომზადებულ შეკითხვებს ერთნი სერიოზულად პასუხობდნენ, მეორენი, — იუმორით.

მწერალთა სახლში თავი რომ დაიგულა, რეჟისორმა გიზო ჟორდანია ასეთი წინადადება გაუზიარა საზოგადოებას, — საქართველოს ისტორია ნამდვილად იძლევა შესაძლებლობას, ქართველი ქალის რეჟისორს დაუვინყარი სახე რომ შეიქმნას ან არანაკლებად ტრეპიკული, ვიდრე ჟან ანუის „ანტიგონა“. ამის თქმის საშუალებას რეჟისორს ქეთევან დედოფლის სულისშემძვრელი ისტორია აძლევს.

უმცროს მეგობრებს ლექსები ჯანსუღ ჩარკვიანმა, გიორგი მოსიაშვილმა და გიორგი ნიკოლაძემ წაუკითხეს. დავით კვაჭაძემ სახელოსნოს საჩუქრად საკუთარი ფოტონამუშევრების ალბომი გადასცა. ღონისძიება ქართული პოეზიის შედევრებისაგან შედგენილმა კომპოზიციამ შეკრა. დასასრულ მანანა არველაძემ კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება ყველა თანამდგომის, ღონისძიებაზე მისული სტუმრების, შეკრებულ საზოგადოებისა და სახელოსნოს ალსაზრდელთა მშობლებისადმი.

ია ხობუა

# მოთმინება, მოთმინება, მოთმინება!..

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- უიმედობა...
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- სადაც ვცხოვრობ — საქართველოში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- როცა ყველას ჭირდები, როცა სხვებზე ზრუნავ...
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ბიძია თომა... პირველად წავიკითხე „ბიძია თომას ქოხი“ და ის ბავშვური შთაბეჭდილება დღემდე მომყვება.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- გიორგი II, დავით აღმაშენებელი.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ვან გოგი (ჩემსავით გიჟია და იმიტომ).
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ვაგნერი. „ღმერთების დაღუპვა“.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?
- ერთგულებას, უშურველობას.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ფანატიკურ ერთგულებას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?
- სიკეთე, სიკეთე, სიკეთე...
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- სამზარეულოში ფუსფუსი, უდიდესი კულინარი ვარ.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?
- ნანა დემეტრაშვილი.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- გლახაკი ვარ...
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- ერთგულებას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- წყენას იოლად ვივიწყებ...
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- სიცოცხლე ბედნიერებაა...
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- ამის წარმოდგენაც კი არ მინდა...
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
- ისეთი, როგორიც ბევრს უნდა რომ იყოს — კარგი, საზოგადოებაში დაფასებული, გამოჩენილი, წარმატებული.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- შავი. (ჩემს რეზოს წითელი უყვარდა)...

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

- ია, გვირილა.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- მერცხალი.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- პუშკინი, ლერმონტოვი.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- გალაკტიონი, ვაჟა-ფშაველა.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?



- კატუშა მასლოვა.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- აფხაზეთსა და სამარაბლოს ომში დაღუპული უსახელო გმირები...
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- თამარ მეფე.
- საყვარელი სახელები?
- რეზო, გიორგი, ნინო, ხათუნა, თამარი, ლამარა.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- ჭუჭყს — გინდ ფიზიკურს, გინდაც, სულიერს...
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?
- ყველა ის პიროვნება, რომლებმაც კაცობრიობის განვითარება შეაფერხა.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?
- არანაირ საომარ მოქმედებას არ მოგყავარ ალტაცებაში...
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- ყველა რეფორმა დამანგრეველია...
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- თითქოს მრავალმხრივი ნიჭი მაქვს, მაგრამ მირჩენია მქონდეს ერთი და განსაკუთრებული ნიჭი; ისე, კარგი იქნებოდა, ფრენის ნიჭი რომ მქონდეს...
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- როგორც მოკვდები, მოკვდები... მთავარი, არავინ შევანუხო... მინდა, სიკვდილის შემდეგ წესს რომ ამიგებენ, სუღარა დამაფარონ და მორჩა, მე აქ აღარ ვარსებობ... ჩემი სული უკვე იქ არის...
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- ძლიერი.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- ყველაფერს ვაპატიებ ღალატის გარდა.
- თქვენი დევიზი?
- მოთმინება, მოთმინება, მოთმინება.
- თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- აი, აგერაა შენი რეზო და მიდი მასთან!...

პროზაიკოსი, დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, ლექტორი — საკმაოდ მრავალფეროვანი კობა ცხაკაიას ინტერესები და მისწრაფებანი. და ყველა სარბიელი ნარმატებით აქვს მოსინჯული. ეს პიესაც — თუკი ხელს შეაშველებენ მადლიანი ადამიანები — შეუძლია თვითონვე დადგას და მთავარი როლიც შეასრულოს. საკმაოდ რთული ხასიათი სასულიერო პირისა, ვინც, ტანჯულ და მღელვარე ცხოვრებაგამოვლილი, ზნეობრივ ფიქურად წარმოდგება ამ მწარე, გაუსაძლის რეალობაში. ეს რთული ხასიათი ნიუნსობრივი სიღრმითა და დახვეწილი მხატვრული ტექნიკით გადაიხსნება მკითხველისა თუ მაყურებლის თვალწინ და კიდევ ერთხელ ადასტურებს კობა ცხაკაიას მწერლურ ოსტატობას. იგი არასოდეს მორიდებია ჩვენი ცხოვრების მღელვარების წარმოსახვას, მისი ფარული, შინაგანი დინებების გაშიშვლებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ავანსცენისა და პარტერის გააზრება-შეფასებას მიუკერძოებელი, მოუსყიდველი მზერით.

ეს ახალი დრამატურგიული თხზულება „3=2+1“, მძაფრი სიუჟეტითა და ლაღი, ძალდაუტანებელი დიალოგებით, მისი შემოქმედებითი ძიებების სისხლხორცეული ნაწილიცაა და რაღაც ახლის, კიდევ უფრო მნიშვნელოვანის მიმანიშნებელიც.

კობა ცხაკაია

3=2+1

დ...

ოლიკო — ოცდათხუთმეტიოდე წლის ქალი.

თორნიკე — 16-18 წლის მორიდებული, სათვალისი ბიჭი.

მაცაცო — 13-15 წლის გოგონა.

ლამაზად განწყობილი ოთახი: სანოლი, მაგიდა, სამი სკამი, პირსაბანი და შირმა, რომელიც ოთახის კუთხეს ფარავს. მაცაცო კარაქიან პურს მიირთმევს და დაბალ ხმაზე უსმენს მუსიკალურ ცენტრს. ისმის ნაზიჯების ხმა. მაცაცო ჭამას თავს ანებებს, შირმის უკან იმალება. შემოდინა თორნიკე და ოლიკო.

თორნიკე — (ათვალსიერებს) მარტო ცხოვრობთ?

ოლიკო — მარტო ვცხოვრობ. მუსიკაც იმიტომ დავტოვე, რომ ვიცოდი, მალე დავბრუნდებოდი.

თორნიკე — (გაკვირვებულია) მალე დაბრუნდებოდით? რა იცოდით, რომ შემხვდებოდით?

ოლიკო — ან შენ შეგხვდებოდი, ან სხვას. რა მნიშვნელობა აქვს?

უყურებენ ერთმანეთს. თორნიკე უეცრად ამჩნევს, რომ მაგიდაზე ნახევრად შეჭმული კარაქიანი პური დევს.

თორნიკე — (დაძაბული) ეს კარაქიანი პური! აქ კიდევ ვილაც არის!

ფეხზე დგება.

ოლიკო — კარაქიანმა პურმა შეგაშინა? არ ჭამ კარაქიან პურს?

თორნიკე — ვჭამ!

ოლიკო — ჩემმა გოგონამ დატოვა!

თორნიკე — თქვენ შვილიც გყავთ?

ოლიკო — რა, არ შეიძლება?

თორნიკე — არა, მაგრამ მეგონა, რომ...

ოლიკო — რა არის გასაკვირი? იქნებ ქალიშვილი გეგონე?

თორნიკე — არა, მაგრამ... შეუძლებელი გყავთ?

ოლიკო — გარკვეულწილად.

თორნიკე — მოვა?

ოლიკო — (იციინის) აუცილებლად, ოღონდ მაშინ, როცა მომინდება. სხვა შემთხვევაში შინ არც კი შემოვუშვებ... შეყვარებული გყავს?

თორნიკე — მყავს.

ოლიკო — დიდი ხანია ერთმანეთი გიყვართ?

თორნიკე — მიყვარს? იმან არ იცის, რომ მიყვარს! ჰგონია, მხოლოდ და მხოლოდ მეგობრები ვართ!

ოლიკო — პირველად ხარ?

თორნიკე — შენთან?..

ჰო, საერთოდ პირველად, მაგრამ ბევრი რამე ვიცი...

პაუზა.

ოლიკო — ოცი დოღარი, რაკი პირველად ხარ. მერე ორმოცი.

თორნიკე — მერე ორმოცი? რატომ?

ოლიკო — მერე უკვე სხვა რამე ხდება და იმიტომ.

თორნიკე — სხვა რამე?

ოლიკო — ჰოო, მერე უკვე იცი და მოითხოვ! ამოიღე.

თორნიკე — რა?

ოლიკო — ფული.

თორნიკე იღებს ფულს და ოლიკოს აწვდის. ქალი თაბაშირის გოჭზე უთითებს.

ოლიკო — იქ ჩადე. ფულს საერთოდ არ ვეხები, ასე უფრო შევუნარჩუნებ ჩვენ პაემანს... რომანტიკულობას.

თორნიკე მიდის გოჭთან და ავლებს ფულს.

თორნიკე — ასეთი გოჭი მეც მქონდა.

ოლიკო — ფულს აგროვებდი?

თორნიკე — ჰოო. კომპიუტერის ყიდვა მინდოდა, მაგრამ ვერ შევაგროვე, ნებისყოფა არ მეყო და ჯინსები ვიყიდე. აი, ესე! (უჩვენებს შარვალს) მაგარია, არა?

ოლიკო — მეც ვაგროვებ. ჯერჯერობით არ ვხარჯავ.

თორნიკე — (შენუხებული) ამას თუ არ ხარჯავ, მაშინ რითი ცხოვრობ?

ოლიკო — რა ყურადღებიანი ხარ? როგორ შენუხდი ჩემ გამო?

თორნიკე — შენუხდი... მაინტერესებს, რითი ცხოვრობ?

ოლიკო — პირველი ორი კლიენტის ხარჯით. დანარჩენს მანდ ვაყრევინებ.

თორნიკე — დანარჩენს?

ოლიკო — ცოტა სასმელს, ხომ არ გადაკრავდი, სანამ... ჰა?

თორნიკე — კი... (დარცხენით) ჩავენებით თუ ფეხზე დამდგარები ვიზამთ?


ოლიკო — რას ვიზამთ?

თორნიკე — იმას. იმას, რაც პირველ ორ კლიენტთან...

ოლიკო — სადაც და როგორც უფრო მოგეხერხება.

თორნიკე — მირჩენია თვითონ გადანყვიტო, მაინც ქალი ხარ და...

ოლიკო — მიუხედავად შენი ხეპრე მეგობრებისა, ჯენტლმენიც ყოფილხარ... მაშინ მაგიდაზე ჯობია.



**თორნიკე** — აქ? მაგიდაზე? აქ ხომ კარაქიან პურს ჭამ?

**ოლიკო** — მერე გადავწმენდ. დალიე.

**ანვდის სირჩაში ჩასხმულ არაყს.**

**თორნიკე** — მუსიკა რომ გამოვცვალოთ?

**ოლიკო** — არა.

**თორნიკე** — უფრო რომანტიკული, რეპზე რაღაც მერი-  
დება...

**ოლიკო** — რომანტიკული არა მაქვს. იქნებ რომელიმე  
-ზე იპოვო. ამოარჩიე.

**თორნიკე** ეძებს საჭირო ტალღას, მაგრამ ვერ პოულობს.

**თორნიკე** — არსად არაფერია?

**ოლიკო** მაგიდასთან ჯდება და სიგარეტს უკიდებს, ირონიუ-  
ლი ლიმილით აკვირდება თორნიკეს, რომელმაც არ იცის, რა ქნას.

**თორნიკე** — არ გავიხადოთ?

**ოლიკო** — ჯერ არა!

**თორნიკე** — რატომ? რა, არ გეჩქარება?

**ოლიკო** — აღარსად მეჩქარება. რა ჰქვია შენს შეყვარე-  
ბულს?

**თორნიკე** — ნინო. შენი ქმარი როდის მოდის?

**ოლიკო** — როცა ნებას ვაძლევ.

**თორნიკე** — ღამე აქ არ რჩება?

**ოლიკო** — რჩება.

**თორნიკე** — უცებ რომ მოუნდეს?... კარი გააღოს და შე-  
მოვიდეს, მაშინ?

**ოლიკო** — (დამცინავად) ორივეს მოგვეკლავს.

**თორნიკე** — მართლა?

**ოლიკო** — შეგეშინდა?

**თორნიკე** — არც ისე?

**ოლიკო** — ამ დროს არ მოუნდება შინ მოსვლა.

**თორნიკე** — იმან იცის, რასაც აკეთებ?

**ოლიკო** — დაახლოებით.

**თორნიკე** — შენმა შვილმა?

**ოლიკო** — იცის.

**თორნიკე** — შენი შვილი რომ მოვიდეს?

**ოლიკო** — მოვიდეს, მერე რა?

**თორნიკე** — დაგვიჩაბავს. ახლა სად არის?

**ოლიკო** — სადმე დახეტიალობს.

**თორნიკე** — ქმარი მუშაობს?

**ოლიკო** — ძან ბევრს. განსაკუთრებით მუქთაზე...

**თორნიკე** — შენი ფულით ცხოვრობთ?

**ოლიკო** — ჰგონიათ, რომ მასაჟებს ვაკეთებ და ამაში  
ვიღებ ფულს. ასე რომ, არანაირი პრობლემები არ მანუ-  
ხებს. არც მე და არც მათ... არც შვილთან და არც ქმართან.

**თორნიკე** — ნუთუ ვერაფერს ამჩნევს?

**ოლიკო** — ამჩნის და იყოს მერე. აბა, რა ვქნა? ბავშვ-  
საც და ქმარსაც ჩაცმა და დახურვა უნდა. ფული არ არის.  
ჭამა ყველას გვინდა. აბა, ერთი ხმა ამოიღოს?... მოდი რა,  
ჩემზე ლაპარაკს თავი დავანებოთ და შენზე ვილაპარაკოთ.

**თორნიკე** — უცებ რომ მოვიდეს?

**ოლიკო** — არ მოვა.

**თორნიკე** — ვთქვათ და მოვიდა და თან მაგიდაზე შეგ-  
ვისწრო, მერე?

**ოლიკო** — მოვიფიქრებ რაღაცას.

**თორნიკე** — შვილი რამდენი წლისაა?

**ოლიკო** — თხუთმეტის.

**თორნიკე** — თხუთმეტის? ამხელაა?

**ოლიკო** — ჩვიდმეტის ვიყავი, როცა პირველი შვილი  
გავაჩინე... შენი შეყვარებული რამდენი წლისაა.

**თორნიკე** — ჩემი ტოლია. ოცის.

**ოლიკო** — ოცი წლისა ხარ?

**თორნიკე** — საერთოდ ყოველთვის პატარად გამოვი-  
ყურები.

**ოლიკო** — სურათი გააქვს?

**თორნიკე** — მაქვს.

**ოლიკო** — მანახე.

**თორნიკე** — თან არა მაქვს.

**ოლიკო** — ცუდია. მიყვარს ისეთი ტიპები, რომლებიც  
თავისი შეყვარებულების სურათებს თან ატარებენ. იმათ  
უფრო მაგარ დროს ვატარებინებ.

**თორნიკე** — მაგარ დროს? რას გულისხმობ მაგარ  
დროში?

**ოლიკო** — ძალიან კარგად ხვდები, რასაც ვუკეთებ  
ყველაფერს, რაზეც კი გიოცნებია.

**თორნიკე** — რაზეც მიოცნებია? ორალურსაც და ანა-  
ლურსაც?

**ოლიკო** — (იცინის) აბა, რა. თანაც რამდენჯერაც გინ-  
და, იმდენჯერ. მაჩვენე ფოტო.

**თორნიკე** — საიდან იცი, რომ სურათი თან დამაქვს?

**ოლიკო** — კარგი ტიპი ხარ და იქიდან.

**თორნიკე** — ტიპი რა პონტია?

**ოლიკო** — რომანტიკული ადამიანი. ფანტაზიორი. ცო-  
ტა დაბნეული და მორიდებული. (თორნიკეს არ უნდა სურა-  
თის ჩვენება) ამოიღე, ნუ გეშინია, არ შეეჭამ და არც რაიმეს  
ვუზამ?

**თორნიკე** — სულაც არ მეშინია.

**ოლიკო** — ჰე, მერე რაღას უცდი?

**თორნიკე** იღებს სურათს და მაგიდაზე ღებს. **ოლიკო** ინტე-  
რესით აკვირდება და უეცრად დაბნეული ახედავს თორნიკეს.

**ოლიკო** — ეს ვინ არის? შენ, ბიჭო, ექვსი წლის გოგონა  
გიყვარს?

**თორნიკე** — სხვა სურათი არა მაქვს და რა ვქნა?

**თორნიკე** მაღავს სურათს. **ოლიკო** კი სიცოცხს ვერ იკა-  
ვებს.

**ოლიკო** — დიდი ხანია იცნობ?

**თორნიკე** — დიდი ხანია.

**ოლიკო** — აქამდე მერე ერთი სურათი ფარულად მაინც  
ვერ გადაულე?

**თორნიკე** — ეგ შენი საქმე არ არის.

**ოლიკო** — რა ჰქვია?

**თორნიკე** — ნინო.

**ოლიკო** — კარგი სახელია ნინო. სკოლაში ერთად სწავ-  
ლობდით?

**თორნიკე** — არა. ჩემზე სალაპარაკოდ მოვედი? იმას  
რატომ არ ვაკეთებ?

**ოლიკო** — (ვითომ ვერ ხვდება) იმას რას?

**თორნიკე** — ოცი დოლარი რაშიც გადამახდევინე.

**ოლიკო** დგება და წინიდან ელვით შეკრულ კაბას სწრაფად  
იხსნის.

**ოლიკო** — დავნვე და ფეხები ავნიო თუ უკნიდან მო-  
მაჯდები?

**თორნიკე** — (მისი სიშიშვლით დაბნეული ფეხზე დგება)  
მოდი მუსიკას ავუნე, ხმა არ გავიდეს და...

**თორნიკე** ეცემა მუსიკალურ ცენტრს, ვერაფრით ვერ  
რთავს, ბოლოს ჩართავს, მოდის ოლიკოსაკენ, მაგრამ უეც-  
რად ეცემა და გონებას კარგავს. ოლიკო ერთი ნუთი გაოგნე-  
ბული უყურებს იატაკზე გაშოტილ მის სხეულს. უახლოვდება,  
ეხება და სახეში სილას აწნავს. ოლიკო ფრთხილად სვამს

სკამზე. პერანგს უხსნის, იქ მხარზე ხალს ამჩნევს. ადგილზე შეშდება. იხსნის კაბას და თავის მხარზე გამოხატულ ხალს ამჩნევს. ოლიკო ლამის უხმოდ კვივის — „ვაიმე?!“ თორნიკე ნელ-ნელა აზრზე მოდის. ოლიკო მის წინ ჯდება და ცდილობს სახეზე ძველი ნიღაბი აიფაროს.

**ოლიკო** — რაკი ასე ემოციური ყოფილხარ, მოდი ნუ ვიჩქარებთ. ყველაფერი ფრთხილად გავაკეთოთ. კარგი?

**თორნიკე** — მაპატიე... არ მინდოდა. მაპატიე.

**ოლიკო** — არა უშავს. შენ ჯერ კიდევ არა გიშავს. ერთი იყო, სანამ ვაჟა-ფშაველას „არწივი“ ოცჯერ არ წაიკითხა და თანაც მთელი ხმით, ვერაფრით ვერ დაწყნარდა. ნყალი ხომ არ გინდა?

**თორნიკე** — არა, უკვე კარგად ვარ.

**ოლიკო** — მოდი, იცი, ყველაფერი კარგად, რომ გამოგვივიდეს... კიდევ ცოტა ვილაპარაკოთ.

**თორნიკე** — კიდევ ვილაპარაკოთ?

**ოლიკო** — აბა, რა. ასე დაწყნარდები. სითამამეც მოგეცემა და ყველაფერი მაგრა გამოგივა.

**თორნიკე** — ჯერ იმას, მერე კი ორალურსაც და ანა-ლურსაც?

**ოლიკო** — აბა, რა.

**თორნიკე** — არსად არ გეჩქარება?

**ოლიკო** — არა!

**თორნიკე** — სხვა კლიენტები?

**ოლიკო** — სხვა კლიენტები აღარ მოვლენ. დღეისათვის საკმარისია.

**თორნიკე** — ცოდვები არ არიან?

**ოლიკო** — ცოდვები არ არიან...

**თორნიკე** — შენც არა ხარ ცოდვა?

**ოლიკო** — მე? ფეხებზე მკიდა. მხოლოდ ფული მინდა მივიღო და მეტი არაფერი. შენ ძალიან უცნაური ვინმე ჩანხარ! რა გქვია?

**თორნიკე** — თორნიკე.

**ოლიკო** — თორნიკე. მე ოლიკო ვარ! შეიძლება გაკოცებ ლოყაზე და ჩაგეხუტები?

**ისე, რომ თორნიკეს ლაპარაკს არ აცდის კოცნის და ეხვევა. მთელი ძალით. არ უშვებს. თორნიკე იბნევა.**

**თორნიკე** — დიდი მადლობა, მაგრამ... მხოლოდ ოცი ლარი მქონდა და დამატებით დროზე გადასახდელი ფული არა მაქვს... და თან მინდა არ ვიზარალო...

**ოლიკო** — (არ უსმენს) როგორ მიხარია, რომ გნახე... რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ! რა ბედნიერი!

**თორნიკე** — მეც მიხარია... მაგრამ იქნებ უკეთესი იქნება მაინც ის გავაკეთოთ?... არ მინდა დაგაზარალო... მერე მოვალ...

**ოლიკო** — (ერკვევა) არ დამაზარალო? არ დამაზარალებ! პაუზა.

**ოლიკო** — შენ დღეს ორმოცდამეერთე ხარ!

**თორნიკე** — ორმოცდამეერთე? ხუმრობ?

**ოლიკო** — აბა, როგორ! ყველას გითვლით. აი, ხომ ხედავ აქ ჩაყრილ ასანთის ლერებს?

**უთითებს საფერფლეზე. ორმოცდამეერთე ხარ!**

**თორნიკე** — ვაუ! მაგარია! ამდენს როგორ უძლებ?

**ოლიკო** — ადამიანი ყველაფერს უძლებს! განსაკუთრებით ქალი!

**თორნიკე** — ყველას აკმაყოფილებ?

**ოლიკო** — ჩემი მოვალეობა ეგ არის. საზიზღარი ვარ, არა? ისინი დიდხანს უყურებენ ერთმანეთს.

**თორნიკე** — იმ კლიენტებსაც იმდენხანს ელაპარაკები, რამდენსაც მე?

**ოლიკო** — (სევდიანი ღიმილით) მხოლოდ იმათ, რომლებიც ყველაზე უფრო მომეწონება! ასეთები კი თითქმის არ არსებობენ.

**თორნიკე** — ისინიც გიჩვენებენ შეყვარებულების და ცოლების სურათებს?

**ოლიკო** — არა, მაგრამ ვინც მიჩვენებს, მათ ვასაჩუქრებ. დანარჩენს კი ვსჯი.

**თორნიკე** — სჯი? როგორ?

**ოლიკო** — ათასი საშუალება არსებობს.

**თორნიკე** — აღარ აძლევ?

**დიდხანს უყურებს თორნიკეს.**

**ოლიკო** — შეიძლება, კიდევ ჩაგეხუტები?

**თორნიკე** — კი... მაგრამ...

**ოლიკო ეხუტება თორნიკეს.**

**ოლიკო** — რომ იცოდე, როგორი თბილი და საყვარელი ხარ!

**თორნიკე** — ფოტო რომ არ მეჩვენებინა, რას მიზამდი? მითხარი, რას მიზამდი? ძალიან გთხოვ.

**ოლიკო** — ხანდახან კარგია, როცა ადამიანი ცნობის-მოყვარეა.

**თორნიკე** — მითხარი.

**ოლიკო** — მაგრამ ზოგ რამეზე უკეთესია არ ვილაპარაკოთ... რაც მთავარია, რაც იმით მოუვიდათ, შენ არ მოგივა. მითხარი, სად ცხოვრობ? რა გვარი ხარ?

**თორნიკე** — (ეჭვით) რაში გაინტერესებს?

**ოლიკო** — ხომ გითხარი, მომწონხარ-მეთქი. მინდა შენზე ყველაფერი ვიცოდე!

**თორნიკე** — აქ მოსული ვარ მხოლოდ ერთი რამისთვის... და არა ანკეტის შესავსებად. თანაც ერთ საათში შინ უნდა ვიყო. მომცემ თუ არა?

**ოლიკო** — ერთი საათი? რომ დაავიანო, დედიკო გაგებრაზდება? დარჩი დღეს ჩემთან და სხვალ თვითონ მიგიყვან სახლში.

**თორნიკე** — მიმიყვან კი არა. (ბრაზდება) სულელი ხომ არ გგონივარ?

**არაყს ისხამს და სვამს. თრობა ეტყობა.**

**ოლიკო** — უფრო პატარა და ლამაზ გოგონას მოგიყვან. ოღონდ დარჩი დღეს და კიდევ ვისაუბროთ!

**თორნიკე** — იმასაც, ვინც ჩემზე წინ იყო, სხვა ქალებს სთავაზობდი?

**ოლიკო** — არა, ის საერთოდ არ მომეწონა. აყროლებული ტიპი იყო. იმის წასვლის შემდეგ ნახევარი საათი ვანიავებდი სახლს.

**თორნიკე** — აყროლებულებსაც ღებულობ?

**ოლიკო** — ეგეთი ცოდვილი ვარ და რა ვქნა. შეგზიზღდი? პაუზა.

**თორნიკე** — მაინც რატომ დაიწყე ამის კეთება?

**ოლიკო** — ბოზობაზე მეკითხები?

**თორნიკე** — ჰოო, რა.

**ოლიკო** — იმიტომ... მაინც ვერ გამიგებ! თან პასუხი ცოტა ხნის წინ გითხარი.

**თორნიკე** — მეც ვიცი რალაც-რალაცები. ამიტომ სიმართლე მითხარი?

**ოლიკო** — არ არის ეგ შენი საქმე... ისე თუ სიმართლის გაგება გინდა... მოდი ხოლმე ჩემთან. არა ამისთვის, უბრალოდ სალაპარაკოდ. მოხვალ?

**თორნიკე** — მეტი საქმე არა მაქვს.

**კვლავ სვამს სასმელს.**

**ოლიკო** — რა, მაინც და მაინც „ის“ გინდა და მეტი არაფერი? ნუ მაიძულებ დავიჯერო, რომ შენც იმათნაირი ეგოისტი გაიზარდე.

**თორნიკე** — ეგოისტი არა ვარ, მაგრამ არც თავს მოგატყუებინებ. გავიხადოთ?

**პაუზა.**

**ოლიკო** — მიდი გაიხადე, ოღონდ ჯერ მარტო პერანგი.

**თორნიკე** — კარგი, ბატონო.

**იხდის პერანგს. ოლიკო უახლოვდება და ხალს მის მხარზე ეხება. თორნიკე ეხუტება და ცდილობს ტანზე გახადოს.**

**ოლიკო** — მკერდზე უკვე თმა გქონია. ხელები მანახე. რამსივრძე თითები გაქვს. რა კარგი პრესი გქონია! ვარჯიშობ?

**თორნიკე** — ჰოო. ცურვაზე დავდივარ.

**ოლიკო** — ცურვა კარგია. სიმაღლეში ზრდის. თექვსმეტი წლისა ახლა რამხელა ხარ, მერე ოთხ-ხუთ წელიწადში რამხელა გახდები?

**თორნიკე** — თექვსმეტის კი არა, ოცი წლისა ვარ! ოცის!

**ოლიკო** — ჰოო, ჩემო პატარავ! თუ გინდა ოცდახუთის იყავი.

**თორნიკე ბრახდება და ხელს უშვებს ოლიკოს.**

**თორნიკე** — პატარა ბავშვივით ნუ მელაპარაკები! დედოიკოები არ მჭირდება.

**ოლიკო** — (ამშვიდებს) რატომ ბრახობ? მოდი დავსხდეთ და... არ გშოა? გინდა რალაცას მოგიმზადებ? ძალიან კარგი ხაჭაპურის კეთება ვიცი!

**თორნიკე** — ხაჭაპური?

**ოლიკო** — ჰოო! ხაჭაპურს გამოვაცხოზ! ათ-თხუთმეტ წუთში იქნება. მანამდე ტელევიზორს უყურე, ან მუსიკა ჩართე. გაერთე. გინდა მაცაცოსაც დაფუძახებ, იმასაც გაცნობ?

**თორნიკე** — მაცაცო ვინ არის?

**ოლიკო** — მაცაცო შენი... ჩემი გოგონაა!

**თორნიკე** — შენი გოგო გინდა გამაცნო?

**ოლიკო** — იცი, რა კარგი ბავშვია?

**ოლიკო შირმის უკან გადის და იქ იწყებს გამოცვლას.**

**თორნიკე ამ დროს დაბნეულია და, არ იცის, რა ქნას.**

**ოლიკო** — აუცილებლად დამეგობრდებით. კარგი იქნებოდა ადრე გამეცნო... მაგრამ უფაღმა როცა ინება, მაშინ შეგვახვედრა ერთმანეთს.

**შემოდის ოლიკო, მას მაცაცო შემოჰყავს. თორნიკე მის დანახვაზე იბნევა.**

**ოლიკო** — ეს მაცაცოა! მიესალმე თორნიკეს!

**მაცაცო** — კარგი რა, დედა?

**თორნიკე** — მთელი ამ ხნის მანძილზე აქ იყო?

**ოლიკო** — ჰოო. იმაღლებოდა უნამუსო.

**მაცაცო** — დედა?!

**თორნიკე შირმას ეცემა და ვილაცას ეძებს.**

**თორნიკე** — აქ სადღაც შენი ქმარიც ხომ არ იმალება?

**ოლიკო** — (კატეგორიულად) შეწყვიტე თორნიკე სისულელები! დაჯექი!

**ოლიკოს ტონი იმდენად ბრძანებლურია, რომ ის იქვე სანოლზე ჯდება.**

**თორნიკე** — (დაბნეული და შეშინებული) ოლიკო ხარ თუ კლეოპატრა, გამაგებინე რა ხდება? აქ რატომ ვარ, მითხარი?

**ოლიკო** — ღმერთმა ასე ინება და იმიტომ. როგორი ხა-

ჭაპური გინდა, იმერული თუ აჩმა?

**თორნიკე** — რა დროს ხაჭაპურია!

**ოლიკო** — მიპასუხე, რომ გეკითხები!

**თორნიკე** — აჭარული!

**ოლიკო** — ასეც ვიცოდი! მეც და მაცაცოსაც აჭარული ხაჭაპური ყველა დანარჩენს გვირჩენია! მაცაცო, შეილო, აი ფული, ჩაირბინე თონეში, სამი კილო ცომი გამოართვი.

**მაცაცოს ფულს აძლევს და ისიც გადის ოთახიდან.**

**თორნიკე** — მანამდე ყველს გავამზადებ.

**ოლიკო რთავს მუსიკალურ ცენტრს.**

**ოლიკო** — რომ არ მოიწყინო! სიმღერა გიყვარს?

**თორნიკე** — (ფეთქდება) რა სიმღერა, რა ხაჭაპური, რა მაცაცო! სულ დაუფსტვინე, ქალო?

**ოლიკო** — ხმას ნუ უნევ, თორნიკე! არ გეკადრება!

**თორნიკე** — რა არ მეკადრება, ქალო!

**ოლიკო** — ნუ ყვირი!

**თორნიკე** — დაჯექი!

**ოლიკო** — რა დროს დაჯდომავ! მალე მაცაცო ცომს მოიტანს!

**თორნიკე** — დაჯექი, თორემ!

**თორნიკე მთელი ძალით ხელს დაკრავს მაგიდას.**

**ოლიკო** — კარგი, ბატონო!

**თორნიკე სვამს არაყს.**

**თორნიკე** — შენ ვინა ხარ?

**ოლიკო** — რა უცნაური შეკითხვაა! ქალი ვარ, დედა და მეუღლე.

**თორნიკე** — გადამრევს ეს ქალი! შენი არსებობის შესახებ ჩემი თანატოლებისაგან გავიგე. ბარშიც რამდენჯერმე შეგვხვდით! კლეოპატრა გაქვს მეტსახელი, ეგრე არ არის? ისე ოლიკო გქვია, არა? იმ ბარში ხარ ყოველთვის, სადაც ყოფაქცევის ქალები პოულობენ კლიენტებს! ხომ ასეა? მე ვინა ვარ!

**ოლიკო** — თორნიკე ხარ!

**თორნიკე** — თორნიკე ვარ ჩემი ახლობლებისთვის. შენთვის კი კლიენტი ვარ! მხოლოდ და მხოლოდ კლიენტი, რომელიც არ მოსულა აქ ხაჭაპურის საქმელად და მაცაცოს გასაცნობად! აქ კონკრეტული საქმისთვის ვარ მოსული. გასაგებია! აქ მოვედი, რათა ვიფიქროთ! გასაგებია?

**ოლიკო** — ერთმანეთს რომ შეგვხვდით, ეს ბედა. როცა გავიხადე, იმიტომ შეგინუხდა გული. (სევდიანად იღიმება) მინდოდა კარგად გაგეცანი, სხვანაირად დაგენახე და მერე... მერე, დიდი ხნის მერე ალბათ გეტყოდი...

**თორნიკე** — რაეხს რომაე? რას მეტყოდი? ქალო, ავად ხომ არა ხარ?

**ოლიკო** — ავად? (პაუზა. ისინი დიდხანს უყურებენ ერთმანეთს) გახსოვს, გითხარი ზოგიერთი კლიენტის დასჯაზე? **თორნიკე** — მითხარი და მერე რა?

**ოლიკო** — (თბილად) როცა კლიენტი მომწონს, ვცდილობ ვიყო ძალიან ყურადღებიანი... მინდა უფრო ახლოს გავიცნო. შენ ახლა ძალიან კარგად გიცნობ!

**პაუზა.**

**თორნიკე** — მერე!

**ოლიკო** — კლიენტი თუ არამზადაა, რომელსაც არ უნდა ჩემთან საუბარი...

**თორნიკე** — მერე?

**ოლიკო** — მას აუცილებლად ვსჯი!

**თორნიკე** — როგორ?

**ოლიკო** — ვაძლევ ყველაფრის უფლებას.

**თორნიკე** — ყველაფრის?

**ოლიკო** — ჰოო, ყველაფრის უფლებას.

**თორნიკე** — მერე, ეგ რა დასჯაა?

**ოლიკო** — (ანყვეტინებს) შენ სხვა ხარ! შენ ხარ ბიჭი, რომელსაც ჰყავს შეყვარებული და, როგორც ვატყობ, იცის სიყვარულის ფასი... და პირველად აკეთებს ამას... და თან თექვსმეტი წლისაა...

**თორნიკე** — თექვსმეტი წლის ვარ, მერე რა?

**ოლიკო** — მერე ის, რომ გინდა სიმართლეს გეტყვი?

**თორნიკე** — რა სიმართლეს? იმას, რომ კარგი ხაჭაპურის გამოცხოება იცი?

**თორნიკე** სვამს არაყს. ისინი უხმოდ უყურებენ ერთმანეთს.

**ოლიკო** — მართალი ხარ, ავად ვარ!

**თორნიკე** — რაა?

**თორნიკე** ფეხზე წამოვარდება და გაქცევას აპირებს, მაგრამ **ოლიკოს** ისტერიული სიცილი შეაკავებს.

**ოლიკო** — შეგეშინდა? ხუმრობა არ იცი, ბიჭო? რა პატარა ბავშვივით იქცევი...

**თორნიკე** — ისუმრე, არა?

**თორნიკე** კარს რაზავს. ეცემა **ოლიკოს** და **სანოლზე** ავდებს. მათ შორის იწყება უმოწყალო ბრძოლა.

**თორნიკე** — გიჩვენებ სეირს! ახლა ნახავ, რას გიზამ! პატარა ბავშვი გგონივარ, არა?

**ოლიკო** — არ გინდა, თორნიკე! არ გინდა! მაპატიე! არ ქნა! თორნიკე, შენი დედა ვარ!

**ამ სიტყვებზე თორნიკე თავს ანებებს ოლიკოს.**

**ოლიკო** — ჩვიდმეტი წლის წინ მამაშენმა „შემაბა“ პატარა, სულელი, ღარიბი გოგონა და... მერე ბავშვი გავაჩინე კიდეც! მერე მამაშენი გაუჩინარდა. გაიგე? დიდხანს ვეძებდი... ვერ ვიპოვე... იმიტომ, რომ მამაშენმა სახელიც და გვარიც მომატყუა! მერე, როგორც ჩანს, დიდი ხნით საქართველოდან ნახვედით და იმიტომ ვერ გიპოვე! ჰკითხე მამაშენს. თუ დაგიმალა: უთხარი, ძალიან გაინტერესებს „სასო“ რას ნიშნავსთქო? დედაშენსაც ჰკითხე ჩემს შესახებ, ყველაფერი მაგ გველაძუას ბრალია... ისეც ისეთი, სუსუკა-პუსუკაა? თუ გამოავლინა ნამდვილი გველური სახე?

**თორნიკე** — დედაჩემს თავი დაანებე! შენი ბოზი დედაც!

**დედის ხსენებაზე თორნიკე ისტერიკაში ვარდება. ოლიკოს კაბას შემოახვევს და იწყებს შარვლის გახდას. ოლიკო ხელს ჩავლებს გოჭს და თორნიკეს მთელი ძალით ესვრის. თორნიკე აიცდენს და მთელი ძალით დაარტყამს ოლიკოს. ამ დროს ჯიბიდან საფულე ამოუვარდება.**

**თორნიკე** — შენი ბოზი დედაც! დედაჩემის და მამაჩემის ხსენებისას პირი გამოიბანე! შენი დედაც!

**ოლიკო** ლეიბებს შორის დამალულ დანას იღებს და **თორნიკეს** უშვერს.

**ოლიკო** — თორნიკე, ყველაზე მეტად ამ ცხოვრებაში შენი ნახვა მინდოდა, მაგრამ თუ ერთ ნაბიჯს ვადმოვდგამ, იცოდე თავს მოვიკლავ!

**თორნიკე** — დედაჩემის და მამაჩემის ხსენებისას პირი გამოიბანე!

**თორნიკე** იატაკზე დაყრილი ფულიდან იღებს ოცლარიანს და გარბის.

**თორნიკეს ხმა** — შენი დედაც!

**მაცაცო** — უზრდელო და თავხედო!

**შემოდის მაცაცო. ოლიკო სისხლს ინმენდს სახიდან. ამ სურათის დანახვაზე მაცაცოს ისტერიკა დემართება.**

**მაცაცო** — დედა! დედა! დედა!

**ოლიკო** — კარგი, კარგი, დამშვიდდი!

**ოლიკო** ნელ-ნელა მშვიდდება.

**ოლიკო** — ცომი მოიტანე?

**მაცაცო** — ჰო, მოვიტანე!

**ოლიკო** — ძალიან კარგი!

**იატაკზე დადებულ საფულეს ამჩნევს. იღებს და შიგ იხე-დება. კმაყოფილი იღიმება.**

**მაცაცო** — ვინ იყო ეს დეგენერატი?

**ოლიკო** — შენი ძმა!

**მაცაცო** — რაა?

**ოლიკო** — ჰოო, მაცაცო! შენი გადარეული, დაკარგული უფროსი ნახევარ-ძმა!

**მაცაცო** — მართლა ვიპოვეთ?

**ოლიკო** — ჰოო, მართლა! ახლა კი ხაჭაპურები გავაკეთოთ! დავნაყრდეთ და ხვლიდან კი შენს ძმასთან ნავიდეთ! ხომ ხედავ, მაინც ვიპოვე ჩემი ძალიან დაკარგული შვილი! ხანდახან ბევრი ნაგავი უნდა თხარო, დაკარგული მარგალიტი რომ იპოვო!

**ეხუტებიან ერთმანეთს.**

**ჩაბნელება**

სასო

**დოდო** — მამა. ორმოცს გადაცილებული ნვერიანი კაცი.

**ოლიკო** — დოდოს ყოფილი საყვარელი, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

**თორნიკე** — შვილი.

**თბილისი, ჩვენი დრო. დოდო მარტოა შინ და უყურებს ტელევიზორს, დროდადრო საათს გახედავს.**

**დოდო** — სად არის ამდენ ხანს?

**სცენის მეორე კუთხეში გამოჩნდება ოლიკო, რომელიც რეკავს ტელეფონით. ზარი დოდოს სახლში გაისმის.**

**დოდო** — (იღებს ყურმილს) გისმენთ?

**ოლიკო** — დოდო?

**დოდო** — დიახ...

**ოლიკო** — მარტო ხარ? შეგიძლია მელაპარაკო?

**დოდო** — ვინა ხარ?

**ოლიკო** — ოლიკო ვარ!

**დოდო** — რომელი ოლიკო?

**ოლიკო** — ოლიკოები ბევრი გყავდა? დაგავინწყდი?

**დოდო** — (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) მაპატიეთ, ვერ გიცანით...

**ოლიკო** — (კატეგორიულად) დოდო, გამიხსენე... ძალიან გთხოვ, გამიხსენე.

**დოდო** — მაპატიეთ, მაგრამ... თქვენ გინდათ გაგიხსენოთ მხოლოდ ხმით? თან ისეთი სახელით, რომელიც მარტო ამ სახლში დაახლოებით თხუთმეტს მაინც ჰქვია.

**ოლიკო** — მაგრამ არა ისეთი, როგორც მე ვარ. არა ისეთი ახლობელი, როგორც შენთვის ვარ.

**დოდო** — ძალიან დაკავებული ვარ და დრო არა მაქვს.

**ოლიკო** — (ანყვეტინებს) თვალთმაქცობ, არა? იმწუთასვე გაგახსენდი... ოლიკო ხომ ის ქალია, რომელიც გამოაშტერე, მერე მოატყუე, მერე კი მინასთან გაასწორე... გამიხსენე, როგორ გიყვარდი. როგორ გრძნობით და თავდავინწყებით ვეძლეოდით ერთმანეთს...

**დოდო** — (დამცინავად) თავდავინწყებით და გრძნობით?

**ოლიკო** — სასაცილოა, არა?

**დოდო** — ან ნომერი შეგეშალა, ან ძალიან ცუდად ხუმრობ! თუ შეიძლება, ქალბატონო, დამანებეთ თავი...

**ოლიკო** — (ანწყვეტინებს) ასეთი ოფიციალური ტონით რატომ მელაპარაკები?

**დოდო** — მაპატიეთ, მაგრამ არ მახსოვხართ! ვერ გიხსენებთ.

**ოლიკო** — ჩვიდმეტი წლის წინ. ნაქირავეები ბინა, მეტეხთან. ყვავილებით მორთული პატარა აივანი, რომელიც მტკვარზე იყო გადმოკიდებული და ნარიყალას უყურებდა...

**პაუზა.**

**დოდო** — (იხსენებს) ნარიყალას უყურებდა ვარდებით მორთული აივანი.

**ოლიკო** — გაგახსენდა? ხის უზარმაზარი ტახტი გახსოვს? კედელზე გაკრული ძველისძველი ხალიჩა...

**დოდო** — (გაურკვევლად) შეიძლება მახსოვს, შეიძლება არც კი მახსოვს... ოლიკო, ჩემო კარგო, ეგ ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინ იყო... ახლა სხვა დროა. თხუთმეტი წელი გავიდა... სხვანაირი ადამიანი გავხდი. შენც ალბათ შეიცვალე... იმედია ბედნიერი ხარ, ძალიან მიხარია, რომ მიპოვე და დამირეკე, მაგრამ ახლა უნდა დაგემშვიდობო... ნახვამდის.

**ოლიკო** — არა, არა, მოიცადე. ძალიან გთხოვ, კარგად გამიხსენო. არ შეიძლება დაივიწყო ის ადამიანი, ვისაც ამდენი... ამდენი ცუდი გაუკეთე... ვინც, დარწმუნებული ვარ, გიყვარდა.

**დოდო** — (ლაპარაკის დამთავრება უნდა) მომისმინე, ოლიკო. ყველაფერი მახსოვს. შენ საოცარი ადამიანი იყავი და იმედია ახლაც ხარ. ჩვენი ურთიერთობა სხვანაირად დაიწყო, სხვანაირად განვითარდა და დამთავრდა, ისე როგორც უნდა დამთავრებულიყო. ძალიან ბევრი დაგიშავე. მაპატიე. ძალიან გთხოვ, მაპატიე. ახლა კი ნახვამდის. უფრო სწორად, მშვიდობით.

**ოლიკო** — ყოველთვის მიყვარდი.

**დოდო** — ძალიან სასიამოვნოა. დიდი მადლობა და მშვიდობით!

**ოლიკო** — არა! ჯერ უნდა დამიმტკიცო, რომ გახსოვარ. ნამდვილად გახსოვარ და გახსოვს ყველაფერი ის, რაც ჩვენ შორის მოხდა...

**დოდო** — საოცარი დრო იყო. ყველაფერი ისეთი უზრალო და ადვილი გვეგონა, რომ კონტროლის უნარი დავკარგეთ და...

**ოლიკო** — რომელიღაცა ფილმის პერსონაჟებს დავემგვანეთ?

**დოდო** — „უკანასკნელი ტანგო პარიზში“.

**ოლიკო** — ჰოო! ჰოო! ღმერთო ჩემო, რეებს არ ვაკე-

თებდით, გახსოვს?

**დოდო** — რა გინდა? საწოლში რეებს ვაკეთებდით, ის გავიხსენო? თუ სად რას ვეუბნებოდით, ან რაზე ვიცინოდით? ასე დეტალურად არ მახსოვს.

**ოლიკო** — თუ გინდა დაგიჯერო, რომ ბევრი რამ გახსოვს. მითხარი ის სიტყვა, რაც ჩვენს ურთიერთობას დავარქვით... საიდუმლო, კოდირებული სიტყვა, რომელიც მხოლოდ ჩვენ უნდა გვცოდნოდა... გახსოვს?

**დოდო** — (არ უნდა გახსენება) რა მახსოვს, იმდენ სისულელეს ვეუბნებოდით ერთმანეთს.

**ოლიკო** — სასო!? სასო — სასოება დაგვიწყდა? სასო-სასოება, ძალიან მოგვეწონა, ეს ლექსიკონში ვიპოვეთ, მარჩიელობისას... როცა გვინდოდა გავვეგო პასუხი შეკითხვაზე: „რა გვჭირდება ბედნიერებისათვის?..“ პასუხს როგორ ვეძებდით, გახსოვს?

**დოდო** — დაახლოებით!

**ოლიკო** — ეს იყო წელიწადის 361-ე დღე, ანუ 27 დეკემბერი, ჩვენს ბიჭზე ვიყავი ორსულად — მეშვიდე თვეზე, იმ ლექსიკონის ნიგნში 361-ე გვერდზე...

**დოდო** — ნეიმანის ლექსიკონში!

**ოლიკო** — ჰო, ზემოდან მეშვიდე სიტყვა იყო - სასო!

**დოდო** — სასო — რწმენაა!

**ოლიკო** — ჰოო, სასო — რწმენას ნიშნავს! გაგახსენდა?.. თორნიკე ვნახე და გამახსენდა! როგორ გგავს? ჩემი მხოლოდ თმის ფერი აქვს...

**დოდო** — (ანწყვეტინებს) სად ნახე? როდის?

**ოლიკო** — ვნახე! დიდხანს

გეძებდით და გნახეთ! სასო — რწმენაა!

**დოდო** — ტელეფონის ნომერი თვითონ მოგცა?

**ოლიკო** — რა მნიშვნელობა აქვს.

**დოდო** — რაიმე უთხარი?

**ოლიკო** — თითქმის!

**დოდო** — „თითქმის“ რას ნიშნავს?

**ოლიკო** — არ ვიცი! მხოლოდ გამოველაპარაკე! უსიამოვნო ტიპებთან ერთად დადის! იმ ტიპებს ვიცნობ და იცოდე, თორნიკეს ძალიან ცუდ ამბავს დაანერგე!

**დოდო** — არა, არა! თორნიკემ დიდიხანია თავი დაანება მათთან ურთიერთობას! ძალიან გთხოვ, აქ აღარ დარეკო! ძალიან გთხოვ, იმასაც დაანებო თავი! ნუ დაანგრევ ყველაფერს, რაც... (არ იცის, რა უთხრას) სად ნახე, მითხარი? ძალიან გთხოვ...

**ოლიკო** — ყოველი წამი, რაც მასთან ერთად გავატარე... იმხელა სიამოვნებას და ტკივილს მანიჭებდა, რომ... არაჩვეულებრივი ბიჭია, ცოტა მორიდებულია, კეთილი და გულგრილი... ალბათ, შენი ცოლი ძალიან ბედნიერია.



მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი



**დოდო** — ჩემი მეუღლე გარდაიცვალა! სისხლის გათეთრებით! ორი წლის წინ! უნდოდა აქ დასაფლავებულიყო! ამიტომ დავბრუნდი!

**პაუზა.**

**ოლიკო** — ვიზიარებ!

**პაუზა.**

**დოდო** — მაგარი ადამიანი და საოცარი ქალი იყო...

**პაუზა.**

**დოდო** — ძალიან გამიჭირდა... ძნელია, როცა შეთანხმება ნელ-ნელა სხვა გრძობებში გადადის... მერე ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა... მაგრამ ის მაინც წერვიულობდა, ძალიან განიცდიდა, რომ თორნიკე მისი არ იყო და... ამანაც ხელი შეუწყო ავადმყოფობის განვითარებას და... ყველაფერი ასე დამთავრდა...

**ოლიკო** — მეც გამიჭირდა. მაგრამ ცხოვრება მიდის და ჩვენც ვმოძრაობთ მასთან ერთად... იმდენი ვიმოძრავე, სანამ არ გიპოვეთ...

**დოდო** — არა! ძალიან გთხოვ... რაც იყო, იყო. ყველაფერი დამთავრდა და ახლა...

**ოლიკო** — თორნიკეს ნახვას მიკრძალავ?

**დოდო** — არა, მაგრამ... ახლა იმ ხნისაა, უკეთესი იქნება... დედის გარდაცვალების მერე ვერ ვაკონტროლებ... გამოიცვალა. თითქოს გამიბრბის. არ მინდა დავკარგო.

**ოლიკო** — არც მე მინდა დავკარგო!

**დოდო** — ძალიან გთხოვ! ყველაფერი შეიცვალა და ისე არ არის, და არც იქნება როგორც გვინდა გინდა ფულს მოგცემ? ისეთი მდიდარი არა ვარ, მაგრამ რაც შემიძლია...

**პაუზა.**

**ოლიკო** — მაინც რამდენს?

**დოდო** — არ ვიცი, რამდენი გინდა?

**ოლიკო** — ბევრი. ძალიან ბევრი!

**დოდო** — ბევრი? ბევრი რამდენია?

**ოლიკო** — იმდენი, რამდენიც შენ გგონია!

**პაუზა.**

**დოდო** — სად მოგიტანო?

**ოლიკო** — იქ, ნაქირავებში. ყვავილებიან აივანზე. მისამართი გახსოვს?

**დოდო** — ის სახლი დიდხანია დაანგრის.

**ოლიკო** — მის ადგილას მშვენიერი სასტუმროა, საუნიტო და ლამის კლუბით, რომლის აივანი ყვავილებითაა მორთული... ცნობილი ადგილია. აქ დიდი ასორტიმენტია... ქალების, მუცლის ცეკვები და სტრიპტიზი.

**დოდო** — მუცლის ცეკვები და სტრიპტიზი?

**ოლიკო** — ჰოო, ისინი კარგ ატმოსფეროს ქმნიან!

**დოდო** — მანდ მუშაობ?

**ოლიკო** — რაიმე პრეტენზია ხომ არა გაქვს?

**დოდო** — არა.

**ოლიკო** — ძალიან კარგი.

**პაუზა.**

**დოდო** — დიდი ხანია მანდ მუშაობ?

**ოლიკო** — რაც გაიხსნა, მას მერე! აქ ოლიკოდ არ მიცნობენ! სხვა სახელი მქვია, შეიძლება გაგიგია კიდევ! „კლეოპატრას“ მეძახიან!

**დოდო** — კლეოპატრას? არა, არ გამიგია.

**ოლიკო** — თორნიკესაც პირველად იქ შევხვდი!.. როგორც კი დავინახე, იმუთასვე გავიფიქრე, საიდანღაც მეცნობა ეს სიმპატიური ბიჭუნა-მეთქი! დიდხანს ვიფიქრე, ვუყურე. იმდენხანს, სანამ თვითონ მომიახლოვდებოდა და

გამომელაპარაკებოდა. ასე გავიცანი ჩემი შვილი.

**დოდო** — კლეოპატრად გაცვანი?

**ოლიკო** — არა, ეგრევე ვუთხარი, რომ მისი დედა ვიყავი...

**პაუზა. ოლიკო იცინის.**

**დოდო** — ის სახლი, სადაც მე და შენ... ახლა ბორდელია?

**ოლიკო** — დაახლოებით. უფრო გასართობი ადგილია... მაგრამ თუ ვინმეს მოუნდება, პრობლემა არ არის. მსურველები კი ბევრია. განსაკუთრებით ქალწული ბიჭუნები, რომლებიც პირველად წვებიან ქალებთან. ჰიგიენის და ჯანმრთელობის მხრივ ისინი დაცულები არიან... ამიტომ ძალიან პოპულარულები ვართ!

**დოდო** — კლიენტი ბევრია, არა?

**ოლიკო** — საკმაოდ! მეც კარგ ფორმაში ვარ! ოცდაცამეტის ვარ და ოცდახუთზე მეტს ვერ მომცემ! მოდი! ერთი ღამე ან ერთი სეანსი ჩემთან და თავს იგრძნობ... მოდი გაიხსენოთ დაკარგული „სასო“, არ გინდა?

**პაუზა.**

**ოლიკო** — იცი, რა ვქნათ? მოხვალ, დაგიქირავოთ ოთახი და, როგორც მაშინ, კვირაში ოთხჯერ შევხვდეთ ერთმანეთს... ისეთივე ენერჯითა და ვნებით. იქნებ მართლაც რაღაც მოხდეს და... ეს იქნება უნიკალური ექსპერიმენტი. მერე კი ერთ დღეს ავდგეთ და ყველაფერი გავუმხილოთ თორნიკეს. კარგი?

**დოდო** — არა, ოლიკო, არ ღირს!

**პაუზა.**

**დოდო** — ღვთისმსახური ვარ და ჩემი ცხოვრება ძალიან შეიცვალა... მეც გეძებდი... მაგრამ მხოლოდ იმის მერე, რაც მეუღლე გარდამეცვალა... მინდოდა შენდობა მეთხოვა... ვერ გიპოვე... ახლა კი, როცა დამელაპარაკე, შემეშინდა... ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან შევიცვალე... მაპატიე, რომ გატყუებდი. მაპატიე ჩემი სულმოკლეობა. მეც ხომ ადამიანი ვარ. ყველაფრისთვის მაპატიე... კარგი?

**ოლიკო** — მღვდელი ხარ? რას მელაპარაკები? რამე რომ იყოს, ძველი ამბების გამო ცოდვებს არ შემიწოდებ, მამაო?

**დოდო** — გეყო დაცინვა! ძალიან გთხოვ... თუკი რაიმე გრძნობა ან მოგონება ძვირფასია ჩვენს შორის...

**ოლიკო** — ჩვენს შორის? საერთოდ ვინ ჩემი ფეხები ხარ? თორნიკე ჩემი შვილია...

**პაუზა.**

**დოდო** — ის უფრო ჩემი შვილია... რაზეც შევთანხმდით, ხომ აიღე? ახლა რაღა გინდა? ხომ არ გიშლი მის ნახვას. მხოლოდ გთხოვ, ცოტა ხანს მოიცადო... თორნიკე ძალიან მგრძობიარე ბიჭია. დედამისი... ჩემი ცოლი... როცა გარდაიცვალა, ორი კვირა ხმა არ ამოუღია... მერე თითქმის ერთი წელი დილიდან საღამომდე სასაფლაოზე ატარებდა... ძლიერ გამოვიდა... წარმოიდგინე, სიმართლეს რომ გაიგებს, რა მოუვა. ძალიან გთხოვ...

**პაუზა.**

**ოლიკო** — ყველაფერი რაღაც ღირს.

**დოდო** — რამდენი?

**პაუზა.**

**ოლიკო** — რაკი მღვდელი ხარ... მაშინ მოხვალ და ჩემთან ერთად გაატარებ ღამეს. გავიხსენებთ ყველაფერს, კარგი?

**დოდო** — ოლიკო, მღვდელი ვარ!

**ოლიკო** — ჰოდა, გადამარჩინე! შენი დახმარებით გავხდი მეძავი! მოინანიე. ახლა მეც მიშველი, მამაო?

პაუზა.

**ოლიკო** — დამთანხმდი, თორემ არ გაგიგებ! იმიტომ, რომ ამ დღეს ძალიან დიდი ხანი ველოდი. შენ იცი, რა ჰქენი? იცი, რა ჰქენი? იმის მაგივრად, რომ უბრალოდ „ვილაც ფულიანი კლიენტი“ ყოფილიყავი... თავი შემაყვარე, მერე კი სულში ჩამაფურთხე! როცა დამაჯერე, რომ სიყვარულის და ბედნიერების ღირსი ვიყავი, ერთი მოქნევით მოქნევი ყველაფერი!

**დოდო** — არ მიფიქრია, რომ ის ყურადღება... ზედმეტი ყურადღება ორივეში ასეთ გრძნობებს გამოიწვევდა...

**ოლიკო** — არამზადავ! დიდი ხანია „განიმინდე“?

**დოდო** — მაპატიე.

**ოლიკო** — ნუ მაცინებ! გიხდებიან ლოცვებში ფულს? მეც გადამიხადე!

**დოდო** — გადაგიხდი. აუცილებლად გადაგიხდი!

**ოლიკო** — როდის?

პაუზა.

**დოდო** — მოდი ტაძარში ჩემთან და დავილაპარაკოთ! ყველაფერზე იქ მოვრიგდეთ!

**პაუზა.** **ოლიკოს უხერხულობა ეტყობა, ის არ მოელოდა ასეთ პასუხს.**

**ოლიკო** — მოვალ! თუ გგონია, შენი ეკლესიის შემეშინდება, ძალიან ცდები!

**დოდო** — მხოლოდ გრძელი კაბით და მაკიაჟის გარეშე! კარგი?

**ოლიკო** — რა, გეშინია იქვე არ შეგაცდინო?

**დოდო** — ჰოო! ძალიან მეშინია! კვირას დილიდან მოდი, ნირვაზე! შენი სამსახურის აივანი პირდაპირ უყურებს ჩემს ტაძარს. აუცილებლად მოდი, კარგი?

**ოლიკო** — ეჭვიც არ შეგეპაროს! მამაო!

**ოლიკო** კიდებს ტელეფონს. **დოდო** ჩაფიქრებული კიდებს ყურმილს და პირჯვარს იწერს. შემოდის **თორნიკე**. ალგზნებულობა და შეიძლება ცოტა ნასვამიც.

**დოდო** — (მორიდებით) ხომ არ გშია?

**თორნიკე** გაბრაზებული უახლოვდება მამას. **დიდხანს** გამოწვევად უყურებს. შემდეგ მიბრუნდება ფანჯრისაკენ. ცდილობს გააღოს. ვერ ალებს. გაბრაზებული ურტყამს ხელს ფანჯრის რაფას.

**დოდო** — რა მოგივიდა? რალაც მოხდა?

**თორნიკე** — აბა, რა?! შარში გავეხვიე, ცოდვა ჩავიდინე, ვინმე გადავფრე, რალაც გავაფუჭე!

**დოდო** — რატომ ყვირი? შენთვის მგონი არაფერი დამიშავებია!

**თორნიკე** — გგონია ისევ პატარა ვარ და ყოველ წამს მჭირდება შენი დარიგებები, არა? იქნებ შენზე მეტი ვიცი და იქით შემიძლია ჭკუა დაგარიგო!

**დოდო** — შეგიძლია, აბა რა!.. მითხარი, მაინც რა მოხდა?

**თორნიკე** — რატომ ცდილობ ყოველთვის მასწავლებლის ტონით მელაპარაკო?

**დოდო** — საიდან მოიტანე? ყოველთვის ასე ვლაპარაკობ!

**თორნიკე** — ჰოო. ყოველთვის ასე ლაპარაკობ და ისე იქცევი, თითქოს ყველაზე ჭკვიანი და მაგარი ხარ!

**დოდო** — თორნიკე, შვილო, ზედმეტი ხომ არ მოგდის?

**თორნიკე** — მომდის! მომდის, რა ცუდია, ხანდახან ადამიანს ზედმეტი რომ მოგივიდეს?

**დოდო** — გააჩნია „რა“ ზედმეტობაზე ლაპარაკობ?

**თორნიკე** — (ცდილობს მამას მიბაძოს) გააჩნია „რა“

ზედმეტობაზე ლაპარაკობ?

**დოდო** — (უახლოვდება **თორნიკეს**) მამა, ნასვამი ხარ? არა უშავს. წამო დავწვეთ, გამოვიძინოთ და მერე ვილაპარაკოთ!

**თორნიკე** — სულ მაინტერესებს, მღვდელი რატომ გახდი?

**დოდო** — იმიტომ, რომ მწამს.

**თორნიკე** — სტანდარტული პასუხია. ისევ სტანდარტული პასუხია... რატომ?

**დოდო** — რალაც არაორდინარული გინდა გითხრა? ვერ გეტყვი, იმიტომ, რომ არა მაქვს ასეთი პასუხი!

**თორნიკე** — აქამდე როგორ იცხოვრე ასეთი არაორდინარული ცხოვრებით? ნუთუ არასოდეს გიგიჟია?

**დოდო** — სიგიჟის პერიოდი ყველას ჰქონდა, მეც მათ შორის. ანაფორით კი არ დავბადებულვარ! თავის დროზე მაგრად მისულელია კიდეც!

**თორნიკე** — ახლა სულელი მე ვარ?

**დოდო** — ეგ შენი გადასაწყვეტია!

**თორნიკე** — ვინ გითხრა, რომ ჩემი გადასაწყვეტია?

**დოდო** — ცხოვრებამ.

**თორნიკე** — ცხოვრება მაგარი ტიპია, არა?

**დოდო** — ეგეც შენი გადასაწყვეტია, მაგარია თუ არა!

**თორნიკე** — უყურე შენ? ეგეც ჩემი გადასაწყვეტი ყოფილა!.. მაშინ რალატომ ერევი ჩემს ცხოვრებაში?

**დოდო** — (იცინის) იმიტომ, რომ არ მოტყუვდე! რაიმეში არ შეცდე! ვინმემ არ გაგაცუროს! ბევრი ნაგავი რომ არ თხარო დაკარგული მარგალიტის მოსაძებნად!

**თორნიკე** — (უყურებს და ირონიულად ამბობს) რა მაგარი ხარ. (ნელა) არ მოტყუვდე? არ შეცდე? არ გაგაცურონ! ბევრი ნაგავი არ ვთხარო! (პაუზა. ყურადღებით უყურებენ ერთმანეთს) შენც ასე გარიგებდა მამაშენი?

**დოდო** — მარიგებდა.

**თორნიკე** — შენც ყურს უგდებდი, არა?

**დოდო** — აბა, რა.

**თორნიკე** — ძან მაინტერესებს, როგორი იყავი მაშინ, როცა გავჩნდი?

**დოდო** — სურათები ხომ გაქვს ნანახი.

**თორნიკე** — სურათებიც და ვიდეოც, მაგრამ ეს სხვაა...

მითხარი, ჯიგარი იყავი?

**დოდო** — შენთვის?

**თორნიკე** — ყველასთვის! ისეთი, როგორიც ახლა ხარ, იყავი?

**დოდო** — არა მგონია... ასე რატომ დაინტერესდი ჩემი შორეული წარსულით?

**თორნიკე** — ძალიან მაინტერესებს ჩვენი ოჯახის ისტორია!

**დოდო** — ყველაფერი ისედაც ძალიან კარგად იცი!

**თორნიკე** — (იცინის) აბა, რა ვიცი! სინამდვილე ვიცი? არასოდეს მიყვები სიმართლეს! მხოლოდ ის ვიცი, რაც უნდა ვიცოდე. ეს „უნდა“ კი იმდენად ცოტაა, ხანდახან თავი ვილაც წმინდანის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების მეორეხარისხოვანი პერსონაჟი მგონია!

**დოდო** — გეყო სისულელები. რაც დალიე, ეგეც გეყოფა. ახლა დაწე, გამოიძინე და დანარჩენზე ხვალ ვილაპარაკოთ!

**თორნიკე** — ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი! როსლა გელირსოს შენ გაღვიძება?!

**დოდო** — ხვალ მოგიყვები. ახლა კი ძილი, გვიანია!

**თორნიკე** — მამა. დედას გარდა გყვარებია ვინმე?

**დოდო** — ხვალ!

**თორნიკე** — რამდენი გყავდა?

**დოდო** — სიყვარული გაინტერესებს თუ რაიმე სხვა?

**თორნიკე** — არ მომატყუო, კარგი?

**დოდო** — არასოდეს მომიტყუებხარ! ყოველთვის გეუბნებოდი იმას...

**თორნიკე** — რასაც თვლიდი საჭიროს!

**დოდო** — მეტი აღარ დალიო, კარგი! ჯერ შენთვის ადრეა. მაგის დროც მოვა. ვისთან ერთად სვამდი?

**თორნიკე** — მარტომ დავლიე... რალაც მითხრეს და დავლიე. სიმართლე მითხარი! არაფერი დამიმალე, კარგი?

**დოდო** — ყოველ უსიამოვნო სიტყვის გაგონებაზე თუ დალიე, ვალთდები!

**თორნიკე** — შენ და დედა არაფერს მიმალავდით?

**დოდო** — მაინც რას?

**თორნიკე** — (პაუზა. ერთმანეთს უყურებენ) ძმა ან და რატომ არ გამიჩინეთ? იცი, როგორი მარტო ვარ? მეგობრებიც მყავს. ნათესაუბიც, მაგრამ ძმა ან და სულ სხვა იქნებოდა? თუ არ გინდოდათ ან არ შეგეძლოთ, გეშვილათ მაინც?

**პაუზა.**

**დოდო** — (დიდხანს უყურებს თორნიკეს) მაინც გითხრა?

**თორნიკე** — ვინ? რა?

**დოდო** — იცი.

**თორნიკე** — (ბრაზდება) რა ვიცი? არაფერიც არ ვიცი! ვილაცას ვნახულობ და მიყვება იმას, რომ თურმე და მყოლია, შენ კი მიმალავდი... როგორ არ გრცხვენია? არ უნდა დავემალა! პატარა ხომ არა ვარ, გაგიგებდი და არც არავის ვეტყუოდი რაიმეს!

**დოდო** — (მშვიდად) რა და, რის და? საიდან მოიტანე?

**თორნიკე** — იცი, რა კარგი გოგონაა! ხაჭაპური უყვარს ძალიან! მაცაცო ჰქვია!

**დოდო** — სად ნახე?

**თორნიკე** — რა მნიშვნელობა აქვს! დედამისიც გავიცანინი... მაგარი თბილი ქალია! დიდი ხნის წინ გიცნობდა და უყვარდი, მგონი ახლაც უყვარხარ!

**დოდო** — რა სისულელეებს მელაპარაკები? ვინ მაცაცო? საიდან მოიტანე?

**თორნიკე** — გინდა მივიდეთ და ყველაფერს მიხვდები!

**დოდო** — გაგიჟდი? რალაც აბსურდებს ყვები.

**თორნიკე** — მივიდეთ რა?

**დოდო** — სად მეპატიჟები?

**თორნიკე** — იმ ქალთან!

**დოდო** — მღვდელი ეგეთ ადგილებში და ეგეთ ქალებთან არ დადის!

**თორნიკე** — რა იცი, სად გეპატიჟები, ან საიდან იცი, ის ქალი რას აკეთებს?

**პაუზა.**

**დოდო** — მივხვდი!

**თორნიკე** — რას მელაპარაკები, მართლა?

**პაუზა.**

**დოდო** — ის თვითონ მოვა ჩემთან და იქ ვილაპარაკოთ! ყველაფერი ვთქვათ!

**თორნიკე** — (ბრაზდება) ესე იგი მთელი ეს დრო ჩვენს შორის ძირითადად ტყუილი იყო?... სიმართლე არ ყოფილა ის, რაც მეგონა! გინდა, რომ სისულელე არ ჩავიდინო, გინდა, რომ არ მომატყუონ? შენც და დედაჩემიც კი მთელი ეს დრო მატყუებდით და მიმალავდით სიმართლეს. მიმალავ-

დით ნამდვილ...

**დოდო** — (მშვიდად) გგონია, მარტო ის ქალია მსხვერპლი? გგონია, რომ სიმართლე ყოველთვის კარგია? ან იცი კი რა არის სიმართლე? ის, რაც ბედნიერებას გაძლევს თუ ის, რაც გაბნევს ან გაბოროტებს?

**თორნიკე** — სიმართლე უნდა ვიცოდე. ბედნიერი ვიქნები, ბოროტი თუ დაბნეული, ეს უკვე ჩემი გადასაწყვეტია. პატარა არა ვარ, გაიგე?

**პაუზა. თორნიკე ჯდება და მამას უყურებს.**

**თორნიკე** — უცნაური სცენები მომდის თავში, როცა ვიჯერებ იმ ქალის ნათქვამს... მაგრამ, როცა არ ვიჯერებ, მაშინაც არანაკლები სცენები მიდგება თვალწინ.

**დოდო** — დღეს მთავარი ის კი არ არის, რა მოხდა მაშინ, იმიტომ, რომ შენთვის ცუდი არაფერი მომხდარა...

**თორნიკე** — რა იცი, რა არის ცუდი და რა კარგი?

**დოდო** — ვიცი, თორნიკე, ვიცი! იმიტომ, რომ გაგზარდე! ხომ იყავი ბედნიერი? გაიხსენე, როგორ განიცადე დედის დაკარგვა. განა გყავდა მასზე კარგი მეგობარი? განა ის ცუდი დედა იყო? ან შეედრება იმას, ვინც ახლა ნახე?

**თორნიკე** — კარგი კინო იყო, მაგრამ ახლა კინო დამთავრდა.

**დოდო** — კინო? ჩვენ ხელოვნურები და ყალბები არ ვყოფილვართ.

**თორნიკე** — იყავით! იყავით და ახლაც ცდილობ, იყო!

**დოდო** — (მშვიდად) გათენდება და ნავალთ ეკლესიაში! თუ მოვა ის ქალი, დაველაპარაკოთ! მერე ჩვენ დავილაპარაკოთ!

**თორნიკე** — (მერყეობს) არ ვიცი, რამდენად ღირს... თან უკვე ყველაფერი ვიცი, ახლა მხოლოდ ჩვენ გვაქვს სალაპარაკო!

**დოდო** — გამოიძინე და მერე...

**თორნიკე** — კარგი, ბატონო.

**დოდო** — ადრეც გვინდოდა შენთან დალაპარაკება, მაგრამ არ ვიცოდით, როგორ... მერე დედა ავად გახდა, მერე კი... რაკი ახლა იცი... ალბათ ასეც სჯობს!

**თორნიკე** — (ლაშის ტირის) ნეტა ადრე მცოდნოდა. ძალიან ცუდად მოვიქეცი! ძალიან ცუდად!

**დოდო** — არა უშავს, შენს სიმთვრალეს და ნალაპარაკებს როგორმე გადავიტან!

**თორნიკე** — სულ საკუთარ თავთან აიგივებ ყველაფერს! (ლაშის ტირის) საკუთარ თავთან...

**დოდო** — წამო, დაიძინე!

**თორნიკე** — არა!

**დოდო** — ისევ თავიდან იწყებ?

**თორნიკე** — არა! ვერ დავიძინებ! ვერ დავიძინებ! არც დავიძინებ!

**დოდო** — კარგი, ბატონო, ოღონდ ნუ ყვირი!

**თორნიკე** — მსახიობები ხართ სუყველა! მსახიობები! ის, ყველაფერთან ერთად, ბოზიცაა! ბოზი! ცნობილი ბოზი, რომელთანაც თითქმის ყველა ჩემი ნაცნობი იწვა! ყველა!

**მამის წინ დგას მუშტებშეკრული.**

**დოდო** — (მშვიდად) არა უშავს, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება!

**თორნიკე** — რა მაგარი ხარ? ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, არა! რამდენიმე საათის წინ გავიგე, რომ და მყავს, მამაჩემი კი, რომელიც ლამის წმინდანი მეგონა, ქალაქში ცნობილ მეძავთან დადის. ქალთან, რომელიც მას ქმარს

ეძახის და... რომელთანაც კინალამ მეც ვიყავი...

**დოდო** — ყველაფერი ისე არაა, როგორც გგონია... მალე გაიგებ სიმართლეს, რაც დიდი ხნის წინ უნდა მეთქვა, მაგრამ ვერ გეუბნებოდი!

**თორნიკე** — კიდე რა უნდა გავიგო? ან რა უნდა მოხდეს, მითხარი!

**პაუზა. დაჟინებით უყურებენ ერთმანეთს.**

**დოდო** — შვილო, რა გინდა?

**თორნიკე** — არ მინდა, გუშინდელი დღე რომ არსებობდეს ჩემს ცხოვრებაში! არ მინდა? შეგიძლია ეს გამიკეთო? არ შეგიძლია? სადაა შენი სასოობა თუ სასო?

**დოდო** — (მშვიდად) არ შემიძლია! მეც ძალიან ბევრს მივცემდი ამისათვის, მაგრამ არ შემიძლია! ამიტომ დავმშვიდდეთ და ისე შევხედოთ ყველაფერს! კარგი?

**თორნიკე** — ერთად შევხედოთ? ლაქ-ლაქ-ლაქი?! ლაპარაკის გარდა რამე შეგიძლია?

**დოდო** — ალბათ!

**თორნიკე** — მამა, იმ ქალთან ვიყავი... იცი, რისთვის ვიყავი?

**დოდო** — ვხვდები!

**თორნიკე** — მერე ეს ნორმალურია?

**დოდო** — ჩემი ბრალია!

**თორნიკე** — შენი ბრალია?! მეტი არაფერი გაქვს სათქმელი? კინალამ უკანასკნელი არაკაცისთვის მოვიქეცი და შენი ბრალია? მეტი არაფერი?

**დოდო** — აბა, რა გინდა კიდე, რომ გითხრა?

**თორნიკე** — არ ვიცი...

**პაუზა.**

**დოდო** — ბავშვი არ გვეყოლებოდა... როცა ეს გაეარკვეით, დედაშენმა... გადანყვიტა, რომ ვინმე გვეპოვა და იმისგან გველოდა შვილი... ასე ვიპოვეთ დედაშენი... მოვრიგდით ყველაფერზე და მეც... მერე შენ გაჩნდი! მერე ჩვენ გადავუხადეთ მას ფული და ამ ქალაქიდან გავქრით. დიდი ხნით წავედით! ძალიან შორს. მერე დედა მოკვდა და ახლა აქა ვართ! დანარჩენი დეტალებია!

**თორნიკე** — (გაოგნებულია) დეტალებია? ესე იგი ის ქალი? თქვენ გადამრევთ ხალხო!...

**პაუზა.**

**თორნიკე** — ჩემს ამბავსაც მოგიყვები დეტალების გარეშე! გადავწყვიტე მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან წასვლა, რომელიც მეგობრებმა მიჩიეს. მივედი, ამ შეხვედრაში ფულიც კი გადავიხადე... რალაც სისულელეები მითხრა, მე კი გონება გამამეკეტა და კინალამ მივაჟიმე! მეგონა მატყუებდა! მასთან ძიძგილაობაში რალაც საინტერესო დაფუნახე მხარზე! მისი შვილი გავიცანი! ის ქალი დამემუქრა, რომ თავს მოიკლავდა. მერე ჩემი ფული დავიბრუნე და იქიდან გამოვიქეცი! იმ ფულით დავლიე, შინ მოვბრუნდი და მამაჩემს ველაპარაკები! დანარჩენი დეტალებია!

**პაუზა.**

**დოდო** — (მძიმედ) ხდება! მთავარია, უფრო ცუდი არაფერი მოხდა...

**თორნიკე** — (ლამის ტირის) უფრო ცუდი არაფერი მოხდა?! უფრო ცუდი არაფერი მოხდა?! მოგკლავ! მოგკლავ! მოგკლავ და იმასაც მოგკლავ!

**დოდო** — (მკაცრად) დამშვიდდი!

**თორნიკე** — (ისტერიკაშია) იცი, როგორ მშვიდად ვარ? ძალიან მშვიდად ვარ!

**დოდო** — ნუ ყვირი!

**თორნიკე** — ჩემი ნებაა, ვიყვირებ თუ არა! გაიგე? ჩემი

ნება!

**დოდო** — (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) სიმართლის ცოდნა ზოგიერთისთვის საზიანოა! სამწუხაროა, რომ შენც მათ რიგში ხარ!

**თორნიკე** — (ყვირის) ყველაფერი ვიცი! თავი კი ისევე მაგარ და სუფთა კაცად გამოგყავს! ყველა ასეთად გიცნობს! აუ რა მაგარი მოძღვარია, არა... დანარჩენი დეტალებია, არა?

**დოდო** — გეყო ამდენი ლაქლაქი! რაიმე დასკვნამდე მიდი და მორჩი! რა უნდა მითხრა ისეთი, რასაც თვითონ ვეტყვი საკუთარ თავს! ან დაფიქრდი, რაში მადანაშაულებ? იმაში, რომ გაჩნდი? იმაში, რომ ჩემი შვილი ხარ? რა, ცუდი მამა ვარ? ცუდი დედა გყავდა? რაშიც დამანაშავე ვარ, გითხარი და შემინდე! კიდე რა გინდა? მეც გაპატიებ!

**თორნიკე** — შენ რა უნდა მაპატიო?

**დოდო** — სისულელე.

**თორნიკე** — რა?

**დოდო** — ყველაფერი!

**თორნიკე** — (დამცინავად) სერიოზულად ამბობ?

**დოდო** — ჰო!

**თორნიკე** — ლაქ-ლა-ქი-ლაქ-ლა-ქი-ლაქ-ლა-ქი!

**თორნიკე ეცემა კარადას და იქიდან დააძრობს იარაღს და დაუმიზნებს მამას.**

**თორნიკე** — ახლაც შეგიძლია მაპატიო?

**დოდო** — (მშვიდად) რატომ აიღე იარაღი?

**თორნიკე** — მზადა ხარ სიკვდილისათვის?

**დოდო** — (მშვიდად) ვერ მესვრი!

**თორნიკე** — მღვდელს საერთოდ რად გინდა იარაღი? შენ ხომ ისედაც ღმერთი გიცავს?

**დოდო** — (დამცინავად) ასეთი შემთხვევისთვის მინდოდა... ხომ გამოგვადგა? რას აპირებ?

**თორნიკე** — (ლამის ტირის) მატყუარა! მოგკლავ! მოგკლავ და იმასაც მოგკლავ! მერე... მერე...

**დოდო** — (მშვიდად) მერე თავს მოიკლავ, არა?

**თორნიკე** — დიას! ყველა გაიგებს, ვინცა ხარ...

**ცდილობს გადატენოს იარაღი, მაგრამ ვერ ახერხებს. ამ დროს დოდო უეცრად აცლის ხელიდან იარაღს და თორნიკეს სილას აწნავს. მოულოდნელობისაგან თორნიკე იატაკზე ეცემა.**

**დოდო** — (მშვიდად) წაიკითხე ეკლესიასტე და დამშვიდდი! ყველაფერი ამოებება! დღეიდან უკვე კაცი გახდი, გაუძლებ ამას თუ არა? ეს არავინ იცის! ვილოცებ, რომ გაუძლო! ამის შემდეგ აღარც შენ იქნები ისეთი, როგორც იყავი, და აღარც მე! აწი უამრავი დეტალი იქნება. ორი ვარიანტი გაქვს, დაიყრუო ან დაიბრძაო თავი. ან ღმერთი ირწმუნო და ზილო ჯვარივით! გაიგე?

**თორნიკე** — გაიგე!

**ისმის ტელეფონის ზარის ხმა. დოდო მიდის და იღებს ყურმილს.**

**დოდო** — ღმერთმა დაგლოცოს, შვილო! არ ინერვიულო! ღვთის წყალობით ყველაფერი კარგად იქნება! მივალ, აუცილებლად მივალ! ნინო იყო! რალაც მოხდა. (კიდებს ყურმილს) ნინო იყო!

**თორნიკე** — რამე მოხდა?

**დოდო** — ღვთის წყალობით, ჯერჯერობით არა! წამომყვები ცხოვრების დეტალების სანახავად?

**თორნიკე** — წამოგყვები!

**ჩაბნელება.**



გია კობახიძის ლექსებს, ისევე, როგორც ყველა პოეტის ლექსებს, აქვს მკითხველთან მიმართების თავისი წესი, ზნე, რიგი, ნორმა, ზომა. აქ იგრძნობა მკითხველისადმი განსაკუთრებული პატივი და გაუმხელელი სურვილი იმისა, რომ ავტორმა მასთან ერთად განიცადოს ის შეგრძნება, რასაც იძლევა პოეზიაში აღმოჩენილი სიცოცხლის ჰარმონია და ადამიანურ ურთიერთობათა მშვენიერება.

გია კობახიძის პოეტურ შთავონებას მორალურ-ზნეობრივი მოტივაციები განსაზღვრავს. ეს არის მისი მსოფლხედვის წყარო და საფუძველი. აქედან იღებს სათავეს ლექსებში თვალდათვალ გამოვლენილი ფილოსოფიურ-ლირიკული განაზრებანი — დროის ფენომენის ტრაგიკული აღქმა იქნება ეს, სულიერ ფასეულობათა დევალვაცია თუ სიყვარულის საბედისწერო განცდა, რომელშიც ყოველთვის არსებობს რაღაც უცხოც და რაღაც ნაცნობიც. მის წარმოსახვაში სამყარო შეიძლება გააერთიანოს სულ მცირე, იოტისოდენა დეტალმა, მთავარია, ეს დეტალი გულთ მიიღო და ირწმუნო, დაიჯერო, რომ ზეცა და მიწა შენთვის არის შექმნილი; რომ წილი გიდევეს ამ სილამაზესა და ჰარმონიაში; რომ ამაღლებულის ხილვა და განცდა გაახლოებს ჭეშმარიტებასთან; რომ შენს მოვალეობად აღიარო შეცნობა სიცოცხლის არსისა, რომელსაც წარმოადგენს მზე — სიყვარულისა და ბედნიერების მიზეზი.

გია კობახიძე

\* \* \*

ია სულაბერიძეს

ხედავენ გულები და არა თვალები,  
ვედავე სალამოს და მზერას ვენებთან,  
ჩნდებიან ზღვასავით მდულარე ქალები,  
ახლა თუ არ ჩანან, ხვალ გამოჩნდებიან.

ცხოვრება ჩხვლეტაა შხამიან ეკლების,  
ცეცხლისფერ ჭრილობას ჰგავს ცრემლით მობანილს,  
მამრისთვის ძებნაა დაკარგულ ნეკნების,  
სიყვარულს არ უყვარს ზავი და ყოყმანი.

განირვა ქალისთვის არაფრის არა ღირს,  
ვითომ რომ ასეა, სუსტებმა დაასკვნეს,  
ფეთქავს გაზაფხული — ზეცაში მალაყი,  
აფრენილ ქორივით მინას რომ დაასკდეს.

თოკებით დაბმულს აქ არ დაედგომება,  
ცხოვრების კალენდარს წინასწარ ნუ ადგენს,  
ბრდღვინავენ ვნებები — მამალი ლომები,  
მზედ გადაქცეული მოინევეს შუადღე.

იმ თვალებს ეფერე, რომლებმაც აგანთეს  
და მერე შენივე ფიქრებში დაბრუნდი,  
რომ შენი ოცნება ნისლებში არ გაქრეს,  
რომ რაღაც გადარჩეს წრფელი და სათუთი.

თუმცა გაქვს ღირსებაც და სუფთა ხელებიც  
ბოლომდე მართალი ამ ქვეყნად ვინ არის,  
ადამიანებო! დაზოგეთ ცრემლები,  
წვეთ-წვეთად აგროვეთ,  
ნუ აქცევთ მდინარედ!..

\* \* \*

ბროწეულია ცხოვრების ბურთი,  
მარცვლებად სხედან საბრალო წლები,  
ადამიანს კი თითები უთრთის  
წინაშე უფლის და უფლის ნების.

გინდა აძაგე და გინდა აქე,  
დრო სინანულის თავისით დგება  
და მაგიდაზე აწყვია ცალკე  
ერთ დროს ვერშემდგარ ფიქრების წყება.

ზოგს არსებული ასეთიც აწყობს  
ის მხოლოდ დღეს და დღევანდელს ხედავს,  
მზე შარშანდელი არ ახსოვს ანწყოს,  
ვინრო ხეივანს მიჰყვება ხეთა.

წუხს ერთნაირად, როდესაც სძინავს  
კაცი კუშტიც და გაღიმებულიც,  
ეტევა ტოლად სასწორის პინას  
ყოვლად უღირსიც და ღირებულიც.

უფრო და უფრო სჭირდება ფრენა,  
განუზომელი სიგრძე და განი,  
ყველაფერს ერთად ვერ იტყვის ენა,  
ყველაფერს ერთად ვერ იგრძნობს ტანი.

ალარ აშფოთებს ძველი ჭორები,  
ეხება ფუნჯებს და სუფთა ტილოს,  
ხატავს და მთელი თავის ცხოვრებით  
გაუსაძლისის გაძლებას ცდილობს.

უძლებს და ამით ბევრსაც აოცებს,  
ეკლებზე ნოლით წლებმა დაქანცეს,  
წევს, ამას ქალი როგორ გაუძლებს,  
კაცისას ნიშნავს სიტყვა საკაცე.

სწორედ ამიტომ, მან უკეთ იცის,  
უტარებია გულთ რა ჭირიც,  
ინვის და თანაც ბოლომდე ინვის,  
სუფთა გულს სუფთა რჩება ნახშირიც.

დღე გუშინდელი გაჰყურებს ხვალეს,  
ისე ალარ წვიმს, როგორაც ქუხდა,  
ცისკარი მალე გაახელს თვალებს,  
პირველ თოვლივით თეთრი და სუფთა.

დრო საიდუმლოს ამოხსნას მორჩა,  
მიქრის და ათრობს სურნელი მიწის,  
რა მიაქვს, ცაზე თვალნათლივ მორჩანს,  
რას დააბრუნებს — არავინ იცის.

გაურკვევლობის დამდგარა ნისლი,  
 წლები ლაქებად ემჩნევა ზოგან  
 და სანამ წითლად იფეთქებს სისხლი,  
 თეთრად ფრიალებს კეისრის ტოგა...

\* \* \*

ჯალათს თავისი ეკუთვნის,  
 პილატესა თუ შეროდეს,  
 უხერხულია, რადგანაც  
 დაფნის გვირგვინებს ჩემოდეს,  
 ფეხზე ჰკიდიათ ზემოთებს,  
 ნყალი ემღვრევით ქვემოთებს,  
 გოლიათს ფიქრიც დიდი აქვს,  
 სულ სხვა ფიქრი აქვს ცეროდენს,  
 სიცივე სითბოდ აქციო,  
 ამაში დიდი გემო დევს.  
 დედამ აკვანი არწიოს,  
 მამა მზესავით გელოდეს,  
 ალიონზე ვინც ადგება,  
 ვაზის საცქერად დგებოდეს,  
 ის თასი მომენატრება,  
 ბუხრის თავზე რომ შემოდეს,  
 ვინც როგორ უნდა მოირთოს,  
 ვის რისიც უნდა სჯეროდეს,  
 გული თავისას მოითხოვს,  
 გული სულ უნდა მღეროდეს.

\* \* \*

გასულან წლები, შესულა ხნეში,  
 იღვიძებს ახლაც მეუღლის ხმაზე,  
 ყოფილა ასე და თავის დღეში  
 არ უფიქრია არასდროს სხვაზე.

ირბინა, როგორც ირემმა ველად,  
 სწყალობდა ერთს და ფიქრობდა სხვისთვის,  
 დაჰქონდა გული ამქვეყნისხელა  
 და ქალი ყველა კვდებოდა მისთვის.

რომელი — ჩქარა, რომელი — ნელა,  
 რომელი ჩიტი, რომელი ხისთვის.

\* \* \*

დრო გადის, ამძიმებს  
 გამურულ ჭერს,  
 თანდათან აძინებს  
 ვინც ფხიზლობს ჯერ,  
 დრო გადის — ამბობენ  
 და გვჯერა ჩვენც,  
 ხესავით აპობენ  
 წუთები წლებს.  
 საათის ისარი  
 ჰგავს დროის ხელს,  
 თუმცა ვერ იცილებს

მოქნეულ ცელს,  
 იქცევა წარსულად  
 ეს მუნჯი დღეც  
 საითკენ წასულა  
 ვიგრძენით ვერც,  
 ლამდება — ნახატის  
 ფერზე ფერს ვფენ,  
 დრო არსად არ გადის —  
 გავდივართ ჩვენ!..

\* \* \*

დულს ოცდამეერთე, მომრავლდა მწერალი,  
 კალამი — იაფი,  
 გადაღმა სოფელში რომ მეტნი არიან,  
 არ უნდა კამათი.  
 მკვახეა ნაყოფი, თუ გინდა, მონყვიტე,  
 თუ გინდა — მიართვი,  
 მთანმინდის კალთისკენ გზა გადის ციცაბო,  
 ვინრო და აღმართი...

\* \* \*

ოქტომბრის ბოლოს, როცა წვიმები  
 დაუკითხავად სტუმრობენ მიწას,  
 როცა გაჰყურებ ჭიშკარს იმედით,  
 რომ სხვასაც იქნებ შენსავით ღვიძავს.

როდესაც შენი ჭკუის კაცისთვის  
 ყველაფერია აქ ყოფნა ახლა,  
 როდესაც გული ვერც და არც იცდის,  
 ფიქრი კვამლივით მიიწევს მაღლა.

როცა ტალახის ჟანგისფერ წებოს  
 ჰყავხარ ტყვესავით მთელი დღე სახლში,  
 ქათმებს აპურებს როდესაც ბებო,  
 ეზოდან ისმის ხანდახან — აქში!

ღობეს ამძიმებს დილის ნაწვიმი,  
 ბოსტანს ხასხასა უჩანს მწვანელი,  
 დოინჯშემორტყმულ სახლიკაცივით  
 დგას ჭიქა წელში გამოყვანილი.

ვზივარ და გულით ვნატრობ ჩემიანს,  
 ვისაც ვახსოვარ და მოვუნდები,  
 წვიმიან დღეს სხვა რა დამრჩენია,  
 მახსოვს ღვინო და ღვინის ქურდები.

რალაცამ მაინც უნდა შეგაკრთოს,  
 როცა იხსენებ ბიჭებს, ძარღვიანს,  
 ქარვისფერ ღვინოს ბაგე შეახოს,  
 ვინც არ შეახოს — მასზე ახია!

გარდასულ წლების მომესმის ზათქი,  
 სალამოს ბინდში ლანდები წვანან,  
 შენი სათქმელი თუ ახლა არ თქვი,  
 სიტყვები ხვალაც გეყოფა განა?!

ყოველი დილა არ გაგინარდეს,  
მაისის წვიმა აღარ გესხუროს,  
უნდა იცოცხლო, ალბათ, იქამდე,  
სიკვდილი რომ არ გეუხერხულოს.

ლამდება უცებ, მარტოსულ ფურცელს  
ლიცლიცა შუქი ანათებს ბუხრის,  
სატიკივარს ამდენს მხოლოდ ის უძლებს,  
არ ეპუება და თავს არ უხრის.

ვის ვანდობ ამ გულს მასზე უკეთესს,  
რა დაამშვიდებს თვალებს სიცხიანს,  
ლამის საფიქრალს ცეცხლს შევუკეთებ,  
ფიქრები ცეცხლში კარგად ინვიან...

\* \* \*

მზე გადაადნა ტალღას ზემოდან,  
ძირს სასაფლაო ირხევა მარჯნის,  
ცაში ძახილი ისმის წეროთა  
და ეს ძახილი ცას ორად გაჭრის.

ისევე ელის, ვინც მოელოდა,  
დუმს ბედისწერა — ქარქაში ხანჯლის,  
დრო გარდასულა უხერხემლოთა,  
დრო შუბის წვერით მუზარადს ფხაჭნის,  
მზე გადაადნა ტალღას ზემოდან,  
ცაში ძახილი ისმის წეროთა,  
ძირს სასაფლაო ირხევა მარჯნის.

\* \* \*

ბალახობს ღრუბლების ფარა,  
წამნამებს ამშვიდებს საძილეს,  
თვალი ცას გაჰყურებს წყნარად,  
ჩამავალ მზის სხივებს აცილებს.

ჩამავალს სულ სხვა აქვს ხიბლი,  
დღე მისით მთავრდება რადგანაც,  
დროის ქარავანი მიდის,  
ადგილზე წუთებიც არ დგანან.

თანდათან ფერმკრთალდება სხივი,  
ბავშვივით ეპარება ლობეს,  
სალამო გაუმხელელ ტკივილს  
ამალამ მოუყვება სოფელს.

მერე გვიანდელი ჰანგის  
გულში ჩაგვახუტებს სითბოს,  
ქარი კიბებზე ჩარბის,  
ქარიც ნაწყენია თითქოს.

გულები ზარებივით რეკენ,  
ნეტავ საით, სევდავ უთქმელო,  
სიზმრებით ვიყურებით თქვენსკენ,  
ძნელია რადგან ყოფნა უთქვენოდ.  
ისევ თუ გაიმეტებს იმედს,  
ვისთვისაც გუშინ მზედ ინათა,

ლამე მოჭრიალებს მძიმედ,  
საცაა, ჩაიმუხლებს ჭიშკართან.

ამშვიდებს ღვინის სუნი ხვალეს,  
მეც თითქოს ღვინოსავით დოქმი ვარ,  
ამიტომ დავჯდები და დავლევ  
ქარვისფერ რქანითელის ოხშივარს.

მზე ჩადის და ერთვის წყვდიადს,  
თანდათან მოკლდება მანძილი,  
ყოველდღე ცოტა-ცოტა მიაქვს  
სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი.

\* \* \*

როგორც ვინმე მისიანი  
კუდი უზის მონმედ მელას,  
ის, ვინც რისი ღირსი არის,  
მას მოიმკის უეჭველად,  
ვისაცა სწავს ვისი ალი,  
დარდი დააქვს ქვეყნისხელა,  
გვარს აგრძელებს ჯიშისანი,  
ნაცარს ნაყავს გაიძვერა,  
მიაყენა პირს ზიანი  
სიტყვა ვინც არ დაიძველა,  
მართალს იტყვი — ვიზიარებ,  
ძალას სიტყვა აძლევს მელანს,  
სიყვარული მისი არის  
ვისაც ხელში მზე უელავს.

\* \* \*

ნახატი ტილოა, ჩარჩოა, ფერები სხვადასხვა ღირსების,  
ზოგისთვის ცხოვრების აზრია მთავარი, თან დიდებაც არის,  
ზოგისთვის, ხედავ, რომ ერთია ყოველი და ზიზღით ივსები,  
ვერასდროს გაიგებს, ვერასდროს მიხვდება

ტილოზე რაც არის.

იტყვის — საღებავი ერთია ხარისხის და ერთი თვისების,  
ინვის ერთნაირად, შედეგიც ერთია —  
ფერფლი და ნაცარი.

\* \* \*

სიყვარულისთვის სიტყვა ბრძნული არის ზარალი,  
ახსნას ამისას ჭკვიანურად ნურვინ იკისრებს  
ვერ გამოაჩენ მას ვერაფრით, როცა არ არის  
და ვერ დამალავ, თუ მხურვალე ალით გიზგიზებს.

მოქროდი აქეთ და არ გქონდა არაფრის რიდი  
და გახლებულ გულს მოსდევდი ისევ გულისკენ,  
აღარ აღმოჩნდი ის, ვინც ადრე ეგონათ მშვიდი,  
შენი გრძნობისთვის რადგან მაინც ასე გარისკე.

ვინც ელოდება და ვინც მოდის — ვინ უფრო ნვალობს,  
თუ არ გიყვარდა, აბა, მაშინ დაბრუნდი რაღად,  
ამას ლალადებს, რომ იცოდე, ძვირფასო ქალო,  
ნოველა ყველა და შექმნილი აქამდე საგა.



ნატალია ქადაგიძე

\* \* \*

მინდა ჰაერი...  
ის  
მ ნ ყ უ რ ი ა...  
კამკამა და  
მთების თასიდან.  
მაგრამ  
დრო მიდის,  
აი, ახლაც –  
ლამის შემდეგ  
უკვე დილაა,  
მზე ამოვიდა  
და ჩრდილების  
წარბი აზიდა.

\* \* \*

წვეთში ზღვა არ ჩანს,  
ცვარია, მცირე.  
მოცოცავს ცერად,  
მინას ეცემა.  
ვინც ზღვა იყო და  
წვეთად გასწირეს,  
ვერ შეეგუა  
დანამცეცებას...  
ვერც  
ვეშაპების  
მბზინვარე ზურგზე  
ველარ იხილა  
მზის წამოჯდომა,  
ირეკლავს ახლა  
მინდვრების ელფერს,  
მდინარეობა რომ მოანდომა.  
...წვეთში ზღვა არ ჩანს,  
უშინაარსომ  
ვერ აიტანა ასე მცირობა,  
ბალახის ძირში  
უჩინრად ჩარჩა...  
წვეთისთვის  
ძნელი  
არის  
გმირობა.

\* \* \*

ალარ მსურს წალმა დღეების ჩაცმა,  
ჩემს ჰორიზონტზე მიფენილების...  
ფიქრების ფერად შევლებე, რაც მაქვს,  
მელიან, ყვავილდაცვენილები...  
გამოვაბრუნე ცაც, დედამინაც,  
და ახალივით, ვცდილობ, ვიხილო,  
მე ვარ შუაში და ვინ დამიცავს,  
მზე არ ჩანს, თვალი ვინ გაახილოს...  
ხელის გულიდან მერიდიანი  
მიინევს საით, არავინ იცის,  
ჩვეულებრივად ვიდარდიანე, –  
ვერ დაარღვია ვერავინ ფიცი.  
ვერ შეელია ვერავინ თავებს,  
ძილს...

და სიზმრებშიც დღე გააგრძელა.  
ლამის ჩურჩული განცდებს აავებს,  
ლამე მამძაფრებს,  
ლოდინად მწელავს...  
რად არის წვიმა ასჯერ ათასი,  
ადამიანი – ერთი და მარტო...  
სხვებთან კეკლუცობს  
ბრძნული ანდაზით,  
რომელიც თავად არ ესმის...  
რატომ?

ჰოდა, ცივია მაისი ისევ,  
გაზაფხულს ვილაც გადაემტერა.  
აეფარება განწყობა ნისლებს,  
ვერ წაიკითხა – ცას რა ეწერა...  
ვერავინ მიხვდა აუტანლობას  
ჩვეულებრივად ლამაზი კაბის,  
მოხეზრებული ეს ბანალობა  
იქნება დიდხანს სიამის აბი.  
ო, ეს სარჩული უმიზეზობის...  
ზეიმის მაქმანს აუაზროებს,  
ვილაცას უნდა მზე იყოს ზომბი,  
და სამშვენისად ეკიდოს დროებს...  
ვილაცას უნდა, რომ არ უნდოდეს  
გამოდარება ავდრიან ტყეებს,  
რომ ბოროტების ულევ ურდოებს,  
ჰგავდნენ წამები და ჩვენ კი – ტყვეებს.  
...გამოვაბრუნებ სიამის სამოსს  
და სუყველაფერს უკუღმა ვიცვამ!..  
მეც რომ ძებნაში ვპოვებ საამოს,  
ტყავაცრეცილმა გაიგოს მინამ.  
მე ველოდები ლოდინის ბოლოს,  
აქაც კეთილი იქნება, ვგონებ,  
მანამდე ნამი უნდა ვაბროლო,  
მანამდე ათას თამაშს ვიგონებ...

\* \* \*

საყელსავით მიჭერს  
ეს იაფფასიანი ყოფა,  
პერცეფციის კინი მასშტაბურობა —



ნაქარგი აზრებით და  
 უღიმღამო სტრიქონთა თასმებით  
 გამშვენიერებული.  
 ყოფა,  
 სადაც სიღრმე კი არა,  
 სიღრმის ილუზიაც კი არ არის.  
 სადაც  
 ჯუჯა შინაარსები დაბანცალებენ,  
 რომ ხელი გკრან და  
 უგემოვნობაში გამოგკეტონ,  
 როგორც ამონტილიადოს კასრში...  
 სამყარო სავსეა ასეთი ჯუჯებით  
 და მათი მილიონი ჩიტის ძალა,  
 უზარმაზარი ლოდევით,  
 მოგორავს და მოგორავს...  
 მედროვეები გამოუხშიათ  
 საკუთარი თავებიდან  
 დონ-კიხოტებს,  
 როსინანტები  
 დამძიმებულან ტორსით და  
 უსასრულოდ ეჩვენებათ გზები -  
 მინდვრიდან თავლამდეც კი...  
 ჰყვავის პერცეფცია და,  
 ლამანჩელს თვალეში ელვენება მისი,  
 მოსაყირჭებლად წყეტელა ფერები.  
 ამ ხელოვნური ყვავილობით  
 იმტვერებიან ადამიანები -  
 დონ-კიხოტები,  
 და სურდოსავით აძაბუნებთ სიზარმაცე,  
 რომ წინ იყურონ.  
 ნუთუ მალე ყველანი დავეფლობით  
 უშინაარსო აზროვნებაში  
 და უაზრო შინაარსებად მოვეფინებით  
 სამყაროს?!

...ლამანჩელები აღარ არიან ლამანჩელები  
 და გრძელი გზებიც ისე მოკლეა,  
 თითქოს სიტყვაა პირდაპირ,  
 და არა —  
 ფიქრი სიტყვამდე.

\* \* \*

რა გინდა მთაში...  
 ჯუჯა ბუერებს  
 თუ ვერ შეამჩნევ და დააბიჯებ...  
 თუ ფიჭვს უგულოდ შემოუარე  
 და მისი სუნი არ გაგაგჟიფებს...  
 თუ ცხვრის ბლავილი გულზე არ მოგხვდა,  
 როგორც ამაო ხმა ამაოთა...  
 არ მოგეჩვენა ღრუბლების ქოხთან  
 თითქოს ცხენიდან კაცი ჩამოხდა...  
 რა გინდა მთაში,  
 ის მე მეძახის,  
 დიდ ხელებს მიქნევს ქონგურებიდან,  
 იქ არის ჩემი ფიქალის სახლი,  
 ანმყოს რომ მკაცრად მომდურებია.

მინდა, ნისლივით, სულ მთასთან ვიყო,  
 რომ ჩემი ყოფნა ისევ ვირწმუნო,  
 მაგრამ შიში მაქვს, რაც მარად მიყმობს -  
 ყვავილთ სამოსი არ დამინუნონ...  
 არ მიფრიალონ ცელქი სიცილით  
 ფერადფერადი თავის კაბები,  
 არ დამაბრმავონ თვალთა ციმციმით...  
 არ მკითხონ -  
 მათებრ რად არ დავები  
 იქ, სამუდამოდ...  
 ან სად წავედი,  
 რა ვნახე უფრო საინტერესო...  
 დააყოლებენ - ნეტავ ჩვენსავით  
 სხვებმაც თუ გულში ჩაგინერესო?!

- მათ ახსოვთ, როცა ძალას ვიკრებდი,  
 დარდებსაღმული კვლავ სასიმღეროდ,  
 ხევი მაღავენ ჩემი ფიქრების  
 ნაფლეთებს, მზიან-მონისლისფეროს.  
 იყო ბავშვობა - ჭრელი ფარდაგი,  
 მომავალს მზითვად რომ გადაჰფინეს...  
 თუ ალაზანი გულზე არ დაგდის,  
 უკან მიხედვას ვერ დააპირებ!  
 ვერ შეუყვები ზღაპრების ბილიკს,  
 ბერდედს თბილი ხელებით ნაქსოვს,  
 სადაც აქა-იქ ნიავის ქილიკს  
 ირმის უგონო ყვირილიც ახსოვს.  
 ახსოვს პირიმზის განწირულობა,  
 ტრფობისგან... უფსკრულს გადასაჩეხად...  
 ეს მითიური გულშეძრულობა  
 თუშს სიმღერებში უელავს მეხად.  
 ... თუ მათრახვით ქარს ვერ მოიქნევ  
 და ხის ფესვები „გზის სიმრუდეა“,  
 თუ იქ მსოფლიოს ვერ დაინახავ,  
 სადაც პატარა შაშვის ბუდეა...  
 რა გინდა მთაში...  
 მთა მე მეძახის,  
 ჩამოდის ბარშიც და თან დამყვება,  
 მახსენებს ხეებს - ლაღებს, წელწახრილს,  
 აყვავებულებს ჩიტის ბარტყებად.  
 მინდა ნისლივით სულ მთასთან ვიყო,  
 და ცხენიანად ვენდო ალაზანს,  
 სადაც წარსული დრომ ვერ გარიყა,  
 სადაც კვლავ დადის თურმე ალაზა...

\* \* \*

უმნიფარ მტევნებს  
 სიმწარისა მოერიდებათ...  
 ვერ დაიტევენ მცხუნვარებას  
 თიბათვეები,  
 ცას როცა თვალი დაეღლება,  
 მოებინდება,  
 ნამოცემევა დღეს  
 ჩრდილების სათითები.  
 ვეება თათზე  
 უბრჭყვიალებს

ბრწყალები ვისაც,  
 ათრთოლებს ხმებს და  
 საშიშ ისრებს  
 ზუსტად გაისვრის...  
 ვერ გაახარებს  
 შემკრთალ ფიქრებს  
 სიგრილე ჭისა,  
 თავისი ნებით  
 ჩავარდნილა სადაც აისი.  
 მორეკავს გუგუნს ზარებისას  
 ქარი შორიდან,  
 და დამშრალ ყელში  
 ხმას ტრამალებს ჩაანყვეტინებს...  
 დაიბადება ტყეების და  
 ჭალის ჭორიდან  
 შაშვი შავი და  
 ოცნების ჰანგს  
 გაანყვეტინებს...  
 ბადაგში გემო ჩაიხრჩობა,  
 როგორც მორევში,  
 და გაცეხას მიმოაფრქვევს  
 ნვრილწვრილ ნიპნებად.  
 ჩვენ ვაღიარებთ ამ სიბლანტის  
 გრძნობად მორევას,  
 და შემოდგომის  
 გაზაფხულად გადამიწვას.  
 მოჭრიან ჭიანს...  
 ჭიაცელას უსუსურობა  
 გაეთხაპნება ყვავილების  
 ფერადოვნებას...  
 აქ ნებიერად გადანოლილ  
 სურვილს, სუროდან,  
 სულ სხვა განცდები არსებობის  
 ეგემოვნება.  
 ტორტმანებს ტოტი –  
 შემოჭრილი  
 ფიქრის სარკმელში,  
 მტევნები ტივტივს  
 გრძნობებისას  
 ვერ დაიტევენ,  
 მე გამომრიყა დავიწყებამ  
 ისევ სათქმელში,  
 გაბნეული ვარ სიზმრის ტყეში  
 და მომიტყევე...

\* \* \*

ნავა ზამთარი, რომ იმღერონ იის ფესვებმა,  
 ტყეში სილურჯე ჩაიღვრება, როგორც მელანი...  
 ნავა ზამთარი, მზე მინაში ჩაითესება,  
 ამოსხდებიან ყვავილები, გულყვითელანი.  
 ჯერ კი მაცეხებს ისევ სიღრმე სიცარიელის,  
 ადამიანთა უდაბნობა, უკაცრიელი,  
 დულს არაფერი, ყველაფერის მაცდურ იერით,  
 ჩემი სისუსტე ისევ სევდამ გააძლიერა.  
 ვინ დაიჯერებს ბელურების უაზრო ჭიკჭიკს...  
 მოეჩვენებათ კვირტები და გული უსკდებათ! –

თუ აღარ შერჩა სიყვარულის უკვდავი ნიჭი,  
 ფუნჯებისაკენ ზამთარს ხელი არ წაუცდება...  
 ჩვენ დავიკარგეთ სინამდვილის მოჩვენებებში,  
 სადაც დახვეწილ ნილაბს ბევრი უნოდებს სახეს,  
 ნეტავ დავბრუნდეთ ისევ უკან, თავში, როგორც შინ,  
 ბნელ სინათლეში ერთმანეთი ვერ დავინახეთ.  
 ვინა თქვა ამ ხის უენობა, შეციებულის,  
 რამდენი დგას და ვითომ მიდის, გულგაუშლელი...  
 ვით ვიყო უფრო სულმალალი და დიდებული,  
 რომ მდუმარების გავიგო და ყველას ვუშველო.  
 ნავა ზამთარი, ალბათ, მართლა, ჯერ კი აქ არის  
 და თვლებს გვიხვევს ლოლუების ნაზი მაქმანით,  
 გულწინილიანი და მზერაში ფიქტებჩამდგარი,  
 ნავა ზამთარი ნვერნატეხილ თეთრი ფანქარით.  
 ნავა ზამთარი, რომ იმღერონ იის ფესვებმა,  
 ტყეში სილურჯე ჩაიღვრება, როგორც მელანი.  
 ნავა ზამთარი, მზე მინაში ჩაითესება,  
 ამოსხდებიან ყვავილები, გულყვითელანი.

\* \* \*

გომბორს გალობდნენ გუნდები,  
 ხუნდები – თეთრი მტრედისა...  
 მივდექ, ამ დევნას ვუნდები,  
 და მისვლა ველარ მელირსა.  
 გუმბათის თავზე გაათევს,  
 ალბათ, ღრუბელი ღამესა,  
 ფიქრებმა ნატვრა გაათბეს  
 და გული დამიამესა –  
 აყვავებულთა სიზმრებთაც  
 და სივრცეების თვალმაო,  
 შორეულ აღმართს მიმართა  
 დაღმართმონყენილ წყალმაო.  
 ცას დედამინა ამშვენებს,  
 ჰაერი სტანჯა ალმაო,  
 კომკს აღარავინ აშენებს,  
 რა ქნას ზღაპრების ქალმაო.  
 გზა ციცაბოსკენ აუხვევს,  
 თუ დაღმართს მნია ძალმაო,  
 მზე ნისლს კაბას რო აუხვევს,  
 მეც დამწვას მისმა კვალმაო...  
 გომბორს გელოდი გუმანით,  
 სტუმარი უყვართ მთებსაო,  
 გზადაგზა ენთო ხურმანი,  
 ცეცხლი ეკიდა თმებსაო...  
 ჩემი ბგერები ვამატე  
 ტყის და ალაზნის ხმებსაო,  
 ფიქრს, ბატკნებივით ნამატებს,  
 მივერეკები ხევსაო...  
 თეთრი ღრუბელი ამ ღამეს  
 გუმბათზე გაათევსაო,  
 უშენო დღეებთ დამლალეს,  
 თან – ისე ამანთესაო,  
 ველარ ჩავქრები, ვერ ვრჩები  
 ხესავით – ალაგესაო,  
 ვერც ამ ცხოვრებას ვეჩვევი,  
 არ სჩადის, რო იდგესაო...

გივი ალხაზიშვილი

# ფიქრის სარკველი

**„სიყვარული ზეციდან დაშვებული ჯაჭვია, რომელსაც დღემდე ეჭიდება კაცობრიობა და, ცოტათი ზევით, თავის- თავზე მალდა იწევს“.**

არ შეიძლება ამ სიტყვებმა არ გავგახსენოს — „სიყვარული აგვამალღებს“, „სიყვარული ძალაა შენსა“ და რაც უმთავრესია — „ღმერთი სიყვარულია“. ნატალია ქადაგიძის ლექსები უშუალოდ და ღრმა სიყვარულით არის გამსჭვალული. ბუნებრივი ტონალობა გულახდილობის, გულწრფელობის თანმდევი და ხელოვნურობას ახლოს არ იკარებს. სწორედ თანდაყოლილი ნაიფურობის კვალს ვამჩნევ მის ლექსებში და ისე მიზიდავს, როგორც თუშური ფარდაგის ფერადები ან სულაც ალპური მდელის სუნთქვა, ნექტრის სურნელით გაჯერებული.

წინათ ლექსებსა და მოთხრობებს აქვეყნებდა „პირველ სხივში“, „მნათობში“, „ლიტერატურულ გაზეთში“. ახლა „ჩვენი მწერლობის“ მკითხველსაც გაუზიარებს ახალ ლექსებს.

ნატალია ქადაგიძისთვის მიუღებელია გაუცხოების ფენომენი, რადგან ბუნებასთან შერწყმულია და ეს თანდაყოლილი ჰარმონია ასულდგმულებს და ასაზრდოებს კიდევ მის ლექსებს, არ იზიარებს დეკონსტრუქციულ დეფორმაციას, სულიერი გამოფიტვის კვალს რომ ამჟღავნებს. თვალი ბუნებაზე უჭირავს და მის ლექსებში მთელი ეკო-სტრუქტურა გასულიერებულია და თამონანილია პოეტის განცდებისა, რომელიც ნაზიარებია იმ სათავესთან, რომელიც მარად მოედინება ჩვენს ცნობიერებასა და ყოველდღიურობაში.

**ტორტმანებს ტოტი —  
შემოჭრილი ფიქრის სარკველში,  
მტევნები ტივტივს გრძობებისა  
ვერ დაიტევენ,  
მე გამომრიყა დავიწყებამ ისევ სათქმელში,  
გაბნეული ვარ სიზმრის ტყეში  
და მომიტევე...**

თუშეთის გამჭვირვალე ცისა და ულამაზესი ბუნების სუნთქვა მეცნო მის ლექსებში. ლირიკული გმირი მთელი არსებით მიბმულია იმ რეალობაზე და ხშირად უბრუნდება მესხიერებაში ჩაკირულ უსაყვარლეს სინამდვილეს: **„რა გინდა მთაში... ჯუჯა ბუერებს თუ ვერ შეამჩნევ და დააბიჯებ... თუ ფიჭვს უგულოდ შემოუარე და მისი სუნი არ გაგაგიჟებს... თუ ცხვრის ბლავილი გულზე არ მოგხვდა, როგორც ამო ხმა, ამოთა... არ მოგეჩვენა ღრუბლების ქოხთან, თითქოს ცხენიდან კაცი ჩამოხდა... რა გინდა მთაში, ის მე მეძახის, დიდ ხელს მიქნევს ქონგურებიდან, იქ არის ჩემი ფიქალის სახლი, ანმყოს რომ მკაცრად მომღურებია.“**

პოეზია არამხოლოდ თანაზიარებისთვის მზაობას ეძებს, არამედ თანაზიარებისთვის არსებობს და თავის თავში გულისხმობს თვითმიძღვნას, ავტორის თვითშენიშვნას, რათა მკითხველთან მიიტანოს ის სულისკვეთება, ის განწყობა, ის უღერადობა, რაც წარმავალმა დრომ უბოძა და სიტყვაში შეინახა. რადგან პოეზია წარმავალი დროიდან რაიმეს გადარჩენის ერთ-ერთი მთავარი საშუალება და მტკიცებულებაა. პოეტს ტონობით ქვიშის გაცრა უნევს, რათა ოქროს ნამცეცები მოიძიოს და ახალი რეალობა შექმნას.

მისი სტილისტიკის მახასიათებელია ხილვის ფრაგმენტების ზედმეტი დამუშავების გარეშე მონოდება, რითაც აშკარად ჩანს მთავარი: მისთვის არსებითია სათქმელი და, როცა არჩევანის წინაშე დგება, ლამაზი სიტყვებით შექმნილ ბუტაფორულობას ამჯობინებს ფორმალისტურ უბრალოებას, სათქმელი რომ არ მიიჩქმლოს და არ გამრუდდეს. ამ წინაშე ნატალია ქადაგიძე ნიკო სამადაშვილის პოეტიკას აგრძელებს და ავითარებს.

**ო, ეს სარჩული უმიზეზობის...  
ზეიმის მაქმანს აუაზროებს,  
ვიღაცას უნდა მზე იყოს ზომბი,  
და სამშვენიისად ეკიდოს დროებს...  
ვიღაცას უნდა, რომ არ უნდოდეს  
გამოდარება ავდრიან ტყეებს,  
რომ ბოროტების ულევ ურდოებს,  
ჰგავდნენ ნამები და ჩვენ კი — ტყვეებს.  
...გამოვაბრუნებ სიამის სამოსს  
და სუყველაფერს უკულმა ვიცვამ!..  
მეც რომ ძებნაში ვპოვებ საამოს,  
ტყავაცრეცილიმა გაიგოს მინამ.  
მე ველოდები ლოდინის ბოლოს,  
აქაც კეთილი იქნება, ვგონებ,  
მანამდე ნამი უნდა ვაბროლო,  
მანამდე ათას თამაშს ვიგონებ...**

იგი ტრადიციული ლექსის ერთგულია და პროსოდიულ ლექსთწერის მიმდევარია თუმცა საჭიროებისას გარკვეული თემატიკის კარნახით მიმართავს ვერლიბრს და ამჟღავნებს ირონიული ხედვის შესაძლებლობებს: **„ყოფა, სადაც სიღრმე კი არა, სიღრმის ილუზიაც კი არ არის. სადაც ჯუჯა შინა-არსები დაბანცალევენ, რომ ხელი გკრან და უგემოვნობაში გამოგკეტონ, როგორც ამონტილიადოს კასრში... სამყარო საესეა ასეთი ჯუჯებით და მათი მილიონი ჩიტის ძალა უზარმაზარი ლოდივით, მოგორავს და მოგორავს...“**

ამ ლექსში დასმული პრობლემა, რაზეც ამახვილებს ყურადღებას ავტორი, საყოველთაოა და ცდება ჩვენებური პოეზიის ფარგლებს, ზოგად-ესთეტიკურ და ნირშეცვლილ, ფრაგმენტირებულ სახელოვნებო სამყაროსაც გულისხმობს.

**P.S.**

ჩვენ ინტერნეტ მეგობრობა გვაკავშირებს, და რა თქმა უნდა, პოეზია. დროდადრო აზრებსაც ვუზიარებთ ერთმანეთს, ლიტერატურულ სიახლეებზეც ვსაუბრობთ – წერილობით.

მიმონერისას მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტი გამომზეურდა ნატალია ქადაგიძის ავტობიოგრაფიული ფრაგმენტებიდან. აი, მისი მონათხრობი:

„დედა დღემდე წერს ლექსებს და ამან დიდი გავლენა იქონია ჩემზე – მას შეეძლო ჩვეულებრივი საგანი ან მოვლენა სულ სხვა კუთხით წარმოეჩინა ჩემს თვალწინ... ჯერ კიდევ პატარა მივხვდი, რომ ყველაფერი ის არ არის, რაც ჩანს, რომ მიღმა კიდევ ბევრი რამ შეიძლება დაინახო...“

ჩემს ოჯახს სტალინური რეპრესიები პირდაპირ შეეხო. ბიძაჩემი, გიორგი ქადაგიძე – ორგანიზაცია „სამანის“ დამაარსებელი / მიხეილ ზანდუკელთან ერთად/, ნამებით მოკლეს ბოლშევიკებმა. მეორე ბიძა, ამირან ქადაგიძე – ათი წლით გადაასახლეს ციმბირში, კუნძულ მაგადანზე, მესამე კი – მიხეილ ქადაგიძე – ბედის ირონიით, საკუთარი ოჯახის გამანადგურებელთა მხარეს საბრძოლველად, „სამამულო“ ომში განვეული, უგზოუკვლოდ დაიკარგა.

მე გავიზარდე ოჯახში, სადაც პატრიოტიზმი და ადამიანური ღირსება ცხოვრების მთავარი პრინციპი იყო“.

ზაზა აბზიანიძე

## სანთელი ენთო...

ცოტაა მსოფლიოში ცივილიზებული ერი, რომლის ენაზეც ბორის პასტერნაკის „ზამთრის ღამე“ არ იყოს თარგმნილი. ქართულმა თარგმანებმა, უკვე ოცს გადააჭარბა. დიდი რუსი პოეტისა და მისი შედეგისადმი პროფესიონალ ლიტერატორთა დაუცხრომელი ინტერესის ესოდენ შთამბეჭდავი დასტურები უთუოდ გულისხმობს მკითხველთა მზაობასა და ცნობისწადილსაც.

თვალი მივადევნოთ ამ ლექსის ისტორიას ჩვენც, დავივიწყოთ სხვა ყველაფერი, ამ სტრიქონებისა და ამ განათებული სარკმლის გარდა. ასეთი ვიგონებით — რა ფარული ტკივილი ახლავს „ზამთრის ღამის“ მომაჯადოებელ რეფრენს: „სანთელი ენთო მაგიდაზე, სანთელი ენთო“ — და ამ მოციმციმე შუქზე სულ სხვა თვალით დავინახავთ მის ლირიკულ გამოსვლას და მის ავტორსაც.

სათაურთა პოეტიკა რომ არსებობს — ყველამ ვიცით; „ზამთრის ღამე“ გაფიქრებინებთ, რომ არსებობს სახელდებათა მისტიკაც. თვითონ განსაჯეთ: ბორის პასტერნაკს ორი ლექსი აქვს ასე დასათაურებული — ერთში, 1913 წლის თარიღით, მისი პირველი, ტრაგიკულად განცდილი სიყვარულია გამოტირებული, მეორე კი, 33 წლის შემდეგ დაწერილი, უკვე უკანასკნელი გატაცებითაა შთაგონებული. ზემოთხსენებულ პოეტათვის დამახასიათებელი მისწერი განჭვრეტა ამჯერად სათაურის ორადორ სიტყვას ჩასჩურჩულებს მორჩილ შემსრულებელს და ამ „ონომასტიკურ დამთხვევაში“ ნაგულისხმევ საბედისწერო ვარაუდს ბორის პასტერნაკის ცხოვრების დარჩენილი 14 წელი უღმობელად დაადასტურებს.

ისე რომ, გვინდა თუ არა, მაგრამ რამდენიმე სიტყვა პირველ „ზამთრის ღამეზეც“ უნდა ითქვას. ლექსის ადრესატიდან დავიწყებ. ეს გახლდათ იდა ვისოცკაია, მოსკოვის ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახის უფროსი ქალიშვილი. მამის — დავით ვისოცკის — ფორმა რუსეთის იმპერიაში ჩაის ვაჭრობის ერთ მესამედს აკონტროლებდა, მაგრამ ამ კლასიკურად ბურჟუაზიულ ოჯახში განსაკუთრებული სიმპატიით ხელოვნების წარმომადგენელი სარგებლობდნენ. ასე დაუმეგობრდნენ ვისოცკები ფერწერის აკადემიკოსს ლეონიდ პასტერნაკს და მის მეუღლეს, პიანისტ როზალია კაუფმანს. დამეგობრდა უმცროსი თაობაც; როგორც მერე აღმოჩნდა, ეს მეგობრობა ხუთი წელი

ასაზრდოვებდა ჭაბუკი პოეტის რომანტიკულ ილუზიებს, რომელთა დამხობას იგი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად მიიჩნევდა. იდა ვისოცკაიასთან დრამატული განშორება მარბურგში (სადაც პასტერნაკი ფილოსოფიის საუნივერსიტეტო კურსს ისმენდა), 1912 წლის ზაფხულში თავის კვალს დააჩნევს არამარტო პასტერნაკის ბიოგრაფიას — „ვერცხლის საუკუნის“ რუსულ პოეზიასაც — ოლონდ არა პირველი „ზამთრის ღამით“, არამედ „მარბურგით“, რომელიც გამოქვეყნებისთანავე (1917 წ.), ავტორს რუსული ლექსის რეფორმატორთა შორის გამორჩეულ ადგილს დაუმკვიდრებს.

ამ ლექსის ავტოგრაფს პასტერნაკისსავე მინანური აქვს: „ქ-ნ ფანი ზბარსკაიას, 10 მაისი 1916 წ. ვსევოლოდო-ვილვა“. ეს უჩვეულო სახელი ერქვა დაბას ურალზე, ქალაქ პერმის სიახლოვეს, სადაც 26 წლის პასტერნაკმა 1916 წლის ზამთარი და გაზაფხული გაატარა. აქ ის სტუმრობდა პასტერნაკების ოჯახის კარგ ნაცნობს — ქიმიკოსს ბორის ზბარსკის (ცნობილი რუსი მეწარმისა და მეცენატის — სავა მოროზოვის სანარმოთა მმართველს) და მის მომხიბლავ მეუღლეს — ფანის, რომლისადმიც, პასტერნაკის ბიოგრაფების თქმით, პოეტი მთლად გულგრილი არ ყოფილა...

სანამ რომელიმე სულსწრაფი მკითხველი გაიფიქრებდეს, — კი მაგრამ, რა კავშირი აქვს ყოველივე ამას „ჩვენს“ „ზამთრის ღამესთანო“?! — დავასწრებ და ვუპასუხებ: პირდაპირი! მაგრამ რადგან ამ ლექსს თავისი და საკმაოდ დრამატული ბიოგრაფია აქვს, სიუჟეტური კვანძის გახსნას ცოტა ხანს უნდა დაველოდოთ.

ბორის პასტერნაკი

„ზამთრის ღამის“ დაბადების თარიღი — 1946 წლის დეკემბერია. ბევრი რამით იყო ღირსშესანიშნავი ეს პირველი ომისშემდგომი წელი ბორის პასტერნაკისათვის. იანვრის ბოლოს იგი ატყობინებს ნადეჟდა მანდელშტამს (ოსიპ მანდელშტამის ქვრივს): „მინდა დავწერო პროზა მთელს ჩვენს ცხოვრებაზე ბლოკიდან ამჟამინდელ ომამდე... ადვილად წარმოიდგენ, რა გამალეებით ვმუშაობ და როგორ მეშინია, რომ რაღაც მოხდება ჩემი შრომის დამთავრებამდე!“ მოხდება რომელია, თუმცა ჯერ „პროზაული ნაწილით“ დავინტერესდეთ: პასტერნაკი იწყებს რომანის წერას მართლაც პროზაული სათაურით — „ბიჭები და გოგოები“ (უაილდის ერთი პარადოქსი გაგახსენდებათ — „დიდ ადამიანებს დიდი შეცდომები მოსდით“). საბედნიეროდ, პასტერნაკის ეს „ონომასტიკური სიყრუე“ დიდხანს არ გაგრძელდება და ხუთიოდე ვარიანტის მოსინჯვის შემდეგ შეჩერდება სათაურზე, რომელიც დღემდე მისი ცხოვრების დასალიერის მეტაფორად აღიქმება — „ექიმი ჟივავო“.

პარალელურად ინერებოდა ლექსები, რომელნიც, ჩანაფიქრის თანახმად, უნდა დართოდა რომანს მთავარი გმირის — იური ჟივავოს სათუთად გადანახული და მის სიკვდილს შემდგომ აღმოჩენილი ლირიკული რვეულის სახით. რადგან „ზამთრის ღამე“ სწორედ ამ რვეულისთვის იყო გამიზნული, მისი დაბადების „ლიტერატურულ ვერსიას“ ისევ და ისევ რომანში ვიხილავთ:

„იური ანდრეევიჩის გარშემო სანეტარო, ბედნიერებით აღსავსე, ცხოვრების მადლით გაბრწყინებული სიჩუმე იდგა. ქალაქის თეთრ ფურცლებს ლამპის შუქი მშვიდი სიყვითლით ეფინებოდა და სამელნის შიგნით, მელნის ზედაპირზეც ოქროსფერ ჭავლად ციმციმებდა. ფანჯრის მიღმა ზამთრის ყინვიანი, ცისფერი ღამე გაყურსულიყო. იური ანდრეევიჩი მეზობელ ოთახში გავიდა, რომელიც სიბნელეს და სიცივეს მოეცვა. აქედან სივრცე უფრო კარგად მოჩანდა. ფანჯრიდან გაიხედა. სავსე მთვარის შუქი დათოვლილ მინდორს კვერცხის ცილასავით თუ თეთრასავით ეღვენთებოდა. აუნერელი სილამაზის ყინვიანი ღამე იდგა. ექიმის სულში მშვიდობა სუფევდა. იგი ნათელ, თბილ ოთახში დაბრუნდა და წერას შეუდგა.“

გაკრული ხელით წერდა, ნაწერს გარეგნულადაც გადმოეცა ხელის მოძრაობა, არ დაეკარგა თავისი სახე, სულისკვეთება, არ დამუწვებელიყო. გაიხსენა და გაუმჯობესებული, ადრინდელისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სახით ჩაიწერა ყველაფერი, რაც უფრო გამოკვეთილი და სამახსოვრო რამ შეექმნა, მათ შორის, „შობის ვარსკვლავი“, „ზამთრის ღამე“ და საკმაოდ ბევრი მათი მსგავსი ლექსი, რომლებიც მერე და მერე მივიწყების ბურუსმა შთანთქა, დაივიწყეს და მას მერე ხელთ აღარავის ჩავარდნია“.\*

როგორც ჩანს, პასტერნაკის წარმოსახვაში, „ზამთრის ღამის“ დარი ლექსი სწორედ იქ, ურალის ქედს მიღმა გადაკარგულ სოფელში, სანთურის მკრთალ შუქზე უნდა გადატანილიყო ქალაქზე. ახლა კი უკვე შეიძლება ის „ურალის ქარაგმა“ გავხსნათ, რომლის ამოხსნისათვის პასტერნაკის ბიოგრაფებს დიდი ჯაფა არ დასდგომიათ — საგანგებო, ავტორისული მინიმუმბანი მკითხველს მაქსიმალურად უადვილებს „ტოპონიმიკურ პირობითობაში“ გარკვევას: ქალაქი იურიაციინო (!), სადაც ეგზომ საბედისწეროდ გადაიკვეთა იური ჟივავოსა და ლარისა გიშარის ცხოვრების გზები, იოლად გამოსაცნობი პერმია, ხოლო მის სიახლოვეს განლაგებული დაბა ვარიკინო, რომელსაც თავს შეაფარებენ ბოლშევიკ ხელისუფალთაგან ათვალისწინებული იური და ლარა, რაღა თქმა უნდა, ჩვენთვის უკვე ნაცნობი — ვსევოლოდო-ვილვაა: იმ სტუმართმოყვარე სახლით, რომელსაც სტუმრობდა ახალგაზრდა პასტერნაკი, იმ მაგიდით, რომელზეც ინერებოდა „მარბურგი“, მაგრამ ამჯერად „ზამთრის ღამის“ ხელნაწერი იყო გაშლილი...

ახლა, როდესაც ჩვენი „ტოპოგრაფიული ცნობისნადილი“ დაკმაყოფილდა და რამდენადმე გავეშინაურდით კი-

\* ციტატები „ექიმი ჟივავოდან“ (პროზაულიცა და პოეტურიც) მოხმობილია ნიგინიდან: ბორის პასტერნაკი, „ექიმი ჟივავო“ (თარგმანი ნოდარ ნონიაშვილისა), „ინტელექტი“, 2007.

დეც უკვე ნაცნობ გარემოში, უთუოდ უფრო გაბედულად მიმოვიხედავთ გარშემო და ჩავაკვირდებით ამ საკულტო ლექსის (და, იმავდროულად — რომანის) სიმბოლოებსა და პროტოტიპებს.

შეცდომა იქნებოდა, „ექიმი ჟივავო“ ავტობიოგრაფიულ რომანად ჩაგვეთვალა ამ ტერმინის კლასიკური გაგებით. ძალზე ზუსტ განსაზღვრებას მიაგნო აკადემიკოსმა დიმიტრი ლიხაჩოვმა, როდესაც რომანს პასტერნაკის „სულიერი ავტობიოგრაფია“ უწოდა. მაგრამ მისი საყვედური იური ჟივავოს „უნებისყოფობისა“ და „დინებას მიყოლის“ თაობაზე, ვგონებ, მთლად სამართლიანი არაა, რადგან ჟივავოსეული „უნებისყოფობა“ მხატვრული მანიფესტაციაა პასტერნაკის მსოფლალქმის იმ უმთავრესი პრინციპისა, რომელიც ცხოვრების საზრისს განგების მინიმუმბათა გამოცნობასა და ღვთაებრივი ნების უდრტივინველად აღსრულებაში ხედავს.

ერთ-ერთი ასეთი „ზეგარდმო ნიშანი“ რომანში, რაღა თქმა უნდა, სარკმლის სიახლოვეს მოციმციმე სანთელია. XVII საუკუნის დიდი ფრანგი მხატვრის, ჟორჟ დე ლატურის მსგავსად, საკრალური და პროფანული სამყაროს მიჯნაზე ანთებული, მათი გამყოფიც და გამაერთიანებელიც. რუსული მწერლობის უბადლო მკვლევარის, ოლგა სედაკოვას თქმით, ეს სანთელი ლარას სიმბოლოცაა და, იმავდროულად, პოეზიისაც. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ლარას პროტოტიპი პასტერნაკის ცხოვრებაში სწორედ 1946 წლის შემოდგომაზე გამოჩნდა და იმთავითვე მისი ლირიკის ძირითად ადრესატად იქცა, არაა გასაკვირი, რომ „ექიმი ჟივავოს“ სანთელი რაღაც იდუმალად იწყებს ციმციმს — ჯერ როგორც ფატალური სიყვარულის მანიშნებელი შუქურა, მერე, როგორც ამ ტრფობის მოწმე და მესაიდუმლე, დაბოლოს, „ცვილის ცრემლებით“ მისი დამტირებელი...

„ლარას“ გამოჩენის ისტორია კი თავად ბორის პასტერნაკმა აღწერა მწერალ რენატა შვეიცერისადმი მიწერილ წერილში: „მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გავიცანი ახალგაზრდა ქალი — ოლგა ვსევოლოდოვნა ივინსკაია და მალევე, ჩემი გაორებითა და ცხოვრების ჩუმი, სვედიანი საყვედურებით დათრგუნულმა, დავთმე ჯერ კიდევ მყიფე სიახლოვე და გულმტკივანი დავშორდი მას. ცოტა ხანში იგი დააპატიმრეს და ხუთი წელი გაატარა ციხეში, საკონცენტრაციო ბანაკში. იგი ჩემს გამო აიყვანეს და, რადგან საიდუმლო აგენტთა აზრით, ჩემთან ყველაზე ახლოს იყო, ცდილობდნენ სასტიკი დაკითხვებითა და მუქარით აეძულებინათ ისეთი ჩვენებანი მიეცა, რომლებიც სამხილად გამოადგებოდათ ჩემი გასამართლებისას. მის გმირობას, შეუდრეკელობას უნდა ვუმადლოდო, რომ იმ წლებში ხელი არ მახლეს. ისაა — ლარა ჩემი რომანისა, რომლის წერას სწორედ იმხანად შევუდექი... — სიცოცხლის ხალისისა და თავდადების განსახიერება“ (თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ შემდგომ პასტერნაკი ხაზგასმით ლაპარაკობდა ლარას სახის „სინკრეტულობის“ თაობაზე).

ბედისწერა დიდხანს და საგულდაგულოდ ამზადებდა ამ ტრფიალთა შეხვედრას: ოლგა ივინსკაიას, იმხანად ყურნალ „ნოვი მირის“ უმცროს რედაქტორს, დამწყებ ავტორებთან მუშაობა ევალებოდა. მაგრამ 1946 წლის ოქ-

ტომბრის ერთ მშვენიერ დღეს თვალებს არ უჯერებდა, რადგან „დამწყები ავტორი“ 56 წლისა აღმოჩნდა, ზედგამოჭრილი ბორის პასტერნაკი იყო და თან დაუფარავი ინტერესით აკვირდებოდა „უმცროს რედაქტორს“. ოლგა ივინსკაიას ამგვარი ინტერესის ამოცნობა ნამდვილად არ გაუჭირდებოდა, რადგან ამ 34 წლის ქერა, მომხიბლავ, ხალისიან ქალს, რუსები რომ იტყვიან, — „**бурная биография**“ ჰქონდა (შესატყვისი ქართული ევფემიზმია — „რთული ცხოვრება“): პირველმა ქმარმა ეჭვიანობის ნიადაგზე თავი მოიკლა, მეორე — მოუკვდა და ორი უმწეო ბავშვით დატოვა. განსვენებულებს, საეჭვიანო მიზეზები, როგორც ეტყობა, ნამდვილად არ აკლდათ, რადგან ივინსკაიას გარდაცვალების მერე მისივე ქალიშვილი, ირინა ემელიანოვა, რუსული გულახდილობით დაწერს: „დედაჩემს ათეულობით მამაკაცი ჰყავდა კლასიკოსამდე, მაგრამ აღარცერთი — შემდეგ!“

ოლგა ივინსკაია არ ყოფილა იმ ტიპის ქალი, რომელიც ახალ სატრფოს „უმანკოების ზღაპრებით“ კვებავს. მაგრამ არც ბორის პასტერნაკი იყო ის მამაკაცი, რომელიც ვისიმე ცხოვრების გარეგნულ ქარგასა და შინაგან სამყაროს ერთმანეთში ურევდეს. ამ მხრივ ნიშანდობლივია მისი სულიერი ორეულის, იური ჟივავოს რეაქცია საყვარელი ქალის — ლარა გიშარის (დავაზუსტებ: იმ დროისათვის, უკვე — ანტიპოვას) აღსარების პასუხად: „...მოგონია, ასე ძალიან არ მეყვარებოდი, — ეუბნება იგი ლარას, — არაფერს რომ არ უჩიოდე ან არ ნანობდე. არ მიყვარს ის ხალხი, ყველაფერში რომ მართლები არიან, არასოდეს დაცემულან და არც ოდესმე ნაბორძიკებულან. მათი სათნოება მკვდარია და ნაკლებად ფასეული. ცხოვრების ხიბლი მათ არ უხილავთ“.

ეს მონოლოგი ერთი მხრივ ქალისადმი დოსტოევსკის მიმართებას გაგონებთ, მეორე მხრივ კი ბიბლიურ მიზანსცენას — მაცხოვრისა და მარიამ მაგდალელის...

ივინსკაიას ქმრისაგან განსხვავებით, პასტერნაკის ცოლები თავს არ იკლავენ, ნეეროზს სჯერდებიან: პირველი ცოლი — მხატვარი ევგენია ლურიე (1898-1965) პასტერნაკმა 1922 წელს შეირთო და ცხრა წლის შემდეგ დატოვა. მათი ვაჟი — ევგენი პასტერნაკი, პოეტის ყოვლისმომცველ, 700-გვერდიან ბიოგრაფიაში, ლარას პროტოტიპებზე საუბრისას დედამისის თემას დელიკატურად გაუბრძის; სამაგიეროდ, ისე, სასხვათაშორისოდ აღნიშნავს, რომ ზინაიდა ნიკოლაევნას „ჟივავოში“ ლარა გიშარისა და ავადასხსენებელი კომაროვსკის „ინტიმური ისტორია“ ამკარად „ალიზიანებდა, რადგან პასტერნაკმა რომანტიკული ელფერი შემოაცალა მის პირველ სიყვარულს...“. როგორც ვიცით, „ზინაიდა ნიკოლაევნა“ — ზინაიდა პასტერნაკია (1897-1966), მრავალთავის ცნობილი მისი პირველი ქმრის — გამოჩენილი პიანისტის ჰენრიხ ნეიგაუზის გვართი, — იმ ჰენრიხ ნეიგაუზისა, რომელსაც ნაჰგვარა ცოლი ახალდამეგობრებულმა ბორის პასტერნაკმა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ისინი მაინც მეგობრებად დარჩნენ: ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ პირშიმთქმელ ზინაიდა ნიკოლაევნას არაფერი დაუმალავს ქმრისათვის, ხოლო თვით ნეიგაუზს მეორე ოჯახი აღმოაჩნდა და სრულიად ბუნებრივი შოკის შემდეგ როგორღაც გადაერთო დამთრგუნველი მოციებდან...

თვითონ ბორის პასტერნაკი მარინა ცვეტაევასადმი მინერილ წერილში ასე იხსენებდა 1930 წლის იმ ზაფხულს კიევის მახლობლად, რომელმაც ერთბაშად შეცვალა მისი ცხოვრების გეზი:

„ზაფხული გავატარეთ გასაოცარი მუსიკოსის, ნეიგაუზის ოჯახთან ერთად. სულ უფრო და უფრო მივეჯაჭვე მათ. ისეთი ძალები ამოქმედდა, რომელთაც ვერასდროს ვერ ვენინააღმდეგობოდი: ქმრის ზემთაგონებული ტალანტი და ცოლის საოცარი სილამაზე, მაღალი, ინსტინქტური სულიერებით გასხივოსნებული...“

ერთი წლის შემდეგ პასტერნაკის ახალი სიყვარული, ახალი აღმოჩენა და აღფრთოვანება ამ აღმოჩენით, „მეორედ დაბადება“ (ეს მისი იმჟამინდელი შეგრძნებაც იყო და ზინაიდათი შთაგონებული ლექსების ახალი კრებულის დასახელება) უსათაურო ლირიკულმა შედევრმა ასახა — „ზოგიერთების სიყვარული მძიმე ჯვარია...“

თავის მოგონებებში, რომლის წერასაც ზინაიდა პასტერნაკი პოეტი-მეუღლის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ შეუდგა, მას ლარას „სინკრეტულობის“ გაგონებაც კი არ უნდოდა და ეჭვიუტანლად მიაჩნდა თავისი „ექსკლუზიური უფლებანი“ ექიმ ჟივავოს წარმტაც, მაგრამ საბედისწერო სატრფოსთან მსგავსებისა...

ეს მხოლოდ ქალური ამბიციის გამოვლინება არ გახლდათ: ერთი პლასტი რომანისა (და ლარა გიშარის პორტრეტისაც) ნამდვილად ზინაიდა ნიკოლაევნას ხალისათის თვისებებით, მისი ინტიმური დრამებით და პასტერნაკის იმდროინდელი განცდებით იყო ნაკარნახევი (პირველსა და მეორე ცოლს შორის „ანტრაქტი“, თავისი მზიური ბუნებიდან გამომდინარე, ყოფით კონფლიქტებში სრულიად უმწეომ და დაუცველმა, 1932 წელს, სასონარკვეთისას, პოეტმა თავის მონამვლაც კი სცადა).

წარმოუდგენელი იყო ასეთი ემოციური ტრავმებითა და სასიყვარულო ზეატაცებით დაწყებული თანაცხოვრება არ ასახულიყო მის სულიერ ავტობიოგრაფიაში.

მაგრამ თუ „ჩვენს“ „ზამთრის ღამეს“ დაეუბრუნდებით, თავისი მოციმციმე სანთლითა და განათებული სარკმლით, ისევ და ისევ ოლგა ივინსკაიას უნდა მოვუსმინოთ. თავის მოგონებებში იგი აღწერს, პასტერნაკთან რომანის დასაწყისში, როგორ ეძებდნენ ისინი პოეტის მეგობარი ქალის — პიანისტ მარია იუდინას — სახლს, როგორ დაიბნენ დათოვლილ ქუჩებში, დაბოლოს, სანთელს-მინაგვარი ნათურით განათებული სარკმლით როგორ მიაგნეს მასპინძელს. იუდინა უკრავდა, პასტერნაკი „ჟივავოს“ ნაწყვეტებს კითხულობდა... ნამოსვლისას მას ივინსკაიასათვის უთქვამს: „ერთი ისეთი ლექსი დავენერე, რომელიც სწორედ თქვენს ჟურნალს გამოადგება. „ზამთრის ღამე“ ერქმევა...“

მეორე დღეს მან რედაქციაში მომიტანა ლექსი:

**თოვდა და მთელი დედამინა  
თეთრ ზღაპარს ენდო.  
სანთელი ენთო მაგიდაზე  
სანთელი ენთო...**

(ო. ივინსკაია,  
„წლები ბორის პასტერნაკთან“)

„ექიმ ჟივავოს“ კონტრაპუნქტში განათებული სარკმელი და ჩამოღვენილი სანთელი გამჭოლ, სევდიან, გულშიჩამწვდომ მუსიკალურ თემად ჟღერს: ამ სანთლის შუქზე, ერთ შობის ღამეს გადაწყდება ლარა გიშარისა და პავლე ანტიპოვის შეუღლება და სწორედ ამ შუქს შეავლებს თვალს იური ჟივავო, რომელიც მარხილით მიემართება საშობაო ნაძვისხეზე: „კამერპერის შესახვევიც ჩაიქროლეს. იურას ყურადღება ერთ-ერთი ფანჯრის ყინულის ჯავშანში შავად შემდნარმა ჭრილმა მიიპყრო. ამ ჭრილში სანთლის შუქი ციაგებდა და გარედან ისე მოჩანდა, თითქოს ქუჩას უთვალთვალებს, ვიღაცას ელისო.“

„სანთელი ენთო მაგიდაზე, სანთელი ენთო...“ — რალაც ბუნდოვანის, ჩამოუყალიბებლის დასაწყისს თავისთვის ბუტბუტებდა იურა იმ იმედით, რომ გაგრძელება ძალდაუტანებლად, თავისით მოვიდოდა. ის კი არა და არ მოდიოდა“.

ამ სანთლის შუქზე ვხედავთ ჩვენ მძინარე ლარასა და მისი პატარა გოგონას ცქერით მოჯადოებულ ექიმს და ვისმენტ მის მონოლოგს, რომელშიც ნათქვამია ყველაფერი, რაც კი უნდოდა ეთქვა ლოცვააღვლენილ ექიმად გარდასახულ ბორის პასტერნაკს — თავის თავზეც, თავის სიყვარულზეც, იმ სამყაროზეც, რომლის ღვთაებრივი ჰარმონიის განუყოფელი ნაწილიც იყო მისი განვლილი ცხოვრებაც და ამჟამინდელი სიყვარულიც:

„ღმერთო! ღმერთო!“ — მზად იყო ასე ეჩურჩულა. — „ეს ყველაფერი ნუთუ ჩემია! მაგრამ ამდენი რად მომიძღვენი? როგორ მიმიშვი შენს სიახლოვეს, ან ვით მიბოძე ნება, უფალო, რომ მეყიალა შენს უძვირფასეს დედამინაზე, ამ ვარსკვლავებით მოჩარდახული ზეცის თავანქვეშ, რომ დამეჩოქა ამ განუხჯელი და უდრტვინველი, ბედანავსული მზეთუნახავი ქალის წინაშე“.

ისიც გვახსოვს, როგორ დაინთება კვლავ ეს სანთელი კამერპერის შესახვევის იმავ ოთახში, სადაც ოდესღაც ლარას პირველი ქმარი ცხოვრობდა, მაგრამ ბოლოხანს იური ჟივავომ დაიქირავა და იქ ალესრულა კიდეც. განგებას სურდა შორეული აღმოსავლეთიდან დაბრუნებულ ლარას მაინცადამაინც აქ, ამ სანთლის ქვეშ დასვენებული ენახა თავისი ერთგული მეტრფე და მწარედ, გულამოსკვნით დაეტირა მათი შეუმდგარი თანაცხოვრება...

ცნობილია, რომ ზოგიერთნი, „ჟივავოს“ ჭირვეულ მკითხველთაგან ავტორს საყვედურობდნენ — არადამაჯერებელია ამდენი თანხვედრა ერთი სიუჟეტის მანძილზეო... არ ვიცი, რას პასუხობდა მათ ბორის პასტერნაკი, მაგრამ „ცხოვრების ფანტაზია“ უფრო ამოუნურავი რომაა, ვინემ ნებისმიერი მწერლის წარმოსახვა, ამის დასტური ისევ და ისევ „ჟივავოს“ ავტორის „ბოლო სიყვარულის“, ანუ ოლგა ივინსკაიას („ლელიჩკას“, როგორც მოფერებით მიმართავდა მას პოეტი) დაუჯერებელი თანხვედრებით და გამაოგნებელი მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრება იყო...

რას წარმოიდგენდა ბორის პასტერნაკი, რომ იმ წუთებში, როდესაც იგი ნინო ტაბიძის (ტიციანის ქვრივის) ნაჩუქარ „გერბიან ქალაღზე“ ოლგა ივინსკაიასადმი მიძღვნილ მორიგ ლექსს წერდა „ჟივავოს რვეულში“:

შინაურები გავხიზნე შორეთს,  
კარგა ხანია, არვინ მხედება შინ.

და მარტოობის სიმღერა მდორედ  
შემოდის გულშიც და ბუნებაშიც...  
(„შემოდგომა“, 1949)

— რომ მას კარგა ხანია არ მოუნწევს იქვე, პატარა ტბორის გადაღმა დასახლებული სატრფოსაკენ გაეშუროს, ბედსშერიგებული ზინაიდა ნიკოლაევანასა და ცნობისმოყვარე პერედელკინოელი მეზობლების გამჭოლი მზერისქვეშ, რადგან მისი ძვირფასი „ლელიჩკა“ უკვე „ლუბინკაზე“, უშიშროების იზოლატორში, პირველ დაკითხვაზე, ბრალდებით: „შპიონაჟში ეჭვმიტანილ პირებთან სიახლოვე“. „შპიონაჟში ეჭვმიტანილი“, რალა თქმა უნდა, თავად პასტერნაკი იყო, მაგრამ „ქარაფშუტა“ ივინსკაიას უტეხი ხასიათი აღმოჩნდა და ვერანაირი სამხილი ვერ დაატყვევინეს. ისე, „საერთო ანგარიში“ მაინც ჩეკისტების სასრგებლოდ იყო: ივინსკაია — „გულაგი“ აღმოჩნდა (მას მხოლოდ 1953 წელს ათავისუფლებენ ამნისტიით); პასტერნაკი — „ბოტკინის საავადმყოფოს“ კარდიოლოგიურ განყოფილებაში (ჯერ მისი უკვე გამოცემული „რჩეულის“ 25.000 ეგ ზემპლარის სტამბაშივე დაჭრამ მოცელა, მერე — ივინსკაიას დაპატიმრებამ...).

ზინაიდა ნიკოლაევანა სფინქსის სიმშვიდით ხვდებოდა მთელ ამ ქარტეხილს. თუ სატრფომ პასტერნაკი დაჭერი-საგან იხსნა, ცოლმა — სიკვდილს გამოსტაცა. მისი თავდადებული მოვლა-პატრონობა რომ არაა, პასტერნაკი 1952 წელს ნამდვილად გადაყვებოდა იმ უმძიმეს ინფარქტს. და საერთოდაც — ზინაიდა პასტერნაკი თავის დანიშნულებას ხედავდა თავისი პოეტი-მეუღლე მაქსიმალურად განეტვირთა ყოფითი პრობლემებისაგან. მათი თანაცხოვრების ოცდაათი წლის განმავლობაში ეს თვისება, რომლითაც პასტერნაკი თავდაპირველად ესოდენ აღტაცებული იყო (მითუმეტეს, მისი პირველი ცოლის სრული არაპრაქტიკულობის ფონზე), წელი-წელ ზინაიდა ნიკოლაევანას წინააღმდეგ შემობრუნდა: პასტერნაკის ომისშემდგომ წერილებში აქა-იქ შენიშნავთ გალიზიანებას მიუღლის „პროზაული“, „ობივატელური“ ინტერესებით და ა.შ.

„პოეტური“ თანამგზავრის ვაკანსია ოლგა ივინსკაიამ შეავსო: იგი თითონაც წერდა ლექსებს (სხვათა შორის, ძალიან გულწრფელსა და სასიამოვნო საკითხავს), თარგმნიდა, მაგრამ, რაც მთავარია — ზეპირად იცოდა მთელი პასტერნაკი და ეთავყვანებოდა თავის კერპს.

ასე რომ, განგებას არაფერი შემლია, როცა 1946 წლის ოქტომბრის იმ ტკბილადმოსაგონარ დღეს თვალეშში სხივჩამდგარი ოლგა (ანუ ლარა) შეახვედრა „ნოვი მირის“ რედაქციაში შემობოდილებულ ექიმ ჟივავოს, რომელიც ასე უცნაურად ჰგავდა ჟურნალის უმცროსი რედაქტორის უსაყვარლეს პოეტს...

ერთადერთი, რასაც ოლგა-ლარა საყვედურობდა ბედს, ის იყო, რომ პასტერნაკების ოჯახმა ნება არ დართო გამოთხოვებოდა მომაკვდავ ბორის-იურის და პერედელკინოში, 1960 წლის მაისის ბოლო ღამეს პასტერნაკის სასთუმალთან ანთებულ სანთელს იგი შორიდან უტყქერდა:

სანთელი ენთო მაგიდაზე,  
სანთელი ენთო...



Борис Пастернак

**ЗИМНЯЯ НОЧЬ**

Мело, мело по всей земле  
Во все пределы.  
Свеча горела на столе,  
Свеча горела.

Как летом роем мошкара  
Летит на пламя,  
Слетались хлопья со двора  
К оконной раме.

Метель лепила на стекле  
Кружки и стрелы.  
Свеча горела на столе,  
Свеча горела.

На озаренный потолок  
Ложились тени,  
Скрещенья рук, скрещенья ног,  
Судьбы скрещенья.

И падали два башмачка  
Со стуком на пол.  
И воск слезами с ночника  
На платье капал.

И все терялось в снежной мгле  
Седой и белой.  
Свеча горела на столе,  
Свеча горела.

На свечку дуло из угла,  
И жар соблазна  
Вздыхал, как ангел, два крыла  
Крестообразно.

Мело весь месяц в феврале,  
И то и дело  
Свеча горела на столе,  
Свеча горела.

გამომცემლობა „ინტელექტის“ ახალი პროექტით „ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი“ (პროექტის ავტორი ზვიად კვარაცხელია) გამოიცა ბორის პასტერნაკის ლირიკული შედევრის „ზამთრის ღამე“ 21 ქართული თარგმანი, რომელიც ეკუთვნით: ტარნილ ჭანტურიას, ირაკლი სურგულაძეს, ლანა ლოლოზარიძეს, გივი შაჰნაზარს, ვახტანგ გომოლაშვილს, თამარ ჯავახიშვილ-ამირაჯიბს, გათუ დანაღიას, ნოდარ ნონიაშვილს, მაია ჯორჯაძეს, ქეთევან ბაზარაშვილს, ვასილ გულაუზს, ელისო დვალს, რენა კალანდიას, ნათია ორმოცაძეს, როზარტ მისხს, მარიამ ნიკლაუზს, რუსუდან ჭანტურიანიშვილს, ნინო ქოქოსაძეს, გვანცა ჯოგაშას, ლელა ცუცქერიძესა და ქეთევან თოღაძეს. წიგნს უძღვის რედაქტორის — ზაზა აბზიანიძის — ესეი „სანთელი ენთო...“

ყველა თარგმანი თავისებურად საგულისხმოა და კიდევ ერთი დასტური ამ ორიგინალური პროექტის წარმატებისა. ჯერ მარტო ის, რომ ამ კრებულშიც და ამავე სერიის სხვა წიგნებშიც არაერთი თარგმანი საგანგებოდ პროექტის თაოსანთა დაკვეთითა და შეგულიანებით შესრულდა.

ნიმუშად „ზამთრის ღამის“ ნებისმიერი ქართული ვერსია შეგვეძლო შემოგვეთავაზებინა. ამიტომაც ვარჩიეთ, რომ ალაღებდზე გადაგვეშალა და რომელი თარგმანიც შეგვხვდებოდა, ის დაგვემოწმებინა რუსულ ორიგინალთან ერთად. „კენჭი“ ვასილ გულაუზს შეხვდა და დაე ამ თარგმანმა იკისროს თავისებური მეგზურობა ამ დიდებული ლექსის სამყაროში.

ბორის პასტერნაკი

**ზამთრის ღამე**

ქროდა ქარბუქი, იდგა გზაზე  
კორიანტელი.  
ენტო სანთელი მაგიდაზე,  
ენტო სანთელი.

ზაფხულში ალს რომ ელტვის სწრაფად  
გუნდი ქინქლების,  
ისე ფარავდნენ ფანჯრის რაფას  
თეთრი ფიფქები.

წრებს და ისრებს  
ახატავდა მინას ფანტელი.  
ენტო სანთელი მაგიდაზე,  
ენტო სანთელი.

განათებულ ჭერს ეცემოდნენ  
ჩრდილები ცერად,  
გადაჭდობილა ხელ-ფეხი და  
თვით ბედისწერაც.

ცვიოდა წყვილი ფეხსაცმელი  
ხმაურით დაბლა.  
ელვენთებოდა ცვილი ცრემლად  
მიფენილ კაბას.

ნთქავდა ყველაფერს თოვლით სავსე  
გარემო ერთ დროს,  
სანთელი ენთო მაგიდაზე,  
სანთელი ენთო.

სანთელს კუთხიდან უბერავდა  
ცდუნების ქარი  
და ანგელოზის ფრთებს მოჰკავდა  
ჯვარედინს, ალი.

თებერვლის თვეში ბუქი ასე  
მძლავრობდა ერთობ,  
სანთელი ენთო მაგიდაზე,  
სანთელი ენთო.



მხატვარი კარლო ფაჩულია



მარინე რევიშვილი

# რაზე საუბრობენ ბრძენკაცები

(პლუტარქოსის „მორალიების“ ნარდგინება)

ჟურნალ „ჩვენი მწარმოების“ რედაქცია სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტიონისტიკისა და ნეოპრავციონისტიკის ინსტიტუტის მასპინძლობდა.

ინსტიტუტის გამომცემლობა „ლომონოს“ მიერ მოწოდებული თარგმანები თუ სხვა ჟანრის ლიტერატურა ყოველთვის იპყრობს საზოგადოების ყურადღებას თავისი აკადემიურობით, კვალიფიციურობით, მაღალმხატვრულობით.

ბოლო დროის გამოცემათაგან ასეთი გახლავთ ძველი ბერძნულიდან ნანა ტონიას მიერ გადმოქართულებული პლუტარქოსის „მორალიები“, რომელსაც „ჩვენი მწერლობა“ გამოეხმაურა მანანა ღარიბაშვილის წერილით „საპუფოდან პლუტარქოსამდე“.

ანტიკური ხანის ლიტერატურის მთარგმნელთა შორის ნანა ტონიას ნაღვანი თვალსაჩინოა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, როცა დაიბეჭდა საბჭოს პოეზიის მისიული თარგმანები, ცხადი გახდა, რომ მწერლობის ამ ასპარეზზე ნიჭიერი ახალგაზრდა გამოჩნდა. და აი, უკვე მეოთხე ათეული წელია მისეულ თარგმანებს ვკითხულობთ, თვალს ვადევნებთ მის პროფესიონალურ ზრდას.

მან თარგმნა ძველი სამყაროს პოეტი ქალები („საპუფოდან კასიამდე“), პინდაროსი... ანტიკური ლიტერატურის ქრესტომათიებში უდიდესი ნაწილი პოეტებისა მის მიერ არის თარგმნილი, ყველგან თვალნათლივია მისი მთარგმნელობითი მანერა. იგი მიჰყვება ავტორს, მაგრამ არა ზედაპირულად, ყოველთვის ცდილობს შეგნიდან გახსნას მწერალი (მანანა ღარიბაშვილი).

თანაც მთარგმნელობა კლასიკურ ფილოლოგიაში მისი საქმიანობის მხოლოდ ერთი მხარეა. იგი გახლავთ უნივერსიტეტის ლექტორი, არაერთი წიგნის ავტორი და თანაავტორი.

პლუტარქოსი ანტიკურ ხანაშივე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. როგორც წიგნის შესავალში აღნიშნული, ავტორის პოპულარობას განაპირობებდა მისი ნაწარმოებების ეთიკურობა, ფსიქოლოგიზმი, მაღალმხატვრულობა და ენის სისადავე. მწერლის შემოქმედების ეს მახასიათებლები ქმნიან სწორედ იმ დიდ სირთულეებსაც, რასაც მთარგმნელი თარგმნისას აწყდება.

შეხვედრაზე ერთხმად აღინიშნა, რომ ნანა ტონიას თარგმანი ორიგინალის შთაბეჭდილებას ტოვებს, იმდენად ლაღად მიედინება.

მომხსენებელი გახლდათ რისმაგ გორდუზიანი, რომელმაც დიდი სიამოვნება მოგვანიჭა იმით, რომ ანტიკურ სამყაროში გვაგვგზავნა და თან შეგვახსენა, თუ რაოდენ დიდია ამ სამყაროს ზეგავლენა დღესაც, რაოდენ ცოცხალია, თანამედროვეა ის ცხოველმყოფელი მუხტი ანტიკურობისა, რომელიც სულიერების, კულტურის ყველა სფეროში ძევს, რომლის გარეშე არ არსებობს მწერლობა, ხელოვნება, განათლება და რომლის ცოდნა-გათავისება სჭირდება ყველას — ბრძენკაცს თუ ახალგაზრდას, პოლიტიკოსს, პოეტსა თუ რიგით მოქალაქეს.

ბევრი ითქვა თარგმანის მნიშვნელობაზეც.

რაც უფრო მაღალმხატვრულადაა თარგმნილი ესა თუ ის ნაწარმოები, მით უფრო ადვილად იმკვიდრებს ადგილს ადამიანის სულში. ასეთი თარგმანები ფასდაუდებელია ახალგაზრდების აღზრდის საქმეში.

შეხვედრა დაამშვენა ნანა ტონიას მიერ დეკლამატორული ოსტატობით გახმიანებულმა ამონარიდებმა პლუტარქოსის წიგნიდან და როსტომ ჩხეიძის მიერ ნაკითხულმა „მორალიების“ ნაწყვეტებმა.

დასასრულ ქალბატონმა ნანამ მაღლობა გადაუხადა დამსწრეთ, გამომსვლელებს და როსტომ ჩხეიძეს (ამით მთელი დარბაზის განწყობაც გამოხატა), იმისთვის, რომ მას არასოდეს უყურადღებოდ არ რჩება სხვათა ნაშრომი, ღვაწლი და თავის მოვალეობად თვლის შეხვედრებით, განხილვებით, თუ ჟურნალის ფურცლებიდან პოპულარიზაცია გაუწიოს, ახალი სიცოცხლე მიანიჭოს ყოველივე იმას, რაც ნამდვილ ღირებულებებს ქმნის, რაც ყოველდღიურობას შინაარსით ავსებს და ჩვენს კულტურასა და სულიერებას ამდიდრებს.

გთავაზობთ აუდიოჩანაწერის მოკლე ვერსიას:

„სემირამისმა, როდესაც ააგო თავისი სამაროვანი, საფლავის ქვას წაანერა: მეფეთაგან თუკი ვინმეს ფული დასჭირდეს, გათხაროს ეს საფლავი და აილოს, რამდენსაც ისურვებს და აი, დარიოსმაც გათხარა, მაგრამ იქ ფული ვერ აღმოაჩინა, სამაგიეროდ სხვა წარწერას წაანყდა: ბოროტი კაცი რომ არ ყოფილიყავი და ფულის ხარბი, მიცვალებულებს არც შეაწუხებდი“. ამ ამონარიდით გახსნა შეხვედრა როსტომ ჩხეიძემ.

— ამ წიგნში უამრავია ასეთი ეპიზოდი, ასეთი ფრაგმენტი, გამორჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებიდან, თუ სრულიად უცნობ ადამიანთა ყოფიდან — მოსწრებული სიტყვა, ღრმა-აზროვანი ნათქვამი, — ამ ყველაფერს პლუტარქოსი აგროვებდა, რათა შემდგომ შეეტანა თავის „ბიოგრაფიებში“.

„ბიოგრაფიები“ და საერთოდ მისი ნაღვანი — ეს არის ის წიგნები, რომელთა გარეშეც არ უნდა მოხდეს არც ერთი ქვეყნის ახალგაზრდობის სულიერი ფორმირება და მათ შორის ქართველებისაც. თუ რაიმეზე უნდა გაიზარდონ ქართველი ყმაწვილები, მათ შორის პლუტარქოსის „პარალელურ ბიოგრაფიებზეც“. ეს მასალა, რაც „მორალიებშია“ თავმოყრილი, ნაწილი „ბიოგრაფიებშიც“ არის შესული, ნაწილი ასეა თავმოყრილი და ცალკეც შესანიშნავი საკითხავია.

პლუტარქოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ზნეობრივ გააზრებას ადამიანის ბიოგრაფიისას, მის სულში წვდომას. ის საგანგებოდ აღნიშნავდა: „მე არ ვწერ ისტორიას. მე მინდა ჩვენზე ადამიანის სულს. და მართლაც, როგორც მხატვარი, რომელიც რაღაც დეტალით წარმოსახავს ადამიანს, პლუტარქოსიც ასევე ცდილობდა დეტალებით, წერილმანი ამბებით წარმოესახა ადამიანის მთელი ბიოგრაფია.

იმ მომენტში შეიძლება ის მართლაც წერილმანი იყოს დიდმნიშვნელოვან ამბებთან შედარებით, მაგრამ ბევრჯერ ქრება ეს დიდმნიშვნელოვანი ამბავი, რაც თავის დროზე შეიძლება გრანდიოზულიც იყო და რჩება ფრაგმენტი, წინწკალი და სწორედ ეს ფრაგმენტი და წინწკალი უფრო გრანდიოზულ მნიშვნელობას იძენს შინაგანი მასშტაბურობით დროთა განმავლობაში.

პლუტარქოსის „პარალელური ბიოგრაფიების“ რჩეული ნაწილი წლების წინათ თარგმნა აკაკი ურუშაძემ და აი, ახლა „მორალიებიც“ ხელთ გვაქვს.

შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა არც ერთი ჟანრი, რომელიც არ აღბეჭდილა პლუტარქოსის მოღვაწეობით — აქ არის დიალოგი, ნოველები, ჩანაწერები, მაგრამ

როგორც ვთქვით, მთავარი არის ეს ბიოგრაფიული მასალები, რაც ერთი შეხედვით, მასალაა, მაგრამ მას დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს.

პლუტარქოსი არის ის ავტორი, რომელიც ერთი შეხედვით ძალიან ადვილად იკითხება, ძალიან ადვილად ითარგმნება, მაგრამ ეს სიადვილე მოჩვენებითია. მისი სრულყოფილი თარგმნა ნიშნავს არა მხოლოდ ნაზრევის გადატანას სხვა ენაზე, არამედ უნდა შენარჩუნდეს მისი სტილის სისხარტე, ექსპრესია, და ვის შეეძლო ამგვარად თარგმნა პლუტარქოსისა, თუ არა ნანა ტონიას, შესანიშნავ თარგმნელს, რომლის სახელსაც უკავშირდება არაერთი თარგმანი და ორიგინალური წიგნი, მთელი წყება წიგნებისა.

მოვალენი ვართ, რომ მის სახელს და ნაღვანს უფრო მეტნი იცნობდნენ და აფასებდნენ. პლუტარქოსის ეს წიგნი ხვალ და ზეგ უფრო დიდი ტირაჟით უნდა გამოვიდეს. აქედან თუ შეირჩევა ცალკეული ფრაგმენტები და შევა სახელმძღვანელოებშიც, უკეთესს, ვფიქრობ, ძნელად მოიძიებებს ადამიანი.

ბატონი რისმაგი ბრძანდება ჩვენთან სტუმრად. შესანიშნავი მეცნიერი, თაობების გამზრდელი, ბევრი და კარგი საქმის აღმსრულებელი და ძალიან გვიხარია, რომ სწორედ იგი გახლავთ დღევანდელი შეკრების მთავარი მომხსენებელი.

**რისმაგ გორდეზიანმა** თავის მოხსენებას მცირე შესავალი წარუძღვარა და საგანგებოდ აღნიშნა, რომ მრავალი მიზეზია, რათა ის და მისი კოლეგები გახარებულნი და კმაყოფილნი ყოფილიყვნენ იმ ფაქტით, რაც „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ხდებოდა. უპირველესი მიზეზი იყო ქალბატონი ნანას წიგნის წარდგენა. იგი კლასიკური ფილოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, შესანიშნავი თარგმნელი, მეცნიერი, ლექტორი და სასიხარულოა, რომ ასეთი ფართო საზოგადოების წინაშე უნევეს გამოხვალა.

რა როლი აქვს დღეს თარგმანს, განსაკუთრებით კლასიკური ტრადიციის ქართულ ენაზე ამეტიყველებასა და რა პრობლემებს აწყდებიან „კლასიკოსები“ ამ თვალსაზრისით? ბატონმა როსტომმა როგორც მოგახსენათ, პლუტარქოსის შემოქმედებას აქამდე მკითხველი იცნობდა აკაკი ჟრუჭაძის თარგმანით.

სამწუხაროდ, ბ-ნმა აკაკიმ ვერ მოასწრო ყველა ბიოგრაფიის თარგმნა. ის ალბათ მომავალში, თუკი განხორციელდება, სამ ტომად უნდა გამოვიდეს.

„მორალიები“, „პარალელურ ბიოგრაფიებთან“ ერთად, ჭეშმარიტად ენციკლოპედია მთელი ანტიკური კულტურისა. არ დარჩა არცერთი საკითხი, არცერთი მწერალი, პლუტარქოსი არ შეხებოდეს თავის თხზულებებში.

„მორალიების“ თარგმნა ერთი მხრივ ადვილია თითქოს, მაგრამ ამავე დროს ძნელია, რადგან სულ ოთხმოცამდეა. სრულად მათ თარგმნას ძალიან დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ თუ ნანა მთარგმნელთა ჯგუფს ჩაუდგება სათავეში, ეს განხორციელდება.

ამჟამად ქალბატონმა ნანამ აარჩია რამდენიმე მორალია. პირველი: „**შვიდი ბრძენკაცის ნადიმი**“.

**სიმპოსიონი** ქართულად ითარგმნება როგორც ლხინი ან ნადიმი, მაგრამ შეიძლება ის ამ ფორმითაც დამკვიდრეს (სიმპოსიონი — სიმპოზიუმი!).

სიმპოსიონი გადაიქცა ლიტერატურის მცირე ჟანრად. ანუ ეს არის თავყრილობა ადამიანებისა, რომლებიც არასერიოზულ ამბებზე ლაპარაკობენ, ან ძალიან სერიოზულ ამბებზე ლაპარაკობენ, ან ორივეზე ერთად.

და რა ქმნის იმ სირთულეს, რომლის წინაშეც მთარგმნელი დგება?

აქ არის მხატვრული ინფორმაცია, მეცნიერული ინფორმაცია, — სტილი სენტენციური აზროვნების და სტილი ყოფითი ნარატიულობის, მონაცვლეობენ.

ქალბატონმა ნანამ ეს სირთულე იმდენად წარმატებულად დაძლია, სრული შეგრძნება გეუფლებათ, რომ კითხულობთ ორიგინალს.

იმდენად ლაღად მოედინება ტექსტი და ადვილად მიჰყვებით საუბრის

ლოგიკას, სრულიად გვავიწყდება, რომ ხელთ თარგმანი გვიჭირავს.

აქ არის კიდევ წარმოდგენილი ერთი სფერო ანტიკური შემოქმედებისა — ე.წ. **აპოფთეგმები**.

აპოფთეგმების ჟანრი ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურობაში. შემდეგ ამ აპოფთეგმებზე, გნომებზე, სენტენციებზე რენესანსის ეპოქაში იყო უდიდესი მოთხოვნილება და ყველას კარგად გვახსოვს თუნდაც ერაზმუს როტერდამელი, რომელმაც უამრავი ასეთი სენტენცია ლათინური და ბერძნული (ხუთი ათასამდე!) გააერთიანა და დაარქვა „ადაჟიები“ და კომენტარებითურთ გამოსცა.

ამ აპოფთეგმების და „შვიდი ბრძენის“ მნიშვნელობა ძალზე დიდია საზოგადოებისთვის.

ვინმემ რომ გკითხოთ, თუნდაც საქართველოს უახლესი ისტორიიდან (ვთქვათ ერთი საუკუნე!), რომელი პოლიტიკური მოღვაწის რომელ პოლიტიკურ გამოთქმას მოიტანდით რამე ფაქტთან დაკავშირებით, ან რაღაცის საილუსტრაციოდ, ნიმუშად?

არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ, ვფიქრობ, ერთი სენტენციის გახსენებაც ძალიან გაგვიჭირდება.

**როსტომ ჩხეიძე:** შეგროვება შეიძლება, ბევრი თუ არ არის, რაც არის, უთუოდ საგულისხმოა.



როსტომ ჩხეიძე, ნანა ტონია, რისმაგ გორდეზიანი

**რისმაც გორდუზიანი:** შეიძლება, მაგრამ არ არის ეს იმდენად თავმოყრილი, შეგროვებული, არც არსად გამოცემული! ამდენად მაინც გაგვიჭირდება!

თანაც თუ არსებობს, არ არიან იმდენად მასშტაბურნი და უნივერსალურნი, რომ მკითხველის ფართო ინტერესი გამოიწვიონ.

ნანას მიერ თარგმნილ აპოფთეგმების უკან დგანან ადამიანები, რომელთაც ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულეს. ერთი მხრივ ესენი არიან მეფეები, ასევე აქ არის სპარტელთა ლაკონიზმით გამოჩენილი ოლქის მკვიდრთა აპოფთეგმები, ძალიან ცნობილი ადამიანების — კაცების, ქალების აპოფთეგმები. ძალზე საინტერესო სამყაროა.

ბატონმა როსტომმაც ბრძანა და მეც ასე ვფიქრობ: ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისთვის, მათი გემოვნების, აზროვნების ფორმირებისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასეთი წიგნის გამოცემას, იმიტომ, რომ აქედან ყოველთვის შეუძლია მოიტანოს ისეთი ციტატა, ისეთი გამონათქვამი, რომელიც ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე, სიტუაციაში უთუოდ წაადგება.

დღეს მკითხველის რაოდენობა შემცირდა, თუმცა იყო დრო, როდესაც ჩვენი თარგმანები, და მათ შორის ნანასიც, გამოცემული 40-ათასიანი ტირაჟით, მომენტალურად იყიდებოდა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცეოდა.

ჩვენ თუ არ მივიღეთ სერიოზული ზომები, რომ საზოგადოების ინტერესი კვლავ გავაღვიძოთ ღირებული ლიტერატურის მიმართ, ამ შემთხვევაში თარგმნილი ლიტერატურის მიმართ, ჩვენი საზოგადოება უმოკლეს დროში აღმოჩნდება ძალზე სავალალო მდგომარეობაში, ისეთში, რომელსაც არცერთი არ ვისურვებდით.

ჩვენი წრიდან უნდა წამოვიდეს აზრი, რომ თარგმანს სჭირდება სერიოზული სახელმწიფო პოლიტიკა, მხარდაჭერა.

ახალგაზრდები ჯერ არ ფლობენ უცხო ენებს ისე, რომ ორიგინალში იკითხონ. და აი, სანამ ისწავლიან, აუცილებელია მშობლიურ ენაზე მივანოდოთ სულიერი საზრდო.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა იმისთვის, რომ მოგვეცა საშუალება ნანას თარგმანი ასე მასშტაბურად წარგვედგინა საზოგადოებისთვის.

**ნანა ტონია:** მინდა დავიწყო იმ საკითხით, რაზეც ყოველთვის მებრძვიან ხოლმე: რატომ პლუტარქოსი და არა პლუტარქე?

ამის შესახებ წიგნის შესავალშიც მაქვს მინიშნებული.

ენციკლოპედიებზე, ლექსიკონებზე მუშაობისას ყოველთვის ვდგებით პრობლემის წინაშე — როგორ ვთარგმნოთ სახელები, რომლებიც არატრადიციულია. შევთანხმდით, რომ ძირითადად სახელები გადმოვცეთ სახელობითი ბრუნვის ფორმით, მაგრამ რაც ძალიან ტრადიციულია, ის დავტოვებთ.

პლუტარქე — ეს ფორმაც ძალიან ტრადიციულია — აკაკი ურუშაძემ თავის დროზე არაჩვეულებრივად თარგმნა „პარალელური ბიოგრაფიები“ და მისი გამოცემა დღემდე რჩება სამაგიდო წიგნად.

მეც ამ წიგნით გავეცანი ამ ავტორს და შევძელი პლუტარქოსთან მიახლოება. თუმცა, აქვე უნდა ვთქვა, რომ არსებობს სხვა ტრადიცია ამ სახელის სახელობითი ბრუნვით ხმარებისა და ის წარმოდგენილია თამარ მეფის პირველი ისტორიოგრაფოსის ნაშრომში. „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი მოიხსენიებს პლუტარქოსს და მის „აღუქსანდრე მაკედონელს“. წარმოგიდგინთ ამონარიდს, როდესაც ისტორიოგრაფოსი თამარ მეფეზე ამბობს: „...რომელთა შემსხმელად ხაშვ ომიროს მერ-

აბამე იგი. იდიდსტყუა აღუქსანდრესადმი პლუტარქოს...“ „პარალელური ბიოგრაფიები“ ნიკო დადიანის დავალებით რუსული ენიდან უთარგმნია მღვდელს იესე გარსევანიშვილს. თარგმანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, ხელნაწერს მინანერიც ახლავს: „ვინაიდან განმეცადა მარგეობა და სიტკბო პლუტარქოსის დიდთა მამათა ცხოვრების აღწერისა, აღვიძარ სურვილით გარდმოვცემად ჩუენსა ზედა ენასა, სარგოდ საყვარელისა ჩემისა მამულისა...“

ყოველივე ამან გადამაწყვეტინა, რომ გარეკანზე გამომეტანა „პლუტარქოსი“ და არა პლუტარქე, როგორც ეს ჩვენს აღქმაშია დამკვიდრებული.

**მანანა ფხაკაძე:** დღეს ჩვენ ძალიან კარგმა მოვლენამ მოგვიყვანა აქ, ეს გახლავთ „მორალიების“ პირველი თარგმანი ქართულ ენაზე. როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ *habent sua fata libelli*, ქუდბედიანი აღმოჩნდა ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურისთვის პლუტარქოსი. თარგმნა არაჩვეულებრივად ბატონმა აკაკი ურუშაძემ და ჩვენ გავიზარდეთ ამ თარგმანებზე.

„მორალიები“ სრულად ვერ თარგმნეს რუსებმაც კი, რომელთა მთარგმნელობით პოტენციას ვერ შევედრებით, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი არიან და არაჩვეულებრივი მთარგმნელობითი სკოლა ჰქონდათ. მათაც კი მხოლოდ ოციოდე წლის წინათ დაიწყეს „მორალიების“ თარგმნა და ქვეყნდებოდა „Вестник древней истории“-ის ფურცლებზე.

შემდეგ გამოსცეს არცთუ სრული კრებული.

ნანა მარტო შეეჭიდა ამ საქმეს და, მინდა გითხრათ, რომ *Diem da oleum non perdidit* — ტყუილად არ დახარჯა არც ზეთი და არც დღე — გააკეთა სასარგებლო საქმე.

ჩვენი მწერლობა ძალიან ფასეულია, მაგრამ იმითაც ფასდება ერი, რა აქვს თარგმნილი.

პლუტარქოსი არ იყო ორიგინალური მწერალი, რაც ნანამ წაიკითხა, ეს აპოფთეგმები ბევრი უკვე ჰეროდოტესთანაც გვხვდება. ისტორიულად ძალიან საინტერესოა იმიტომ, რომ ბევრი წყარო, რითაც სარგებლობდა პლუტარქოსი, დღეს დაკარგულია.

ამდენად მის შემოქმედებას ისტორიული ღირებულება აქვს.

ნანასაც აქვს კომენტარებში აღნიშნული, როგორი რუდუნებით აგროვებდა ის ამ ჩანაწერებს.

მიუხედავად იმისა, რომ პლუტარქოსი არ არის ორიგინალური, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის თანმიმდევრული, მიუხედავად იმისა, რომ არის ეკლექტიკოსი, სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობა, სხვადასხვა სტილი აღრეულია, თავისი ნიჭიერებით, თხრობის არაჩვეულებრივი მანერის წყალობით (ასეთი იყო ჩვენი თანამედროვე ირაკლი ანდრონიკოვი, — საოცარი მთხრობელი!) დაიმკვიდრა ადგილი ლიტერატურის ისტორიაში.

ერთი გერმანელი მეცნიერი წერს: გამოჩენილები გახდნენ ის ადამიანები, რომელთა ცხოვრებაც აღწერა პლუტარქოსმა „პარალელურ ბიოგრაფიებში“ და შეიძლება მათზე უფრო დიდი პიროვნებები, რომლებიც პლუტარქოსის ყურადღების მიღმა აღმოჩნდნენ, დარჩნენ ჩვენთვის უცნობნი.

დღეს ჩვენ ქართული „მორალიები“ ხელთა გვაქვს და პერ ასპერა ად ასტრა — ეს თარგმანი მე განსაკუთრებით მომწონს, იმიტომ, რომ იგრძნობა ის დახვეწილობა, რაც ნანას დიდ მთარგმნელობით გამოცდილებას თან ახლავს.

ჩვენი პოლიტიკოსები და მმართველები არ წაიკითხავენ „მორალიებს“, მაგრამ რომ წაიკითხათ, ალბათ, ბევრად უკეთესად შეასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.

**როსტომ ჩხეიძე:** ერთ-ერთ ნომერში „ჩვენი მწერლობისა“ გამოქვეყნდა მანანა ლარიბაშვილის წერილი — კიდევ ერთი ნიმუში იმისა, რომ ქართული კრიტიკა მაღალ დონეზეა გამოდის წიგნი და მაშინვე მოჰყვება პროფესიული წერილი.

**მანანა ლარიბაშვილი:** მადლიერება მიხდა გამოვთქვა იმის გამო, რომ კლასიკური ფილოლოგიის დარგს ყოველთვის მაღალ დონეზე წარმოაჩენთ და დღევანდელი დღეც ამის კიდევ ერთი დადასტურებაა.

აქ ლაპარაკი იყო უფრო პლუტარქოსზე, როგორც ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოაზროვნეზე. ის მართლაც დიდი ფიგურაა. ორიგინალურია თუ არა, ეს საკამათოა, ამ მხრივ უფრო მის თანამედროვეთა დამოკიდებულება უნდა ვიცოდეთ, მაგრამ არ არის ცნობილი, ერთი რამ კი უდავოა — ახალგაზრდობა უნდა გაიზარდოს ამ ლიტერატურაზე. ამიტომაც დასაფასებელია ნანა ტონიას ეს დიდი შრომა — პლუტარქოსის „მორალიების“ თარგმნა.

რახან ჩემი სტატია უკვე დაიბეჭდა, თავს არ შეგანყენთ, მხოლოდ თარგმანზე მოკლედ მოგახსენებთ.

აპოფთეგმების თარგმნა, ერთი შეხედვით, შეიძლება იოლი მოგვეჩვენოს, როცა ყველაფერი შეკრული და დალაგებულია, მაგრამ ეს სისხარტე, იუმორი, ლაკონიზმი ერთობ რთული გადმოსაცემია დედნისეული ეფექტურობით. ყველა სიძნელე უზადოდ არის დაძლეული ნანას თარგმანში. ეს წიგნი ნანას პირველი პროზაული თარგმანია. გასაოცარია ის სიმსუბუქე, ამავდროულად სიტყვის ძალა, რაც თარგმანს ახასიათებს. აქამდე ნანა ტონია თარგმნიდა პოეზიის ნიმუშებს, მეტაფორებით და მაღალი სტილით დაწერილ ლექსებს — საპფოს, ალკეოსს... ცდილობს აყვეს ავტორს, მისი სტილი გაითავისოს, ღრმად ჩასწვდეს და ისე გადმოსცეს სათქმელი. პლუტარქოსის თარგმანიც მისი მაღალი მთარგმნელობითი ხელოვნების თვალსაჩინო გამოხატულებაა.

**ლევან ბრეგაძე:** მქონდა ბედნიერება ორი სემესტრის განმავლობაში, 1965-66 წლებში, მესმინა ბატონი რისმაგისტვის. არცერთი ლექცია არ გამოცდენია, „ილიადას“ მონაკვეთები ზეპირად ვიცი ახლაც.

დიდი მადლობა ამისთვის და იმისთვისაც, რასაც თქვენ და თქვენი ინსტიტუტი აკეთებთ — ეს არის უზარმაზარი საქმე. ადრეც მქონია საშუალება მადლიერება გამომეხატა თქვენი არაჩვეულებრივი დაწესებულების მიმართ, რომელსაც ძალიან გრძელი სახელი აქვს და მოიცავს მთლიანად ძველ და ახალ ბერძნულ სამყაროს...

**ნანა ტონია:** კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი...

**როსტომ ჩხეიძე:** ზოგისთვის ძნელი დასამახსოვრებელია! **ლევან ბრეგაძე:** დიხს, დიხს, ბოლოში უნდა ინსტიტუტი! პლუტარქოსი — რა კარგია, ნანა, რომ ეს ძველი ფორმა ამოგილიათ ძველი ქართული ტექსტებიდან.

მე მაგონდება ორი ქართველი, რომელთაც პლუტარქოსს უწოდებდნენ.

ერთი გახლდათ საინტერესო მწერალი და მოღვაწე იონა მეუნარგია, რომელსაც ქართველი პლუტარქე შეარქვეს იმიტომ, რომ დასდევდა კუდში ცნობილ მოღვაწეებს და ინერდა თითქოს უბრალო ამბებს, რომელთაც იმ წუთში

ფასი არ ჰქონდა, მაგრამ დრო რომ გადის, უცნაურია, მაგრამ ამისი ფასი იზრდება.

მეორე — ტიცინ ტაბიძეს აქვს ლექსში, ერთ-ერთ დადასტურ მადრიგალში — ჯავახიშვილი წერს პლუტარქივით... აი, ეს ორი ფაქტიც — ქართულ კულტურაში პლუტარქოსის რეცეფციისთვის საინტერესო უნდა იყოს.

ქალბატონმა მანანამ სწორად ბრძანა, ყოველივე ეს პლუტარქოსის შექმნილი არ არის, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინებით რომ ვთქვათ, ეს „ნონ-ფიქშენია“, „ფიქშენი“ არ არის.

„ფიქშენმა“ კარგად ჩაანაცვლა ბელეტრისტიკა, რომელიც რიგ გაუგებრობებს ინვევდა ლიტერატურის თეორიაში. უცხოეთში გამოცემულ წიგნებს აწერია ხოლმე — თუ ვთქვათ რომანია, აწერია „ფიქშენ“, თუ ასეთია, რაზეც საუბარი გვაქვს, აწერია „ნონფიქშენ“. და მიხვდები, რომ ნამდვილ ამბებთან გავსს საქმე...

**დავით წერეთლიანი:** ისტორიულად ზუსტი ცნობებია? თუ მაინც შეთხზულია სხვის მიერ?

**ლევან ბრეგაძე:** ეგ სხვა საკითხია, მაგაზე მიხდა ვთქვა, თუ მოვასწარო, არაჩვეულებრივად საინტერესოა, ძალიან დიდი მოვლენაა და იმსახურებს ყურადღებას...

დღევანდელი მკითხველის ინტერესი იხრება უფრო „ნონფიქშენისკენ“ — მთელ მსოფლიოში ასეა და ჩვენთანაც ასეა. რომანებს შორის ნამდვილის და დიდებულის ამორჩევა მართლაც ძალიან ძნელია. „ნონფიქშენი“ კი ყველაფრით დიდებულია, რადგან მართალია, ნამდვილია.

პლუტარქოსი წერს იმ ადამიანებზეც, ვინც მასზე გაცილებით ადრე ცხოვრობდნენ, სხვა საუკუნეებში. როგორ ეცოდინებოდა მას მათ შესახებ, თუ სადმე არ წაიკითხავდა მსგავს ლიტერატურას?

ესაა არაჩვეულებრივი ნიჭი — მოიძიო საინტერესო ფაქტები. ყველა რაღაცას თხზავს, წერენ პოემებს, იგონებენ სიუჟეტებს, — ასი კაცი რომ ამას აკეთებს, ერთი კი ადგება და რაც ხდება გარშემო, იმას აღწერს.

იმ ერთი კაცის ნაღვანი ოთხმოცდაათი სხვა მისი კოლეგისას გადანონის, რაც დრო გავა.

კიდევ ვიმეორებ: ამას ამ წუთში არა აქვს ფასი, თუნდაც დღეს რაც აქ ხდება, მაგრამ თუ ამას ვინმე დეტალურად აღწერს, წლების და წლების შემდეგ იქნება უძვირფასესი მასალა.

**როსტომ ჩხეიძე:** რატომ არ უნდა შემოგვრჩეს?

**ლევან ბრეგაძე:** თუ არ ჩაწერა ვინმემ, არ შემოგვრჩება. რედაქციებში მიმუშავია და დაკვირვებული ვარ: მოდის ხალხი, ძალიან საინტერესო ბიოგრაფიის ხალხი, ამ დროს მოაქვთ პოემები, რაღაც რომანები... ხშირად მითქვამს მათთვის: ის დაწერე, რაც გინახავს და დაგმახსოვრებია... მხატვრულ ტექსტზე ის მოთხოვნა აღარ არის, ლექსზე მოთხოვნილება აღარ არის... ბევრია ძალიან... მართალია არაფერი ღირებული არ ძველდება, ლირიკა არ ძველდება, მაგრამ მოთხოვნილებამ მხატვრულ ჟანრზე იკლო.

ჩვენ ანტიკურობასა და ბიბლიაზე ვდგავართ — ეს ორი სამყაროა, რომელთაც შექმნეს ჩვენი — ქართველობის და ახლომახლო ხალხების დღევანდელია. ამ თვალთვალ უაღრესად საინტერესოა პლუტარქოსის წაკითხვა.

ვთქვათ, ეს ნიმუში — როგორ ცვლილებას განიცდის დროთა განმავლობაში ზოგიერთი გამონათქვამი: „ერთმა კაცმა, რომელსაც თვალები ჰქონდა დაავადებული, განიზ-

რახა საომრად წასვლა, საით გაგინევია? — ჰკითხა ვილამ, ან რა შეგიძლია? — რომც ვერაფერი შევძლო, ჩემი სხეულით მტრის მახვილს მაინც დავაჩლუნგებო, — უპასუხა მან. ახლა ამბობენ: ერთ ტყვიას მაინც გავაცვიებო.

სპარტელებს რაც შეეხება, აქ ბევრი რამ გაზვიადებულია. უნიკალური ხალხი იყო თავისი ცხოვრების მკაცრი წესის და ლაკონური მეტყველების გამო.

გამოთქმაც არსებობს: სპარტანული თუ სპარტული აღზრდა.

მაგრამ როგორც ჩანს, მოგვიანებით დაიწყო ანეკდოტების შეთხზვა მათი ამ თვისებების გაზვიადებით, დაახლოებით ისე, როგორც გაბროველებზეა (ბულგარეთის ერთ-ერთი პროვინციის მაცხოვრებლებზე) ცნობილი.

ძალიან სახალისო საკითხავია.

როცა თარგმანებს ვკითხულობ, რაღაცებს ვინიშნავ ხოლმე. პლუტარქოსის კითხვა რომ ჩავამთავრე, აღმოვაჩინე, რომ არაფერი მომინიშნავს. ეს იდეალურია, როცა არ გეჩრება თვალში ლამაზი ფრაზა, არც არქაიზმები გხვდება თვალში ცალკე — ანუ თარგმანის ენა არ გახსოვს კითხვის დროს. ენა არ უნდა ჩანდეს.

თარგმანი მართლაც უმაღლეს პროფესიულ დონეზეა.

რამდენჯერმე წაკითხვა ამ წიგნისა და სხვა კაცი იქნები, უკეთესი პოლიტიკოსიც იქნები, უკეთესი სახელმწიფო მოღვაწეც და პიროვნებაც.

**ევა კობახიძე:** აქ ყველაფერი ითქვა, რაზეც ვაპირებდი საუბარს, ამიტომ ერთ რამეზე შევჩერდები: ჩვენ რომ ანტიკურ ლიტერატურას ვასწავლით და ვუსახელებთ სტუდენტებს რამე ლიტერატურას, ყოველთვის შიში შეგვიპყრობს ხოლმე, მიიღებს ახალგაზრდა მას ისე, როგორც უნდა მიიღოს. ანუ თარგმანი მას მისცემს იმ ღირებულებებთან მიახლოების საშუალებას თუ არა. ეს პრობლემა ჩვენს საქმიანობაში ყოველთვის არის, ვინაიდან რაც უფრო კარგად იცი ენა, მით მეტი პრობლემა გექმნება. უფროსილდები თითოეულ სიტყვას, არ გინდა დაიკარგოს... მკითხველი უნდა გახსოვდეს და ბევრ რამეზე უარი უნდა თქვა.

მინდა მივულოცო ქალბატონ ნანას ეს წიგნი, რადგან მის მთარგმნელობით კარიერაში ეს არის ერთ-ერთი წარმატებული თარგმანი.

გუშინ ბატონ ბაჩანასთან ვიყავით და ვსაუბრობდით, რისი თარგმანა უფრო რთული — პოეზიის თუ პროზისა?

მან ბრძანა, რომ პოეზიის. მისთვის არ მითქვამს, მაგრამ ნება მომეცით, არ დავეთანხმო! ქალბატონ ნანას თარგმანი სწორედ ამის ნიმუშია, თუ რაოდენ რთულია ერთი შეხედვით მარტივი პროზის ტექსტის თარგმანა.

**როსტომ ჩხეიძე:** მთარგმნელობით ხელოვნებაზე ვსაუბრობთ და ვისი აზრი იქნება საინტერესო ყველაზე ძალიან, თუ არა ამ ხელოვნების დიდოსტატის დავით წერეთლისა.

**დავით წერეთლიანი:** პლუტარქოსზე უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა და ამჯერად მხოლოდ ამით შემოვიფარგლები — რა არის ორიგინალური თუ არაორიგინალური ამ ავტორთან დაკავშირებით.

როგორც ფილოსოფოსი, რა თქმა უნდა, ორიგინალური არ არის — არავითარი სისტემა არ შეუქმნია, მაგრამ მთელი უანრი შექმნა კაცმა და მეტი რაღა უნდა ექნა? ამ მხრივ უორიგინალესი ავტორია.

ასე რომ, მშვენიერი წიგნი გვაჩუქა ნანამ.

როცა თარგმანი კარგია, თითქმის არაფერია სალაპარაკო.

კარგია და მორჩა.

თუ არ ვარგა, იცოცხლე, მაშინ შეიძლება ფართოდ ლაპარაკი, მასალა უხვად არის.

ამ წიგნით სალაპარაკოს არ გვიტოვებს მთარგმნელი. ის, რაც მოეთხოვებოდა ამ თარგმანს — სიზუსტე, ლაპიდარულობა, აფორისტულობა — ისეა გაკეთებული, ცოტა კი გამიკვირდა მისგან, იმიტომ, რომ ადრეულ თარგმანებში უფრო არტისტიული სტილის პოეზია იტაცებდა.

ნანა საოცარ მთარგმნელთა რიცხვშია. ეს სადაო არავისთვის არ არის. ოღონდ მხოლოდ ძველს თარგმნის ძირითადად. ბერძნებს, რომაელებს. აქ საკმაოდ ძნელი ვითარებაა — გაეჯიბრო დღევანდელ ცოცხალ ავტორებს.

სხვა ენებზე, რუსულადაც წაგვიკითხავს და ვიცით, ამ ძველს რაღაც ისეთი უმოძრაო ახლავს, როგორც წესი, პნკარედის დონეზეა ხოლმე.

ეს რომ ამოძრაო, დაიჭირო ის მოძრაობა, რაც იქ არის, საკმაოდ რთული საქმეა. და სწორედ ეს მეტყველებს მთარგმნელის დიდ ხელოვნებაზე.

პირველად საფო თარგმანა — პირველად გაუღერდა ბერძნული სიტყვა, რომელიც პოეზია იყო ამავე დროს. შემდეგ სულ სხვა სტილის პოეტი — პინდაროსი, რომელთანაც ყველაფერია: ლირიკა, ეპიკა, დიტირამბი — ეს ყველაფერი ცალ-ცალკე რომ იყოს, კიდევ ადვილია, მაგრამ ერთადა! ამასაც ძალიან კარგი გასაღები მოუწახა.

მივესალმები ამ ახალ თარგმანს და მთელ მის შემოქმედებას!

**გვანცა კობლაძე:** როცა ადამიანი უცხო ავტორს თარგმნის, ამ დროს არც უცხო ენის ღრმა ცოდნა კმარა და არც მშობლიური ენისა, კიდევ მესამე აუცილებელი პირობაც არსებობს — უნდა ზედმიწევნით იცნობდე იმ სამყაროს, რომელსაც ავტორი ეკუთვნის. ამ მხრივაც ქალბატონი ნანა სუციალისტია ანტიკური მწერლობისა, ანტიკური ლიტერატურის ისტორიისა და ბუნებრივია, რომ ეს ძველი სამყარო მისთვის ნაცნობი და ახლობელია. ბატონმა რისმაგმაც ბრძანა და მეც ასე ვფიქრობ, განსაკუთრებით აქტუალურია „მორალიების“ თარგმანა დღევანდელი ჩვენი საზოგადოების განწყობილებისათვის.

ყველაფერი ბერდება ამ ქვეყანაზე, ყველაფერს შეიძლება მოსაწყენი იერი მიეცეს, მოძველდეს, დრომ უკანა პლანზე გადაიტანოს, მაგრამ რაც არ ბერდება, მუდმივად მარადიულია — ესაა ზნეობრივი ღირებულებები და მას ვერაფერი შეცვლის. ხშირად უგულვებელყოფენ, ებრძვიან ამ ღირებულებებს, მაგრამ დრო გადის და აღმოჩნდება, რომ ეს არის მთავარი, როცა ადამიანი ადამიანია, როცა მასში ღვთის ხატი ცოცხლობს.

ღვთისმეტყველებაში ცნობილი ფაქტია, ღვთის ხატი არ ქრება, შეიძლება დროებით მისი ნაბიღწვა, შერყვნა, დაცემა, მაგრამ ის არასოდეს ქრება და ამიტომ ბრძოლა ზნეობის წინააღმდეგ ყოველთვის მარცხით მთავრდება.

„მორალიები“ ის წიგნია, რომელიც ყოველთვის მიუთითებს ახალგაზრდობას გაარკვიოს სადაა სიმართლე, სადაა შავი და თეთრი.

პლუტარქოსს ნახევრადქრისტიან მწერლად თვლიან, ნანაც წერს ამაზე შესავალში და მეც ვფიქრობ, რომ ასეა, რადგან პლუტარქოსი არის ზნეობის მქადაგებელი და ქრისტიანობაც ზნეობას მოითხოვს. ღვთისმეტყველება ზნეობის გარეშე არაფერია, ცარიელ თეორიად რჩება.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ეს ავტორი ნანასთვის სულიერად ახლობელი აღმოჩნდა, იმიტომ, რომ თვითონ

ნანაც ასეთია — მშვიდი, კეთილგანწყობილი პიროვნება. ერთი შემთხვევაც არ მახსენდება ამდენი წლის მანძილზე, რომ ვინმესთან ჰქონოდა უთანხმოება, უსიამოვნება, უსარგებლო კამათი.

ვფიქრობ, რომ პლუტარქოსი, როგორც ძალიან კეთილი მწერალი, და ნანა ერთმანეთს ესადაგებიან ყველანაირად.

სწორად ითქვა, რომ არანაირი ხელოვნურობა არ იგრძნობა თარგმანში და ძალდაუტანებლად იკითხება.

მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ როსტომს ამ შეხვედრისა და იმისთვის, რომ მოგვცა საშუალება საჯაროდ გამოვეხატა ჩვენი სიყვარული და პატივისცემა ნანას მიმართ.

**როსტომ ჩხეიძე:** ქალბატონმა გვანცამ მიაქცია ყურადღება ერთ ძალიან კარგ დეტალს, რომ პლუტარქოსის

„მორალიები“ თარგმნა თვითონ ზნეობრივმა პიროვნებამ, სხვაგვარად ასე სრულყოფილი შეიძლებოდა არც ყოფილიყო ეს თარგმანი.

**ნანა ტონია:** კიდევ ბევრი ამონარიდი მქონდა მომზადებული, მაგრამ თავს არ შეგანყენთ და მხოლოდ რამდენიმეს წავიკითხავ „შვიდი ბრძენკაცის ნადიმოდან“.

**როსტომ ჩხეიძე:** ამ წიგნიდან ამონარიდით დავიწყებ და ამონარიდითვე დავასრულებ: „სასახელო და დიად საქმეებზე კი არ უნდა იოცნებო, არამედ უნდა აღასრულო“ — ამბობდა კეისარი. აი ეს ყველაფერი ჩვენ თვალწინაა: კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციკის ინსტიტუტი კი არ იოცნებობს დიდ და სასახელო საქმეებზე, არამედ აღასრულებს მას.

მარინე ტურავა

# ქველი თბილისის კოლორიტი

ჯემალ ფოცხვერიას „ჩემი ცხოვრების აღმართი“ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ გამოსცა, წიგნის რედაქტორია ნინო დუკანოიძე, მხატვარი ბერდია არაბული. როსტომ ჩხეიძის წერილი „თბილისური აღმართი“ მიგვიძღვება ავტორის მოგონებათა სამყაროში — XX საუკუნის 40-50-იანი და უფრო გვიანდელი ხანის თბილისში. ჯემალ ფოცხვერია აბანოთუნის ერთი ქართული ეზოს მაგალითზე მთელი იმდროინდელი, ჯერ კიდევ პატარა და კოლორიტული, ქალაქის ეთნიკურ მრავალფეროვნებას, გაჭირვებას საოცარი სიზუსტითა და ოსტატობით მოგვითხრობს. მიიჩნევს, რომ ქართულ ეზოებს მიმბაძველობთა და მოდის გამო დაარქვეს იტალიური, თორემ ეს დედაქალაქური ეზოები სწორედ ჩვენი ყოფის ხიბლსა და მადლს იმარხავდა. მხატვრულ-დოკუმენტური თხრობა ერთიან კომპოზიციურ ქარგას ქმნის, ამიტომაც ძნელი დასაჯერებელია, რომ ავტორს წინასწარ არ ჰქონოდა მონიშნული ზოგადი მონახაზი მაინც, თუმცა გულწრფელად გვეუბნება, მოფიქრებული არ მქონდა, რითი დავიწყებდი ან დავამთავრებდი თხრობასო. მისი მოგონებები იმდენად თვითმყოფადი, გამორჩეული, განსხვავებული ადამიანებით არის აღსავსე, იმდენად გზიბლავს ჯემალ ფოცხვერიას მიერ ხასიათების ძერწვის ნიჭი, თხრობის მანერა, რომ ზოგჯერ გგონია, რომელიმე ცნობილი მწერლის უცნობ ნოველას, მოთხრობას ან ესეის ვკითხულობო. ავტორი თითქოს თავს იმართლებს — გადაჭარბებული ემოციები ვერ გავიფერმკრთალებო, არადა სწორედ ეს „გადაჭარბებული ემოციები“ და მახსოვრობაა ამ წიგნის მთავარი ღირსება.


დასაწყისში საკუთარი ოჯახის წევრების განსხვავებულ ხასიათებს გვიცოცხლებს ავტორი — ბებია მართა ჩიქოვანი, მტკიცე და შეუდრეკელი ხასიათის ქალი, ჯერ კიდევ რომ შერჩენია თავადური ამპარტავნება, მაგრამ ამასთანავე შვილიშვილის ყველაზე დიდი მეგობარი და დასაყრდენია, დედასაგან განსხვავებით, სიტბოსა და სიყვარულს უშურველად

აგრძნობინებს ბიჭებს. მართა ჩიქოვანი იმ ადამიანების განზოგადებული სახეა, ბოლშევიკებმა ყველაფერი რომ წაართვეს: სახელიც, პრივილეგიებიც და ქონებაც, მაგრამ მაინც ვერ გატყვეს წელში. გულზვიადი ჩიქოვანების შთამომავალი ცდილობს როგორმე ალღო აუღლოს ცხოვრებას და ფარ-ხმალი არ დაყაროს. ის ქალიშვილს ობლად დარჩენილი ბავშვების აღზრდაში ეხმარება. პატარა ბიჭისათვის ბებია მაგალითი იყო და მისგან ზნეობის არაერთი გაკვეთილი მიიღო, რაც ბევრჯერ გახსენებია და გამოდგომია ცხოვრების გზაზე. მკითხველზე კი განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს აზერბაიჯანელი მამედასათვის ფულის დაბრუნების სცენა, მამედამ ბიჭს ზედმეტი ხურდა დაუბრუნა, ბიჭმაკ ოჯახის დასახმარებლად ეს ფული ბებიას მიუტანა — არ ამიღია, არ მომიბარავს, თვითონ დამიბრუნაო. ბებია ფულის სასწრაფოდ დაბრუნება მოითხოვა, რამაც არა მხოლოდ ჯემალი, მამედაც ძალიან გააოცა. მართა ბებიას არასოდეს დაუკარგავს ზნეობა და ვერც გაჭირვებაში დაკარგავდა. „მთელი სიცოცხლის განმავლობაში... ბევრჯერ თვალწინ დამდგომია კინოკადრივით, თუ როგორი გაკვეთილი ჩამიტარა ბებია იმ დროს“.

ბებია ბიჭის მხსნელიც იყო და გადამრჩენელიც, როდესაც დედას სასტიკად უნდა დაესაჯა. დაქვრივებული დედა ერთდებოდა ბავშვებთან გრძნობების გამოვლენას, თავისი სიყვარულით ოთარაანთ ქვრივს ჰგავდა. მოგვიანებით მეზობლები ეუბნებოდნენ ჯემალსა და მის უფროს ძმას, ანზორს, ძილის დროს გეფერებოდათო. ქალების კისერზე იყო იმ ავბედითი დროის ყველა სატიკვარი — ლუკმა-პურის შოვნა, ოჯახის შენახვა, შვილების სწორ გზაზე დაყენება. ეს იმდენად მძიმე ტვირთი იყო — სიტბოსა და გულწვილობისათვის არ ეცალათ. ბოჰემური ცხოვრება, ყომარბაზობა, ჯიბის ქურდობა და ყაჩაღობა არც აბანოთუნისა და არც იმდროინდელი თბილისისათვის უცხო არ ყოფილა და უმამოდ დარჩენილ ბიჭებს ბევრი საცთური ჰქონდათ, ამიტომაც შიშობდნენ, მარტო, უქმროდ დარჩენილი დედები, რომლებსაც ორივე მშობლის ფუნქცია უნდა ეტარებინათ სუსტი მხრებით.

ავტორის მოგონებებში მთელმა ეზომ დატოვა კვალი. ეს ადამიანები ერთად იყვნენ ჭირსა და ლხინში, ერთი ჰქონდათ დარდიცა და სიხარულიც, ამიტომაც ამ სახლებში განსხვავებული ადამიანური ურთიერთობანი ყალიბდებოდა, არაინი იყო მარტოსული და მარგინალი, ყველანი ერთ რეალობას ქმნიდნენ. ცოცხლად, ფერწერულად აღწერს ჯემალ ფოცხვერია აზერბაიჯანელ ლეილას, რომელიც თავისი გარეგნობითა

და ემოციურობით, მომხიბლავი ხმით კარმენს აგონებდა. სწორედ ლეილამ აზიარა ხელოვნებისა და თეატრის სიყვარულს პირველად, მისი წყალობით მოისმინა პიერ კობახიძის, გიორგი საღარაძის, გიორგი შავგულისა და სხვათა მიერ წაკითხული ლექსები თუ პროზის ნიმუშები, სანდრო ჟორჟოლიანისა და აკაკი კვანტალიანის „მოუწყინარი სკიჩები.“ ცოცხლად აღწერს ავტორი ლეილას ქმარს, უხეშ მილოციელ ლევანს, ტიპურ მოძალადესა და მესაკუთრეს, სათნო და ინტელიგენტ ვანო და მარიამ ლომიძეებს. მოგონებათა მცირე ნაწილი ავლიბ ზურაბიშვილის სტუმრობას ეძღვნება, თავისი დედის — მარიამის დედის მოსანახულებლად რომ დადიოდა ამ თბილისურ ეზოში. ჯემალ ფოცხვერია დიდი მეცნიერის უბრალოებასა და კეთილ გულს უსვამს ხაზს. გულწრფელად გვიყვება, როგორ აღფრთოვანდა ბატონი ავლიბის უზარმაზარი ბიბლიოთეკის ნახვით, სწორედ ამან შთააგონა, მოგვიანებით, თვითონაც შეექმნა მდიდარი ბიბლიოთეკა. თვალწინ გიდეგება გენერალ ვახვახიშვილის ცოლისა და ერთადერთ ქალიშვილის პორტრეტები, საოცარი ოსტატობით გვიხატავს ავტორი ერთ დროს მდიდარი და წარმატებული ოჯახის დაბეჩავებულ, გასაცოდავებულ მოჰიკანებს. აქვე ვარაუდობს, რომ თენგიზ აბულაძემ „ნატურის ხეში“ ფუფალას სახის შექმნით თავად ვახვახიშვილის ქალიშვილი გააცოცხლაო.



მძიმე დროისა და სიდუხჭირის მიუხედავად. ერთ-ერთი მეგობრის დაბადების დღის აღნიშვნის შემდეგ, ემოციას აყოლილებმა, ფეხსაცმელები და წინდები ილიაში ამოიწყვეს და ფეხშიშველებმა გაიბრინეს თითქმის მთელი რუსთაველის პროსპექტი — ხელოვნების მიუზეუმიდან ზემელამდე. თავიდან სულ 10-12 იყვნენ, გზის ბოლომდე კი ასამდე ადამიანი შეუერთდათ. უცნაურია, მაგრამ ამ საქმის ინიციატორის ისინი არავის დაუსჯია სკოლაში. მე ეს აქცია დღეს მოდური, წინასწარ დადგმული და არა იმპროვიზებული ფლემპობების შორეული და საინტერესო, გაბედული წინაპარი მგონია, მაგრამ მაშინ მას მოკრძალებული სახელი — ფეხშიშველა მარში — უწოდეს.

მეორე სართულზე მცხოვრები ოსების ოჯახში გაიგო პირველად კოსტა ხეთაგუროვის სახელი და მათ ბიბლიოთეკაში ნახა რეპრესირებული მწერლის მიხეილ ჯვახაძის ნაწარმი „არსენა მარაბდელი“ და ნოველების წიგნი, რომლებსაც, უსაფრთხოების მიზნით, საგანგებოდ ყდაშემოხეულს ინახავდნენ. დაუვიწყარია ლილია პაპასქირის სახეც — „ბოლშევიკებმა წაუშალეს ცხოვრების ყველაზე აქტიური წლები, 36-37 წლისა, დააპატიმრეს და 18-19 წლის შემდეგ გაათავისუფლეს“. ახალგაზრდა ქალი დამოუკიდებელმა ქართულმა სახელმწიფომ გერმანიაში გააგზავნა, განათლების მისაღებად, ის იყო იმ 80 ქართველ ახალგაზრდას შორის, რომელთაც უცხოეთში სწავლა დაიმსახურეს. რუსული ოკუპაციის შემდეგ ლილიას დაფინანსება შეუწყდა საქართველოს მთავრობის ერთგულების გამო. დიდი გაჭირვებით დაასრულა სწავლა, სამშობლოში დაბრუნებული კი დააპატიმრეს, როგორც გერმანიის აგენტი. დაპატიმრებიდან დაბრუნებული ლილია ეზოს ბავშვებს ოპერისა და ხელოვნების სიყვარულს ასწავლიდა. დამცირებისა და შევიწროების, არარეალიზებულობის მიუხედავად, ღირსებას მაინც არ კარგავდა.

არაერთი „ცოცხლად დამარხული“ ადამიანის ამბავს გვიყვება „ჩემი ცხოვრების აღმართი.“ რეპრესირების შემდგომი წლების თბილისის სურათებს ენაცვლება ომგამოვლილი ქალაქის ყოფითი დეტალები, გაჭირვება, მაგრამ მაინც იმედიანი განწყობა, „შეითან ბაზრის“, თბილისური ტრამვაისა და ძველი ქუჩების განუქმორებელი ხიბლი.

ცალკე უნდა გამოიყოს რამდენიმე მოგონება, რომელიც ჯემალ ფოცხვერიას პროფესიას უკავშირდება. ამ წიგნიდან აშკარაა, რომ ყველგან შეიძლება კეთილშობილი და მართალი კაცი მუშაობდეს — შემთხვევით თუ კანონზომიერად, ნოდარ დუმბაძის კომუნისტური პარტიის რიგებში შესვლისა არ იყოს. იქნებ ამგვარ სამსახურში ყოფნა და მაინც ადამიანური სახისა და სიტბოს შენარჩუნება იყო ის, რამაც ჯემალ ფოცხვერია დღემდე მოიყვანა და ამგვარ და არა ინდიფერენტულ პიროვნებად აქცია. უცხოელი რეზიდენტის აყვანის სცენა განსაკუთრებით საინტერესოდ და შთამბეჭდავად არის დახატული. ჯიბის ქურდების პროფესიონალიზმსა და ხელის სიმარჯვეს, „უკუღმართ ნიჭიერებას“ ნოველისტის ოსტატობით აღწერს ავტორი. ბევრი ცნობილი ადამიანის სახელი გაიხსენებს ამ მოგონებებში, ახლებურად, სხვა რაკურსით, საინტერესოდ. ჯემალ ფოცხვერიას კალამი დღევანდელ საქართველოსაც გადასწვდება და შეაფასებს არაერთ აქტუალურ საკითხსა თუ სატკივარს.

წიგნი მრავალფეროვანია თავისი სათქმელით, წარსულის გაცოცხლებით, ცხოვრების გაკვეთილებით, თხრობის ოსტატურით, მომხიბლავი მანერით. იგი ჯემალ ფოცხვერიას 70-წლიან გამოცდილებას და გარდაცვლილი შვილის სსოვნასაც იმარხავს. სწორედ გიას ანდერძი შეასრულა მამამ — მისი თხოვნით აღწერა და გააცოცხლა მოგონებები, რომელთა მოსმენაც მას ძალიან უყვარდა. „ჩემო გია, ისევ და ისევ შენ მოგმართავ, რამეთუ თითქმის არავითარი დიალოგის დაწყება არ შემიძლია, თუ შენთან აზრობრივად არ ვიმყოფები... მხოლოდ შენთან ვირტუალური საუბარი მაძლევს ამის ძალას“. გიას უნდოდა მამის ნაწერები თავისი კინოსცენარებისათვის გამოეყენებინა, ჯემალ ფოცხვერია მართალაც კინოკადრებით აცოცხლებს წარსულს. ავტორის მოლოდინის საწინააღმდეგოდ — ეს წიგნი არ არის მხოლოდ შვილთან გამართული ვირტუალური დიალოგი, „ჩემი ცხოვრების აღმართი“ დააინტერესებს არა მხოლოდ მის პერსონაჟებს ან მათ ახლობლებსა და ნაცნობებს, არამედ ჩვეულებრივ მკითხველსაც, რადგან იგი XX საუკუნის შუა წლების თბილისის კოლორიტს გვიცოცხლებს.

მხატვრულ-დოკუმენტური პროზა სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში და ასე გაგრძელდება, ალბათ, დიდხანს, რადგან დღეს ადამიანებს მხატვრულ გამოწვავაზე მეტად, როგორც ჩანს, სინამდვილე, რეალური ამბები აღელვებთ. ჯემალ ფოცხვერიას „ჩემი ცხოვრების აღმართი“ ამ ჟანრის ერთი საინტერესო, ცოცხალი და გამორჩეული ნიმუშია.

თამარ ლონღაძე

# წარმოსახვის ფორმირება

(ირაკლი ლომოურის  
მოთხრობების კრებული  
„ავტონეკროლოგი“ წარდგინება)

ძნელია, არ დაეთანხმო მწერლის შესახებ ზოგადად გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თითოეული შემოქმედი ქმნის თავის ისტორიას, თავის სამყაროს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთრებაა, თუმცა, როდესაც მისი ნაწარები, ნიგნად აკინძული და გამოცემული, გადაინაცვლებს მკითხველთან, ეს უკანასკნელი იოლად ემორჩილება ავტორს, მხატვრულ სინამდვილეს ალიქვამს ჭეშმარიტი ისტორიად და ათასი ალიარებული მეცნიერიც ვეღარ გადაარწმუნებს. ამ საყოველთაო შეხედულებას შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ თვით მეცნიერებიც დაუფლებლად იჯერებენ და სინამდვილედ მიიჩნევენ ზოგჯერ იმას, რაც მხოლოდ და მხოლოდ მწერლის ფანტაზიით იბადება.

მკითხველს უთუოდ კარგად ახსოვს ირაკლი ლომოურის მოთხრობა „მემთხვევა“ (დაიბეჭდა 1982 წელს ჟურნალ „ცისკრის“ დამატება „ნობათში“), რომელში აღწერილი დაუჯერებელი, ფანტასტიკური ამბავი მეტროში აქლემების ქარავნის გამოჩენისა, ლამის მთელმა თბილისმა დაიჯერა. უფრო მეტიც, ერთ ცნობილ ასტროლოგს სატელევიზიო გამოსვლაში უთქვამს, პარანორმალური მოვლენების რომ არ გჯერათ, ის მაინც არ გაგივიათ, თბილისის მეტროში აქლემების ქარავანმა რომ ჩაიარა, ეს ხომ ფაქტიაო.

წლების შემდეგ ამ მოთხრობის ავტორი, მწერალი ირაკლი ლომოური იტყვის: „სხვათა შორის, ამ მოთხრობაში მთავარი ის კი არ იყო, რომ მეტროში აქლემების ქარავანი გამოჩნდა, არამედ ის, რომ მას ერთი ახალგაზრდა კაცი გაჰყვა. ესაა მოთხრობა გაქცევაზე აუტანელი რეალობიდან, გაქცევის შეუძლებლობაზე...“ და არა მხოლოდ ამ სურვილმა, რაღაც დაფარულმა და უხილავმა განსაზღვრა, რომ იმ პირველი მოთხრობიდან მოყოლებული, ავერ უკვე 30 წელიწადია, იქმნება და იქმნება ძალზე საინტერესო, შთამბეჭდავი, იქნებ აბსურდული, თუმცა ანდამატივით მიმზიდველი და უცნაურობებით აღსავსე სამყარო.

ირაკლი ლომოურის მოთხრობების ახალი კრებულის პრეზენტაცია კომპოზიტორთა კავშირის ლამაზი შენობის დარბაზში გაიმართა. ეს ნიგნი სწორედ ზემოთ ნახსენები 30-წლიანი სამწერლობო გზის ნიშნულად შეიძლება მივიჩნიოთ. სასიამოვნო საღამო არაფრით ყოფილა აბ-

სურდული, თუ არ ჩავთვლით იმ ნიგნის სათაურს, რომლის გამოც შეკრებილიყო საზოგადოება. „ავტონეკროლოგის“ ავტორი იდგა სცენაზე და ყველას მადლობას უხდოდა მობრძანებისთვის. უხაროდა, რომ აქ ყველა ახლობელი ადამიანი, მეგობარი შეიკრიბა. არადა, არც ეს ნიგნი და არც ეს საღამო არ იქნებოდა, გამომცემლობა „უსტარის“ ხელმძღვანელის, მწერლის მეგობრისა და შემგულიანებლის, თამარ გელოვანის მონადინება რომ არა. რა თქმა უნდა, ნიგნის შესაქმნელად და მოსამზადებლად მთელი გუნდი მუშაობდა. ირაკლი ლომოური ყველას მადლობას მოახსენებდა — თამარ ნაჭყებიას, რომელიც გამომცემლობა „უსტარის“ მენეჯერია, ლია სულაქველიძეს — ნიგნის დიზაინერსა და ასევე ყველას, ვინც ეხმარებოდა ამ ნიგნის შექმნასა და გამოცემაში.

თამარ გელოვანის თქმით, ეს ნიგნი გამოსცა და „დაიჩემა“ „უსტარმა“ სწორედ იმიტომ, რომ ირაკლი ლომოურის პროზა არის ნამდვილი ლიტერატურა. მისი მოთხრობები თავის სამყაროში დიდხანს ამყოფებს მკითხველს. ისინი არ არის მხოლოდ ერთი დღის წასაკითხი და თავშესაქცევი რამ. მათზე ფიქრი კარგა ხანს მიჰყვება ადამიანს თავისი გასაოცარი სიუჟეტებით, მოულოდნელი ფინალებითა და თხრობის თავისებური მანერით. განა გასაოცარი და უცნაური არ არის, დიალოგის გამართვა ხმოვნების გარეშე (იგულისხმება „მუნების სამშო“ მოთხრობიდან „მუნ!“)?! საღამოს ორგანიზატორმა დასძინა: სიამოვნებით მივყვებით ირაკლის მოთხრობების დინებას, რომელიც სად ამოგაყოფინებს თავს, არ იცი... მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ამ ნიგნის გამოცემას უბიძგა ბატონი ვახტანგ როდონიას შეფასებამ: „ირაკლი მწერალია“. ვფიქრობ, ეს ნიგნი არავის გაუცრუებს იმედს.

საღამოზე შეკრებილ საზოგადოებას ირაკლი ლომოურიც თავისი ახალი მოთხრობა „ხეფრთხობელა“ წაუკითხა, რომელიც მწერალ ნუგზარ შატაიძის ხსოვნას ეძღვნება. ირაკლისთვის ეს ადამიანი უფროს ძმასავით იყო, ისევე, როგორც დის მეუღლე, პოეტი და ექიმი ბიძინა მინდაძე, რომელიც ადრე წავიდა ამქვეყნიდან. ერთხელ უნაყოფო ხის შეშინების შესახებ ნუგზარს მოუყვლია ირაკლისთვის და ამ მონათხრობმა მისცა ბიძგი მოთხრობის დასაწერად. არადა, თავდაპირველად ამ საღამოსთვის, დარბაზის თავშესაქცევად, მეგობრების „გასართობად“ ირაკლი ლომოურს ესეის დაწერა გადაუწყვეტია; ესეი — სათაურით „მწერალია როგორც იდიოტი, ანუ რატომ ვამბობ უარს ნობელის პრემიაზე, რომელსაც არავინ არასოდეს მომცემს“. შემდეგ გადაუფიქრებია, რადგან მოთხრობა მისთვის უფრო ორგანულია. რა თქმა უნდა, ის ესეიც აბსურდის სტილში ჰქონია ჩაფიქრებული, ოღონდ სერიოზული მომენტებით. მაგალითად, რატომ „იდიოტი“? ძველ საბერძნეთში თურმე იდიოტი ერქვა კაცს, რომელიც არ იღებდა მონანილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში და მწერალი ამ გაგებით უნდა იყოს თუ არა იდიოტი, არ არის ერთმნიშვნელოვანი საკითხი. ერთი რამ ცხადია, ლიტერატურ-





რა არ უნდა იყოს ანგაჟირებული და პოლიტიკური ნიშნით არ უნდა ანიჭებდნენ არცერთ პრემიას.

ირაკლი ლომოურის მოთხრობებზე ისაუბრა მწერალმა **გურამ პეტრიაშვილმა**, რომელმაც თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიარა: კიევში ჩამომდიოდა ხოლმე თბილისიდან ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, რომელშიც იბეჭდებოდა ირაკლის მოთხრობები. „ეროტომანის ჩანაწერებმა“ მიიქცია ჩემი ყურადღება. მაშინვე გამოვთქვი აღფრთოვანება. მე მაქვს ერთი აკვიატება და ის დასტურდება — ხელოვნების დარგები და მათ შორის ლიტერატურა უნდა იყოს ბრძნული და თან სახალისო. არ შეიძლება მკითხველს იძულების ოფლი გადაგდიოდეს კითხვისას სახეზე. ჩვენ ასეთი ლიტერატურის დიდი ტრადიცია გვაქვს. ის ხომ ზღვად გასკდა რუსთაველის შემოქმედებაში, „ვეფხისტყაოსანში“. და კიდევ, მწერალს ყოველ წუთას უნდა გახსოვდეს მკითხველი და იქით მიახედო, საითაც გინდა... ცხოვრების საინტერესო ადგილებში უნდა შეახედო. მოკლედ, რომ წავიკითხე ირაკლის მოთხრობები, ისე კარგად ვიყავი, მეტი არც არაფერი მინდოდა. არა, როგორ არ მინდოდა?! ცხელი შოთი პური და თუშური ყველი, მაგრამ ამას, აბა, ვინ მოგცემს კიევში... და კიდევ, ფინალი აქვს განსაკუთრებული „ეროტომანის ჩანაწერებს“. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. მე, საერთოდ, დიდებული ფინალების შემგროვებელი ვარ. დიდი კოლექცია მაქვს და მათ შორისაა ზემოთ ნახსენები მოთხრობის ფინალიც. ის (პერსონაჟი) ვილაცისგან რომ ელოდა სიურპრიზს, ნახავს „იმეილს“ და, თურმე თვითონ ყოფილა „ავტორი“...

მიხარია, რომ დღეს წაკითხული მოთხრობა ნუგზარ შატაიძეს ეძღვნება. სულ მახსოვს მისი მწარე ხუმრობა. მძიმედ მოსაგონარ 90-იან წლებში მწერალთა კავშირში იარაღს არიგებდნენ. მწერლები უნდა წასულიყვნენ და ეომათ სამეგრელოში... ვილაცას უკითხავს, რატომ არიგებენ იარაღსო. ნუგზარმა უპასუხა, არ იცი, უნდა წავიდეთ და ჩვენი მკითხველები დავხოცოთო.

ჩვენ რომ ისე გვექონდეს საქმე სხვადასხვა სფეროში, როგორც ახლა პროზაში გვაქვს, გერმანელები იძახებდნენ, დემტო, გაგვხადე საქართველოო. რა კარგია, მაგალითად, **ლამა იმედაშვილის** პროზა... მწერალმა იცის, როგორ დაგაჯეროს დაუჯერებელი ამბები. **გია ხოფერია** მახსენდება კიდევ, სხვებიც... იმ ხალისს გაუმარჯოს, თქვენს ნაწერებში რომ არის!

ქალბატონმა თამარ გელოვანმა ისიც აუნყა საზოგადოებას, რომ მოსკოვში ჟურნალში „დრუჟბა ნაროდოვ“ დაიბეჭდა **მიხო მოსულიშვილისა და გურამ მეგრელიშვილის (ზემხას)** მოთხრობები. ახლა უნდა დაიბეჭდოს ირაკლი ლომოურისა და მათ ჟურნალის მთავარი რედაქტორი, **ალექსანდრე ებანოიძე**, თვითონ თარგმნის. სამომავლოდ ამ სამი მწერლის თხზულებებს ნიგნად გამოცემასაც აპირებენ.

ირაკლი ლომოურმა თავისი მეგობარი, **გურამ გაბიძაშვილი** გაიხსენა. 2011 წელს მწერალმა მის ხსოვნას მიუძღვნა ლიტერატურული კრებული „ხვამლი“, — წიგნში გურამზე მოგონებები და საერთო მეგობართა ლექსები და მოთხრობები დაბეჭდა. მათ შორისაა ნუგზარ შატაიძის „წერილი ძმას“. ეს ამბავი თურმე სერგო ზაქარიაძეს მოუყოლია ნუგზარისთვის, სერგოსთვის კი — თვით და-

ვით კაკაბაძეს, რომელსაც ის ამბავი შეემთხვა. მეუფე ნიკოლოზს, მაგალითად, ჰგონებია, რომ ეს ნამდვილი წერილი იყო და სწორედ ამ წერილის, ანუ მოთხრობის მიხედვით გადაიღო დოკუმენტური ფილმი ხევესურულ ფარდაგებზე. ვიდრე ადამიანს განცდის უნარი აქვს და გული რაღაცას გრძნობს, თავგანწირვის უნარი შერჩენია, მე მგონი, ქვეყანა არ დალუპულა და იმედიც არსებობს, — დასძინა საუბრისას ირაკლი ლომოურმა.

საერთოდ, ჩემი აზრით, ირაკლი ლომოური სიკეთის მადიებული მწერალია, რომლის მოთხრობების გმირები თითქოს გაურბიან სინამდვილეს, რომელიც ზოგჯერ უფრო აბსურდულია, ვიდრე მწერლის წარმოსახვაში დაბადებული ამბები ორიგინალური სათაურებით, განსაკუთრებული ფინალებით. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ირაკლი ამ მოთხრობებს არც იგონებს და პირდაპირ ცხოვრებიდან იღებს. მე თვითონ გავხდი ერთი ასეთი აბსურდული ეპიზოდის მონაწილე, როდესაც წმინდა ქეთევან დედოფლის კვალზე დამდგარი, თბილისში თავიანთი ფილმისთვის მასალის შესაგროვებლად ჩამოსული ორი ინდოელი ახალგაზრდა კინორეჟისორი გავიცანი, რომლებსაც წინასწარ ჰქონდათ შეგულებული ბინაც და თითქოს მასპინძელიც ჰყავდათ, მაგრამ მოულოდნელად უბინოდ და უპატრონოდ დარჩნენ. ისინი სწორედ ირაკლიმ შეიფარა, უპატრონა, მასალის შეგროვებაში დაეხმარა, წაყვა-წამოყვა... ისე მოხდა, რომ ბოლოს ამ ახალგაზრდებს აქედან წასვლაც კი აღარ უნდოდათ.

ერთ კრიტიკოსს ეუენ იონესკოს შესახებ უთქვამს, ეს მარადიული ბავშვი, სხვა ყველაფერთან ერთად, არის პლატონისა და პლოტინეს დაკვირებული მკითხველიო. ისინი ხომ ყველგან, და უპირველესად საკუთარ თავში, ეძებდნენ სიკეთეს. ამ კვალს ადგას მწერალი ირაკლი ლომოურიც.

**გია აბაზაძემ** აღნიშნა, რომ ირაკლის არ უყვარს მადლობები, მაგრამ ამ მოთხრობების გამო უამისოდ არაფერი გამოვა. ირაკლის ნაწერებიდან ვერაფერს აიღებ, ვერაფერს „მოიპარავ“, რადგან ეს მხოლოდ მისია, მისი გამორჩეული ხელნერის ბეჭედი აზის და მისი შეწევნით ძალიან საინტერესო პროცესების მონაწილე ვხდებით.

**მიხო მოსულიშვილი** რჩეულსა და წიგნის ზემოს უწოდებს ამ მოთხრობებს, რომლებსაც ირაკლი ლომოურმა უბრალოდ მიანერა: „ჩემთვის საინტერესო მოთხრობები“. „ის გახმაურებული აქლემების ამბავი ხომ ყველას პირზე ეკერა და ახლა სასკოლო სახელმძღვანელოშიც შეიტანეს და მინდა ეს ამბავი მივულოცო ირაკლის. ამ 30 წლის მანძილზე ჩამოყალიბდა ირაკლი ლომოურის ხედვა და წერის მანერა — აბსურდულ-ირონიული. მას აქვს ქართული ენის, სიტყვის განსაკუთრებული გრძნობა“.

**ნინო სადღობელაშვილი** ფოიერვერკული, კაშკაშა წარმოსახვა უწოდა იმას, რაც ირაკლი ლომოურის ხელიდან გამოსულა. სამყარო მის ნაწერებში სრულიად განსაკუთრებულად ჩანს — ერთდროულად ხალისიანიც რომ არის და სევდიანიც. ჰერმან ჰესე წერს, რომ ყველა დროს აქვს ის თვისებანი, რომელთა გამო შეიძლება ვთქვათ, რომ ესა თუ ის ხანა არის ან ძალიან კარგი, ან ძალიან ცუდი. დროს, რასაკვირველია, მწერლები ვერ შეეცვლით, მაგრამ ის უნდა გავიზაროთ მხატვრულად. რასაც ირაკლი ლომოურის შემოქმედებაში ვხედავთ, იქნებ ეს არის სწორედ ნამდვილი...

როსტომ ჩხეიძე

# საფეხურები ღვთისაკენ

□

## შეხვედრები

### ელიზბარ ჯაველიძის მონობრაფიასთან „ფუთუვეთი — სულიერ-რადიკული ქმობა“

— ფუთუვეთი უმაღლესი და წმინდაა და ძალზე მაღალი მაკამი და წმიდათაწმინდა საფეხურებია, ფუთუვეთის საფუძველია დაუსაბამო და უფამო და იმავე დროს სამარადისოც, ის არის რწმენის ბალავარი. მერმე ფუთუვეთის ატრიბუტები (თვისებები) არავის მიესადაგება, გარდა იმ კაცისა, ვინც ღმერთმა მაღალმა განწმინდა ყოველგვარი ნაკლისგან (ცოდვისგან) და ვინც ფუთუვეთის ატრიბუტს გაითავისებს, ის ალაჰის ატრიბუტს აღწევს და ყველა ვინც კი მაღალი ღმერთის ატრიბუტს გაიშინაგანებს, ჭეშმარიტებამდე მალღდება.

ეს სტრიქონები ბურგაზის „ფუთუვეთ-ნამეღანა“, პანეგირიკის აღმაფრენა იქამდეც რომ აღწევს, ეს მოვლენა — ფუთუვეთი — ღვთიურ ჭეშმარიტებას გაუთანაბროს და მისი სათავე სულაც მითოსის ბურუსში ჩაკარგოს.

კიდევ სხვასაც შეგვაგონებს ბურგაზი:

— და ფუთუვეთი ერთი ხე არის განტოტვილი და ის ხე მაღალი ღმერთის ატრიბუტია, ხოლო მისი ტოტები წინასწარმეტყველთა ატრიბუტია, ფოთლები — წმინდანების ატრიბუტია. მერმე მისი ატრიბუტით ვერავინ გამშვენიერდება, თუ ის არ არის წმინდა და ერთგული მიმდევარი.

კიდევ სხვასაც გვამცნობს „ფუთუვეთ-ნამეღ“:

— ფუთუვეთის სამოსით არ შეიმოსება ის, ვინც თავს ზიანს აყენებს (თუ ამ ქვეყანაზე ხელს არ აიღებს) და ფუთუვეთის გზას ვერ შეუდგება, თუ არ არის ზრდილი და სინდისიერი ადამიანი. ფუთუვეთის საყუდელს ვერ მიაღწევს გარდა მწყალობელი და დიდსულოვანი ადამიანისა. ღმერთმა მაღალმა ფუთუვეთი ღირსეულ ჰყო და აამაღლა. ეს არის მოციქულთა საფეხური. თანაც... მოციქულთა საფეხურს ვერავინ მიაღწევს, გარდა იმისა, ვინც არ ამაღლებულა მოციქულობამდე.

კიდევ სხვასაც შეგვაგონებს ბურგაზი:

— მაღალმა და მწყალობელმა ღმერთმა ფუთუვეთი ღირსებისა და თავყანისცემის საქმედ შექმნა, ფუთუვეთს საფუძველი ისეთი ძლიერი და მყარი შეუქმნა, რომ, რასაც და ვისაც განადგურება უწერია, ის ეშმაკობას და სიმუხთლეს სჩადის, მაგრამ ფუთუვეთს ვერ მიაღწევს.

კიდევ ბევრ რაიმეს შეგვაგონებს და გვამცნობს. ბურგაზი ვინ არის და... „ფუთუვეთ-ნამეღ“ რა არის და...

\* \* \*

ჟამთააღმწერელი ლაშა-გიორგის აპკიდებდა საქართველოს სახელმწიფოს დამხობის ცოდვას.

ლაშა-გიორგი ფუთუვეთის რაობის გარკვევისას რა შუაში უნდა იყოს?!

არადა, თურმე ვერ აცდები.

და უშუალოდ შემოგვეხლება სახეში მისი გმობა საუკუნისშემდგომი საისტორიო მატრიანედან. შეეცდებოდა და მონდომებითაც შეეცდებოდა უცნობი ისტორიკოსი, ამ მეფის პიროვნულ ხასიათსა და ცხოვრების წესში მოექცენა უმთავრესი მიზეზები, თუ რატომ ვერ გაუძლო ძლევა მოსილმა სამეფომ, კავკასიის ბურჯმა და წინა აზიაში დიდი გავლენის მომპოვებელმა სახელმწიფომ ჯერ ხვარაზმელთა და შემდგომ მონღოლთა შემოსევებს და ველარც ველარასოდეს დაიბრუნა ის ოქროს ხანა, რომელიც დროის გადასახედიდან სულაც მითოსს გაუიგივებოდა, რაკილა უფსკრულიდან მომზირალათავის ძნელი დასაჯერებელი გახლდათ, რომ ოდესღაც ამხელა მწვერვალისათვის მიგვეღწია.

გაემეტებინა, ძალიან გაემეტებინა ისედაც ტრაგიკული მეფე!..

ჯერ ივანე ჯავახიშვილი შეეცდებოდა ლაშა-გიორგის რეაბილიტირებას „ქართველი ერის ისტორიაში“.

შემდეგ გრიგოლ აბაშიძე გამოჰკვეთდა გმირულ, კოლორიტულ სახეზად „ლაშარელად“ სახელდებულ რომანში, და თუმც უმთავრესად ჟამთააღმწერლის კვალს მიჰყვებოდა, მაინც საგრძნობლად ჩაერეოდა ტრაგიკულად აღსრულებული მეფის პორტრეტში და თავის დიდ სიმპათიასა და სიყვარულს ჩააქსოვდა.

მოგვიანებით თამაზ ნატროშვილის ისტორიულ ესეისტიკაშიც გამოჩნდებოდა ლაშა-გიორგის სახეზა, ასევე სიყვარულით და, ამასთან, დიდი თანაგრძნობითაც გამოკვეთილი, რაკილა დაბეჯითებით მიიჩნევდა, რომ ეს ღირსეული პიროვნება უსამართლოდ განწირულიყო არამარტო ჟამთააღმწერლისაგან, არამედ შემდგომი ხანის ისტორიისგანაც და ეს უსამართლობა ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა აღკვეთილიყო.

სხვათა შორის, მკვლევარი ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებასაც, რომ ლაშა-გიორგი და მისი თაობა იყო ყველაზე ლალი, თავისუფალი, განათლებული და გემოვნებიანი თაობა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, ოქროს ხანის მთელი სიკეთე და სულიერი მონაპოვარი მათზე რომ გადმოვიდოდოდა და, ძლევა მოსილი სახელმწიფოს შვილებად რომ განიცდიდნენ თავს, მაშინდელი მსოფლიოს შუაგულშიც მოექცეოდნენ — შესაფერისი შეხედულებებით, მისწრაფებებით, ჩვენთვის მიუწვდომელი სახელმწიფო აზროვნებით.

ლაშა-გიორგის პიროვნების განსჯა-შეფასება ძალდაუტანებლად შემოიტანდა თხრობაში რინდთა ხსენებასაც, აღმოსავლური ორდენის, მემამბოხურად განწყობილისა ისლამის დოგმების მიმართ და ამის გამო შევიწროებულისა



და დევნილის, ტფილისშიც რომ ამოჰყოფდნენ თავს ამ ამქრული გაერთიანების წევრები და თავიანთ წრეში ჭაბუკ ქართველ მეფესაც შეიყვანდნენ.

თამაზ ნატროშვილის ერთ-ერთი ესეი — „რინდები“ — აკაკი ბაქრაძის პოლემიკურ გამომხაურებასაც — „რინდები თუ ისინასტები?“ გამოიწვევდა, რაკილა იგი მიიჩნევდა, რომ ქართლის ცხოვრების ფურცლებზე რინდებად მოხსენიებული გუნდი ისინასტებს გულისხმობდა — დასავლური მოძღვრების, ისინაზმის, მიმდევართ და, ამდენად, ლაშა-გიორგი აღმოსავლელ თავისუფალ მოაზროვნეებს კი არ დაკავშირებოდა, არამედ ფეხი შეედაგა დასავლური კულტურის რკალში. მაგრამ პასუხად „რინდების“ ავტორი დაბეჯითებით განუმარტავდა, რომ ქართველ მეფეს ისინასტურ მიმდინარეობასთან არაფერი აკავშირებდა, და რომ ქართული საისტორიო ქრონიკების რინდები გულისხმობდნენ... რინდებს და სხვას არავის. ეს არც ქარაგმა ყოფილა და არც საიდუმლო შიფრი, მისი ამოხსნა რომ მოგვენდომებინა, მითუფრო — სულ სხვა საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოში გვეძებნა.

და, აი, ელიზბარ ჯაველიძე კვლავ დაუბრუნდებოდა ამ თემას და სულაც ცალკე თავს — „მეფე ლაშა-გიორგი და რინდები“ მიუძღვნიდა ვრცელ, ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „ფუთუვეთი — სულიერ-რანინდული ძმობა (ფეთა-ჯავანმარდი-აიარი-რინდი-აჰი-ყარაჩოღელი)“.

ქართულ სივრცეში ამ მოვლენის შესწავლა-გააზრებისას დაეყრდნობოდა შოთა მესხიასა და განსაკუთრებით ვალერიან გაბაშვილის მონოგრაფიებს და რინდების ორდენს ყარაჩოღელებამდე მიადევნებდა თვალს, კვალი ხან რომ მიიკარგებოდა და ხანაც კვლავ ხელშესახებდა ამოტივტივდებოდა, რათა ფუთუვეთელთა და რინდთა ეს გენეტიკური სიახლოვე დადასტურებულიყო იოსებ გრიშაშვილის „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჰემამი“ ასე კანთიულად და რელიეფურად წარმოსახულ ყარაჩოღელის ტიპთან.

შოთა მესხია თუ გამოწვლილვით განიხილავდა საქართველოს ქალაქების წყობასა და სოციალურ მდგომარეობას, ვალერიან გაბაშვილი შეისწავლიდა ამქართა წარმომავლობის, გენეზისის, მისი რაობის, საწყისისა და სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც გავრცელებისა და დამკვიდრების გარემოებებს, ფუთუვეთისა და ქართული ამქრის ურთიერთდამოკიდებულებას. ამ გაკვალულ გზას სხვა აღმოსავლეთმცოდნეებიც რომ გაჰყვებოდნენ, წინ წაინდვდა ხელოსანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლაც და ძველი თბილისის პოეზიის კვლევისას ფუთუვეთის ადათ-წესების, ტერმინოლოგიისა და ლექსიკის თაობაზეც საგულისხმო გარემოებანი თუ დეტალებიც გამჟღავნდებოდა.

ელიზბარ ჯაველიძის წვლილიც მცირე არა ყოფილა ამ მიმართულებით კვლევა-ძიებისას არაერთი მნიშვნელოვანი დასკვნის მოსაპოვებლად, მაგრამ იგი არ იკმარებდა დაკვირვებათა და მოსაზრებათა ამ წყებას და ფუთუვეთის საზოგადოებრივი ინსტიტუტისა და მისგან წარმოშობილი სხვადასხვა განშტოების სოციალური არსის, ზნეობრივი მრწამსისა და ადათ-წესების შესწავლას ერთბაშად მოხვევდა ხელს, მოხვევდა და წარმატებითაც გაასრულებდა.

და რაკილა ფუთუვეთის საზოგადოებრივი ინსტიტუტისა და მისგან შობილ განშტოებათა სოციალური არსის, ზნეობრივი მრწამსისა და ადათ-წესების შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პირველწყაროებს, ეგრეთწოდებულ ფუთუვეთ-ნამეებს, რომლებიც ამ ინსტიტუტის მიმდევართა

წრეში იქმნებოდა და ინერებოდა არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებზე, ელიზბარ ჯაველიძე მრავალრიცხოვან წყაროთაგან გამოარჩევდა ბურგაზის „ფუთუვეთ-ნამეს“ და მის სრულ ქართულ ვერსიას დაურთავდა ნიგნს, როგორც მის სრულყოფილებიან მეორე ნაკვეთს, კომპოზიციურად მარჯვედ რომ ჰკრავს ნიგნს. ყოველთვის არ არის და ვერც იქნება სხვისი მოზრდილი ტექსტის, ამხელა თხზულების ჩართვა შენს ორიგინალურ ნაშრომში, მაგრამ ამჯერად მოუხდებოდა.

ბურგაზის ვინაობა ამდენ ხანს ზუსტდებოდა, მაგრამ ცნობათა სიმწირის გამო ბოლომდე ვერა და ვერ დაზუსტებულიყო, თუმც არაერთი ბიოგრაფიული რეალია კი მიიკვლეოდა ტექსტის ანალიზზე დაყრდნობით და ამ მონოგრაფიის ავტორიც შემატებდა რამდენიმე საგულისხმო დეტალს ბუნდოვანებაში ჩაძირული პიროვნების პორტრეტს, ოცი წლისას წერა-კითხვაც რომ არა სცოდნია, მაგრამ სწავლას ისე მოწყურებულიყო, გამუდმებით განათლებულ ადამიანთა წრეში იტრიალებდა და ფუთუვეთის საფუძვლებსაც შეიცნობდა და შეისწავლიდა. „ფუთუვეთ-ნამეს“ შესაქმნელად კი შეეგულიანებინა „წყულ ვეროპელთა“ მიერ ალექსანდრიის აღებას, მითუმეტეს, საამისოდ თავი უკვე მომზადებულიყო ესახებოდა, რაკილა სიამაყით ვაჟუწყებს: ჩემი ცოდნით მთელი ხალხი და საზოგადოება განვაცვიფრეო.

იმ მიზეზთაგან, რაც ელიზბარ ჯაველიძეს მის სათარგმნელად უბიძგებდა, აქ მხოლოდ გავიხსენოთ, რომ ბურგაზის თხზულების გაცნობით მკითხველი ცხადად შეიცნობდა ამ ტიპის ნაშრომთა დაწერის მიზანს, აგების პრინციპსა და სემანტიკის გადმოცემის თავისებურებას, აგრეთვე ეს ადრეული ხანის — კერძოდ, XIII საუკუნის — ძველი საგულისხმო აღმოჩნდებოდა ქართული სოციალური ყოფის, კერძოდ კი ხელოსანთა ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლისათვის.

ხოლო ლაშა-გიორგისა და რინდების ურთიერთობა, თვალმიყოლებული ყარაჩოღელებამდე, მონოგრაფიის ერთ თავს რომ შეადგენდა, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო ცხადლივ გამოიკვეთებოდა ამ მრავალფეროვანი მასალით გადავსებულ და მოხდენილად სისტემატიზებულ და გამთლიანებულ სიუჟეტურ ქარგაში, ისტორიულ-პოლიტიკურ-სოციალურ ფონთან ერთად ლიტერატურული ქმნილებანი, პოეტური მიღწევანიც უხვად რომ გადაგვეშლებოდა თვალწინ, რაკილა ფუთუვეთის მოძღვრებაში მოგვიანებით დერვიშულ-სუფიური პრინციპებიც დამკვიდრდებოდა: ქონების უგულვებლყოფა, ღვთის მორჩილება და მტკიცე რწმენა...

საერთოდ კი ფუთუვეთი წმინდანობის საფუძვლად აღიარდებოდა: სადაც წმინდანობა იჩენდა თავს, იქ ფუთუვეთი სრულყოფილ სახეს იძენდა, რადგანაც ფუთუვეთის ბოლო წმინდანობის დასაწყისს მოასწავებდა. ხოლო მისი ზნეობრივი კოდექსის საყრდენ ბურჯებად რვა მორალური ცნება რომ დადგინდებოდა, მკვლევარი მორწმუნეთა ემირის ალის სიტყვებს რომ მოიხმობდა:

— ფუთუვეთის საფუძვლებს ქმნის: ერთგულება, სამართლიანობა, რწმენის სიმტკიცე, სულგრძელობა, მორჩილება, შეგონება, ჭეშმარიტი გზის მოძიება, მონანიება. ვინც ამ თვისებებს არ გაითავისებს, ფუთუვეთის ხელდასხმული ვერ გახდება.

ჯერ ყველა ამ მიდრეკილებას ოთხ მთავარ რკალად წარმოადგენდა: უბინობა, მამაცობა (ვაჟკაცობა), სიბრძნე და სამართლიანობა — და მათ განშტოებას სქემასავით დაალაგებდა, შემდგომ კი გამონვლილვით განიხილავდა

თვითეულ ამ ზნეობრივ კატეგორიას, დაწყებულს მონანიე-ბით, რაკილა ის მიჩნეულიყო უმნიშვნელობის საფუძვლად და დიდსულოვნებისა და წყალობის საწყისად.

ღვინის კულტი შემოცურებულიყო სუფ პოეტთა მხატვრულ წარმოსახვებში, ოღონდ არა ყოფითი სახით, არამედ მეტაფორულად, და თვით ეს სიმბოლური გააზრებაც განიცდიდა სახეცვალებას, რაკილა ღვინო ჯერ შეიძენდა არსებული სინამდვილის წინააღმდეგ პროტესტის დანიშნულებას, მისი გამოხატვის ერთადერთ საშუალებას, სამიკიტნო კი — თავშეყრის ადგილს, სადაც თანამოაზრენი თავიანთ გულისტკივილსა და აღშფოთებას გამოხატავდნენ; შემდგომ კი, სიმბოლიკის საბოლოო საფეხურზე, ღვინო გაუიგივებოდა ღვთიურ სიყვარულს, ექსტაზურ აღმაფრენასა და თავდავინყებას, უფრო სწორად, წყაროს ღმერთში ჩაძირვისა და გაუჩინარების, ხოლო სამიკიტნო — ჰარაბატს, სადაც ხდებოდა ნეფსის (მატერიალურ ყოფასა და ქვენა გრძნობებთან რომ აკავშირებდა ადამიანს) ჩაკვლა და განადგურება, რაც ზოგადად ასევე მიუღებელი და უკუგაღებელი გახლდათ ორთოდოქსული ისლამის მიერ.

ჰედონიზმის მოტივის მეტაფორულობას თავი ეჩინა ჯერ კიდევ ომარ ხაიამის პოეზიაში, უმთავრესად პროტესტანტულ სულს რომ გამოხატავდა, ხოლო ჯელალ-ედ-დინ რუმის, ნესიმის, ჰაფეზის, მიჰრიმ ხათუნის, შეიხის, ჰაირეთის, ჰაიალის, ბაკის, ფუზულისა თუ რუჰი ბაღდადის ლირიკულ ხილვებში ეს მოტივი სრულიად მონყვეტოდა ყოფითობას და მთლად პირობითობად აღიქმებოდა, ღვთიური ექსტაზის გადმოცემის ისეთ მცდელობად, მკითხველსაც რომ ჩაითრევდა თავის ნიაღში და, თუ ბოლომდე ვერ აღიტაცებდა, ამ ექსტაზის ათინათს მაინც მოჰფენდა.

რუჰი ბაღდადის შემოქმედებისადმი, მელამეთურ-რინდულ კონცეფციურ თვალთახედვაზე რომ ამოზრდილიყო, ოთხ ათეულზე მეტი წლის წინათ ელიზბარ ჯაველიძეს ცალკე მონოგრაფია მიეძღვნა, ამჯერად კი მისი „თერქიბი ბენდის“ მცირე ანალიზით მაინც შემოიფარგლებოდა, რადგანაც რინდული სულიერი სამყარო სრულად და ნათლად ვერ გაცხადებოდა მკითხველისათვის ამ თხზულების მოუშველიებლად — რინდისა და რინდობის ზნეობრივი, სოციალური თუ ფილოსოფიური ტრაქტატისა, სადაც ზოგადად, მოკლედ და სხარტად გადმოცემულიყო თითქმის ყველა ის პრობლემა, ამ მიმდინარეობას რომ ახასიათებდა.

ხოლო რაკილა ეს პოეტური ქმნილება რინდული სულიერი თუ ზნეობრივი მრწამსის განვითარების ბოლო და დამასრულებელი აკორდი გახლდათ და რინდის პოეტურ სახესა და სულიერ სამყაროს, რუჰი ბაღდადის მიერ გამოძერწილს, შემდგომი ეპოქის შემოქმედთა ნააზრევში ახალი შტრიხები აღარ შემატებია, მსჯელობა ბუნებრივად მოთავდებოდა „თერქიბი ბენდის“ საკვანძო თემებისა და თავისებურებათა განსჯით, ვიდრე თხრობაში ლაშა-გიორგის კოლორიტული სახება ამოჩნდებოდა; და მოთავდებოდა სტილური აღმაფრენითაც, დროდადრო მოხდენილად რომ ჩაენჭნის მსჯელობის აკადემიურსა და დახვეწილ მანერას.

ეს აღმაფრენა ძალდაუტანებლად გაგრძელდებოდა მომდევნო თავში, რომელიც კომპოზიციურად — დამავირგვინებელია მთელი ნიგნისა, თავისი დანიშნულებით კი — მთავარი ძარღვი, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ უბიძგებდა მკვლევარს, ამხელა შენობა წამოემართა, რათა ცხადლივი გაეხადა იმ ბრაზდების უსამართლობაც, ჟამ-

თაღმწერელი ლაშა-გიორგის განზრახ ჩამოქებული პორტრეტის წარმოსახვისას თბილისში გადმოხვენილ რინდებსაც რომ აჰკიდებდა საქართველოს სახელმწიფოს დაცემის ცოდვა-დანაშაულს, მეფე თავიანთ წრეში რომ ჩაეთრიათ და ისიც სიხარულით მიეშურებოდა მათკენ, რათა თითქოს „განედლო სიბილწე თვისი“.

და კიდევ ერთხელ უნდა გათვალსაზრისოებულიყო — თანაც ფონად ამხელა მასალის მოშველიებით, ელიზბარ ჯაველიძეს რომ შეესწავლა და გაეაზრებინა — რინდობისა და რინდთა ნამდვილი ბუნება, მისი სოციალური შინაარსი, ამ მოძრაობის სუფიური იდეოლოგია და მათთან ლაშა-გიორგის, ჩინებული სარდლისა და მისიონერის (ეკლესია-მონასტრების მშენებლობითაც რომ გამოირჩეოდა), სულიერი სიახლოვე — სილალით, თავისუფლებისმოყვარეობით, დიდი და წრფელი სიყვარულის გრძნობით.

მისთვისაც ისევე აღმოჩნდებოდა მისწრაფების უმთავრესი მიზანი თავისუფლება, როგორც რინდებისათვის, მისი მოღვაწეობისა და მსოფლმხედველობის არსსაც ეს სწრაფვა განსაზღვრავდა და მათსავით მზად გახლდათ სიცოცხლეც გაელო ამ ცნების გასათავისებლად და მოსაპოვებლად, მთავარ მამოძრავებელ ძალად კი ჭემმარტივი სიყვარული ესახებოდა, ყოვლისნამღვრაკი და შეუბღალავი, საფეხურებრივად ამამალლებელი მიწიერებიდან ზეცისაკენ, ადამიანობიდან ღმერთამდე.

პიროვნების ხასიათის ანალიტიკურ განსჯაში მოხდენილად შერეულა მარცვლები იმ ბელეტრისტიული უნარისა, რომელიც ასე რელიეფურად გამჟღავნდა ელიზბარ ჯაველიძის ავტობიოგრაფიულ რომანში; და როდესაც იგი მოეხილეს მისი მისტორიის, ვინც ამ უსამართლოდ დაკნინებულ ხელისუფალს შესაფერის ადგილს მიუჩენს ღირსეულ ქართველ მეფეთა გალერეაში, იქნებ უნებურად თავის ფარულ განზრახვასაც ამჟღავნებდეს, ჩვენი მხრივ კი ცნობისნადილით დაველოდებით მის მომავალ მონოგრაფიას ლაშა-გიორგიზე, მითუმეტეს, „ფუთუჟეთის“ ეს თავი, აღნაგობითა და სულისკვეთებით, და რაც მთავარია — მძაფრი შინაგანი მუსხტით, თეზისურ მონახაზად და ქარგად გამოადგება უსათუოდ შესაქმნელ თხზულებას მართლაც უსამართლოდ დამცრობილ მეფე-მოღვაწეზე, ვისი ხანმოკლე და ტრაგიკული ცხოვრებაც, იმჟამინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ბიოგრაფიულ რომანსაც დაშვეცნდება — მეცნიერებისა და ბელეტრისტიკის საუკეთესო სინთეზს.

რინდებს რალა დამართოდათ, ჟამთააღმწერლის შემდგომ მათ ჩვენს მემატანეთაგან აღარავინ რომ აღარ იხსენიებდა?

ვალერიან გაბაშვილი ქართლის ცხოვრების ფურცლებიდან მათ გაქრობას რომ ჩაუკვირდებოდა, ივარაუდებდა, რომ რინდთა კორპორაციული ურთიერთდამოკიდებულება და „ასაბია“ გამოძახილს ჰპოვებდა თბილისის გვიანდელ „ასნაფეზში“ გაერთიანებულ ხელოსანთა წეს-ჩვეულებებსა და თანადგომაში. და იმასაც დასძენდა, რომ: მუსლიმური და ქრისტიანული ტრადიციები და ელემენტები ქალაქების ხელოსნურ გაერთიანებებში ისეთნაირად აღრეულიყო ერთმანეთში, რომ რინდთა მუსლიმობას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

ელიზბარ ჯაველიძე ამ მოსაზრებასაც რომ გაიზიარებდა, თავის მხრივ დასძენდა, რომ:

— რინდები, რომლებიც შინაგან რწმენას ანიჭებდნენ უპირატესობას, სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობათა გამიჯვნას უგულვებლყოფდნენ და ერთადერთ ჭეშმარიტებას — უფალს აღიარებდნენ, ამიტომაც ისინი ღვთისმშობელ მარიამს და მის ძეს — ქრისტეს დიდ პატივს მიაგებდნენ, რაც მათ ქრისტიანად მოქცევას აადვილებდა.

ხოლო მათი გაქრობის გარემოებებზე ჩაკვირვება აფიქრებინებდა, რომ: შესაძლოა მონღოლთა შემოსევის შემდეგ დაეტოვებინათ საქართველო (მათ ხომ საერთოდ სჩვეოდათ საფრთხის მოახლოებისას ამა თუ იმ საცხოვრებელი ადგილის დატოვება და გადასვლა სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში), და ისიც შესაძლოა, რომ XIV საუკუნის მიწურულისათვის მათ ნებით თუ უნებლიეთ უარი ეთქვათ დამოუკიდებელ კორპორაციაზე და სხვადასხვა მიმდინარეობასა თუ პროფესიულ გაერთიანებას შერწყმოდნენ — ვთქვათ, სამეფო დაცვას ანდა იმჟამად არსებულ მცირე, რეგულარულ რაზმებს, ან კიდევ ჩვენში იმხანად მტკიცედ ფეხმოკიდებულ ხელოსანთა კორპორაციებს მიკედლებოდნენ თუ ქრისტიანულ ან სხვა რელიგიის მიმდევართა სავანეებში ეპოვნათ ნავსაყუდელი.

ასე დასრულდებოდა რინდთა გარდასახვა სხვადასხვა სოციალურ თუ რელიგიურ წრეებში და კიდევ გაუჩინარდებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზიდან, მაგრამ შერჩებოდნენ და კანთიელადაც შერჩებოდნენ მხატვრულ სამყაროს და, ლიტერატურულ გმირებად გარდაქმნილნი, პოეტურ დივანებში დაივანებდნენ, როგორც გამომხატველნი შემოქმედთა პროტესტისა და ამბოხისა წუთისოფლის მოუწყობლობის, ათასგვარ უმსგავსობამანკიერების გამო.

ხოლო მოგვიანებით ქართულ მწერლობაში ყარაჩოღელის ტიპი რომ წარმოისახებოდა და რომანტიკული იერი-თაც შეიბურებოდა, ესეც თურმე „რინდული პოეზიის“ თავისებურ გამოძახილად შეიძლება აღვიქვათ, გენეტიკურ და სულიერ აღდგენა-გაგრძელებად იმ ტრადიციისა, რუპი ბაღდადის პოეტურ აზროვნებაში ასეთი სრულყოფილებისთვისაც რომ მიეღწია.

ყარაჩოღელები თავიანთი ცხოვრების წესითა და საქმიანობით მახლობელი აღმოსავლეთის ყოფის პირმშონი არიან, იმ რელიგიური მოძრაობებისა და ხელოსნური კორპორაციებისაო, — ადასტურებდა ელიზბარ ჯაველიძე და ყარაჩოღელის სულიერ პორტრეტსა და ცხოვრების წესს რომ შეახსენებდა მკითხველს: დარბაისლური ქცევა იქნებოდა, დარდიმანდობა, საოცარი სტუმართმოყვარეობა, გულუხვობა, უშურველობა, პატიოსნება, შრომის სიყვარული, შინაგანი სილაღე თუ რაინდული სულისკვეთება, — იმასაც დასძენდა, რომ მართალია ეს ხასიათი ცალკეული ნიშნებით განსხვავდებოდა ფუთუვეთისა და მის განშტოება-ჩამომავალთა პერსონაჟის სულიერი პორტრეტისაგან, მაგრამ ხანგრძლივი დრო, განსხვავებული რელიგიური თვალთახედვა და ტრადიციები ნუთუ თავის ზეგავლენას არ მოახდენდა ყარაჩოღელის ტიპის გამოკვეთა-ჩამოყალიბებაზე?!

მთავარია, რომ ფუთუვეთთან მისი გენეტიკური კავშირი და მსგავსება კვლავაც შეიმჩნეოდა და მხოლოდ დადასტურებას ელოდა.

კიდევ ადასტურებდა, ირწმუნებოდა მკვლევარი და მონმედ და თანამოაზრედ იოსებ გრიშაშვილს მოუხმობდა,

თბილისის ამ განუმეორებელი კოლორიტის, ამ გამქრალი სამყაროს ბიოგრაფოსს: ყარაჩოღელი სინთეზია ქართულ-სპარსული ურთიერთობისა და საზოგადოდ აღმოსავლეთის ხალხთა ჩვენში ყონალობისაო.

და კიდევ: ამქრობა ყარაჩოღელთა კულტი იყო. ამქრობა ბოჰემის ერთი იმ ნატეხთაგანია, ურომლისოდაც ძველი თბილისის დარღვეული სახე ვერ შეკონინდებოა.

ძველი თბილისის სინამდვილე ყარაჩოღელთან ერთად იძირებოდა ნისლში და იოსებ გრიშაშვილი ყარაჩოღელის სახეში გაასიმბოლოებდა ამ სამყაროს გაქრობას და მასთან ერთად დაიტირებდა ისტორიად გადაქცეულ კოლორიტს.

ოთარ ჩხეიძის თქმისა არ იყოს:

— ...იოსებ გრიშაშვილი როგორც გვიხატავდა ძველი თბილისის ამ თავისებურსა და დასანანებელ მოდგმასა; ყარაჩოხელები ჰო ხელოსნები გახლდნენ, ყარაჩოხელობა ჰო კოლორიტი იყო, ეშხიანი კოლორიტი იყო ძველი თბილისისა, ეშხიანადაც რო გამოეთხოვა თუ გამოიტირა თბილისის მომღერალმა, თბილისის ტრუბადურმა იოსებ გრიშაშვილმა.

ლიტერატურულ პერსონაჟადა შემორჩებოდა ყარაჩოღელი, ვინც, ცხადია, ისედაც ჩამოსცილდებოდა საზოგადოებრივ ასპარეზს მანქანური ტექნიკის განვითარების კვალობაზე, მაგრამ ასე ტრაგიკულადაც არა, ბოლშევიზმი რომ გაუსწორდებოდა ულმოზლად და თანდათანობით გარდასახვის გზასაც აღარ დაუტოვებდა.

ასე გაიდებოდა ხიდი ერთი გამქრალი სამყაროსი მეორე გამქრალ სამყაროსთან, ყარაჩოღელისა — ფუთასთან, მეამბოხე, მოჯანყე მებრძოლი, აიარის, ავბაშისა და რინდის სახით წარმოდგენილი ხელოსანთა კორპორაციაში რომ გაერთიანდებოდა, და ფუთუვეთი, რაინდობასთან გაიგივებული, ასე შეიძენდა ახალ შინაარსს და გადაიქცეოდა ხელოსნური გაერთიანების აღმნიშვნელ ტერმინად. XIII-XIV საუკუნეებში ამ საძირკვიდან ამოიზრდებოდა „აჰიობის (ძმობის)“ კავშირი, სადაც შენარჩუნდებოდა რაინდისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი — დიდსულოვნება და ზნეობრივი სრულყოფილება — ოღონდ მათი მთავარი საქმიანობა ხელოსნობა გახდებოდა. გვიან შუა საუკუნეებში კი მთელი მახლობელი აღმოსავლეთიც და საქართველოც დაიქსელებოდა „ასნაფისა“ და „ამქრის“ გაერთიანებებით — ხელოსნური ორგანიზაციებით.

— მაგრამ სად არის ძველი ღვინის სმა, სად არის ძველი ყარაჩოღელი, — იოსებ გრიშაშვილი იმ დაკარგულ სამყაროს რომ მისტიროდა, თანაც ბრაზით ანთებულყოფი ყალბ გრძნობათა და ნაქურდალი ხმების შემყურე, გერონტი ქიქოძე, ლიტერატურული გაერთიანების — „არიფიონი“ — იდეოლოგიას რომ ქმნიდა მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად, სამწერლო კლუბებისათვის გართულებულ რეალობაში „არიფიონის“ დასამკვიდრებლად ერთ მთავარ არგუმენტად ჩვენს ისტორიაში ამქრების არსებობას მოიშველიებდა: თემის ინტერესები და თემის ბრძანება ქართველი კაცისთვის უზუნაესი კანონი იყო. თვით ქალაქებშიც ჩვენ თაობამდე მოაღწია საშუალო საუკუნეების კორპორატიულმა სულმა: გუშინ კიდევ ტფილისისა, სიღნაღისა და გორის ქუჩებში ამქრები დადიოდნენ მრავალფერადი დროშებით.

სამწერლო კლუბები ევროპული მოვლენა გახლდათ, იმ ზეგავლენის გამოძახილი ჩვენში, მაგრამ გერონტი ქიქოძე მხოლოდ თვალის ახვევის მიზნით არ გადმოიტანდა ამ მოვლენის ფესვს აღმოსავლეთში, ვითომდა — დასავლეთ-

თან არაფერი გვაკავშირებსო. უბრალოდ, ევროპიდან რომ შემოაღწედა 20-იანი წლების მიჯნაზე ლიტერატურულ გაერთიანებათა ტალღა, აქ შიშველი ნიადაგი კი არ დახვდებოდა, არამედ შინაგანად სავსებით მომზადებული საზოგადოება, კორპორაციული სული შუა საუკუნეებიდან რომ გადმოსცემოდა და ძალდაუტანებლად შეეძლო იმ სულის შეთანადება დასავლურ ტალღასთან.

ისე მოხდებოდა, რომ „არიფიონი“ უკანასკნელი სამწერლო კლუბი აღმოჩნდებოდა მაშინდელ საქართველოში. ნამდვილ მწერალთა უკანასკნელი გაფართოება ამ მხრივ.

რალა ყარაჩოღლეთა ძმობა და რალა არიფიონელებისა, მაინცდამაინც სახელწოდების შერჩევით სწორედ მათთან რომ გასდებდნენ ხიდს.

— არიფი თანამესუფრეს ნიშნავს, არიფიონი შეზარხოშებული ადამიანების კავშირია. მაგრამ ჩვენ ვითრობით არა ღვინით, არამედ ურთიერთ შთაგონებით და შემოქმედებითო, — ამ გაერთიანების ერთ-ერთი იდეოლოგი რომ ირწმუნებოდა, თითქოს პირდაპირ იმეორებდეს სუფ პოეტთა თუ რინდული პოეზიის ერთ მთავარ მოტივსა თუ შეგონებას, ღვინო მისტიკური შინაარსით რომ იმსჭვალეობდა და, გასიმბოლოებულნი, ღვთაებაში განზავების გზად რომ გაიწვინებოდა ამ მრწამსის მიმდევართათვის.

თითქოს რა საერთო აქვს არიფიონელთა გაერთიანებას ფუთუვეთსა თუ რინდობასთან, მაგრამ რატომ გვგონია გერონტი ქიქოძის ეს სტრიქონები იმათი ზნეობრივი კოდექსიდან გადმოწერილი?!

\*\*\*

სემა მეველეილეთა რიტუალი გახლდათ — მუსიკითა და ლექსებით შეზავებული, და ამ ცეკვით, უმთავრესად ბრუნვით რომ სრულდებოდა ექსტაზში ვარდებოდნენ. ბურგაზის თხზულების ეს პასაჟი მაინც სხვაგვარად მოგვეცხება გულზე, რაკილა აქ „არიფიც“ იხსენიება და ჯელალ-ედ-დინ რუმის მონუმენტური სახეობა შემოცურდება, როგორც სემას — არიფთა სიამოვნებისა და მხიარულების, სულის საკმაზისა და გულის წადილის — არსის გამხსნელის, თუ რატომ შეიძლება იყვნენ ანგელოსებიც ამ რიტუალის აღმსრულებელნი.

— როგორც ჭეშმარიტი გზით მავალმა შეიხმა და არიფთა (გულით სწავლულთა) კუთუბმა მეველანა ჯელალ-ედ-დინმა, ნათელი იყოს უწმიდესი საფლავი მისი, ბრძანა: „ჭეშმარიტად ჩვენი სემა ცეკვა-თამაში არ გახლავთ. ის ღვთიური საიდუმლოებაა, რომელსაც არაჭეშმარიტი სიყვარული ვერ შექმნის. ის, ვინც ჩვენ სემას თამაშობად მიიჩნევს, ისეთი გვამია, რომ ვერც როდის ღაზი ვერ გახდება“. ერთი სიტყვით, სემა წმინდანების, არიფების და აშიყებისაა, აი, ვითარცა ბულბული ვარდს დაინახავს, გალობს, ლოცულობს. როცა არ ხედავს, დუმს. ასევე არიან აშიყებიც, თუ სემას არ იწყებენ, ვერ ითმენენ, ბულბულივით მოთხოვნილება უჩნდებათ.

ღვთიური საიდუმლოებააო, — ესეც გულისგული ჯელალ-ედ-დინ რუმის შეგონებისა.

თითქოს ამასვე ირწმუნებოდეს მიხეილ ჯავახიშვილი.

თითქოს გერონტი ქიქოძეც ამასვე ირწმუნებოდეს.

და თითქოს ჯელალ-ედ-დინი სავსებით გაიზიარებდეს „არიფიონელთა“ დეკლარაციას და თავისი ხელრთვითაც აღბეჭდავდეს.

\*\*\*

ისე მაინც რა არის მწერლური ალლო და მხატვრული წარმოსახვა.

გრიგოლ აბაშიძის რომანში „ლაშარელა“ ლაშა-გიორგი ომარ ხაიამის რობაიებს რომ თარგმნის, გამოუცდელ მკითხველს ეს შესაძლოა სრულიად ზედმეტი დეტალი ეგონოს. და თურმე არც მარტო იმ გარემოებით აიხსნება, ამ რომანზე ფიქრისას გრიგოლ აბაშიძის თანადროულ სალიტერატურო ცხოვრებაში ძალიან რომ გახმაურდებოდა „რობაიათის“ ამბაკო ჭელიძისეული თარგმანები და ეს პოეტი სულ სხვა ძალით შემოიჭრებოდა ჩვენს კულტურულ სივრცეში.

ამ მიზეზს მთლად ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ მთავარი მაინც ის ალლოა, რაც მწერალს აგრძნობინებდა, რომ უთუოდ არსებობდა რალაც საერთო, და ძალზე მნიშვნელოვანი საერთოც რინდებსა და ომარ ხაიამს შორის, და ვინც რინდების წრეში გაერეოდა, რიგითი მოქალაქე იქნებოდა თუ თვით მეფე, უთუოდ დაინტერესდებოდა „რობაიათითაც“ და ეგებ კალამიც წაცდენოდა სათარგმნელად.

ელიზბარ ჯაველიძის მონოგრაფიის გაცნობის შემდგომ ამ მხრივ დასაეჭვებელი აღარაფერი რჩება, ის კი არა, გულიც დაგვწყდებოდა, რომანის პერსონაჟ ლაშა-გიორგი-სათვის უცნობი რომ ყოფილიყო ომარ ხაიამის ლირიკა.

ახლა ეს ისეთი თვალნათლივია, ბიოგრაფიულ რომანშიც კი შეიძლება ჩაერთოს მსგავსი პასაჟები — თუ როგორ ცდილობს ქართველი მეფე „რობაიათის“ მხატვრულ სიღრმეებში გარკვევას და კალამსაც... კალამსაც სინჯავს ამ თუ იმ ნიმუშის ქართული ვერსიების შესაქმნელად.

ბიოგრაფიულ რომანს უმთავრესად მაინც დოკუმენტების დამონება ესაჭიროება?

ეს კი ასე გახლავთ, მაგრამ ხან ისეთი ხელშესახები ხდება ზოგიერთი დაფარული რეალია, ვარაუდი თვით დოკუმენტის ძალასა და მნიშვნელობასაც იძენს. და ძალიან დაგვაკლდება გულს, თუ ლაშა-გიორგის ცხოვრების ქრონიკაში მის მიერ ომარ ხაიამის თარგმნის კვალს ვერ აღმოვაჩნით.

დაშვენდება, თორემ სხვა რა!..

...არა, მწერლური ალლო მაინც რა არის, არა?!.

\*\*\*

— თუ გაიგებენ, ჩვენ ამ წიგნს რაოდენ დიდი გონება შევალეთ, რაოდენ ვინვალეთ მისი შეკრებისას, ყოველ წამს ჩვენ დაგვლოცავენ.

ეს ბურგაზის „ფუთუვეთ-ნამეს“ ფინალური სტრიქონებია, ასერიგად რომ მიესადაგება მის მთარგმნელსაც „ფუთუვეთი — სულიერ-რინდული ძმობის“ შექმნისათვის.

\*\*\*

ისევე მისტირის ყარაჩოღლეთა გადაშენებას იოსებ გრიშაშვილი.

ისევე შესთხოვს უფალს მხსნელის გამოჩენას რუჰი ბალდადი, რინდების გაქრობითაც დადარდიანებული.

ისევე სულიერი მემთვრალეობით ცდილობს ჯელალ-ედ-დინ რუმი ზეცისაკენ სწრაფვასა და ღვთაებრივ არსში განზავებას.

ისევე მოელის ისტორიის გაცრეცილ ეტრატს თავშეფარებული ლაშა-გიორგი თავის ბიოგრაფოსს.

გივი გამრეკელი

# გორდიდან ზუგდიდამდე ბანა დიდი გზაა?!

ვინმემ რომ იკითხოს, ჰქონდა კი მთელი XIX საუკუნის მანძილზე საქართველოს რუსეთის დესპოტიზისაგან თავის დაღწევის რაიმე თუნდაც მცირედი საშუალება? გნებავთ ძველ ისტორიკოსებს მივმართოთ, გნებავთ უფრო ახალგაზრდებს, ასე გვიპასუხებენ — არა, რა თქმა უნდა, არა! თვით რუსების გამოთქმით, „რაც საზიდრიდან ჩამოვარდა, ჩათვალეთ, რომ დაიკარგა კიდეც!“ გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ არა! თითქოს ასეა. მაგრამ თურმე ყოფილა ერთი შესაძლებლობა, რომელიც შემთხვევით წარმოშობილა (როგორც ვნახავთ, არც ისე შემთხვევით!). გავიხსენოთ რამდენიმე გამოჩენილი პიროვნება, პირველ ყოვლისა, როგორიც იყვნენ ენვერ-ფაშა — თურქი გენერალისიმუსი, ყოფილი ავსტრიელი ოფიცერი, აზროვნებდა გერმანულად, წერდა კი, რა თქმა უნდა, ფრანგულად. ეკატერინე დადიანი, სამეგრელოს დედოფალი, მთელი საქართველოს უსაყვარლესი ქალბატონი, დიდი დიპლომატი, სერ ჰენრი ჯონ ტემპლი, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკაში უფრო ლორდ პალმერსტონის სახელით არის ცნობილი. თხრობა კი სჯობს თავისებური ფანტაზიით დავასრულოთ, რადგან, როგორც ყველამ კარგად იცის, „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“.

ერთი რამ ადრიდანვე შეამჩნიეს რუს ისტორიკოსებთან, ძველ მონარქისტ და, გნებავთ, ახალ საბჭოეთელებთანაც. რაზედაც გინდოდათ გესაუბრათ, ოღონდ ყირიმის ომზე ლაპარაკი არ ჩამოგეგდათ. ბოლოსდაბოლოს, გეტყოდნენ, რა მოხდა ისეთი, ერთი ომი წავაგეთო. განა სულ ეს იყო? ისტორიკოსები შედეგებს არბილებდნენ, არბილებდნენ და კვალი მაინც რომ არ იმალებოდა?! ანდა, როგორ დაიმალეობდა, როცა რუსეთის იმპერია, რომელიც ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპაში უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა და ბედკრულ საქართველოს მყარად ფლობდა, ამ ჩიტირეკიამ, ცეტმა ნაპოლეონ III-მ (თუმცა მის ზურგს უკან ცნობილი ფრანგი სარდლები, მათ შორის ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი, მარშალი მაკ-მაჰონი და დიპლომატები იდგნენ) ისე დაანიავა, რომ რუსებს თავი არსად გამოეყოფოდათ. ნიკოლოზ I, „პალკინად“ („ჯოხაძედ“) წოდებული, ისეთ შოკში ჩავარდა, რომლისგანაც სულიც განუტევა. რის ავადმყოფობა, რის გაციება, ეს მეფე, რომელსაც დობროლიუბოვი „დაბადებით, აღზრდით და მოწოდებითაც“ სალდაფონს უწოდებდა, სწორედ რომ ჯავრით გარდაიცვალა. „ამ ქვეყანაში ყველა იპარავს, ჩემსა და შენს გარდა“ — უთხრა მან ტახტის მემკვიდრე ალექსანდრეს (მომავალი მეფე ალექსანდრე II). ეს ის მეფე იყო, რომელსაც ყმანვილობაში მისი „ალმზრდელი“ გენერალი ლამსდორფი ყოველდღე სცემდა და სახაზავით მკლავებს ულურჯებდა, შემდეგ კი თვით ნიკოლოზი „სცემდა“ ყველას და ამას ვინა ჩივის, მთელ ქვეყნებსაც კი „იპარავდა“.

რახან ომერ-ფაშამ, ნებით თუ უნებლიეთ, მაინც ერთგვარი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში, ამიტომ ვთქვათ რამდენიმე სიტყვა მისი ბიოგრაფიის შესახებაც. ომერ-ფაშა, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია მიხაილ ლატოში, დაიბადა 1806 წელს ავსტრიელი ოფიცრის ოჯახში. ერთხანს ავსტრიის არმიაში მსახურობდა, შემდეგ დატოვა იგი და ბოსნიაში დასახლდა, სადაც კერძო მასწავლებელი გახდა. შემდეგ სამხედრო საქმეს დაუბრუნდა, მიიღო ისლამი და თურქ გენერალ ზოზრეგ-ფაშას ადიუტანტის თანამდებობა. მალე დანიშნაურდა, რასაც, ცხადია, ხელს უწყობდა კარგი სამხედრო განათლება, ევროპული არმიების ცოდნაც (სიცოცხლის ბოლოს შამილთან ერთად თურქეთის არმიის გენერალისიმუსის წოდებაც კი მიიღო). როცა ყირიმის ომი დაიწყო, ჯერ რუსების წინააღმდეგ დუნაისპირეთში იბრძოდა. 1855 წლის იანვრის დამდეგს 21-ათასიანი არმიით ევპატორიაში ჩავიდა და იქ ბრძოლებაში მიიღო მონაწილეობა. ამასობაში თურქების სარდლობამ საჭიროდ მიიჩნია მისი გადასროლა ბათუმში. თვით ენვერ-ფაშა თავის სარდლებს სთხოვდა, რომ იგი სამეგრელოში გაეგზავნათ. ამით თბილისსაც დამუქებოდა და ყარსში მურავიოვის მიერ ალყაშემორტყმულ თურქების მდგომარეობასაც შეამსუბუქებდა. მოკავშირეთა (საფრანგეთის, ინგლისისა და თურქეთის ჯარები) ხელმძღვანელობა გეგმებით სულაც არ დაინტერესებულა. მაშინ ენვერ-ფაშა საკუთარი სურვილით წავიდა სტამბოლში და აიღო ნებართვა ბათუმში ჩამოეყალიბებინა საექსპედიციო კორპუსი, რათა შემდეგ სამეგრელოსაკენ დაძრულიყო. 1856 წლის სექტემბერში ომერ-ფაშა თავისი 36-ათასიანი კორპუსით სოხუმში გამოჩნდა. იგი იმედოვნებდა, რომ აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძის დახმარებით მთიელებს მიიმხრობდა და რუსებს დიდ სიძინელებს შეუქმნიდა. მიხეილ შარვაშიძეს ყმანვილობაში ჰამუთ-ბეგი ერქვა და საფარ-ალი-ბეგის მეორე შვილი იყო. ერთხანს ცხოვრობდა სამეგრელოსა და იმერეთში, შემდეგ თბილისში, აქ ისწავლა რუსული ენა, ხოლო ქართული ბავშვობიდანვე იცოდა. იზრდებოდა უბიხების წინამძღოლ ჰავჯი ბარზეგ დაგუმოყვასთან. 1822 წელს 11 წლის ასაკში აფხაზეთის მთავრად გამოცხადდა, თუმცა რეალურად მმართველი მოგვიანებით გახდა. ორიენტაცია აიღო რუსეთზე, რომელსაც მოსწონდა მისი პოზიცია და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას გენერალ-ადიუტანტის წოდებაც მიანიჭეს. აქ ცოტა უცნაური ის არის, რომ მუდმივი უთანხმოება ჰქონდა ასევე რუსეთის მომხრე სამეგრელოს მთავარ დავით დადიანთან. მისი მდგომარეობა აირია ყირიმის ომის დროს, როცა რუსის ჯარებს აფხაზეთის დატოვება მოუხდათ. თურქები ძალიან ცდილობდნენ, რომ მიხეილ შარვაშიძე, რომელსაც ფართო გავლენა ჰქონდა ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ უბიხებს, ჯიქებსა და სხვათა შორის, თავიანთ მხარეზე ჰყოლოდათ. მიხეილი ომერ-ფაშის შემოსვლის შემდეგაც დარჩა აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროს (ნატანებიდან ანაპამდე) ფაშადაც კი დანიშნეს, და, ცხადია, მისი ნებართვით, მოხალისეთა ასეულები ომერ-ფაშას ჯარს შეუერთდნენ. მიხეილ შარვაშიძე შემდეგ კი ირწმუნებოდა, რომ თურქებისათვის ხელი არავფრთ შეუწყვია, მაგრამ ამ მოხალისეთა ასეულების ფაქტი ხომ არსებობდა. შემდგომში რუსებმა სწორედ ეს გაუხსენეს.

გურიის რაზმის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ივანე მუხრან-ბატონს თან სამხრეთისათვის უნდა ედევნებინა

თვალი, თან ენვერ-ფაშას წინააღმდეგ ემოქმედა. მცირე ძალები ჰყავდა, სულ 16 ბატალიონი. რახან ენვერ-ფაშა ენგურის გადალახვით აპირებდა შემოჭრას, აქ მუხრან-ბატონი სულ 7 ბატალიონს თუ იყოლიებდა. გარდა ამისა, დაახლოებით 5 ათასი დასავლეთ საქართველოს სახალხო ლაშქარიც ჰყავდა. გენერალი მუხრან-ბატონი არავითარ შემთხვევაში არ აპირებდა სამეგრელოში მტრის ჭარბი ჯარის უბრძოლველად შეშვებას. საჭირო იყო ანაკლიიდან ჯვარამდე ენგურის სანაპიროს გამაგრება, მაგრამ საამისოდ ძალები ამკარად უქმარი ჩანდა.

25 ოქტომბერს ომერ-ფაშამ დაიწყო ენგურის გადმოლახვა. გაიმართა შეუპოვარი ბრძოლა, რის შედეგადაც მუხრან-ბატონი იძულებული გახდა სოფელ ხეთამდე დაეხია. ომერ-ფაშა განაგრძობდა წინსვლას. სანარმანიოსთან ახალი ბრძოლის შემდეგ მუხრან-ბატონმა დატოვა სამეგრელო. ნოემბრის დასაწყისში მან ჯარებს ცხენისწყლის მარცხენა ნაპირთან მოუყარა თავი და გურიიდან გენერალ-მაიორ ბრუნერის მოსვლას დაელოდა, რათა ერთობლივი ძალებით მეტოქისათვის დიდი წინააღმდეგობა გაენია.

ფრთხილი ომერ-ფაშა ნელ-ნელა მოინევედა წინ. 28 ოქტომბერს, ზუგდიდის დაკავების შემდეგ, მისი ავანგარდი მხოლოდ 6 ნოემბერს მივიდა მდინარე ტეხურასთან. თურქთა ძირითადი ძალები მდინარე ცივის პირას, სოფელ თეკლათთან განლაგდნენ. ომერ-ფაშა განსაკუთრებით ზრუნავდა თავისი ზურგის უზრუნველყოფისათვის, რადგან რუსების ახალი მასშველი ძალების მოსვლას ელოდა. ის, რაც ზღვით მიიღო, რედუტ-კაღეში დააბინავა, რადგან ამ ნავსადგურით სარგებლობა მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე მოშორებული სოხუმით. ამასობაში ომერს ახალი რაზმებიც ჩამოუვიდნენ, მისი ჯარის რაოდენობა 40 ათასამდე გაიზარდა. ამასთან, მდინარე ჩოლოქთან ბათუმის რაზმიც იდგა მუსტაფა-ფაშას მეთაურობით, რომელიც მუხრან-ბატონს ამკარა მუქარას უქმნიდა. ომერ-ფაშას ამ დროისათვის მუხრან-ბატონთან შედარებით სამჯერ მეტი ჯარი ჰყავდა.

როცა თურქები სამეგრელოში შემოვიდნენ, ეკატერინემ დატოვა ზუგდიდი და გორდში გადავიდა. შემდეგ დედოფალმა გორდის დატოვა და ლეჩხუმში მურის ციხეს შეაფარა თავი. იგი რუსებთან კავშირის განწყვეტას არ ფიქრობდა.

ომერ-ფაშა შეეცადა ეკატერინე დადიანის გადაბირებას. მან დედოფალს მისწერა, რომ რუსეთის დამპყრობლური გეგმების ჩასაშლელად იბრძვის, ხოლო სამეგრელოს სამთავროს სანინაღმდეგო, ისევე, როგორც აფხაზეთისა, არაფერი აქვს. დეე, ეკატერინე თავისი ვაჟით, ნიკოლოზით ზუგდიდში გადმოვიდეს და ორივემ მართოს ქვეყანა. ამით თურქების სარდალი სამეგრელოს მოსახლეობის დამშვიდებას ცდილობდა, სადაც უკვე გაჩაღდა პარტიზანული ბრძოლა.

აი ომერ-ფაშას ერთ-ერთი წერილი ეკატერინესადმი:

„ზუგდიდი, 1855 წლის 30 ნოემბერი.

თქვენო უგანათლებულესობავ!

შემოველ რა იმ ქვეყანაში, რომელსაც თქვენი შვილის სახელით თქვენი უგანათლებულესობა მართავს, ჩემს მოვალეობად ვრაცხ გაუწყობო ზრახვანი ჩემის უავუსტოესი სულთანისა და დიდამის მისი მოკავშირე სახელმწიფოს.

დღევანდელი ომი, როგორც თქვენმა უგანათლებულესობამ იცის, დაწყებულია იმ სამართლიანი განზრახვით,

რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ დაპყრობით ნადიერებას რუსეთის იმპერატორისას.

აი სწორედ ამ მიზნით გახლავართ აქ. თან მყავს იმდენი ჯარი, რომელიც ღვთის შემწეობითა და იმის წყალობით, რომ სამართლიანი საქმისთვის ვიბრძვით, სრულიად საკმარისი იქნება, განვდევნოთ მტერი ამ ქვეყნიდან, სადაც თქვენი უგანათლებულესობა მეფობს. შემოვედი რა სამეგრელოში, მე ჩემი უავგუსტოესი ხელმწიფისა და მისი მოკავშირე დიდი სახელმწიფოების სახელით მინდობილი მაქვს დაუშვტკიცო თქვენს უგანათლებულესობას, რომ მათ სრულებით არ სურთ შეეხონ სამეგრელოს მართვა-გამგებლობას ან რაიმე უფლება მოიპოვონ ამ ქვეყანაზე.

მათი ერთადერთი სურვილია, რომ სამეგრელო და მისი მეზობელი ქვეყნები იყვნენ დამოუკიდებელი რუსეთისა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოსაგან და რომ საკუთარი მთავრობანი თავისუფლად მართავდნენ მათ...

როდესაც ჩემი ჯარი სამეგრელოში შემოვიდა, დაინახა, რომ ადგილობრივ მკვიდრთა ერთ ნაწილს ხელში იარაღი აუღია, სხვები გაქცეულან და თავი მიუნებებიათ თავიანთი სახლ-კარისა და ქონებისათვის, რაც საერთაშორისო უფლებების თანახმად, სამხედრო ნადავლად უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ, დავინახე, რომ ჯარს სხვა მეზობელი ქვეყნის მკვიდრნი მოჰყვნენ (ენვერი ჩრდილოკავკასიის გულისხმობს) და ადგილობრივ მკვიდრთ რბევა დაუწყეს, აგრძობინეს ომიანობის მთელი საშინელებანი...

რათა ტანჯვა შემემცირებინა ამ საწყალი ხალხისათვის, მე ვიხმარე მთელი ღონისძიება, რათა ეს უცხოელები (კვლავ ჩრდილოკავკასიელებს გულისხმობს) თავთავიანთ ქვეყანაში გამეგზავნა, ხოლო ჩემი ჯარისკაცები სასტიკად დაესაჯე და ამით დავაოკე მკვიდრთა რბევა-ანოკებისაგან. მცხოვრებთა ერთი ნაწილი უკვე დაუბრუნდა თავის სახლს ამ კაცთმოყვარული საქმის დასასრულებლად, მე ვინვე თქვენს უგანათლებულესობას, დაბრუნდეს თავის სასახლეში, განაგრძოს ქვეყნის მართვა-გამგეობა და, ამრიგად, დაამშვიდოს ქვეშევრდომნი, ჩააგონოს მათ, თუ რა სწავლია ჩემს ხელმწიფეს. განუმარტოს ისიც, თუ რა მიზნით არის აქ მოსული ჯარი, სახელდობრ, აუხსნას ის, რომ ჯარი აქ რუსებს უნდა ებრძოლოს და აღადგინოს სრული დამოუკიდებლობა სამეგრელოსი თავისი ძველებური მართვა-გამგეობით.

თქვენი უგანათლებულესობის დაბრუნების მოლოდინში მე თქვენს მაგივრად სამეგრელოს მმართველად ვაცხადებ ბატონიშვილ ნიკოს, რომელიც თქვენმა უგანათლებულესობამ ზუგდიდში გამოგზავნეთ. თქვენი შვილის და ქვეშევრდომთა ინტერესებისათვის მე თქვენი გიხმობთ ჩამობრძანდეთ ზუგდიდში, როგორც ეს შესაძლებელი იქნება და ჩაიბაროთ სამეგრელოს მართვა-გამგეობა.

დავრჩები თქვენი უგანათლებულესობის უაღრესი პატივისცემელი. ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალი ომერი“.

რახან ეკატერინე ომერ-ფაშას არ დაეთანხმა, თურქებმა გაამკაცრეს თავიანთი საოკუპაციო რეჟიმი. ზუგდიდის მაზრაში დაინგრა 22 სოფელი, განადგურდა 700 სახლი. თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ეკატერინეს მახლი, გენერალი გრიგოლ დადიანი. გაჩაღდა პარტიზანული მოძრაობა. დაიწყო კოკისპირული წვიმები, ნოემბრის განმავლობაში სამეგრელო ერთ მიუვანე ჭაობად იქცა, რაც მუხრან-ბატონს უწყობდა ხელს. იგი ცხენისწყალთან იდგა და ხელსაყრელი ვითარების დადგომას უცდიდა.



ომერ-ფაშამ წინსვლა მხოლოდ 20 ნოემბერს განაახლა. მან დიდი გაჭირვებით გადაიარა მდ. ციხეზე, 22 ნოემბერს მი-  
აღწია აბაშამდე, საიდანაც ცოტა მოშორებით გურიის რაზ-  
მი იდგა. როგორც ომერ-ფაშა თავისიანებს დაპირდა, მომ-  
დევნო დღეს რუსებს გადამწყვეტ ბრძოლას გაუმართავდა,  
მაგრამ სალამოსათვის კვლავ დაინყო თავსხმა. თურქების  
ბანაკი ჭაობს დაემსგავსა, ცხენისწყალი ადიდდა და მასზე  
გადასვლა შეუძლებელი გახდა. მეტი რაღა გზა იყო, ახლა  
ომერს გამოდარებისათვის უნდა მოეცადა. 25 ნოემბერს კი  
ფრიად უსიამოვნო ცნობა მიიღო: ყარსი დაეცა.

ყირიმში ძძიმე მარცხის მიუხედავად, ომი გრძელდებო-  
და; ზავის დადება ჭიანჭველად. ერთი რამ ცხადი იყო,  
რუსეთს ზავის შემთხვევაში კარგი არაფერი ელოდა. ინგ-  
ლისი და საფრანგეთი ომის მსვლელობით კმაყოფილნი იყ-  
ვნენ და... კავკასიის ფრონტს ყურადღებას არ აქცევდნენ.  
ისე რომ, ყარსის აღებას მოკავშირეები ოდნავაც არ შეუშ-  
ფოთებია, მაგრამ მან დააჩქარა ბრძოლის დამთავრება  
დასავლეთ საქართველოში. ომერ-ფაშამ ხელი აიღო რუ-  
სებთან კიდევ ერთ, როგორც თვითონ ამბობდა, გადამწყ-  
ვეტ შეტაკებაზე და რედუტ-კალესკენ დაიწყო უკანდახე-  
ვა. ივანე მუხრან-ბატონმა საჭიროდ არ ჩათვალა მისი გა-  
მოდევნება, თავისი ჯარი საზამთრო ბანაკებში განალაგა  
და ტრაპიზონისკენ გასცურა. თურქებმა სამეგრელო დი-  
დად დააზიანეს, გაძარცვეს და დაწვეს დადინათა სასახ-  
ლეები, აჩეხეს ზუგდიდში გაშენებული მდიდარი პარკი...

კავკასიაში ბრძოლა კი დამთავრდა, მაგრამ ომის ბედი  
კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო. როცა ყირიმის ომში რუსე-  
თისათვის საბოლოო შედეგი ნათლად გამოიკვეთა, გახმა-  
ურდა ინგლისის განთქმული პოლიტიკური მოღვაწის  
ლორდ პალმერსტონის გეგმა. ჯერ ორიოდე სიტყვა ამ  
ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ დიპლომატზეც  
ვთქვათ. იგი 1789 წლის 20 ოქტომბერს დაიბადა არისტოკ-  
რატულ ოჯახში. დამთავრა  
ჰაროუს სკოლა (სადაც ბაი-  
რონთან ერთად სწავლობდა),  
ედინბურგის უნივერსიტეტი  
და შემდეგ კემბრიჯის კო-  
ლეჯში 1805 წელს ბაკალავ-  
რის ხარისხი მოიპოვა. 1807  
წლიდან ინგლისის პარლამენ-  
ტის წევრი გახდა და პოლიტი-  
კაში „ევროპული ნონანსრო-  
ბის“ მომხრე იყო, რომელსაც  
რუსეთი, მისი აზრით, ხელს  
უშლიდა. 1855-58 და 59 წლებ-  
ში ინგლისის პრემიერ-მინის-  
ტრი იყო, 1830-1834, 1835-  
1841 და 1846-1851 წლებში —  
საგარეო საქმეთა მინისტრი.  
ომი რომ მიიწურა, ლორდი  
პალმერსტონი (ანუ სხვანაირ-  
ად, სერ ჰენრი ჯონ ტემპლი)  
თავის ძმას სწერდა: „ჩვენ  
გვემუქრება მშვიდობა“. ეს  
იმას ნიშნავდა, რომ ზავის და-  
დებას საკითხი უნდა გაჭიან-  
ურებულიყო, რათა რუსეთი

რაც შეიძლება უმძიმეს პირობებში ჩაეყენებინათ. რა უნდა  
გაეკეთებინათ ამ დამხობილი „კოლოსისათვის“: შავი  
ზღვა ხომ საბოლოოდ იკარგებოდა (!), მას ვითომ თურქე-  
თი, სინამდვილეში კი ევროპის სახელმწიფოები დაეპატ-  
რონებოდნენ. უნდა აღდგენილიყო ყირიმის სახანო თურ-  
ქეთის პროტექტორატით, არსებითად კი სხვა მფარველე-  
ბით. ჩრდილო კავკასიაში შეიქმნებოდა „ჩერქეზების სა-  
ხელმწიფო, რომლის ხელმძღვანელი ესოდენ სახელგანთქ-  
მული შამილი იქნებოდა. აღდგებოდა დამოუკიდებელი სა-  
ქართველო. როგორ, რა ფორმებით, ამის შესახებ კონკრე-  
ტულად პალმერსტონს არაფერი უთქვამს. ვარაუდით შე-  
იძლება ითქვას, რომ შემდეგში ლაპარაკი იქნებოდა  
ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებზე, სამეგრელო-  
სა და აფხაზეთის სამთავროები ხომ ისედაც განაგრძობდ-  
ნენ არსებობას.

ერთი სიტყვით, რუსეთი დამდაბლდებოდა და თანაც  
როგორ! სინამდვილეში მოხდა ისე, რომ პარიზის კონგ-  
რესმა (1856 წლის თებერვალში რომ გაიხსნა და 30 მარტს  
დამთავრდა), რომელსაც ხელმძღვანელობდა საფრანგე-  
თის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ალექსანდრ ვა-  
ლევსკი (ნაპოლეონ I-ს შვილი გრაფინია მარია ვალევსკა-  
საგან), რუსეთი შედარებით ნაკლებად დაამცირა. რუსე-  
თის დიპლომატიის მიერ თავმოქონილმა ნაპოლეონ III-მ  
(შენ ხომ ევროპაში მეტოქე არა გყავსო!) ასეთ ახალ ტერი-  
ტორიულ გადანაწილებაში მუდმივი მონიშნაღმდეგის —  
ინგლისის — საფრთხე დაინახა. რუსეთმა ბევრი რამ და-  
კარგა, მაგრამ შეინარჩუნა მთავარი — კავკასია. საქარ-  
თველოში არაფერი შეიცვლებოდა, ყველას მიერ მიტოვებუ-  
ლი შამილი კი უნუგემო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხოლო  
სულ მალე, 1870 წელს, საფრანგეთის დამარცხების შემ-  
დეგ ყირიმის ომის შედეგებს ხაზი გადაესვა და რუსეთი  
ისევ გადიდგულდა.

2012 წელს ცნობილმა ფრანგულმა გამომცემლობა „ბენევენმა“ გამოს-  
ცა ქართული პოეზიის ნიმუშების ფრანგულენოვანი თარგმანი. კრებულის  
სათაურია „ქართული პოეზიის რვეული.“ მისი შემდგენელი და მთარგმნე-  
ლია იზა ჯინჯიხაძე, რომელიც 2000 წელს საფრანგეთის მთავრობამ დაა-  
ჯილდოვა „აკადემიური პალმების“ ორდენით. კრებულის რეცენზენტები  
არიან საფრანგეთის საელჩოს კულტურის ყოფილი ატაშე, ლიტერატორისა  
და ფილოსოფიის პროფესორის სერჟ ანდრიო და ისტორიულ მეცნიერება-  
თა დოქტორის, ლიტერატურის პროფესორის ჟან ბატუ.

მთარგმნელმა ნიგნში შეიტანა მე-19, მე-20 და 21-ე საუკუნეების პოეზი-  
ის ნაწილი. იზა ჯინჯიხაძემ პირველად ეს თარგმანები საფრანგეთში წარ-  
მოუდგინა სეფერმენის ბულვარზე „ქართულ სახლში“ შეკრებილ ლიტერა-  
ტურის მოყვარულ საფრანგეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორას და ფრანგ  
საზოგადოებას, აქვე მდებარეობს ცნობილი ოთხი ლიტერატურული კავე,  
სადაც მუდამ იკრებიან მწერლები და პოეტები, ხელოვნების მოყვარულები; მათი მოთხოვნით  
და ინიციატივით დაიგეგმა ამ თარგმანების წიგნად გამოცემა. თარგმანმა საფრანგეთში მაღალი  
შეფასება დაიმსახურა. აქ წარმოდგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის,  
ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფ-  
რინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიცინ ტაბიძის, იეთიმ გურჯის,  
გრიგოლ აბაშიძის, ტერენტი გრანელის, იოსებ გრიშაშვილის, ლადო ჯაფარიძის, მირზა გე-  
ლოვანის, იოსებ ნონეშვილის, ალიო მირცხულავას, მორის ფოცხიშვილის, შოთა ნიშნიანი-  
ძის, რეზო ამაშუკელის, ოთარ მამფორიას, ნიკო სამადაშვილის, ანა კალანდაძის, ოთარ ჭი-  
ლაძის, ნანა ღვინფაძის, ჯემალ ინჯიას, ლია სტურუას, ჯემალ აჯიაშვილის, იოსებ მაჭარაშ-  
ვილის, თინათინ მღვდლიაშვილის, ქეთევან შენგელიას, თამარ ლომიძის, ზურაბ რთველიაშ-  
ვილის, გავა ნახუცრიშვილის, არმენ არუთინოვის, გიორგი საჯაიას ლექსები. წიგნში შესულია  
რამდენიმე ესეც მსოფლიო მხატვრობის შესახებ, ესეების ავტორები არიან რეზო ადამია, ნატო  
მაჭარაშვილი და იზა ჯინჯიხაძე. კრებულს თან ერთვის ანოტაციები პოეტებთა შესახებ.



# ჩემი გმირი გინოდა

გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები (ასოცირებული პროფესორის მანია კვიციანი-კოპაძის სახელოსნო).



## ინო ოთარაშვილი

უცნაური რამ არის ისტორია: სამყაროს გამამთლიანებელი. ის არა მხოლოდ თანამედროვეებს აკავშირებს ერთმანეთთან, არამედ სხვადასხვა თაობასაც. ის არის ცოცხალთა და გარდაცვლილთა დიალოგის მშვენიერი მაგალითი. მართლაც საოცარია, საუკუნეთა წინათ დაბადებულა კაცი, რომელსაც უფიქრია სამყაროზე, საზოგადოებაზე, მე-

რე ეს სულის გამონაშუქი ფურცლებისათვის მიუხდია. ისინი აღწერენ ადამიანთა გმირობებს, ქვეყნის მდგომარეობას, საერთოდ, ყველაფერს, რაც ადამიანთა სიცოცხლეში მნიშვნელოვანია.

**ჰოი კუზიანო დედამინავ, ჰბრუნავ და გვაბრუნებ ყველას.**  
(გოდერძი ჩოხელი)

ადამიანის სიცოცხლე ხომ უნდა ჰგავდეს ანთებულ სანთელს, რომელიც თვითონ ინვის და სხვას გზას უნათებს. მე გმირთაგმირი, ცოცხლებში აღარ ვითვლები უკვე და მაინც ვცდილობ ჩემი სიკვდილით ვავახანგრძლივო თქვენი სიცოცხლე. ზოგჯერ ვფიქრობდი ხოლმე იმ ადამიანებზე, რომლებსაც სიცოცხლე მოუსწრაფეს, რომლებიც გმირებად შერაცხა ხალხმა. ნუთუ ისინი ჩვენთვის დაკარგულები არიან? განა მათი ოცნება ჩვენიც არ იყო? მათი იმედები ჩვენიც... თუ მიზანი გაქვს, სიკვდილის არასოდეს უნდა გეშინოდეს. მგონია, ყველა ოდესმე საკუთარ თავს შეეკითხება, რა როლი ეკისრება მას...

**სიჩუმე ზოგჯერ სისუსტეს უდრის და შენც გახსენი შენი ფიქრები, რომ პატიოსნად, დიდხანს და მყუდროდ იცხოვრო, როცა აღარ იქნები...**  
(ოთარ ჭილაძე)

ვცხოვრობდი, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, მყავდა ოჯახი და ორი ულამაზესი შვილი, ორი ვაჟკაცი ბიჭი. მთის ჰაერს ორივესთვის უდიდესი ძალა მიენიჭებინა. მათ რომ ვუყურებდი, სულ ჩემი ბავშვობა მახსენდებოდა. მახსოვდა, თუ როგორ მინერგავდა დედა სამშობლოს სიყვარულს, თავგანწირვისკენ მიბიძგებდა. მიყვებოდა, თუ როგორი იყო ნამდვილი ხევსურის ვაჟკაცობა. მამა კი ხმლისა

და ფარის ხმარებას მასწავლიდა. ჩემი ხმალი მაშინ მხოლოდ ხისგან გამოთლილი უბრალო იარაღი იყო. გავიდა დრო და ხის ხმალი ნამდვილმა ხმალმა შეცვალა. ახალგაზრდა, ენერგიული ვაჟკაცი თავს არ ვზოგავდი, რომ ყველაფერი მესწავლა.

...და აი, დადგა დრო, როცა სამშობლო ჩემს სისხლს მოითხოვდა. მთხოვდა, რომ მისი გული, მისი მინა-წყალი დამეცვა, რომლითაც მე გამზარდა. შემოსულმა მტერმა ვერ გაგვიძლო და უკან დაიხია... სამაგიეროდ, უამრავი გვაში დატოვა. სისხლის ნაკადულებით მორწყა მინა, მწვანე ბალახი. ჰო, მახსოვს როგორ ვებრძოდი სიკვდილს, მინდოდა, რომ მტრის ჯინაზე მათი დამარცხება მეზეიმა. მაგრამ... უცებ უკანასკნელად ჩავისუნთქე მშობლიური ჰაერი და ჩემს სხეულს თავზე დავადექი... უცნაური გრძობა... ხედავ შენს გაყინულ, გაფითრებულ, უპატრონოდ მიგდებულ სხეულს... მაგრამ სახეზე გამარჯვების ღიმილი შემრჩენოდა.

შემდეგ ვნახე ჩემი ბიჭების გაბრაზებული სახეები... მიხაროდა, რომ მათ თვალებზე ცრემლს არ ვხედავდი. ჩემს დარიგებას კარგად ისმენდნენ ეტყობა. მართალია, ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, მაგრამ მათში მთის შვილის სისხლი ჩქეფდა, დულდა. რამდენიმე დღის შემდეგ წმინდა სალოცავში ბრძოლის ველზე დაღუპულები გმირებად შეგვრაცხეს და დაიფიცეს, რომ არასოდეს დაავინყდებოდათ ჩვენი თავგანწირვა. ჩვენს შესახებ შთამომავლობას აუცილებლად მოუყვებოდნენ... ისინი ხომ ჩვენი სისხლით გაჟღენთილ მინაზე გაიზრდებოდნენ. არ დაგიმალავთ და ბედნიერი ვიყავი... ვფიქრობდი:

**მოდის საქართველო ე მაგის ჯიშისა, რომ მტერი ვერავი კვდებოდეს შიშისგან.**  
(შოთა ნიშნიანიძე)



## ეკატარინა ლოპხანიძე

ვინ არის გმირი? ადამიანი? თუ ღმერთი? ის არც ადამიანია და არც ღმერთი, სადღაც შუაშია, ადამიანზე მაღალ და ღმერთზე დაბალ საფეხურზე დგას. გმირის ფენომენის ნამდვილი მნიშვნელობის კარგად გასაგებად და აღსაქმელად უნდა დავახსიათოთ ადამიანისა და ღმერთის ცნება, რომ შევძლოთ ამ ორს შორის იმ შუალედური ადგი-

ლის პოვნა, რომელ საფეხურზეც გმირი დგას. იმ დღიდან, რაც ღმერთმა, უზენაესმა, „ყოვლისმპყრობელმა“, სამყაროს პატრონმა, სამყარო შექმნა, ყველაფერი, რაც სამყაროშია და რაც დღემდე ყოველდღიური ყოფისთვის გამოიყენება, ადამიანს დაუმორჩილა. ცხოვრება ადამიანისთვის ერთგვარი გამოცანაა, რომლის ამოხსნა თითქმის ყოველდღიურად უწევს. ადამიანები ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი და ინდივიდუალურნი ვართ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა კაცი ადამიანია. ადამიანი, თავისი ბუნებიდან გამომ-

დინარე, ვნებებით, აფექტებით და სხვა ამგვარი რა-  
ლაცებით არის შეპყრობილი. პირადი ცხოვრებისთ-  
ვის ცხოვრობს, ანუ პირადი სიამოვნებისთვის, და  
ამისთვის რისი შესაძლებლობაც აქვს, ყველაფერს  
აკეთებს. ეს ბუნებრივიცაა, ადამიანები ვართ და სა-  
ნამ ვცოცხლობთ, გვინდა რაც შეიძლება ბევრ  
კარგს მივალნოთ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, რო-  
გორც ზემოთ ვახსენე, ინდივიდუალური ვართ,  
განსხვავებული ერთმანეთისგან-მეთქი, ამიტომ  
არიან ისეთებიც, რომლებიც ცუდი საქმეების კეთე-  
ბით კავებიან და ღვთისგან ერთხელ ნაბოძებ სი-  
ცოცხლეს უაზროდ ფლანგავენ. აი, მივედით გმი-  
რის ფენომენამდე, ზემოთ ნათქვამის შემდეგ ცოტა  
რომ დავფიქრდეთ, ვიტყვი, ვინ არის გმირი ან რას  
შეიძლება ვუწოდოთ გმირის ფენომენი? გმირისგან  
განსხვავებით ყველანი ადამიანები ვართ, გაჩნდა  
ახალი სიცოცხლე, მაშასადამე კიდევ ერთი ადამი-  
ანი შეემატა სამყაროს, ხოლო ასევე შეიძლება ითქ-  
ვას გმირზე? რა თქმა უნდა, არა. გმირობა ურთუ-  
ლესია. 100-დან 3 თუ შეიძლება გმირობას, ოღონდ  
ისეთს კი არა, რომ ნებისმიერი შენთვის გმირი იყოს,  
ასე ყველა ადამიანს თავისი გმირი ჰყავს, მაგრამ ეს  
იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი გმირები არიან. ნამ-  
დვილი, ღირსეული გმირისთვის უცხოა ის ვნებები,  
აფექტები, რითიც ჩვეულებრივი ადამიანი ცხოვ-  
რობს. ის აკეთებს იმისთვის, რომ სხვებს დაეხმა-  
როს, სხვისით ცხოვრობს, მისთვის პირადი ამბიცი-  
ები, გრძობები ნაკლებმნიშვნელოვანია. იგი ემსა-  
ხურება მხოლოდ და მხოლოდ კარგ, კეთილ საქმეს.  
მე ვფიქრობ, გმირი მაშინ არის გმირი, როდესაც  
გმირობას ჩაიდენს ყოველგვარი ხმაურისა და ყუ-  
რადლების მიქცევის გარეშე. ძალიან მძიმე და, რაც  
მთავარია, რთული შესასრულებელია გმირობა.  
ბევრი ღირსეული თვისება უნდა ახასიათებდეს, უნ-  
და იყოს მყარი, ძლიერი, თავის თავში დარწმუნებუ-  
ლი, თავდაჯერებული, რომ შეძლოს იმის გაკეთება,  
რასაც გმირი ახერხებს. გმირი ანთებულ სანთელს  
ჰგავს, რომელიც სხვისთვის იწვის.

მინდა შევეხო იმედის გმირებს, მათგან ყველა  
როდი იმსახურებს გმირობას და ამ წოდების ტა-  
რებსა, თუმცა გამოვარჩევდი სოფელ სომინოში  
მცხოვრებ ერთადერთ მოსახლეს, უფრო სწორად  
ერთადერთ ადამიანს — ფირუზას, რომელიც  
მთელი სოფლის იმედია. ასეთ მაღალმთიან სო-  
ფელში ცხოვრება, სადაც არ ხარ არც დიდთოვ-  
ლობით, არც მტაცებელი ცხოველებისა და მო-  
საზღვრე ოსების შემოსევებისაგან დაზღვეული,  
ძალიან რთულია. მთელ სოფელში, სანთლით რომ  
ეძებო, ერთ ადამიანსაც ვერ ნახავ დამლაპარაკე-  
ბელს. ამ სოფლის სანთელი თავად ფირუზაა, რო-  
მელიც ნამდვილად იმსახურებს გმირის წოდებას.

ასევე, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ეს წოდე-  
ბა, რასაც გმირობის ფენომენი ჰქვია, საქართვე-  
ლოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის, ილია II-  
სთვის მიგვენიჭებინა. ის ხომ ნამდვილად ანთებუ-  
ლი სანთელია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ  
ერისთვის იწვის.



## გვანცა ღემეტრაშვილი

სიმამაცე... თავგანწირვა... გმი-  
რობა... გმირი — ღმერთსა და ადამი-  
ანს შორის კიდევ ერთი, „მესამე კატე-  
გორიის არსება“, რომელიც ხორციე-  
ლის ანუ მოკვდავის უკვდავად ქცე-  
ვას შეძლებს. მათ ძველი ბერძნები  
ჰეროსს ანუ გმირს უწოდებენ.

ძველად ამბობდნენ, რომ ისინი  
ცალკე სახეობად გაჩნდნენ: ჰერაკ-  
ლე, პრომეთე... იმასაც ამბობდნენ,  
გმირები სისხლით ენათესავენთან  
ღმერთსო, მათი ერთ-ერთი მშობელ-

თაგანი ღვთაებაა, მეორე კი ადამიანი. ამიტომ არის გმირში ორივე  
ბუნება განსახიერებული.

ქართული განმარტებით, გმირი არის „დიდი და საზარელი ტა-  
ნითა და საქმითაცა მეტი და ძალითა გარდარეული“.

დღეს... დღეს ყველაფერი სხვანაირად არის. როგორც ყოველივე  
ძველი, გმირის მნიშვნელობაც გაუფასურდა, გაუვიდა ყავლი, და-  
კარგა თავისი იერსახე. დღეს ყველა გმირია, ყველა თუ არა, უკეთეს  
შემთხვევაში, ყოველი მეორე. დედიკოს გმირი... ჩემი გმირი... ეროვ-  
ნული გმირი... სახალხო გმირი... საქართველოს გმირი... იმედის გმი-  
რი... უკანასკნელი გმირი და ასე შემდეგ... რას ვიზამთ, მოდაშია გმი-  
რობა და რადგანაც ჩვენ იმ მოდური ქვეყნების რიცხვში შევდი-  
ვართ, სადაც მოდის კვირეული (fashion week) ყოველ სეზონზე იმარ-  
ტება, ამ მოდასაც არ უნდა ჩამოვრჩეთ — „გმირის მოდას“.

დღეს შეცვლილია გმირის იდეალის გაგება. დღეს აღარავის ახ-  
სოვს გოეთეს სიტყვები: „გმირობა ყველაფერია დიდების გარდა“. ამიტომაც აქტუალურია კიდევ ერთი „სიბრძნე-სიცრუისა“ — გმი-  
რის ის, ვინც იბრალებს გმირობას, და არა ის, ვინც გმირობას სჩადის.

სწორედ ეს არის დღევანდელი რეალობაც. გაბანალურებული,  
გაუფასურებული, მნიშვნელობადაკარგული სიტყვების კორიანტე-  
ლი. ყველამ უნდა გაიგოს, რომ გმირობა პროფესია არ არის, დიდი  
ხნის ფიქრის შემდეგ აირჩიო და მერე გმირობისკენ ნახვიდე.

გმირობა ჩემთვის ადამიანურ შესაძლებლობათა საზღვრების  
გადაბიჯებას ნიშნავს. იგი უფრო სიკვდილის სახეობაა და არა  
ცხოვრების. შესაბამისად, გმირის იდეალი განსხვავებული უნდა  
იყოს ჩვეულებრივი, საზოგადოების რიგითი წევრისგან. მაგრამ ეს  
განსხვავებულობა არ გამოიხატება ფიზიკურობაში, ძალაში...  
განსხვავებული უნდა იყოს სულ სხვა რამით, იმით, რაც ყველას  
არ აქვს.

ვფიქრობ, ყველა ჩვენგანში ცხოვრობს გმირი, ის ჩვენ პატიოს-  
ნებს გვხდის, გვაძლევს ძალას და ღირსებას, საბოლოოდ კი გვეხმა-  
რება სიამაყის შენარჩუნებით მოკვდეთ. ეს „გმირი“ ჩვენი გულია,  
ჩვენი სინდისი. თქვენ მეტყვი, რომ ეს ადამიანობაა. მაგრამ აბა  
დაფიქრდით, დღეს ყველაზე დიდი გმირი და გმირობა ადამიანობა  
არ არის?

საზოგადოებას, ხალხს თუ ბრბოს, რაც გინდათ ის უწოდეთ,  
ყველას სჭირდება გმირი, მამაცი, თავგანწირული ადამიანი, რომე-  
ლიც მაგალითს მოგვცემს. თუკი ჩვენ ამ გმირს ჩვენში მოვძებნით,  
სამყარო შეიცვლება უკეთესობისკენ და ბოლოს და ბოლოს სიკე-  
თე გაიმარჯვებს ბოროტებაზე. გმირობის იდეალიც ხომ ამისთვის  
შეიქმნა.

ბოლოს დავამთავრებ გოეთეს სიტყვებით: „არ შეიძლება ყო-  
ველთვის იყო გმირი, მაგრამ ადამიანად ყოველთვის უნდა დარჩე“.



**მეზი  
მაჭარაშვილი**

ნამდვილად შეიძლება ადამიანი გმირი იყოს, განუვლი სამსახურის მიხედვით უნდა შევაფასოთ ყოველი-ვე...

„მარტო კაცი იბადები არაფრის მცოდნე, ტანჯვით და წვალებით აკონინებ რალაც ცოდნას, გამოცდილებას. ნამცეც-ნამცეც აგროვებ, ისიც სწორეს თუ

მცდარს, ეშმაკმა უწყის. ძალით გლეჯ ბუნებას ყველაფერს, საკუთარი თავიდან ძალით და გარჯით მოგაქვს ნიჭი, უნარი, ჯახირობა, შრომობა!..“

შემდეგ ხედები — ქვეყნად ადამიანი იმისთვის მოდის, რომ რალაც ღირებული შექმნას გარშემომყოფათათვის და საუკეთესო გზას პოულობს გადარჩენისათვის. მიმაჩნია, ეს იგივე თვითგადარჩენაა, „გმირობა“ სიკეთეა...

საქართველოს უამრავი გმირი ჰყავს, ისინი სამშობლოსათვის თავს სწირავდნენ და მისი კეთილდღეობისთვის, დიდებისთვის იბრძოდნენ. მაგალითად: აფხაზეთის ომში უამრავი ადამიანი დაიღუპა, ზოგი ანამეს, ზოგს შვილები მშობლების წინ დაუხოცეს, ზოგიც ცოცხლად დაწვეს. მიუხედავად ამ ტანჯვისა და სიმწრისა, მაინც მედგრად იდგა ერი. ისინი გმირები იყვნენ, რომელთაც იცოდნენ, სიკვდილი ელოდებოდათ, მაგრამ მაინც უშიშრად ხედებოდნენ თავიანთ ბედს. ნათქვამია: თუ ერთი გმირი მაინც ჰყავს სამშობლოს, ის ქვეყანა არ გადაშენდება. ვეთანხმები ამ ყოველივეს, თუმცა, მხოლოდ ბრძოლაში გამოსული ადამიანი არ არის გმირი. დამსახურებისამებრ უნდა დავინახოთ ადამიანი, როგორც გმირობის ეტალონი.

თითოეული ადამიანისათვის განუვლი სიკეთე, რომელიც კონკრეტული ადამიანისათვის სიცოცხლის შენარჩუნების ტოლფასია, განა გმირობა არ არის? მისთვის ხომ სიხარული ცვლის ყოველგვარ ტანჯვას და სიცოცხლე მრავალფეროვანი ხდება.

სწორედ ასეთი ადამიანია გმირის ფენომენი, ის, ვინც საკუთარ თავს გადააჭარბებს შესაძლებლობების მიხედვით... გმირი ადამიანისთვის ეს ძალაა, სიცოცხლის განმავლობაში რომ უკვდავყოფს მას. ვფიქრობ, პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის უმთავრესი კანონი ცხოვრების ბილიკებზე გაუკვლავი გზის გაკვალვაა, რომელიც სულიერი საზრდოა საზოგადოებისათვის...

ჩემთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გმირია. იგი უფალს ავედრებს ერს — დიდება უფალს! სულით ხორცამდე რომ აძლიერებს მას — არაამქვეყნიური ძალის მატარებელია, რომელიც ჩვენ გვეხმარება, სულიერად გვახვებს. პატრიარქი სიკეთეს ქადაგებს, მიგვითითებს სწორი ცხოვრებისაკენ, მისი სიყვარული ხალხის მიმართ უსაზღვროა.

ადამიანები საუკუნოდ პატრიარქის მაღლიერნი უნდა ვიყოთ, თითოეული დანთებული სანთლისთვის, რომელიც ჩვენს სულსა და ცხოვრებას ჭეშმარიტებისაკენ წარმართავს!..



**ნინო  
ანდიაშვილი**

„გმირი“ — ძნელია ისაუბრო, გამოყო, მიაკუთვნო ადამიანს გმირის ტიტული, ეს დიდი პასუხისმგებლობა, მითუმეტეს, თუ ცხოვრობ „გმირების ქვეყანაში“. საქართველოში ხომ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გმირი მამულიშვილები.

ქვეყანაში, სადაც მეფობდნენ გმირულად: ვახტანგ VI, თამარი, დავით IV, დემეტრე II, გიორგი ბრწყინვალე...

ქვეყანაში, სადაც დედოფლობდნენ გმირულად: შუშანიკი, ქეთევანი, მარიამი...

ქვეყანაში, სადაც მოღვაწეობდნენ გმირი მღვდელმთავრები: გიორგი ხანძთელი, თევდორე მღვდელი, კირილე...

გმირების: ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის... ქვეყანაში.

ქვეყანაში, სადაც იღუპებოდნენ გმირები გმირულად: ცხრა ძმა ხერხეულიძე, 300 არაგველი...

პესიმისტობას ნუ დამნამებთ, მითუმეტეს, რომ არ მაქვს საამისოდ საქმე, წარსულს მივტიროდე. დღესაც გვყავს ღირსეული გმირი მამულიშვილები. მწამს, მომავალშიც ასე იქნება.

დღეს საქართველოში ყველაზე დიდი გმირი ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ა. განა გმირობა არ არის, ღირსეულად მწყემსო ერი! ნამდვილად გმირობაა 80 წლის ასაკში ასწავლო ბავშვებს მათი მშობლიური ენა, „აი ია“. ნავით გადაცურო მდინარე, რათა ახალგაზრდებს განათლება მისცე. შეასრულო პედაგოგისთვის დაკისრებული მოვალეობა. გმირობაა სოფელი უპატრონო, მოუყარო, არაფერი მოაკლო მთიანეთში... ეს ხომ ნამდვილი ბედნიერებაა, სიამაყეა, მონოდეება, სტიმული, რომელიც ყველა ადამიანში აღძრავს სურვილს — მიბაძოს სხვას. არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი დიდი ბებია, თუ სუბიექტური არ ვიქნები. ქალი, რომელსაც არაფერი აკლდა, ბედის უკუღმართობით, ადრეულ ასაკში დაქვრივდა. დარჩა რვა შვილი და მეუღლის ანდერძი: შვილები ღირსეულად აღეზარდა და, რაც მთავარია, არ დაეშორებინა ისინი არაფრის გამო.

ახალგაზრდა ქვრივმა მუხლჩაუხრელი შრომით დიდი ქარ-ცეცხლი გამოიარა, მეუღლის დანაბარები შეისისხლხორცა და ღვთის წყალობით, საქართველოს რვა ღირსეული მამულიშვილი გაუზარდა. მისცა განათლება, დაასახლა, დააბინავა. დღეს მას 23 შვილიშვილი და 37 შვილთაშვილი ჰყავს. სამწუხაროდ, შვილთაშვილების ნაწილს ვერ მოესწრო, მაგრამ ჩემი აზრით, ის არასდროს მოკვდება. მისი სახელი სამარადჟამოდ ცოცხალი იქნება. ანტონ მაკარენკო ამბობს: „ასწავლო ადამიანს ბედნიერი იყოს, ძნელია, მაგრამ აღზარდო ისე, რომ ბედნიერი გახდეს, შეიძლება“. ეს ყველაფერი ბებიაჩემმა მოახერხა, ჩემთვის ის გმირი ქალი, გმირი დედაა. მეც ხომ მისი წყალობით დავიბადე...

ნინო ჩხიკვიშვილი

# ასეთ ვარსკვლავს კებლს უნდა ვუდგამდეთ!..

იმ დღეს ჩემი მეუღლის — მსახიობ ნოდარ მაგლობლიშვილის — საოჯახო ალბომს ვათვალიერებდი და ამ ფოტოს შემთხვევით წავაწყდი. უინტერესოდ დავხედე, გვერდით გადავდე, რომ ნოდარმა მითხრა: აბა, კარგად დააკვირდი, ეს გოგონა ხომ არ გეცნობაო?! და... პასუხს არც დალოდებია, ისე გააგრძელა საუბარი: ლია ელიავა... მე და ლია მეზობლები ვიყავით. ერთ საბავშვო ბაღში სოლოლაკში, ტაბიძის ქუჩაზე დავდიოდით. მერე სკოლაშიც ერთად მიგვიყვანეს ყოფილი მახარაძის ქუჩაზე. მეთოთხმეტე შრომის სკოლა ერქვა, მერე ვაჟთა მეორე სასწავლებლად გადაკეთდა. ლია სხვა სკოლაში გადაიყვანეს და მოგვიანებით თეატრალური ინსტიტუტში ისევ ერთ კურსზე აღმოვჩნდით. ეს სურათი კი... ბაღში ზეიმი გვექონდა და ალბათ იმ დღესაა გადაღებული. ეტყობა, სწორედ ამ დღეს „დავამთავრეთ ბაღიც“.

— როდისაა გადაღებული?

— უნდა ენეროს — ფოტოს აბრუნებს, ბავშვური ხელით აწერია: ნოდარ მაგლობლიშვილი, 15. VI. 1939 წ.

მე ისევ ლიაზე მინდა ვალაპარაკო — ეს არის ლია ელიავა? ხომ იცი, ლიასავით არავინ მომწონს მაგ თქვენს თაობაში... ჰო, ლიაა, როგორ ვერ ვიცანი. ლიაა, აბა სხვა ვინ უნდა იყოს, რა საყვარელია, როგორ იღიმის, მერეც ხომ ასეთი ღიმილი ჰქონდა, არა? აი, ეს ქალი ვინ არის, მის გვერდით რომ ზის?

— მუსიკის მასწავლებელია. ის უკრავდა, ჩვენ ვცეკვავდით და ვმღეროდით... იცი, რა უყვარდა ყველაზე მეტად ლიას?

— რა, რა, ჩქარა მითხარი!

— რადა... საბავშვო ბაღში გასართობი და სათამაშო ოთახი ხომ გვექონდა... ჰოდა... — თითქოს ძალით წელავს სათქმელს ნოდარი.

მე ვერ ვითმენ:

— მერე, მერე რას აკეთებდა?

— იმ ოთახში გვედგა ერთი ძველი როიალი. იმ როიალის ქვეშ მოკალათდებოდა და იქედან თითოთ გვეძახდა, აქ მოდიო. ჩვენც

მეტი რა გვინდოდა, შევძვრებოდით იმ როიალის ქვეშ და ... ვანვალეზდით ლიას, ხან თმას ვქაჩავდით, ხანაც... ვკოცნიდით!

— კოცნიდით?

— ჰო, აბა, იცი რა საყვარელი ბავშვი იყო? ერთხელ ბაღში „ვეფხვისტყაოსანი“ დადგეს და ნესტან-დარეჯანს თამაშობდა ლია, ტარიელს — ირაკლი ჟორდანიას, შემდგომ უკვე ცნობილი მეტალურგი, აკადემიკოსი, რუსთავეის ქარხნის ყოფილი დირექტორი. მე ფრიდონი ვიყავი.

ლია რაღაც უცნაური ბავშვი იყო, ისე გვექცეოდა, როგორც უფროსი. ჩვენ კი სულ ვანვალეზდით და ვაბრაზებდით, ხან თმას მოვქაჩავდით, ხანაც დავეჭიდებოდით...

— მერე, მერე, კიდევ მომიყვები მასზე...

— რეპრესირებული ოჯახიდან იყო. ჩემს მეზობლად ცხოვრობდა ენგელსის ქუჩაზე და, როცა დედამისი ხანგრძლივი გადასახლება დებურუნდა, ხშირად ვიკრიბებოდით მასთან, დედამისი უკეთილშობილესი ქალი იყო, ჩვენი დაუზარელი, კეთილი მასპინძელი... მე და ლიას მთელი სიცმანვილე ერთად გვაქვს გატარებული.

მერე ინსტიტუტში მოვხვდით ერთ ჯგუფში: მე, ლია ელიავა, ირაკლი უჩანეიშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ნოდარ ჩაჩანიძე, მაღლაზ ბებურიშვილი და ლამარა ჩოჩია (მერე აკაკი განენიერილია რომ მოგვცა...)

— ლია, ლია როგორი იყო? ალბათ ყველას უყვარდა, არა?

— ჰო, აბა, მამაკაცის ჯადო იყო ლია!

\*\*\*

მართლაც მომაჯადოებელი ქალი იყო, ქართველი ქალის სილამაზისა და კეთილშობილების სიმბოლო. თან, ნებისმიერ მსოფლიო კინოვარსკვლავს ტოლს არ დაუდებდა...

ასეთ ვარსკვლავს ძეგლს უნდა ვუდგამდეთ!..



მარიანა სავკა

# გურამ პეტრიაშვილი — ბაბუა საბავშვო ოცნებიდან

მე რომ საბავშვო გამომცემლობის ხელმძღვანელი არ ვიყო, განა დამასაჩუქრებდა ღმერთი გურამ პეტრიაშვილთან შეხვედრით? ვინ იცის. ყოველ შემთხვევაში, ასე მოხდა — გარემოებათა ბედნიერი დამთხვევა, ნაცნობობა და მეგობრობა ასეთ განსაკუთრებულ, უჩვეულო მეზღაპრესთან — „ბებერი ლომის გამომცემლობაში“ გამოვიდა ჯერ წიგნი „პატარა ქალაქის სასწაულები“, ხოლო ახლახან — „ბაბუა გურამის ზღაპრები“, ხარკოველი მხატვრის დამა რაკოვას საოცრად ნაზი ილუსტრაციებით. ამ ცოტა ხნის წინათ ლაიფციგის გამოფენაზე გავიცანი მშვენიერი ქალიშვილი, რომელიც იყო ქართველ გამომცემელთა ასოციაციის წარმომადგენელი. საუბარში ვუთხარი, ქართველი ავტორი მყავს-მეთქი. მას გაუხარდა და მითხრა, გურამის ზღაპრებზე გავიზარდეო. ახლა კი ამ ზღაპრებზე იზრდებიან უკრაინელი ბავშვები.

მე რომ პატარა გოგონა ვიყო და ხელში ჩამივარდეს „ბაბუა გურამის ზღაპრები“, ვიოცნებებდი, რომ ასეთი ბაბუა მყავდეს. კეთილი, ბრძენი, თეთრწვერა, რომელიც მუდმივად რაღაცას გამოიგონებს და რომელსაც სულ გინდა უსმინო. მოვინდომებდი აღმოვჩენილიყავი ზღაპარში, სადაც პატარა ბიჭი სიზმრებში ახარებს ყვავილებს, სადაც პატარა თეატრის არტისტი ისე ეძლევა თავის პროფესიას, რომ ბავშვთა სურვილებად იწყებს გადაქცევას, სადაც ცისარტყელაზე ცეკვავს თეთრი ჭვარტლიწმენდია თეთრსულელა, ხოლო ფერადი პეპლები აცოცხლებენ პიანინოს კლავიშებს... გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების სამყარო გვაჯადოებს და შეგვძრავს განსაკუთრებული პატიოსნებით. ეს მოდის დიდი, მოსიყვარულე გულიდან. თვით გურამია ასეთი — თავის გულში გაატარებს ყველაფერს: ზღაპრებსაც, ლექსებსაც, სიცოცხლესაც, თავის საყვარელ საქართველოსაც და უკვე ასე ახლობელ უკრაინასაც.

16 მაისს მას 70 წელი შეუსრულდა. მრავალი წლის განმავლობაში ის პირველად ჩავიდა სამშობლოში და იხეიმა

თავისი იუბილე მშობლიურ მიწაზე, ახლობელთა წრეში. როცა იქიდან დამირეკა, მისი ხმა ხშიანებდა ისე ბედნიერად, როგორც არასდროს. მაინც სამშობლო მხარემ, რაც უნდა ძვირფასი ყოფილიყო მისთვის მეორე, უკრაინული სახლი, გააღვიძა მასში ახალი ძალა. ცხოვრება გურამ პეტრიაშვილისა — დიდი ნიჭისა და ერუდიციის ადამიანისა, კინემატოგრაფისტისა, მულტიპლიკატორისა, პოეტისა, მეზღაპრისა, პოლიტიკოსისა — იმსახურებს, რომ მასზე დაინეროს დიდი, შთამბეჭდავი წიგნი. და კარგი იქნება, თუ თვით გურამი დანერს მას. წიგნში უნდა იყოს ბევრი ცხოვრებისეული სიბრძნე და ასევე არაჩვეულებრივი ამბები, რომლებიც მზადაა შევიდეს ლიტერატურაში. როგორც, მაგალითად, ის ამბავი, რომ უკრაინაში საქართველოს საელჩომ დაპატიჟა გურამი წვეულებაზე, მას კი საზეიმო კოსტიუმი არ აღმოაჩნდა და ელჩის პირადმა მკერავმა შეუქერა ახალი პიჯაკი.

მთელი იმ დროის განმავლობაში, ვიდრე გურამ პეტრიაშვილს ვიცნობ, არა მტოვებს აზრი იმის თაობაზე, რომ არსებობს რაღაც უცნაური შეუსაბამობა მის პიროვნებას, ნიჭსა და ცხოვრების იმ დონეს შორის, რომელიც აქვს. ასე აენყო ცხოვრებისეული გარემოებანი, რომ გურამ პეტრიაშვილი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში იდგნოდა კულტურის ფრონტზე, უკრაინაში იყო თავისებური პოლიტიკური დევნილი. ასე მრავალი წლის განმავლობაში დარჩა უსახლკაროდ, ქართული გარემოს გარეშე. მან სრულყოფილად შეისწავლა უკრაინული ენა, ლიტერატურა, უკრაინული კინომეკვიდრეობა. ცდილობდა ყოფილიყო აქ საჭირო, მაგრამ ჩვენთან არ შეუძლიათ ასეთი მსხვერპლის დაფასება. და ეს ენება არამარტო გურამს. ჩვენი გენიოსები, როგორც, მაგალითად, გოლობოროდკო, ვორობიოვი, გრიგორივი რჩებიან კულტურის „მეინსტრიმის“ გარეთ, პრაქტიკულად, დავინყებულნი, სიღარიბეში, ჩვეულებრივი, ადამიანური ყურადღების ნაკლებობაში.

წლები კი მიდის. დრო-ჟამი უღმობელია. უნდა გავიხსენოთ ეს. გავახილოთ თვალები. ჩვენს გვერდით ცხოვრობენ ადამიანები ლეგენდები. ჯერ კიდევ ცხოვრობენ. და ჩვენგან მოითხოვენ გაგებას, სიყვარულს, ემოციებს.

ძალიან მიხარია, რომ „ბაბუა გურამის ზღაპრები“ გამოცემა დაემთხვა სწორედ მის იუბილეს. ეს არ განგვიზრახავს, ასე მოხდა. ვილაცამ ცამი მოაწყო ასე. და ეს წიგნი — როგორც გამოიყურება, როგორი აკვარელური სინაზითაცაა სავსე მისი ფურცლები, ეხმიანება დიდი მეზღაპრის სიტყვებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ეს წიგნი იმსახურებს უმაღლეს ჯილდოს. და ჩვენ „ბებერი ლომის გამომცემლობა“ ვიპოვით შესაძლებლობებს, რომ წარვადგინოთ გურამ პეტრიაშვილი ანდერსენის პრემიაზე. ვფიქრობ, ჰანს ქრისტიანს გაუხარდებოდა.



\* მწერალი, გამომცემელი. საგანგებოდ გაზეთ „მაღალი ციხე-კოშკისთვის“ — უკრაინული გაზეთია, გამოდის ლვოვში)

# ბავშვობის ოცნების აღსრულება

გამარჯობათ! გწერთ ქართველი მწერლის გურამ პეტრიაშვილის ბულგარელი მეგობრები ქალაქ გაბროვოდან. ვიცით, რომ ახლახან იგი დაბრუნდა სამშობლოში, საქართველოში და 16 მაისს შეუსრულდა 70 წელი. ამიტომაც გწერთ წერილს. მე ვარ მარიანა მიჩევა და ვხელმძღვანელობ თეატრალურ სტუდიას ქალაქ გაბროვოს აკადემიკოს ივანე გიუზელევის სახელობის საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ გიმნაზიაში. ეს სტუდია უკვე 23 წლისაა. მინდა გაიმბოთ, როგორ მოხდა ჩემი შეხვედრა გურამ პეტრიაშვილის შემოქმედებასთან, იმიტომ, რომ ეს შეხვედრა იყო იმდენადვე შემთხვევითი, რამდენადაც აუცილებელი.

პირველად მისი ზღაპრების შესახებ გავიგე 2010 წლის ზაფხულში, შორეულ ბულგარულ სოფელში, როდოპის მთებში, სადაც შეიკრიბნენ ახალგაზრდები, ჩემი შვილის მეგობრები, სხვადასხვა პროფესიის შემოქმედნი: მსახიობები, სცენოგრაფები, მუსიკოსები. ერთ-ერთმა, მსახიობმა ასენმა, ისეთი აღმაფრენით ისაუბრა გურამის ზღაპრებზე, რომ ჩემი ყურადღება მიიპყრო. მან თქვა: „ამ ზღაპრებთან კავშირი ჩემთვის ნიშნავს ბავშვობის ოცნების აღსრულებას. სიჭაბუკეში გავცანი და მათ ჩემზე მოახდინეს უზარმაზარი შთაბეჭდილება. სიჭაბუკე გრძნობათა მდინარეა, რომელიც ყოფს დიდობის ნაპირს ბავშვობის ნაპირისაგან. ეს ნიგნი ჩემთვის გახდა ტივი ამ მდინარეზე. რამდენჯერ ვკარგავდი ამ ტივს და რამდენჯერ ვპოულობდი მას... და ახლა, როცა 30 წლისა ვარ, ისევ ვინახავ ამ ტივს და მინდა გამოვიყენო ის. მე უკვე მაქვს ცოდნა, რათა უფრო მტკიცე გავხადო იგი და დავესვა მასზე სხვა ადამიანებიც“.

ასე დაიწყო ჩემი მუშაობა სპექტაკლზე „მეოცნებენი“. სცენიური ადაპტაცია არც ისე ძნელი იყო, რადგან სახეები მკაფიოდ გამოკვეთილია და ისეთი, რომ გასხომდება. შევიკრიბეთ გურამის ყველა მეგობარი და გავაკეთეთ სპექტაკლი. აი, რას ფიქრობს ჩვენი სცენოგრაფი მარია კოიჩევა: „გურამ პეტრიაშვილი ისეთი ავტორია, როგორზეც ოცნებობს ყოველი სცენოგრაფი. როცა პირველად წავიკითხე მისი ტექსტები, ვიფიქრე, მხატვარია-მეთქი. მათში არის ფანტაზია, ხატოვანება, მეტაფორულობა და სიღრმე. მისი ზღაპრები ქმედითი ვიზუალური დრამატურგიაა და ნამდვილი ნადიმი თეატრისათვის. ვოცნებობ, ვინმეს ეყოს გამბედაობა და გააცოცხლოს ეს სახეები მსოფლიო სცენაზე — ეს კეთილი და კრისტალურად სუფთა მეოცნებენი. კიდევ ვოცნებობ, რომ ამ სახეებმა იცოცხლონ კინოში, ვოცნებობ შევხვდე მათ ავტორს, შევხუო მის სამყაროს, რათა გამიხსნას თუნდ მცირე ნაწილი თავისი იდუმალი სახისა. მნამს, რომ ეს მოხდება და ვუსურვებ მტკიცე ჯანმრთელობას და კვლავაც მრავალ წელს შთაგონებისა და შემოქმედებისა“.

სპექტაკლმა „მეოცნებენი“ ჩვენ მრავალი სიხარული მოგვიტანა. 2011 წლის ზაფხულში ქალაქ ბურგასში ხელოვნებათა ფესტივალზე — „სიხარული ნაპირზე“ — მოვიპოვეთ მთავარი ჯილდო. არ ვიცით როგორ, მაგრამ გურამმა გვიპოვა და უკვე ერთი წელია კავშირი გვაქვს მასთან: მას შემდეგ ვოცნებობთ შეხვედრაზე. ჩვენმა რუსულის მასწავლებელმა ცენკა ილიევამ თარგმნა ტექსტი, ჩვენ მოვამზადეთ სპექტაკლი რუსულად და ვმონაწილეობდით თეატრალურ ფესტივალზე რუსულ კულტურულ-ინფორმაციულ ცენტრში, სოფიაში. და კვლავ მოვიპოვეთ ჯილდო.

გვინდა მივულოცოთ იუბილე ჩვენს მეგობარს, გურამ პეტრიაშვილს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და იმას, რომ შეინარჩუნოს თავის თავში შემოქმედებითი ცეცხლი და შთაგონება, რადგანაც მისგან კვლავაც მრავალ ზღაპარს ველოთ.

**მარიანა მიჩევა**  
და გურამ პეტრიაშვილის ბულგარელი მეგობრები

ბაპა ტაპირი

# ნიშნობა

ყველაფერზე ვიზრუნე... გამოცდილმა მეგობარმა ცნობილ პარიკმახერთან ნამიყვანა, რომელმაც თმა შემჭრა, დამვარცხნა, წვერი სპეციალური საცხით შემიზილა და ერთი ფუნტი გამომართვა!

...შემდეგ შევიძინეთ ძვირადღირებული წითელი ჰალსტუხი და ვერცხლის საკინძები პერანგის მანუეტებისთვის. ბოლოს, სარკის წინ რომ დავდექი, აღმოვაჩინე — თითქოს უცხო პიროვნება გავხდი, უფრო მიმზიდველი არა, მაგრამ რალაც სხვანაირი ვიყავი — პრიალა დაყენებული თმით, რომელიც გეგონებოდათ კანზეა მიწებებული, ასევე მზინავი, საცხიანი წვერითა და პერანგის მყარი, გახამებული საყელოთი. ცხოვრებაში პირველად დავიმშვენე ჰალსტუხი ქინძისთავით. სულ მეჩვენებოდა, რომ ჩამომიცურდებოდა და დავარდებოდა, თუმცა ბოლომდე მაგრად იყო.

სახლის კარისკაცი აღფრთოვანდა ჩემი გარეგნობით და სიცილით მკითხა, ნიშნობაზე ხომ არ მივდიოდი. ვუთხარი, ბანკში მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს-მეთქი, და ყოველგვარი მიზეზის გარეშე ხუთი პიასტრი მივეცი. განცვიფრებულმა შემომხედა. ვთხოვე, ელოცა ჩემთვის, რადგან დანინაურებას ველოდი. მადლობა გადამიხადა, ცისკენ ალაპყრო ხელები და რალაც ჩაიბუტბუტა. დავიბენი, კარიდან აჩქარებული ნაბიჯით გამოვედი. ჰეარმა სახე დამიკბინა. მივხვდი, მაღალი სიცხე მქონდა. ტაქსიში გულისცემა გამიძლიერდა. დავრწმუნდი, რომ ყველა სიტყვა, რომელიც მოვამზადე, სადღაც დაიკარგა და არ ვიცოდი, მამამისისთვის მისალმების შემდეგ რა უნდა მეთქვა. სულ გავიოფლე.

კართან ზარი დავრეკე. თან ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ ყველაფერი მამაზე იქნებოდა დამოკიდებული და მე მხოლოდ კითხვებზე პასუხს დავჯერდებოდი. კარი თერთმეტიმდე წლის სერიოზული, შავგვრემანი სახის გოგონამ გააღო და შეღებულ კარს მიღმა ჩემ პირისპირ თვალბედახრილი დადგა. როდესაც მამის შესახებ ვკითხე, თავი დამიქნია, ბოლომდე გააღო კარი და უსიტყვოდ შემიძღვა მისალმებ ოთახში.

ცოტა ხნით მარტოდდარჩენილმა მისალმებ ოთახისათვის ჩვეული სურნელი ჩავისუნთქე — იმ ხის სუნი, რომელსაც დაზოგვის მიზნით იშვიათად იყენებენ და ანიავებენ. დახურული დარბაზები მზის ჩასვლის ფერფლისფერ შუქს ოთახში არ უშვებდა, თუმცა ჭალის კაშკაშა სინათლეზე კარგად გავარჩიე სურათები: ზეთის ტილო გონდოლაზე მდგარი ორი მეზღვაურით, რომლებსაც ხელში გრძელი, წყალში ჩაშვებული ნიჩბები ეკავათ, სახეზე კი ფართო ქუდები ჩამოეფხატათ; ყავისფე-

ეგვიპტელი მწერალი ბაჰა ტაჰირი 1935 წელს დაიბადა გიზაში, კაიროს მახლობლად. იქ სწავლობდა სკოლაში. 1956 წელს კაიროს უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი დაამთავრა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას მუშაობდა ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტში თარჯიმნად. 1957 წელს კაიროს რადიოში გადაინაცვლა და 1968 წ. კაიროს რადიოს კულტურის პროგრამის თანახელმძღვანელი გახდა, საიდანაც გაათავისუფლეს მემარცხენეების მიმართ სიმპათიის გამოხატვის გამო. 1977 წლიდან თავისუფალ მთარგმნელად დაიწყო მუშაობა იუნესკოსა და გაეროს სხვა ორგანიზაციებში. ბევრს მოგზაურობდა. წლობით ცხოვრობდა უენევაში. აჰჰამდ კაიროში განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას.



წერა ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში დაიწყო ერთმოქმედებიანი პიესებით, პატარა ნოველებით. დღეისათვის ექვსი რომანისა და ნოველათა ხუთი კრებულის ავტორია. მწერალი ცხოვრებისეულ, ყოფით სიტუაციებს შეულამაზებლად, მარტივი ენით გადმოგვცემს, ყურადღებას ამახვილებს ნიუანსებზე, რომლებიც ჩვეულებრივ შემთხვევათა და მოვლენების სიღრმეში დევს.

„ნიშნობა“ 1968 წელს დაიწერა და ერთ-ერთ ცნობილ, საეტაპო თხზულებად ითვლება თანამედროვე ეგვიპტურ ლიტერატურაში. მოთხრობაში აღწერილია, თუ რა კომპარად გადაიქცევა ახალგაზრდა მამაკაცისთვის ერთი შეხვედრით ისეთი ჩვეულებრივი რამ, როგორცაა თანამშრომელი გოგონას ხელის თხოვნა მისი მამისთვის. დიალოგს, სიტყვებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მამის მიერ ახალგაზრდა სასიძის დაკითხვის ამგვარი ფორმა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ცდილობენ ინდივიდები თუ ინდივიდთა ჯგუფები საზოგადოებაში თავიანთი აზრის გატანას. ისეთი „კაცუნაც“ კი, როგორც მოხუცი მამაა, ახერხებს, თავისი მორალური სიმბდალით გაპირობებული აზრები სამართლიანად, სიმართლედ წარმოაჩინოს. ამის შედეგია ის შეკავებული აგრესია, გაშმაგება და გააფთრება, რაც მოთხრობას თავიდან ბოლომდე გასდევს. ცხადია, ორი თაობის წარმომადგენლის დაპირისპირება მთელ საზოგადოებაზე შეიძლება განზოგადდეს და, რაც მთავარია, ეს არ გახლავთ მხოლოდ სამოციანი წლებისა და მხოლოდ ეგვიპტისთვის ნიშანდობლივი რამ.

რი გონდოლისა და ლურჯი ზღვის ფონზე ევროპული სოფლის სანაპირო მოჩანდა მკვეთრი მწვანე და წითელი ფერებით. ტილოს მარჯვნივ ფოტო ჩამოეკიდათ — ვილაც კაცს მხარზე მოეხვია ხელი საქორწინო სამოსში გამონყობილი ქალისთვის, შემდეგ ეკიდა ბავშვების, სხვადასხვა ასაკში გადაღებული, ფოტოები... ჩემი ყურადღება ერთი გოგონას სურათმა მიიქცია — ის თავისი მოკლე კაბის კიდეს ხელთ ექაჩებოდა, მეორე ხელი კი ფარაონთა მოცეკვავეების მსგავსად ზევით აწვია. ვერ ვიცანი, ლეილა იყო თუ არა...

როდესაც მოულოდნელად კარი გაიღო, წამოვდექი. ის შემოვიდა პერანგისა და შარვლის ამარა, სათვალისა და სახლის ჩუსტებით.<sup>2</sup>

ხელი გამომიწოდა და ჩაიღიმა. ხელი ცივი ჰქონდა. პირდაპირ ჩამომიჯდა და მკითხა, დარაბები ხომ არ გავხსნაო. დარაბებს მივაშტერდი და ერთხანს თვალი ვერ მოვაშორე. მითხრა, გაზაფხული ეგვიპტეში არამდგრადია, ცივი ამინდები სჭარბობსო. დავეთანხმე. მითხრა, წამდვილი გაზაფხული ეგვიპტეში შემოდგომაა, როცა ტენიანობა არ არისო. გარდა ამისა, გაზაფხულზე ხამასინის ქარებიო.<sup>3</sup>

ჩემი მხრივ დაემატე, რომ ხამასინს დიდი რაოდენობით ქვიშა გადააქვს, რაც თვალებს აზიანებს. ზურგი სკამს მიაყრდნო და თქვა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

სიჩუმე ჩამოვარდა. ფეხი ფეხზე გადადებული ჩუსტს აქანავებდა. ჩუსტიდან მოუჩანდა ქუსლი, გაკრიალებული, სუფთა და საოცრად თეთრი, როგორც დიდი კვერცხი.

სხვა გზა არ იყო. დაეიწყე ლაპარაკი ისე, რომ თვალს ვერ ვუსწორებდი. ვუთხარი, რომ ლეილასთან ერთად ვმუშაობდი ბანკში და თუ ნებას მომცემდა, მისი ხელის თხოვნა მსურდა. ვესაუბრე დიპლომზე, ხელფასზე, მამაჩემზე. ბოლოს, როცა შევხედე, შევნიშნე, თავი წინ წაეხარა და მომეჩვენა, რომ არც არაფერი გაუგია ჩემი ნათქვამიდან. თუმცა ბოლოს თავი ასწია და თქვა:

— როგორ? ზემო ეგვიპტის.<sup>4</sup>

რომელი სოფლიდან ვარო?

ხელმეორედ ვუამბე ჩემი სოფლის შესახებ.

მკითხა:

— ზემო ეგვიპტელი არაბი.<sup>5</sup>

ხართ?

— დიას.

— აბდ ას-სათარ ბეის ხომ არ იცნობთ?

არ ვიცნობდი. მითხრა, რომ ის საგანმანათლებლო სფეროს კურირებდა ზემო ეგვიპტეში, და რომ ყველა იცნობდა. ავუსხენი, კაიროში ვსწავლობდი და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ აქვე დავსაქმდი-მეთქი. შესაძლოა ამიტომაც არ ვიცნობდი აბდ ას-სათარ ბეის. თავი გააქნია. უკმაყოფილო ჩანდა. შემდეგ კარისკენ მიბრუნდა — შავგვრემან გოგონას სინით ლიმონის წვენი მოჰქონდა. ჭიქა წინ დამიდგა და გავიდა. წვენი შემომთავაზა, ვუთხარი, თქვენ დალიეთ-მეთქი. მან კი, ნაწლავები მანუხებს, ვერაფერს ვსვამო, და პირი იბრუნა. თითქოს ამის გამო გაბრაზებული იყო ჩემზე, თუმცა ვიდრე წვენს ვსვამდი, მითხრა, რომ მისთვის პატივია, ქალიშვილის ხელს რომ ვთხოვ, დარწმუნებულია, გონიერი ადამიანი ვარ, რომელიც ყველაფერს საუკეთესოს იმსახურებს. დაამატა — ჩვენს დროში ცოტაა ჭკვიანი ახალგაზრდაო, და შემდეგ ანეკდოტიც მიაბო:

— ერთი ჰიპი პარიკმახერთან მივიდა. მან კი ხოჭოების სანინალმდეგო წამალი შეასხა.<sup>6</sup>

როცა ამაზე ხითხითს მოჰყვა, მეც გამეცინა. მადლობა გადავუხადე და ვისურვე, კარგი აზრი ჰქონოდა ჩემზე.

მშვიდი ხმით მითხრა:

— მართალია, შვილო, დღეს მამები არ ერევიან თავიანთი ქალიშვილების არჩევანში, მაგრამ ასე არ იყო ჩვენს დროს. მამა ყველაფერზე ხუჭავდა თვალს, მაგრამ არა ქალიშვილის გათხოვებაზე. ახლა კი ის განათლებას აძლევს შვილს, მელიმსაც<sup>7</sup> არ ართმევს მას შემდეგ, რაც მუშაობას დააწყებინებს. ხოლო ქალიშვილი უარს ამბობს ყველაზე, ვისზე დაქორწინებასაც მამა შესთავაზებს და ბოლოს მას ირჩევს, ვინც თვითონ უნდა. მიუხედავად ამისა, მამამ ყველა ხარჯი საკუთარ თავზე უნდა აიღოს. მაგრამ საერთოდ ჩვენ კონსერვატიული ოჯახი ვართ.

— რა თქმა უნდა.



— ლეილაც სხვა გოგონებივითაა. შეუძლებელია შემე-  
წინააღმდეგოს. მე აღვზარდე და ვიცნობ. როდესაც მუშაო-  
ბის დაწყება მოისურვა, ვუთხარი, რამე გაკლია-მეთქი?  
მითხრა, არაო. მაშ რად გინდა-მეთქი მუშაობა? მე განათ-  
ლება იმისთვის მოგეცი, დიპლომი იარაღად გჭეროდა ხელ-  
ში, თუ რამე მოხდება, ღმერთმა დაიფაროს-მეთქი. მითხრა,  
მამა, ყველა ჩემი დაქალი მუშაობსო... ძალიან გთხოვო...  
ძალიან. ბოლოს დავთანხმდი, მხოლოდ მისი დაჟინებისა და  
სიჯიუტის გამო.

— რა თქმა უნდა, ეს...

გამანყვეტინა:

— რა თქვით?

— ესაა მიზეზი.

— რა თქმა უნდა. აბდ ას-სათთარ ბეი ჩემი თანაკურსე-  
ლი იყო უმაღლეს სასწავლებელში.<sup>8</sup>

თუმცა ჩვენ რა? ამბობთ, რომ მას არ იცნობთ. მაგრამ  
მე გეუბნებით და გთხოვთ, რომ კარგად მომისმინოთ: ვე-  
რაფერს დავთანხმდები ისეთს, რაც ლეილას ინტერესებში  
არ იქნება.

— გთხოვთ, ნება მიბოძეთ, განმიმარტოთ...

— მართალია, ლეილა არაერთხელ მესაუბრა თქვენზე,  
მეც გავიკითხე და ბევრი რამ ვიცი თქვენ შესახებ... მაქვს  
ინფორმაცია...

ეს თქვა და ყურადღებით დაიწყო შარვლის ჯიბეებში  
ქექვა. მომეჩვენა, რომ მნიშვნელოვან მტკიცებულებათა  
ამოღებას აპირებდა, მაგრამ ბოლოს ცხვირსახოცი ამოი-  
ღო, სახისა და ხელების წმენდას მოჰყვა და მეორედ  
მკითხა:

— დარაბები ხომ არ გავხსნა?

— თუ გნებავთ.

შეხედა დარაბებს და ნელა მითხრა:

— როდესაც უნივერსიტეტში სწავლობდით, ბიძასთან  
იყავით გაჩერებული. ასე არ არის?

— დიახ.

— ახლა კი მარტო ცხოვრობთ.

— დიახ.

— რატომ?

— ვერ გავიგე.

— რატომ დატოვეთ დედის ძმის სახლი და მარტო რად  
დაიწყეთ ცხოვრება?

— დავამთავრე უნივერსიტეტი და არ შემეფერებოდა,  
ტვირთად დავწოლოდი.

— მართლა? განა ეს იმიტომ არ მოხდა, რომ ბიძა გა-  
გინყრათ?

— არა, აბსოლუტურად.

— მახარებს ამის გაგება, და რაც შეეხება იმ გარკვე-  
ულწილად დელიკატურ საკითხს... გთხოვთ, მაპატიოთ,  
მაგრამ მამად ჩამთვალეთ - მინა, რომელიც სოფელშია,  
თქვენი მამის სახელზეა თუ დედის?

— აგისხენით, ბატონო, რომ არ ვართ მდიდრები.

— არა, ვფიქრობ, დედათქვენის სახელზეა.

— შესაძლებელია, მაგრამ ვერ გავიგე, რა მნიშვნელობა  
აქვს ამას. არ დავრჩენილვარ სოფლად და არც სოფლის მე-  
ურნეობით ვარ დაკავებული.

— ვერც მე გავიგე, მაგრამ რაღაც-რაღაცები მესმის.  
ერთს მივუმატოთ ერთი ორია. რატომ არ გაჩერდით მამის  
ძმებთან კაიროში?

გაეჩუმდი. სინზე ცარიელი ჭიქის ტრიალი დავიწყე. მე-  
რე უცებ გამოვფხიზლდი, ჭიქას თავი დავანებე და ხმადაბ-  
ლა ვთქვი:

— მიგაჩნიათ, რომ ეს საკითხი მნიშვნელოვანია?

— უფრო მეტად, ვიდრე ფიქრობთ.

— მაშ სიმართლეა ის, რომ მამაჩემსა და მის ძმებს შო-  
რის უთანხმოება არსებობს.

— შესაძლებელია უფრო მეტი, ვიდრე უთანხმოება, შე-  
საძლოა მთელი განხეთქილებაც.

— ვფიქრობ, მემკვიდრეობასთან დაკავშირებით იყო  
გარკვეული უთანხმოება.

გაიცინა და თქვა:

— მემკვიდრეობა? ჩვენ რა გვესაქმება მასთან? მჯერა,  
რომ ბევრი რამ არ იცით ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს...  
უთანხმოება, როგორც მას უწოდებთ... თქვენს დაბადებამ-  
დე არსებობდა. ეჭვსგარეშეა, მამას არ უსაუბრია თქვენ-  
თან ამის შესახებ, მაგრამ ახლა გთხოვთ, დამიჯეროთ. ყვე-  
ლაფერი ჩვენ შორის საიდუმლოდ დარჩება. მოითხოვთ,  
რომ ჩემი ქალიშვილის ქმარი გახდეთ. ჩემი უფლებაა, ვი-  
ცოდე ყველაფერი.

— ტყუილი არ მითქვამს.

— არა, არ გითქვამთ, მაგრამ ახლა მითხარით, რატომ  
გაცილდა დედათქვენის ძმა მეუღლეს?

— ნუთუ ასევე ფიქრობთ, რომ...

— გთხოვთ, სიმართლე მითხარით.

— მერწმუნეთ... ვფიცავ, არ ვიცი მიზეზი. ბიძაჩემს არა-  
ფერი უთქვამს ამის შესახებ. მგონი, მიზეზი უშიშრობა იყო.

— კი, მაგრამ ათი წელი ცხოვრობდნენ ერთად ისე, რომ  
შვილი არ ჰყოლიათ.

— დიახ.

— და მას გაყრის შემდეგ ცოლი არ შეურთავს, ასე არ  
არის?

— დიახ.

— ესე იგი?

— შესაძლოა ეს არ ყოფილა მიზეზი.

მოულოდნელად ჩვენ შორის მდგარ პატარა მაგიდაზე  
გადმოიხარა, ხელი ხელზე ჩამავლო. ავცახცახდი, როცა  
ჩურჩული დაიწყო, მისი სახე ლამის ჩემს სახეს მოენება:

— ესე იგი არ იცით, რომ... რომ... რომ ასე ამბობდნენ,  
თქვენი დედის ძმის ცოლს თქვენთან ჰქონდა ურთიერთო-  
ბაო?

წამოვიყვირე:

— სიცრუეა!

— გთხოვთ, ხმას დაუწიეთ. არ მითქვამს, რომ ეს სიმარ-  
თლეა, ასე ითქვა-მეთქი.

— ვინ თქვა? ტყუილია... საზიზღარი ტყუილი. ვინ სა-  
ზიზღარმა და მატყუარამ თქვა ეს?

— თქვენმა ბიძებმა მამის მხრიდან.

— თქვენ გითხრეს?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მე შევიტყე. არა, არ  
მკითხოთ, როგორ... მაგრამ რატომ თქვეს ეს?

— არ ვიცი, თუ მათ ასეთი რამ თქვეს.

— ნახულობთ ხოლმე ბიძას დედის მხრიდან?

— ხანდახან.

— ის თუ გნახულობთ, თუ... არა, თავი დაანებეთ ამ  
კითხვას, დაივიწყეთ. ბიძა ცოლთან გაცილების შემდეგ ერ-  
თხელ მაინც თუ ჩამოვიდა სოფელში?

— არ მახსოვს.  
 — ეს მარტივი კითხვაა. წელიწადში ერთხელ ინახულებდა ხოლმე სოფელს, შვებულებისას, სტუმრად ჩამოდიოდა თქვენთან, თავის დასთან.  
 — დიახ.  
 — როდის იყო ბოლოს?  
 — სამი წლის წინათ, იმ წელს, მე რომ უმაღლესი დავამთავრე.  
 — დიახ, სწორედ გაშორების წინ... მას შემდეგ კი ერთხელაც არ ჩასულა.  
 — რატომ?

ხმამალა გაიცინა, სუფთა, მოელვარე, ჩანკინკებული კბილები გამოაჩინა:  
 — მე, მე გეკითხებით ამას.

არაფერი ვუპასუხე. მის თავზე დაკიდებული გონდოლიანი სურათის ყურება დავინწყე. ცოტა ჩამუქებული ჩანდა. როდესაც ხელი მოვისვი შუბლზე, სახეზე და ქუთუთოების გარშემო, ოფლისაგან სულ დამისველდა თითები. პერანგის საყელოს შევებე და შევეცადე შემეხსნა, მაგარ ლილებს გადავანყდი და მხოლოდ ჰალსტუხის მესხნას დავჯერდი.


მამამ წამოწევა სცადა და სახედასერიოზულე-ბულმა მითხრა:

— დარაბებს შევალვებ.  
 სწრაფად გავიფიქრე მისკენ ხელი და ვუთხარი:  
 — არა, თავი დაანებეთ მაგას, გთხოვთ. ახლა მხოლოდ ის მაინტერესებს, ზუსტად რა გინდათ?  
 — საჭიროა, რომ ეს გაირკვეს ახლავე.  
 — გინდათ, რომ უარი მითხრათ ლეილას დანიშვნაზე და ამიტომ მესაუბრებით ამ ჭორებზე?

სახე გაუცივდა:  
 — რა ჭორებზე?  
 — ეს ამბავი დედაჩემის ძმის შესახებ უცხო და უცნაურია. ისევ ჩემკენ გადმოიხარა და ჩურჩულით თქვა:  
 — არ მესმის... საჭიროა, რომ ეს საკითხი მზესავით ნათელი გახდეს. თქვენ ზემო ეგვიპტელი არაბი ხართ და ტრადიციებისა ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.<sup>9</sup>

— რომელი ტრადიციების? გთხოვთ, გასაგებად მითხართ, ქარაგმებით ნუ მელაპარაკებით.  
 — უფალმა შეგინდოთ. საქმე ისაა, რომ, როგორც ვიცი, დედათქვენის ძმა, რომელიც იმავე დროს მამათქვენის ბიძაშვილია, ოჯახში ერთადერთი იყო, ვინც თქვენს მამასთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა, ასე არ არის?  
 — დიახ.

— ნათესაობის გამო, რასაკვირველია. მთელი ოჯახი წინ აღუდგა მამათქვენს იმიტომ, რომ მან ქონება სიამოვნებასა და დროსტარებაში გაფლანგა — ყველა, დედათქვენის ძმის გარდა... ის კაცი მზად იყო ამ მიზეზით გამოწვეუ-



ლი სხვა ძმების გალიზიანებაც მოეთმინა, მაგრამ სიკვდილით დამუქრება ველარ აიტანა.

გავიცინე, თავი უკან გადავაგდე და ჩემს მზერას გონდოლის ხიშტივით შემართული ორი ნიჩაბი შეეფეთა. მან კი ხმას ცოტა აუნია და თქვა:

— არ ვიცი, თავს იკატუნებდით თუ მართლა არაფერი იცით ამის შესახებ, მაგრამ მაშინ ყველანი მივიდნენ დედათქვენის ძმასთან და უთხრეს, მამათქვენის საქციელს კიდევ აიტანდნენ, მაგრამ მისი ცოლის თქვენთან ურთიერთობა?! როგორც თავად ამბობდნენ, ამ „სირცხვილის“ ატანა არ შეეძლოთ... უთხრეს, რომ ან უნდა გასცილებოდა ცოლს, ან თქვენცა და იმ ქალსაც დაგხოცავდნენ.

— ზღაპარი! ვილაც გათახსირებულს ჩემი რეპუტაციის შებლაღვა სურდა და გამოიგონა ეს ამბავი.

— შესაძლოა, მაგრამ როგორ დაამტკიცებთ, რომ ეს ტყუილია?

— ათასი მტკიცებულება არსებობს, მე გეუბნებით, რომ ეს ტყუილია. არა ვარ ისეთი ფლიდი, რომ გავიფიქრო, თუნდაც მხოლოდ რაიმე გავიფიქრო დედაჩემის ძმის ცოლზე. ის ხომ... ის ხომ მშობელივით მყავდა... ნამდვილი მშობელივით.

— ახლა ამას არ ვიკვლევ. თქვენს სიტყვას პატივს ვცემ. მჯერა, თქვენ

**მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე**

შორის არაფერი ყოფილა, მაგრამ რა მიუთითებს, რომ ეს ყველაფერი ჭორია?

— მე მართლაც არ მსმენია ამის შესახებ.  
 — ეს არ არის მტკიცებულება... ამბობთ, არაფერი მსმენიაო. რით ამტკიცებთ, რომ არაფერი გსმენიათ?

— ვფიცავ.  
 — ასე იყოს... გარდა ამისა, თავად თქვით, რომ თქვენი დედის ძმა დუმდა ამის შესახებ. ხომ სწორია?

— დიახ.  
 — აბსურდია, რომ თვითონ მოეყოლა თქვენთვის ეს... მამის ძმებსა და მათ შვილებთანაც განყვიტით ურთიერთობა. მათ არც კი იცნობთ? ასე არ არის?

— დიახ.  
 — მაშინ შეუძლებელია, რომ მათგან მაინც გაგეგოთ რამე.

— ექვ იგი, ისინი ჩემი სიკვდილით დასჯას დამიმალავდნენ?

— არ ვიცი, ვერაფერი გავიგე. იმედია, არ ფიქრობთ, რომ მე შევთხზე ეს ამბავი მხოლოდ იმიტომ, რომ მე თქვა, ჩემი ქალიშვილის ქმრად არ მინდებართ-მეთქი... შეიძლება სხვა რამის მომიზეზებითაც მარტივად მომეშორებინეთ თავიდან.

— ანუ?  
 — ანუ ეს ამბავი სიმართლეა... არ ვგულისხმობ თქვენს ურთიერთობას ბიცოლასთან. ეს ჩემი საქმე არ არის... მაგრამ

სიკვდილით დამუქრებისა და გაშორების ამბავი? დამამტკიცებელი საბუთი მაინც რომ გქონოდათ ამის უარსაყოფად...

— დიახ, რა თქმა უნდა, მაქვს. ეს რომ სიმართლე ყოფილიყო, ყველგან ჭორად გავრცელდებოდა და მეც გავიგებდი. ეს რომ სწორი ყოფილიყო, მამაჩემის ძმები გამოიყენებდნენ ჩემი და მამაჩემის სამხილებლად და შესარცხვენად.

— და ამით მოიჭრიდნენ თავს? არა... მათ ამ საკითხის მიჩქმალვა სურდათ და არა გავრცელება.

— მაშინ თქვენ ვისგან შეიტყეთ? აბდ ას-სათთარ ბეისგან? ჩაიცინა:

— მისნაირი თანამდებობის კაცი ყველაფრით ინტერესდება?... არა, არა.

— მაშ როგორ გაიგეთ?

— ეს ჩემი საქმეა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ყველაფერი საიდუმლოდ დარჩება ჩვენ შორის.

— რატომ უნდა დარჩეს საიდუმლოდ? ყველგან გაავრცელეთ, ქვეყანას მოსდეთ ეს ჭორი.

— არა ვარ ბოროტი. გთხოვთ, ხმას დაუწიეთ.

— რატომ დავუწიო ხმას? თქვენც ეს არ გინდათ? განა თქვენ არ გსურთ, რომ ეს საზიზღრობა ლეილას ყურამდე მივიდეს? განა ეს თქვენი გეგმა არ არის ჩემ მოსაშორებლად? აჰა, ბატონო, თქვენ მაგივრად ვაკეთებ ამას... თავად მოვასმენინებ... ჰა, ჰა... ბიძაჩემის ცოლი... რატომ თვითონ დეიდაჩემი არა... ან... ან... სულაც ბებიაჩემი... ჰა... ჰა... ჰა...

მისი მცდელობა, გავეჩუმებინე, იმით დამთავრდა, რომ ადგა, მხარზე ხელი დამადო, გვარიანად შემანჯღღრია და ცოტა არ იყოს ხმამაღლა მითხრა:

— კაცურად მოიქეცით. რომ მცოდნოდა, ასე მოიქცეოდით, საერთოდ არ დაგელაპარაკებოდით... ბავშვი ხომ არ ხართ? სტუმარი ხართ ჩემს სახლში.

— გინდათ, წავიდე?

— არა, მაგრამ კაცურად მოიქეცით, ბოლომდე მომისმინეთ. ჭიქა წყალი ხომ არ მოგიტანოთ?

— არა, გმადლობთ.

— ვწუხვარ, თუ შეგარცხვინეთ, მაგრამ დამიჯერეთ, არ მეგონა, თუ არ იცოდით ეს ყველაფერი.

— ბედნიერი ვიქნებოდი, რომ არ გამეგო.

თავის ადგილს დაუბრუნდა - ჩემ პირდაპირ დაჯდა, თითები ერთმანეთში გადახლართა და ჩუმად მიყურებდა. ვუთხარი:

— ბოდიშს ვიხდი იმის გამო, რაც ვთქვი.

ხელი ჩაიქნია:

— მე პატივს ვცემ თქვენს გრძნობებს.

წამოვდექი და ვუთხარი:

— გმადლობთ. თუ ნებას მომცემთ, წავალ.

მეორედ წამოვდგა, მხარზე დამადო ხელი, დამსვა და მითხრა:

— არა... ჩვენი საუბარი ჯერ არ დამთავრებულა.

— როგორც თქვენი ნათქვამიდან გავიგე, მიგაჩნიათ, რომ ცული რეპუტაციის კაცი ვარ და სიძედ არ გინდევართ. მე არ შემიძლია უარყო ეს, რადგან შესაბამისი მტკიცებულებანი არ გამაჩნია.

— არ მითქვამს, რომ ცული რეპუტაცია გაქვთ. ასე ვთქვათ, ჭორების მსხვერპლი ხართ.

— რა განსხვავებაა?

— მერე მე არ მითქვამს, რომ უარს ვამბობ, გახდეთ ჩემი ქალიშვილის ქმარი.

— მაშინ, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

— გთხოვთ, გამიგოთ... მე ლეილას კეთილდღეობისთვის ვზრუნავ.

— პირდაპირ რატომ არ ლაპარაკობთ?

— მაშ თქვენ... გულწრფელობა გინდათ? კეთილი, გეცოდინებათ, რომ იმისთვის, ვინც ბანკში თქვენნაირ თანამდებობაზე მუშაობს, რეპუტაცია და სახელი ყველაზე მნიშვნელოვანია.

— ისევე? ისევე ქარაგმებით მელაპარაკებით?

— არა, მაგრამ...

— შეუძლებელია. არ მივიღებ არც ერთ ამგვარ გადაკრულ ნათქვამს. თქვით, რაც იცით. ყველაფერი თქვით. აღარაფერი მაინტერესებს.

— გთხოვთ...

— რას ამბობთ სამუშაოზე? არაფერი ხეხება ჩემს რეპუტაციას სამსახურში. თუ გაფლანგვის ბრალდებაზე მიმანიშნებდით, გამათავისუფლეს მისგან. თვით ადმინისტრაციულმა პროკურატურამ<sup>10</sup> გამამართლა და საქმე დახურეს... მხოლოდ გაფრთხილებით დაკმაყოფილდნენ.

— გეფიცებით, ამაზე არ მიგანიშნებთ. ეს არც კი ვიცი.

— არა, ჩემთან ეს მეთოდი არ გაგივიათ. მაშ თავს არ ანებებთ ირიბ ლაპარაკს?! იცოდეთ, ნინასწარ მომზადებული შეთქმულება იყო... ჩემი კეთილგანწყობით ისარგებლეს და შემითითხნეს საბუთები, რომელთა შესახებ არაფერი ვიცოდი. თვით ადმინისტრაციულმა პროკურატურამ გამოიძია ეს. გაფლანგვა რომ ყოფილიყო, ციხეში ჩამსვამდნენ. გესმით?... ეს ხომ ნათელია. გაფრთხილება მომცეს, რადგან ჩემი კეთილი განზრახვა უყურადღებო დამოკიდებულების, უგულისყურობის ერთ-ერთ ფორმად ჩათვალეს. გესმით?

— დიახ, დიახ, გისმენთ.

— მე არა ვარ ქურდი.

— ამაში არც დამიდანაშაულებიხართ. ტირით?

— არა, და რატომ უნდა ვიტყვო? ეს ოფლია... ოფლი... შეხედეთ.

— მაშინ, რატომ არ გინდათ, რომ შევალო დარაბები?

ეს თქვა და ადგილიდან წამოდგა. თვალზე ბინდი გადამეკრა. ნახატზე წითელი და მწვანე ფერების გარდა ველარაფერს ვარჩევდი:

— არ მითქვამს, არ მინდა შელება-მეთქი. ვთქვი, რომ ეს არ მაინტერესებს. არ მაინტერესებს შეაღებთ თუ არა. მხოლოდ ის მსურს, გავიგო, რა გინდათ?

შარვლის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და აცახცახებული ხელით გამომინოდა.

— გმადლობთ. მაქვს ცხვირსახოცი.

საგულდაგულად დავინყე ოფლის მოწმენდა სახიდან, შუბლიდან, თვალებიდან. როცა მოვრჩი, აღმოვაჩინე, რომ იქ აღარ იყო. საერთოდ ოთახში არ იმყოფებოდა. ტილო გახუნებულსახიანი მეზღვაურებით... უცებ ჩემ წინ გაჩნდა წყლიანი ჭიქა. ერთი ყლუპი მოვსვი და, როცა თავის ადგილზე, პირდაპირ დამიჯდა, შევნიშნე, მის თეთრ, დანაოჭებულ შუბლზე ოფლის წვრილი წვეთები გაჩენილიყო. სახეზე ფერი არ ედო. სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ თვითონვე გავოცდი, ისე ხმამაღლა ვთქვი:

— იგულისხმება, რომ გონდოლა ვენეციაშია.

— რაო? რა თქვით?

ნახატზე მივუთითე:

— ამ სურათზე... გონდოლა სავარაუდოდ ვენეციაშია, მინდოდა მეთქვა — ქალაქში, თუმცა ტილოზე სოფელია, მინდოდა მეთქვა, რომ ეს შეცდომაა.

დამჯდარმა თავი შეაბრუნა და დაინყო მის ზურგსუკან დაკიდებული ტილოს თვალიერება, თითქოს პირველად ხედავდა. შემდეგ შემომიბრუნდა:

- დიახ, მართალი ხართ. ხელოვნებაში ერკვევით?
- არა, მაგრამ ეს ისტორიაში ვისწავლეთ, სკოლაში.
- მეც ვისწავლე ეს, მაგრამ არ შემინიშნავს.

შემდეგ ცოტა მოულოდნელად თქვა:

— მომისმინეთ... ლეილას უყვარხართ.

— და მეც მის დასანიშნად მოვედი.

— თქვენი თავი ჩემს ადგილას დააყენეთ. ვთქვათ, მამამისი ხართ. დათანხმდებოდით?

— თავიდანვე შეგეძლოთ, ეს გეთქვათ. ვწუხვარ, აღარ შეგანუხებთ, არც ლეილას შეგანუხებ. ვეტყვი, რომ უარზე ხართ.

ჩემკენ გადმოიხარა და სწრაფად ჩურჩულით მითხრა:

— არა, არა, არა, არა. მინდა, თვითონვე უთხრათ ეს.

— ძალიან გთხოვთ, ზუსტად რა გნებავთ?

— მაშინ, როგორც მთავაზობთ, გულწრფელად ვილაპარაკოთ. არსებობს თქვენთან დაკავშირებული ამბები, რომელიც არ გინდათ, რომ ვინმემ იცოდეს.

— დიახ.

— თუ ეს ამბები თქვენს სამუშაო ადგილზე ან თუნდაც მეგობრებს შორის გავრცელდა, ამან შესაძლოა ზიანი მოგაყენოთ.

— დიახ.

— ამან შესაძლოა თვით ლეილაზეც მოახდინოს გავლენა... შეიძლება დაიჯეროს.

— ანუ?

— ჩემი მხრივ, არაფერს ვეტყვი... გპირდებით... მაგრამ გთხოვთ, თქვენც დამეხმაროთ.

— დაგეხმაროთ? რაში? თუ ნებას მომცემთ... თუ...

— გთხოვთ, არ გაგეცინოთ. მართლა მჭირდება თქვენი დახმარება. თუ ლეილას ეტყვით, რომ მე გითხარით უარი, უფრო გაჯიუტდება. ვიცი, შემოიძულებს და იძულებული გავხდები, ყველაფერი ვუამბო.

— გასაგებია. მაშ ვუთხრა, რომ მე ვამბობ მასზე უარს?

— არა, არც ეს. უთხარით, რომ თანახმა ვარ და მოსალაპარაკებლად მეორე შეხვედრა დაგინიშნეთ ერთი ან ორი კვირის შემდეგ.

— რა?

— არსებობს გამოსავალი. თქვენ ჩემზე უკეთ ერკვევით ასეთ რამეებში... არიან სხვა გოგონები ბანკშიც, ბანკის გარეთაც... (ხელი ტუჩებთან მიიტანა და ჩაიციხა). ვხედავ, კარგად იცით, როგორ უნდა მოიქცეთ მათთან.

— გინდათ, რომ...

ხელის აქნევით გამანყვეტინა:

— კარგად გესმით, რაც მინდა. ლეილა ათასი გზით შეგიძლიათ დაარწმუნოთ, რომ უარი თქვით ქორწინებაზე, მაგრამ ამას შევეშვით. იცნობთ ბატონ აბდ ალ-ფათ-თაჰს?... ის ბანკში ანგარიშების განყოფილების უფროსია.

— დიახ. მას რა ესაქმება ამ ყველაფერთან?

— არაფერი. ძველი მეგობარია. სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენ შორის დარჩეს და, ბანკში მან დაადგა ლეილას თვალი. თავაზიანი, კარგი კაცია. მისგან შევიტყე, რომ ჰელიოპოლისში<sup>1</sup> ბანკის ახალი ფილიალის გახსნა სურთ.

ფილიალის უფროსსაც ეძებენ... რა კვალიფიკაცია გაქვთ? რამდენი წელია, ბანკში მუშაობთ?

— ერთი წამით, თუ შეიძლება. მთავაზობთ, რომ მიყიდოთ? ამაშია საქმე? დანინაურების სანაცვლოდ ლეილა მივატოვო?

კვლავ გაეყინა სახე:

— თქვენი ყიდვა რად მინდა? რას ფლობთ ისეთს, მე რომ მავნოთ? გთავაზობთ სამსახურს სამსახურის სანაცვლოდ. ჩემი ინტერესია, რომ იმ ადგილიდან მოგაშოროთ, სადაც ლეილა მუშაობს. თქვენი ინტერესია ახალ ფილიალში მუშაობა.

— და რატომ?

— ახლახან თავად თქვით, რომ თქვენი პირადი საქმე სამსახურში მთლად სუფთა არ არის. ეს შანსია თქვენი პრესტიჟის აღსადგენად.

— თუ შეიძლება მომისმინეთ... ნუ ცდილობთ, რომ...

— არაფერს ვცდილობ. თქვენ ცდილობთ, რომ დაარღვიოთ პირობა. იმაზე უფრო საშიში ხართ, ვიდრე წარმომედგინა.

— რომელი პირობა? მომისმინეთ. მუქარის არ მეშინია. მე მიყვარს ლეილა. მასაც ვუყვარვარ. ყველაფერს ვეტყვი და გამიგებს. გესმით? აი, რას ვიზამ.

თვალეები დახუჭა და სკამზე გადაიხარა. ოფლის კრისტალიზებული წვრილი წვეთები მოუმრავლდა დანაოჭებული შუბლის ჩამწკრივებულ ღარებში, თითქოს ის გაყინული ჭიქის ზედაპირიაო. თვალბედახუჭულმა ჩაიციხა, თავი გააქნია და თქვა:

— დიახ, დიახ. ვიცი ეს შემართება. ცხოვრებაში ბევრს ვიცნობდი, გონების ხმა რომ უარყვეს. ახლა ათობით მათგანი თითო პიასტრის ამარაა დარჩენილი, მაგრამ დამიჯერეთ, ეს არ არის გამბედაობა. ვაჟუკაცობაა, როცა იცი, ამას რა მოჰყვება და მაინც თანახმა ხარ.<sup>12</sup>

— მე ეს ვიცი და თანახმა ვარ.

— არაფერიც არ იცით.

— ვიცი... შეგიძლიათ სახელი გამიფუჭოთ სამსახურში. იქნებ ისიც შეგიძლიათ, სხვა ქვეყანაში გადამასახლოთ, ლეილას ჩემზე ეჭვებით თავი გამოუტყნოთ...

— ამაზე მეტიც შემიძლია, მერწმუნეთ. შემიძლია, ის ჭორი გავავრცელო, თქვენი ბიძები რომ ცდილობდნენ, მიეჩქმალათ. არავინ უნყის, მაშინ რას მოიმოქმედებენ ბიძები, მამაშენი, დედაშენის ძმა...

— მაგრამ ეს შეუძლებელია.

— რა არის შეუძლებელი?

— შეუძლებელია ეს ჩაიდინონ.

— რატომაც არა?

— მე, რაც გინდათ, ის მიყავით. გადამასახლეთ, მომკალით, მაგრამ ჩემს ახლობლებს ნუ გარევთ ამაში.

— მაგრამ თქვენ ჩემი ქალიშვილის, თვით ჩემი ქალიშვილის დალუპვა გინდათ... და რატომ უნდა გავუფრთხილო ჩემთვის უცხო ხალხს? დაფიქრდით. კარგად დაფიქრდით ამაზე. გგონიათ, შევყოყმანდები? შემომხედეთ. სხვათა შორის, იცით, ერთხელ თქვენი დედის ძმამ თავის მოკვლა რომ სცადა?

— გთხოვთ, გაჩუმდით.

— ზუსტად გაყრის შემდეგ მოხდა ეს და ოჯახიდან არავინ იცოდა.

— რა გინდათ ჩემგან?

— საავადმყოფოში გადაიყვანეს მძიმე მდგომარეობაში, თუმცა...

— გთხოვთ, გაჩუმდით, ყველაფერს გავაკეთებ, რაც გინდათ, ოღონდ გაჩუმდით.

თავის სკამს დაუბრუნდა და თქვა:

— თავიდან ისეთი აზრი შემექმნა თქვენზე, რომ ჭკვიანი იყავით. არა, არა, ნუ დგებით ახლა. შეიშრეთ ოფლი, სანამ გახვალთ. გარეთ გაცივდებით.

ოფლი შევიშრე, ვიდრე გამოვიდოდი. მაგრამ კიბეზე ჩამოსვლისას ნავბორძიკი და სახით დავეცი. სწრაფად წამოვდექი, მტვერი ჩამოვიბერტყე. ცოტა ხნით გასასვლელი კარის სახელურს დავეყრდენი, ვიდრე დავცნარდებოდი — დიდ, ყვავილის ფორმის სპილენძის სახელურს.

გარეთ იყო ღამე, ჰაერი, მანქანები, რომლებიც ერთმანეთს უკან ნელა მოძრაობდნენ, თითოეულს ორი უკანა ფარი ნითლად აენთო. დავექი, დავიცადე. არ ციოდა. როგორც იქნა, დასრულდა მანქანების მწკრივი, გზა გადავკვეთე მოპირდაპირე ტროტუარისკენ, სადაც სარკეებით გადაჭედული საპარკმახერი იყო. დავინახე საკუთარი თავი.<sup>13</sup>

მტვერი სახელოებზე, შესიებული ნაკანრი წარბს ზემოთ. მოვისინჯე ნაკანრი — კანი გამხეთქოდა, თუმცა სისხლი არ მომდიოდა. კარზე მიყრდნობილ პარკმახერს ხელი თეთრი ხალათის ჯიბეში ჩაედო. ყურადღებით მიყურებდა. როცა ჩვენი მზერა შეხვდა ერთმანეთს, შემომთავაზა, შევსულიყავი და ბამბა ამელო. მერე ჩაიცინა და მიბრუნდა. ბამბა არ მინდოდა. წარბს სწრაფად მოვაცილე ხელი, კიდევ ერთხელ გადავკვეთე ქუჩა, კარგად ჩამოვიბერტყე კარის წინ მტვერი, სპილენძის პრიალა ყვავილში ჩემი ანარეკლი შევინძინე და შემდეგ... ხელახლა ავუყევი კიბეს.

**არაბულიდან თარგმნა  
ნინო დოლიძე**

1. იმხანად კაიროში პარკმახერის მომსახურების საშუალო ფასი 15 პიასტრს შეადგენდა. გაპარავის შემდეგ წვერის კრემით შეხელა და მომსახურებაში ერთი ფუნტის ანუ 100 პიასტრის გამოერთმევა იმაზე მიუთითებს, რომ ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო.

2. ყურადღება მიაქციეთ კონტრასტს სასიძოსა და მამის ჩაცმულობას შორის.

3. ამასინის ქარები — სამხრეთის ცხელი ქარი, რომელიც საჰარის უდაბნოდან უბერავს.

4. ზემო ეგვიპტე — სამხრეთი ეგვიპტე.

5. აქ იგულისხმება სამხრეთ ეგვიპტის „ზედა კლასის“ წარმომადგენელი. არაბი ამ შემთხვევაში ემიჯნება კოპტებს, რომლებიც ძირითადად არაბი საქმოსნებისა და მიწისმფლობელების მიერ არიან დასაქმებულნი.

6. ამ ანეკდოტის არსი ისაა, რომ არაბულად ჰიპის უწოდებენ „ხოჭოს“. სიტყვა „ხოჭოებმა“ (ალ-ხანაფიმ) ამგვარი დატვირთვა არაბულ ენაში როკ-ჯგუფ „ბითლზის“ მოღვაწეობის შემდეგ შეიძინა.

7. მონეტა, 1/1000 ეგვიპტური ფუნტი.

8. აქ მამა კაიროს უნივერსიტეტის ძველ სახელწოდებას ახსენებს, რაც მის ხანდაზმულობაზე მეტყველებს და იმაზეც, რომ უმაღლესი განათლება მაშინ მიიღო, როცა ეს მხოლოდ პრივილეგიებული ფენისათვის იყო ხელმისაწვდომი.

9. სამხრეთ ეგვიპტეში, განსაკუთრებით ქალაქებიდან მოშორებულ დასახლებებში არაბები დიდ ყურადღებას აქცევენ ტრადიციებს ოჯახურ ცხოვრებაში.

10. ადმინისტრაციული პროკურატურა — ინსტიტუცია, რომელიც სამოქალაქო მომსახურების ლეგალურ ძიებას აწარმოებდა. (ბანკები ეგვიპტეში ნაციონალიზირებულია. ასე რომ, ბანკის მოხელე სამოქალაქო მოხელეა).

11. ჰელიოპოლისი — კაიროს ერთ-ერთი უბანი.

12. ჩანს, ლეილას მამა ნაწილობრივ ნანობს წარსულში ჩადენილ საქციელს და არ მალავს, უჭირს, მის შედეგებს რომ იმკის — ლეილას ხელფასზეა დამოკიდებული. ამავე დროს მას შურს სხვა თანატოლებისა, როგორცაა აბდ ას-სათთა ბეი.

13. მოთხრობის ბოლო ნაწილი სიმბოლოებითაა გადატვირთული. მას აქვს ერთგვარი ფორმალური, გარეგნული კავშირი დასაწყისთან, როცა მთავარი პერსონაჟი სარკეში იხედება და საკუთარი თავი უცხოდ ეჩვენება. ლეილას მამასთან ურთიერთობისა და კიბეზე დაცემის შემდეგ გირი საკუთარ სახეს რეალურად ხედავს.

**ჩვენი ფოსტა**

ძვირფასო რედაქცია!

რა გამოუღვეს „ჩვენი მწერლობის“ მკითხველს აღსაფრთოვანებელს და ნურც შეგმცირებოდეთ ნიჭიერი ავტორები.

აქამდე ჩემი სიმპათიები როგორ არ გამოიხატავს თქვენს ჟურნალზე, მაგრამ უმეტესად ახლობლებთან. რაც განსაკუთრებულად მომეწონება, მიყვარს იმათაც მოუწინაშო და ნავაკითხო. თქვენ კი პირველად მოგმართავთ, რადგან ძალიან მომიწონდა მადლობა მეთქვა, განსაკუთრებით ბოლო პუბლიკაციას გამოვყოფ („ჩვენი მწერლობა“, №12). ვგულისხმობ იოსებ ჭუმბურიძის ლაკონიურ, თუმცა მრავლისმთქმელ და გულითად ნერილს „ხელი მიტანილი გულთან“, ვანო ჩხიკვაძის ახალი პოეტური კრებულის „ლექსები-2011“ გამო.

ბატონმა იოსებმა თითქოს ექსპრომტად მოინდომა სიტყვათა გამოწრთობა. მისი სტილი, ზოგადად და ახლაც, ზომიერად სადაა და ზომიერად ლალი. სხარტად, მიკიბე-მოკიბისა და დახუნძლული ლიტერატურული ტერმინოლოგიის გარეშეც ახერხებს, ამჯერადაც, შეგვიძვეს საყვარელი პოეტის ფერადოვან სამყაროში. ისე, ამ შემთხვევაში ითქმის პოეტის, თორემ ვანო ჩხიკვაძის შემოქმედება — პოეზიაცაა და პროზაც. ერთი მთლიანობაა, საიდანაც ცის ცვარვიით რომ იღვრება მანუგეშებელი სითბო, უნაპირო სევდაც იწურება; და კიდევ, ისე გამჭოლად, ლახვარვიით გამოიტყვორცნება ხოლმე სიტყვა მამხილებელიც, საჭიროების შემთხვევაში, კაცს უნამუსობას, უზნეობას შეაზარებს.

ამ ბოლო დროს ტელევიზიით ვანო ჩხიკვაძის „დეკემბერი, დეკემბერი“ გახშიანდა. ბ-ნი იოსების თქმით, პოეტის „სავიზიტო ბარათი“. სხვა ძველი სიმღერების მოგვასმენინებს, სხვა ავტორების ლექსებზე შექმნილი. ეტყობა, მათი გახსენება-პოპულარობისთვისაც მოიცალეს, რაც მისასაღმებელია. მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ ტექსტის ავტორიც მოაგონონ მსმენელს, არადა გულშიწამწვდომ მელოდისა ხომ ლექსი განსაზღვრავს. ისაა პირველწყარო, რის საფუძველზეც კომპოზიტორმა შექმნა მუსიკა. პოეტი, სამწუხაროდ, გამქრალა. პროზაიკოსიც, რასაკვირველია, თუკი მისი სცენარით გადაულაიათ ფილმი.

ამჯერად მაგალითების მოხმობას აუცილებლად არ მივიჩნევ. ისე, უბრალოდ, სხვათა თხოვნასაც ალბათ გავახმაურებ — არაფერი დაშავდება, გაუმეორონ საქართველოს თავისი პოეტებისა და პროზაიკოსთა სახელები!

**ლალი ნაბახტაველი**

კასპი

გამომცემლობა „ინტელექტის“ ეს კიდევ ერთი ახალი პროექტი „ჩანაწერები“ რომ გამოჩნდა, სამწერლო წრეებსა და ლიტერატურის მოყვარულებში იმთავითვე დაიბადა სასიამოვნო მოლოდინი მისი წარმატებული გაგრძელებისაც. ეს ხომ ის ჟანრია, რომელიც მარგინალურად იყო მიჩნეული ჩვენში და მხოლოდ დასავლურ ნიმუშთა — კლასიკურ თუ თანამედროვე — ამეცხველებამ ქართულ ენაზე გვავარძნობინა მისი განსაკუთრებული ხიბლიც და ძალმოსილებაც.

ახლა კი ამ სერიის სერიის წამოწყებასა და შესაფერის ხორცშესხმას უნდა დაედასტურებინა ამ ჟანრის ქართული ნაირსახეობის შთამბეჭდაობაც და მისი გამრავლება-გაღრმავების ნაილიც. არაერთი მწერალი და ხელოვანი სულაც ამ სერიის გამოჩენამ დაინტერესა, თვითონაც მოესინჯა კალამი ამ ჟანრში. და რაღა უნდა ითქვას მათზე, ვინც აქამდე ერთგულობდა წერის ამ მანერას. „ჩანაწერები“ სერიამ უკვე იმდენი წიგნი შემოგვთავაზა, დისერტანტებისთვისაც უხვ მასალას რომ წარმოადგენს, თორემ მკითხველს ხომ ამ ჟანრის მთელს მრავალფეროვნებასა და სილამაზეს გადაუშლის თვალწინ, არც სიმბავილე რომ არ აკლია, არც იუმორი, არც კრიტიციზმი, არც დრამატიზმი, არც ლირიზმი, და არც სიღრმე და გაქანება, მათი უკეთესი ნიმუშები ძალდაუტანებლად რომ მოექცევა დასავლური ჩანაწერების წრეში.

გიორგი გოგოლაშვილი

# მინაწერები იოსებ ჭუმბურიძის „ჩანაწერები“

გამომცემლობა „ინტელექტის“ კიდევ ერთი პროექტი იმსახურებს დიდ მადლობას — „ჩანაწერები“. ხელთა მაქვს ამ სერიის ახალი წიგნი — **იოსებ ჭუმბურიძე, „არ ეწყინება ყოვლადღლიერსო“**. ნამდვილად ღირს ამ წიგნის წაკითხვაც და მასზე ფიქრიც...

\*\*\*

რედაქტორი ზოგჯერ თავის ნარედაქტორალ წიგნზე საუბარს რომ მოინდომებს, საგანგებოდ შეჩერდება საკუთარ დამსახურებაზე. ამ წიგნის რედაქტორს ამ თვალსაზრისით სათქმელი არაფერი აქვს; ჩემი პროფესიის ადამიანი რედაქტორობისას ჩვეულებრივ წიგნის ენობრივ-სტილისტურ მხარეზე იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ ავტორი (თავად გამოცდილი რედაქტორი) წიგნის რედაქტორს პრობლემებს არ უქმნის — იოსებ ჭუმბურიძე ჩინებული მოქართულეა; რაც შეეხება წიგნის იდეურ მხარეს, რედაქტორი სრულად ეთანხმება ავტორს!.. ასე რომ, ამ შემთხვევაში რედაქტორიც მკითხველია...

ერთი, როცა წიგნი გამოვიდა, სარჩევი მოვისაკლეს, მაგრამ წიგნს კიდევ ერთხელ რომ გადავავლე თვალი, მივხვდი, რომ ამგვარ წიგნს სარჩევი არ სჭირდება — იგი ერთიანი ნაწარმოებია; ერთიანი ფიქრია ავტორისა 1996 წლიდან მოყოლებული დღემდე (ჩანაწერები ამ პერიოდს მოიცავს). ეს ფიქრი სწორხაზოვნად მიემართება ერთნაირი სიმძაფრით, პირუთვნელობით, პირდაპირობით, გაბედულებით და, რაც მთავარია, მაღალმხატვრულობით.

თუმცა... წიგნი მაინც კარგავს რაღაცას, სარჩევი რომ არ ერთვის; თუნდაც იმას, წიგნს ინტერესით წასაკითხი რამდენიმე გვერდი რომ აკლდება... დიახ, იოსებ ჭუმბურიძე სათაურების დიდოსტატია; თუნდაც ერთი ციკლი სათა-

ურებისა: „სამშობლო და ჭეშმარიტება“, „სამშობლო და უმწეობა“, „საქართველოზე — უსაქართველოდ?!“, „მოგება საქართველოს სიყვარულში“, „გრანტი გინდა თუ სამშობლო?“, „მინისტრი და მამული“, „მამულია და მამული“, „სამშობლო და „საშიში“ პოეტები“... ანდა სხვა ციკლის სათაურები: „ერთად წავიდეთ... ილიასაკენ“, „ამასაც მოვესწარი, ანუ პატრიოტიზმი, პროფესიონალიზმი და პატიოსნება“, „კაცი და ზღვარი“, „ცოდნა და ცოდვა“, „შევეყუყუთო ასეთ წიგნებს“, „მზე ოტიას აივანზე“ და სხვა და სხვა. როცა ამ სათაურებს კითხულობ, შინაარსსაც გრძნობ მინიატურისა, იდეასაც და სულისკვეთებასაც ავტორისას. ასე რომ, რამდენიმე ლამაზად საკითხავი გვერდი დააკლდა წიგნს უსარჩევობით...


\*\*\*

მე არა ვარ ჟანრების სპეციალისტი, ამიტომაც ვერ ვიტყვი, რა ჰქვია ამგვარ ჩანაწერებს. მაგრამ, თუ არსებობს მინიატურული პროზა, ალბათ არსებობს მინიატურული პუბლიცისტიკაც და სწორედ ესაა ამ წიგნში წარმოდგენილი...

შენიშვნა: ასე ვთქვი წიგნის პრეზენტაციაზე ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მერე გავეცანი როსტომ ჩხეიძის აზრს და მინდა აქვე მოვიშველიო: „ყოველდღიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მოვლენებს კვალში რომ ჩაუდგებოდა **იოსებ ჭუმბურიძე** და „სახიფათო ჩანაწერების“ პირველ ნიმუშებს შექმნიდა, თვითონ მათ პუბლიცისტურ შენიშვნებად აღიქვამდა და ალბათ ვერც წარმოიდგენდა, თანდათანობით ლიტერატურულ-პოლიტიკურ მინიატურათა ეს ციკლი ვრცელ ტილოდ თუ გადაიჭიმებოდა და სრულფასოვან დოკუმენტურ პროზად წარმოდგებოდა (აკი **ნიკო ლორთქიფანიძესაც** ეგონა, რომ „**იყიდება საქართველოს**“ სახით პუბლიცისტური სტატია დაწერა!), პირუთვნელ ქრონიკად დრამატული ხანის საქართველოსი, ხასიათების მთელ გალერეას რომ გადაგვიშლიდა თვალწინ, მარჯვედ მიგნებულ, თითო-ოროლა შტრიხით ასე ღრმად გააზრებულ-განზოგადებულ“ („ჩვენი მწერლობა“, №8, 2012).

\*\*\*

ეს სახიფათო ჩანაწერებია (ასეც ერქვა იოსებ ჭუმბურიძის ერთ-ერთ წიგნს), მაგრამ, სამწუხაროდ, ვისთვისაც უნდა იყოს სახიფათო, ხშირად ის მშვიდადაა... ერთი



ქუთაისური დიალოგი მასხენდება: მეზობელმა მეზობელს უსაყვედურა, „რას აკეთებ, ბიჭო, სირცხვილიაო“ და „მე თუ არ მრცხვენია, მაინც სირცხვილიაო?“ — იკითხა გაკვირვებულმა... „დიახ, სირცხვილია!“ — ასე თვლის იოსებ ჭუმბურიძე და არ იხვევს უკან, არ ერიდება ავტორიტეტებს და ამბობს იმას, რასაც ფიქრობს...

\* \* \*

ეს არ არის ჩანაწერები ჩანაწერებისათვის, ეს არის ჩანაწერები საქმისათვის. „სიტყვა საქმიანიც“ შეიძლება ვუნოდოთ იოსებ ჭუმბურიძის შემოქმედებას. ორიოდ მაგალითი:

— გასული საუკუნის 90-იან წლებში აქტიურად განიხილებოდა საკითხი ე.წ. „თურქული უნივერსიტეტისა“. განათლების სამინისტრომ საზოგადოებისაგან მალულად გააფორმა ხელშეკრულება თურქულ მხარესთან; თურქული მხარე ბაზალეთის ტბის მიდამოებს ითხოვდა უნივერსიტეტისათვის და 50 000-იანი საუნივერსიტეტო ქალაქის აშენებას გვპირდებოდა მოკლე ხანში, ცხადია, ძირითადად თურქულ ქალაქს. ეს „საიდუმლო“ ხელშეკრულება გახმაურდა (ამაშიც დიდია იოსებ ჭუმბურიძის დამსახურება). ამხედრდა ქართული საზოგადოება განათლების სამინისტროს წინააღმდეგ. იმჟამინდელი მინისტრი კბილებით იცავს გაფორმებულ ხელშეკრულებას (საუბრობენ კორუფციულ გარიგებებზეც). გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილეს თავის გაზეთში არ უბეჭდავენ და გაზეთ „შანსი“ აქვეყნებს უმწვავეს წერილს — „ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის“. ეს ერთ-ერთი სერიოზული დარტყმა იყო მინისტრისა და სამინისტროს პოზიციებისათვის... იყო პირადი მუქარები და შეურაცხყოფები... გადარჩა ბაზალეთი გათურქულებას და ამაში სერიოზული წვლილი იოსებ ჭუმბურიძესაც მიუძღვის...

სხვა: 90-იანი წლების ბოლოს განიხილებოდა ენის კანონი. 2002 წელს ქართული ენის სახელმწიფო კომისიამ კანონის პროექტი პარლამენტს გადასცა განსახილველად. და აი, ამ დროის მანძილზე, კომისიიდან პარლამენტამდე, კანონპროექტში დამატება გაჩნდა — მე-12 მუხლი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ანიჭებდა უფლებას, ხმათა უმრავლესობით გადაეწყვიტა, რომელი იქნებოდა სამუშაო (ოფიციალური) ენა იმ რეგიონში. ეს დიდად სახიფათო მუხლი იყო — სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქართულ (სახელმწიფო) ენას. სანამ პარლამენტი განიხილავდა ამ კანონპროექტს, ინფორმაცია „გაეპარათ“ და იოსებ ჭუმბურიძემ „დაიჭირა“, დამირეკა, რას ნიშნავს ეს, რა იცი ამის შესახებო... ფაქტობრივ, მან ატყვა ხმაური ამ თემის თაობაზე (იმჟამად „თბილისის“ რედაქტორი იყო) — საკუთარი თუ სხვისი რამდენიმე მწვავე მასალა გამოქვეყნდა. ერთი მხრივ „თბილისი“, მეორე მხრივ ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“ (რედაქტორი გ. გოგოლაშვილი) და მესამე მხრივ რადიოჟურნალი „ენაჲ შემკული და კურთხეული“ (ავტორი თ. ხმალაძე) გააქტიურდა. დაიწყო საჯარო განხილვები; საბოლოო სიტყვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თქვა და კანონპროექტის განხილვა შეჩერდა. მაშინაც ბევრი ვინმე განაწყენდა, მაგრამ მოიგო ქართულმა საქმემ... იოსებ ჭუმბურიძის „ჩანაწერებმა“ და აქტიურობამ თავისი საქმე გააკეთა...

სხვა: მოინდომეს სკოლებში სახელმძღვანელოდ შეეტანათ რუთ ბელის „ცვლილებები სხეულში, ცვლილებები

ორგანიზმში“ (ახალგაზრდობის „სწორი სექსუალური აღზრდისათვის“...)... და ისევ აჯანყდა იოსებ ჭუმბურიძე; გამართა რამდენიმე შეკრება რედაქციაში; მომზადდა მისი თუ სხვისი მწვავე პუბლიკაციები (ზოგი ამ კრებულშიც შევიდა — „და სამინისტრო ყველა კვალს წაშლის?!“ „აკრძალვა“...) და, როგორც იაკობ გოგებაშვილი იტყოდა, „მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში განწყალდა“...

კრებულში რამდენიმე ჩანაწერის გმირი ქალბატონი ანა კალანდაძეა და გავიხსენებ ერთ კონკრეტულ მაგალითს პუბლიცისტური ბრძოლის შედეგისას: 2008 წლის 11 მარტს ქალბატონი ანა გარდაიცვალა. 12 მარტს, საღამოს, ქალბატონი ანას ბინაში ახლობლები იყვნენ შეკრებილნი. ჰყვებოდნენ, მერიამ დიდუბის პანთეონი შემოგვთავაზაო; გვაჩვენეს კიდეც ადგილი — მივარდნილ კუთხეში, ღობის ძირშიო; ქალბატონი თინა ყანდარელი (ა. კალანდაძის რძალი) დიდად უკმაყოფილო ჩანდა. ვთქვით, ანა მთანმინდაზე უნდა დაიკრძალოს; თუ ასე არ მოხდება, ოჯახმა მოითხოვოს საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალვაო. იქიდან იოსებ ჭუმბურიძე პირდაპირ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში წავიდა. მეორე დღეს გამოქვეყნდა მისი წერილი „ანას ადგილი მთანმინდაზეა“; წერილს ასეთი მინაწერი ჰქონდა: თუ ვინმე ეღუარდ შევარდნადის მიერ გამოცემულ ბრძანებულებას მოიმიზეზებს, მაშინ ვეტყვი, ე. შევარდნადის არცერთ ბრძანებულებას არ ვითვალისწინებთ და რალა მაინცდამაინც ეს უნდა შევასრულოთო (იგულისხმებოდა — მთანმინდა გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ). გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნდა ე. შევარდნადის სამძიმრის განცხადება ქალბატონი ანას გარდაცვალების გამო. ასე რომ, გაზეთის ეს ნომერი ოპერატიულად აღმოჩნდა ე. შევარდნადის ხელში...

ასეთ დიალოგს შევესწარი: 15 მარტს, ქ-ნი ანას დაკრძალვის დღეს, სამების ტაძარში ქ-ნი ნელი გურგენიძე ეუბნება ი. ჭუმბურიძეს:

— სოსო, თქვენმა წერილმა სხვათა შორის დიდი როლი შეასრულა.

— რას გულისხმობთ?

— ბატონმა ეღუარდმა დამირეკა და მითხრა, ესეც მე მბრალდება, არაო? მე ვუპასუხე, თქვენ შეგიძლიათ ამ საქმის გამოსწორება-მეთქი. როგორო; უნდა დაელაპარაკოთ იმას, ვისაც შეუძლია ამ საქმის მოგვარება-მეთქი. რა თქმა უნდა, პატრიარქს ვგულისხმობდი. ბატონმა ეღუარდმა მითხრა, მე უკვე ვიცი, რაც უნდა გავაკეთოო... — ცნობილი ფაქტია: უწმინდესის ჩარევით გადაწყდა ქალბატონი ანას მთანმინდაზე დაკრძალვა...

სხვათა შორის, ამ საუბარსაც შევესწარი — იმავე საღამოს როსტომ ჩხეიძემ უთხრა ი. ჭუმბურიძეს:

— სოსო, არ მეგონა, თუ მთავრობა ასე გისმენდა...

— დაცინვას კაცი არ მოუკლავს...

— არა, ამას მე მთელი სერიოზულობით გეუბნები...

ეს ვრცელი ამბავი იმიტომ გავიხსენე, მეთქვა, იოსებ ჭუმბურიძის პუბლიცისტულ საქმიანი პუბლიცისტისა — სიტყვა საქმიანი.

და როცა ამ წიგნს კითხულობ, ყოველ მინიატურაზე შეიძლება ცალკე საუბარი; არააქტუალურ, არასაინტერესო, უმნიშვნელო მინიატურებს იოსებ ჭუმბურიძე არ წერს!

მადლობა მას და გამომცემლობა „ინტელექტს“ ამ წიგნისათვის.

ჩვენი კოლა

რადიო მწუხარე ხმით გადმოსცემდა სამთავრობო-სამგლოვიარო განცხადებას. ერთ ცნობილ ქართველ პოეტს დილის ტკბილი ძილით ეძინა, როდესაც თავს დაატყდა თავისი სათნო და მოსიყვარულე მეუღლის ქვითინი: ვაიმე, ვაიმე, ადექი კაცო, ეს რა შავი დღე გავვითენდა, ჩვენი კოლა მომკვდარა, ჩვენი კოლაო...

ამ გულჩვილ ქალბატონს გაგიჟებთ უყვარდა პოეზია და ორი სალოცავი ხატი ჰყავდა ამქვეყნად — დიდი შოთა რუსთაველი და თავისი დიდგულა ქმარი. რაც შეეხება სამგლოვიარო განცხადებას, რუსული ტექსტი კარგად ვერ გააჩნია და მოესმა „ზაბოლოცკი“ — ცნობილი რუსი პოეტი და ქართული მწერლობის დიდი მეგობარი.

სინამდვილეში მოსკოვის რადიო 1957 წლის 13 ნოემბერს მთელ ქვეყანას ამცნობდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის გარდაცვალებას (ზაპოტოცკი — ზაბოლოცკი... ვის არ შეეშლება!).

ამ კეთილშობილ ქალბატონს (ღმერთმა აცხონოს მისი სული!), როგორც იტყვიან, ენამ უყვილა და მომდევნო წლის 14 ოქტომბერს წინასწარ გამოტყვევებული ნიკოლოზ ზაბოლოცკიც გამოესალმა წუთისოფელს. ვაი რომ, ნაადრევად გამოესალმა. ჯერ მხოლოდ 55 წლისა იყო, მაგრამ ამ 55-დან მთელი რვა წელიწადი (1938-1946) არქიპელაგ გულაგის სუსხიან და დამშეულ ტერიტორიაზე გაატარებინეს — ვის არ შეერყოდა ჯანმრთელობა!

და აი, ერთ მშვენიერ დღეს საბჭოთა შრომა-გასწორების ბანაკის უსასტიკესი რეალობიდან თავი ამოჰყო ზღაპარში. ზღაპარს ერქვა საქართველოს მწერალთა კავშირის შემოქმედებითი სახლი საგურამოში. საქართველოს ლიტფონდის (იყო ოდესღაც ასეთი დაწესებულება) მამინდელმა თავმჯდომარემ ბესო ჟღენცმა განკარგულება გასცა, რომ ზაბოლოცკისათვის მთელი საზაფხულო სეზონით მიეცათ საგზური. მასთან ერთად საგურამოში ისვენებდა (და შრომობდა) ნარსულში ასევე რეპრესირებული სერგეი ერმოლინსკი, სცენარისტი და დრამატურგი — მიხეილ ბულგაკოვის, ნატო ვანცანდისა და სიმონ ჩიქოვანის მეგობარი. შემოქმედებითი სახლის დირექტორმა, სახელად ირაკლიმ, საუკეთესო ოთახები დააბინავა საპატიო სტუმრები (საწერ მაგიდაზე — ლამპა და სხვ.).

ზემოსხენებული ერმოლინსკი თავის მეშურებში აღნიშნავს, რომ ეს იყო ზღაპრული ყოფა-ცხოვრება, გათავისუფლებული წვრილმან საზრუნავთა და საფიქრალთაგან. ევალებოდათ მუშაობა და მხოლოდ მუშაობა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ხშირად, უკვე შებინდებისას, საგურამოს სახლს მოადგებოდა ხოლმე ლიტფონდის „გაზიკი“. ზაბოლოცკი და ერმოლინსკი სიხარულით ეგებებოდნენ ქართველ კოლეგებს: გულითად და სახენათელ სიმონ ჩიქოვანს, ომანიან და მედიდურ გოგლა ლეონიძეს, ენანყლიან ბესო ჟღენცს (ასე ახასიათებს მათ რუსი მეშურისტი). საგურამოს სტუმრებს, როგორც წესი, ჩამოჰქონდათ საუცხოო ღვინო და მყისვე იძლებოდა სახელდახელო სუფრა. შემოქმედებითი სახლის მოკრძალებულ ვახშამს (მჭადი, ბატკნის ნეკნები) ამდიდრებდა ირაკლის ხელით შემოტანილი კიტრი, ახალი ხახვი, ხანდახან ცხვრის ყველიც. გოგლა წარმოთქვამდა სადღეგრძელოებს და პურისა შუალამემდე გრძელდებოდა.

განა მართლა ზღაპარს არ ჰგავდა ამგვარი სურათი იმ შავ-ნელ ეპოქაში?! (იდეა 1947 წელი).

ს. ერმოლინსკი წერს: „ამინდვი კი, როცა დიდი ხნით არ გავდიოდით სახლიდან, არა მარტო ჩვენმა კამკამა წყარო, არამედ მთელი დიდებული ბუნება ზედანისა უხილავად ბინადრობდა ჩვენს ოთახებში. მისი სუნთქვა წუთითაც არ გვტოვებდა არც მამინ, როცა მზიანი სინყნარე სუფევდა და არც მამინ, როცა გარეთ წვიმა ხმაურობდა. ეს უჩვეულო იდილია საშუალოდ შემორჩა მესხიერებას“.

ზაბოლოცკი ფრთხილად დააკაუნებდა მეზობლის კარზე. მერე დადგებოდა შემოსასვლელში და კითხულობდა ის-ის იყო დამთავრებულ თარგმანს, რომელსაც წაუძღვარებდა მოკლე შესავალს და უხსნიდა მსმენელს, ვინ იყო ეს პოეტი და რატომთა თარგმნილი სწორედ ასე და არა სხვაგვარად. კითხვისას არ შორდებოდა სერიოზულობა, მაგრამ როდესაც განსაკუთრებით მოხდენილსა და მიმზიდველ სტრიქონებს მიადგებოდა, ღმილს ველარ მალავდა

და თითქოს მსმენელსაც ეპატიჟებოდა, გაეზიარებინა მისი ალტაცება.

„Только я глаза закрою — предо мной ты встаёшь! Только я глаза открою — над ресницами плывёшь!“ — რაოდენ მშვენივრად და ზუსტად აქლერებულა რუსულად გრიგოლ ორბელიანის ყველაზე პოპულარული მუხამბაზი, რომელიც ძალიან მოსწონდა ზაბოლოცკის და ისიც ახარებდა, რომ თარგმანი აშკარად გამოსდიოდა.

კითხულობდა და თვალებს მილულავდა ნებიერა კატასავით, რომელსაც ყურსუკან ფხანენო, დასძენს ერმოლინსკი.

თარგმნიდა თანამედროვე ქართველ პოეტებს (ლეონიძე, ჩიქოვანი, ტაბიძე და სხვ.), თარგმნიდა ძველებსაც (გურამიშვილი, აკაკი, ვფა...).

მემუარისტი აღნიშნავს: „ზაბოლოცკის ღირსეულად აფასებდნენ საქართველოში. იქ ხომ ყოველთვის აფასებდნენ რუს ლიტერატორებს, რომელთაც უყვარდათ ქართული პოეზია, ესმოდათ იგი და იცნობდნენ მის სათავეებს, მის ისტორიას“.

ზაბოლოცკის წილად ხვდა უაღრესად საპატიო მისია, რუსულ ენაზე ეთარგმნა ქართული ლექსის გვირგვინი — ვეფხისტყაოსანი. თარგმანი გამოცემულ იქნა მოსკოვში 1939 წელს, ოღონდ მთარგმნელის გვარი არ იყო მითითებული, ვინაიდან ზაბოლოცკი იმხანად უკვე „იჯდა“. მისი თარგმნილი წიგნი კი უპრობლემოდ დაიბეჭდა მისსავე საშობლოში — გასაგებია, ვისი ბრძანებითაც დაიბეჭდებოდა.

მემუარისტის სიტყვით, ზაბოლოცკის უყვარდა განმარტობა, მაგრამ აფრთხობდა მარტოობა. უყვარდა წიგნი და არ უყვარდა სანახაობანი. ვერ იტანდა ყბედებს. 1947 წლის ზაფხულში საგურამომ გარს შემოარტყა სიჩუმე და არაფერი არ ღვევდა ამ საამო სიჩუმეს (შებინდებამდე!). მეტი რალა უნდა ენატრა განმარტოებისა და მუშაობის ტრფიალს?!

დასასრულ, სალალობო მოტივიც შეეუროთ თხრობას: ერთხელაც, ზაბოლოცკის თავისი მეზობლისათვის წაუკითხავს ერთი ქართველი პოეტის (მემუარისტი გვარს არ სახელებს) ლექსის თარგმანი.

ერმოლინსკი, რომელიც მეტნაკლებად იცნობდა ქართულ ლიტერატურულ სამყაროს, გაოცებულა მისთვის უცნობი ავტორის შესაშური ნიჭიერებით. ძალიან კარგი ლექსიაო, ალტაცებით უთქვამს. ზაბოლოცკის ბალღივით გახარებია შექება.

— მართლა მოგეწონათ?  
— რაო, განა თავად თქვენ არ მოგწონთ?.. მაჩვენეთ ერთი პნკარედი.

ზაბოლოცკიმ აღმაცერად შემომხედა და მომანოდაო. ერმოლინსკის წაუკითხავს და აღშოთებულა.

— აბა რა მექნა? წარმოიდგინეთ თავი ჩემს ადგილზე. ხომ უნდა გამოსულიყო ლექსი და არა, ეშმაკმა უწყის, რალაც...

— აი, ასე იქმნება გაბერილი სახელები და ამ გზით ანთოლოგიებშიც ხვდებიან, — ამუნათებს მთარგმნელს ერმოლინსკი.

მისივე სიტყვით, ეს ეპიზოდი ამოვარდნილი იყო ზაბოლოცკის შემოქმედებითი პრაქტიკიდან, რომელიც მკაცრად გმობდა ამგვარ „ქველმოქმედებას“, მაგრამ ერთი ალილოო... (უნებურად გაახსენდება ენამწარე ანეკდოტი მაჩაბლის ქუჩიდან — რომელიც ქართველი პოეტი მეგობრულად ურჩევს რომელიღაც კოლეგას: ეგ შენი ლექსი, ძმაო, ვასტერნაკს ათარგმნიე და მერე რუსულთანად ისევე ქართულად გადმოთარგმნიე).

თურმე ზაბოლოცკი არ ელტვოდა სათარგმნელი ლექსის თავის ჰანგზე გადამღერებას, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე (ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში გახლავთ სწორედ პასტერნაკი). მას არ აკმაყოფილებდა პოეტის ცალკეულ ლექსთა გაცნობა. ენადა, რომ მთლიანად შეეცნო პოეტი. თავის „მთარგმნელის შენიშვნებში“ წერდა: „მთარგმნელი შეითავსებს მწერლისა და მეცნიერის ნიშან-თვისებებს, მაგრამ მეცნიერის სახე სიღრმეში უნდა იყოს ჩამალული, ხოლო მწერლისა — თვალნათლივ ჩანდეს“.

1975 წელს ქართული მწერლობის წინაშე განუული ღვანლისათვის ნიკოლოზ ზაბოლოცკის (სიკვდილის შემდეგ) მიენიჭა



ქება მოსისხლე მტრისა

ბრძოლა საფრანგეთისათვის დასრულდა საფრანგეთის კაპიტულაციით ნაცისტური გერმანიის წინაშე. ინყებოდა ბრძოლა ინგლისისათვის.

იდეა 1940 წლის ივლისი.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი თემთა პალატაში გამოსვლისას ამბობდა, რომ ინგლისისათვის ბრძოლის შედეგზე დამოკიდებული იყო ქრისტიანული ცივილიზაციის არსებობა. თუკი გავიმარჯვებთ, მთელი ევროპა თავისუფალი გახდება და მთელ მსოფლიოს გაეხსნება ფართო გზა მზით გაჩახჩახებული მწვერვალებისკენ და თუკი დავმარცხდით, მთელი მსოფლიო, ყველაფერი, რაც ვიცოდით და რაც გვიყვარდა, ჩაინთქმება ახალ შუა საუკუნეთა წყვიდადში.

ჩერჩილი ასკენდა: ამიტომაც პირნათლად უნდა მოვიხადოთ ჩვენი ვალი და ვიდგეთ შეუდრეკლად, რათა ჩვენმა შთამომავლებმა თქვან: „ეს იყო მათი ყველაზე დიდებული ჟამი“.

აი, ასე პათეტიკურად მიმართავდა პრემიერ-მინისტრი ქალქსა და სოფელს, მდიდარსა და ღარიბს, ინგლისსაც და ბრიტანეთის იმპერიასაც.

მაგრამ ინგლისელები რის ინგლისელები იქნებოდნენ, რომ თუნდაც ესოდენ მძიმე და პირქუში ვითარება არ შეეფერადებინათ საყოველთაოდ განთქმული ინგლისური იუმორით. და სწორედ ზემოთ მოყვანილი პათეტიკური ტექსტის ავტორი ჩერჩილი თავის თხზულებაში „მეორე მსოფლიო ომი“ იმონებს მიმდინარე მოვლენათა სრულიად სხვაგვარ შეფასებას, რომელიც მკვეთრად უპირისპირდება მისსავე პათეტიკას. ლონდონში არსებული ერთ-ერთი ელიტური კლუბის შვეიცარი ამჟღავნებს იმავე კლუბის შეცბუნებულ წევრს: „ასეა თუ ისე, სერ, ჩვენ გავედით ფინალში, რომელიც გაიმართება ჩვენს საყოთარ მოედანზე“.

იმავე წლის შემოდგომა. ფინალი — გერმანული ავიაციის ყოველდღიური თავდასხმები ლონდონზე, აურაცხელი სისხლი და ცრემლი.

ინგლისელებმა მოიგეს ბრძოლა ინგლისისათვის ჰაერში, მაგრამ ომის მოგება ჯერ კიდევ შორს იყო და საომრად განვრთნილი გერმანელები სჯახნიდნენ მათ ხმელეთსა და ლამის ზღვაზეც.

და აი, თემთა პალატაში ლეიბორისტი პარლამენტარი დაუნდობლად აკრიტიკებს კოალიციურ მთავრობას, სადაც წამყვანი პოზიცია უჭირავთ ჩერჩილს და კონსერვატორებს: „ჩვენს ქვეყანაში არის ხუთი თუ ექვსი გენერალი სხვა მოდემისა — ჩეხი, პოლონელი, ფრანგი... მათ იციან, როგორ უნდა ეომო გერმანელებს. ჩვენი ღირსებისათვის უსიამო იქნება, მაგრამ რას იზამ, ეგებ ისინი დავნიშნოთ ჩვენი ჯარის სარდლებად? განა არ აჯობებს, უცხოელ გენერალთა სარდლობით

მოვიგოთ ომი, ვიდრე ჩვენებური გენერლების სარდლობით წავაგოთ? პრემიერ-მინისტრმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენში დაცინვით ამბობენ, ფელ-

დმარშალი ერვინ რომმელი ჩვენთან რომ მსახურობდეს, ჯერ კიდევ სერჟანტი იქნებოდაო. განა მართლაც ასე არ არის? ჩვენს არმიამი მსახურობს კაცი, რომელმაც ათი ათასი ჯარისკაცი გადაისროლა მდინარე ებროზე ესპანეთის სამოქალაქო ომში. ეს გახლავთ მაიკლ დუნბარი. ის იყო ესპანელ რესპუბლიკელთა შტაბის უფროსი. მან მოიგო ბრძოლა ებროზე. და ინგლისის არმიამი კი სერჟანტად მსახურობს“.

გულისმომკველი დაცინვა ხელისუფლების მისამართით! რა უნდა ეპასუხა ჩერჩილს?

პრემიერ-მინისტრმა თავის გასამართლებლად, სხვა ფაქტორებთან ერთად, მოიხმო ის გარემოება, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში გაჩაღებულ ბრძოლებში ინგლისელ სარდლებს უპირისპირდებოდა ერვინ რომმელი, „ძალზე გულადი და დახელოვებული მონინალმდევე — დიდი გენერალი“.

გარისკა ჩერჩილმა. იმ გაგანია ომის დროს მოსისხლე მტრის სარდლის მონათვლა „დიდ გენერლად“ ვის დაუჯდებოდა ჭკუაში?! მაგრამ თემთა პალატამ წმინდა ინგლისური ჯენტლმენობა გამოიჩინა და უხმოდ გადაყლაპა ქება მოსისხლე მტრისა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბავეთაგან რომ გაისმა.

კრიტიკა სულ სხვა მხრიდან დაატყდა ჩერჩილს.

1942 წლის 20 ივნისს გერმანელთა სატანკო არმიამ ერვინ რომმელის სარდლობით ქალაქი ტობრუკი (ჩრდ. აფრიკა) რომ აიღო და კრიტიკული ვითარება შეუქმნა ინგლისელებს, სწორედ მაშინ განაცხადა ჰიტლერმა: „რომმელის სახით ჩვენ ეგვიპტეში გვყავს მხედართმთავარი, ვისი სახელიც შეიმოსა უჭკნობი დიდებით და დღეს უკვე შეიძლება ჩავთვალოთ, რომ იგი დაიჭერს ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს სამხედრო ისტორიაში“.

მერე კი მადლს პილპილიც მოაყარა. რომმელის უდიდესი პოპულარობა მთელ მსოფლიოში ჩერჩილს უნდა უმაღლოდესო. ჰიტლერის აზრით, ჩერჩილმა თავის გამოსვლაში გაუგონარი რეკლამა გაუნია გერმანელ ფელდმარშალს.

ჰიტლერი ამტკიცებდა, რომ ძალზე სახიფათოა აქო მტრის მხედართმთავარი. აბა ერთი წარმოიდგინეთო, მიმართავდა თავის მსმენელებს, ჩვენ უეცრად რუსი მარშლის ტიმოშენკოს ქება-დიდება რომ დაგვეწყოს, რა მოხდებოდაო?! ის მოხდებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ დავარწმუნებდით ჩვენს მეომრებს მტრის არაჩვეულებრივ სამხედრო ნიჭიერებაში და გამარჯვების რწმენას დავუკარგავდითო.

ძნელი სათქმელია, ვინ იყო მართალი ჩერჩილისა და ჰიტ-

სამების საპატრიარქო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გამართა ქეთევან დოლიძის პოეზიისა და ნოველების წარდგინება. საღამოს ესწრებოდნენ: ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსი მეუფე თადეოზი, პოეტები და მწერლობის მოყვარულები. ორგანიზატორი იყო რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, პოეტი დავით შემოქმედელი. ქეთევან დოლიძის ნოველები წაიკითხეს მსახიობმა ელდინო საღარაძემ, პოეტმა და მხატვარმა მირან ფალიანმა და ახალგაზრდა პოეტმა ოთარ ფალიანმა. თვითონ პოეტმაც წაიკითხა საკუთარი ლექსები.

აჟღერდა ქართული საგალობლები და ხალხური სიმღერები მგალობელთა ჯგუფის ლევან ნიჭარიშვილის, დავით ჭარხალაშვილის, გიორგი ბეზარაშვილის, შალვა კაპანაძის და ნიკოლოზ ქასოშვილის მონაწილეობით. დამსწრე საზოგადოებამ

იხილა ქეთევან დოლიძის წიგნების მხატვრისა და რეჟისორის მალხაზ ვარშანიძის ფილმი „თეთრი თებერვალი“, რომელიც ქეთევან დოლიძის ერთ-ერთი ნოველის მიხედვით შეიქმნა. პატარა გოგონებმა ნიაკო მამუკაშვილმა და მარიამ ყორღანაშვილმა მოწნული კალათით შეაგროვეს ნაჭრის ნაგლეჯები და ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ მგალობლებმა კალათიდან დალი ხაჭაპურიძის შექმნილი ქვილთის საბნის საქართველოს რუკა ამოიღეს და გაშალეს. საღამო დაავგირგვინა „მრავალჟამიერმა“, დიდი სიყვარულის მუხტი დარბაზში ენთო. ეს იყო არა მხოლოდ შემოქმედებითი საღამო, არამედ საქართველოს გაერთიანების პოეტური აქცია.

ნატა ნიჭლაძე